# საერთო გაზეთი

№17 (201) ● 4-10.IV.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.ge; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

**sensaciuri informacia**

ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილს მკურნალობდა?

---

დაუბრუნებენ თუ არა 5 აპრილს ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას?

---

გამარჯვების ერთადერთი ფორმულა არსებობს — ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ!

---

დემოკრატიის მღრღნელი ვირთხების ეპოქა უნდა დასრულდეს!

---

ხათუნა კალმახელიძის ჯოჯოხეთი

---

ISSN 2233-3983




## 6,4 miliardis saidumlo



„სამწუხაროა, რომ, ჯერჯერობით, „ქართული ოცნების“ მხარდამ-ჭერი არც მსახიობი, არც მწერალი და არც არავინ ჯერ ჩვენთან არ გამოჩენილა და როგორც გითხარით, მათი მხარდამჭერი, უფრო სწორად კი ბატონი ბიძინას მხარდამჭერი ყოველი მეორე ემიგრანტი, იტალიაში ამას ძალიან ველოდებით.“

მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ არჩევნები ზაფხულის დამდეგს, ივნისის თვეში ჩატარდება

---

ეკვადორის პრეზიდენტი გიჟი აბდალა ბეტმენის ფორმით დადიოდა, სააკაშვილი კი ამერიკის სამხედრო ფორმით დადის

---

„მე-9-ე არხი“ ნამდვილად სიახლე იქნება ქართულ ტელე-სივრცეში

---

თუ სასწაული მაინც მოხდა და სააკაშვილმა ივანიშვილს მო-ქალაქეობა დაუ-ბრუნა, ესე იგი, ფარდის უკან რა-ღაც ისეთი ხდე-ბა, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ...

---

რატომ ურჩევნია ქართველ ისტორიკოსთა ერთ ნაწილს ქართველები კოლხური კი არა სომხური წარმომავლობის იყვნენ?

## რედაქტორის სვეტი

ამასწინათ აეროპორტში ვიყავი — ნათესავი გარდამეცვალა რუსეთში და თვითმფრინავით უნდა ჩამოესვენებინათ.

ერთ კუბოს ველოდით და სამი კუბო ჩამოასვენეს იმ ღამეს ერთიმეორის მიყოლებით.

ასეთი რამ თითქმის ყოველ ღამე ხდებაო — მითხრა აეროპორტის თანამშრომელმა.

სიკვდილის კონვეიერი შეუჩერებლად მუშაობს და მოაქვს და მოაქვს



ქართველების კუბოები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

სიკვდილი საშინელებაა, მაგრამ ასგზის უფრო დიდი საშინელებაა, როცა ადამიანი უცხოეთში კვდება, კვდება უნუგეშოდ, მოუფერებლად, მარტოდმარტო.

მიდიან და მიდიან ქართველები საქართველოდან, სამაგიეროდ ჩინელები, ინდოელები, აფრიკელები მოდიან.

დავით აღმაშენებელმა დიდგორის ომში უკანდასახევი გზები ჩაგვიხერგა, რომ ბრძოლის ველიდან არ გავქცეულიყავით.

ახლაც ომია საქართველოში, მაგრამ გზის ჩამხერგავი არავინ ჩანს.

გარბიან ქართველები ბრძოლის ველიდან და ცინკის კუბოებში ჩაჭედილები ბრუნდებიან უკან, რომ სამშობლოში დაიმარხონ...

ხომ არ შეიძლება სამშობლო მხოლოდ სასაფლაო იყოს ადამიანისთვის, სამშობლოს მხოლოდ სასაფლაოს ფუნქციაღა დარჩეს?

მილიონნახევარი ქართველია წასული საქართველოდან.

მათი უმრავლესობა ახალგაზრდა ან საშუალო ასაკის ადამიანები არიან ანუ ისინი, ვის მხრებზეც უნდა იდგეს ქვეყანა.

ამ მილიონნახევარ ქართველს, აქ, სამშობლოში რომ ებრძოლა სამშობლოსა და საკუთარი თავის ბედნიერებისთვის, ალბათ, ყველაფერი სხვანაირად და სხვაგვარად იქნებოდა...

ახლა კი შეუჩერებლად მუშაობს სიკვდილის კონვეიერი და მოაქვს და მოაქვს ქართველების კუბოები.

**ვახტანგ ხარჩილავა**

## rezo amaSukeli:
# maqvs utyuari informacia, rom arCevnebi zafxulis damdegs, ivnisis TveSi Catardeba



მე, რეზო ამაშუკელი, ვაცხადებ, დღეს, რაგინდ ამტკიცონ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებმა, რომ საპარლამენტო არჩევნები შემოდგომაზე ჩატარდება, ეს არის სიცრუე, საქართველოს ხელისუფლება გეგმავს, ყველასთვის მოულოდნელად, ზაფხულის დამდეგს (არაუგვიანეს ივნისისა) დანიშნოს არჩევნები, როდესაც ე.წ. „მკვდარი დროა“ პოლიტიკური აქტივობისთვის, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.

დიდმაც და პატარამაც, ერმაც და ბერმაც, მთელმა საზოგადოებამ, პოლიტიკოსებმა თუ არაპოლიტიკოსებმა, ყველამ გაითვალისწინოს, რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ამან.

რა არის ჩაფიქრებული საპარლამენტო არჩევნების მოულოდნელად ჩატარებაში, ამის შესახებ დასკვნები, პოლიტიკოსებმა გააკეთონ. მე კი ვაფრთხილებ საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს, იცოდეთ, რომ ეს იგეგმება და შემდეგ გვიანი იქნება იურიდიულ ასპექტებსა და ე.წ. დემოკრატიულ მართლწესრიგზე საუბარი.

სახელმწიფო რესურსი და გაურკვეველი დანიშნულების შეიარაღებული ჯგუფების არსებობა დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში ავისმომასწავებელ დენთის სუნს აფრქვევს.

საქართველოს სამუდამო უფსკრულში გადაჩეხვის გამო პასუხისმგებელი იქნება არა მხოლოდ პოლიტიკური სპექტრი, არამედ მთლიანად ერი.

საუბედუროდ, ყოველთვის, რაც ვთქვი, ახდა.

ყველა დავფიქრდეთ და გავერთიანდეთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი სამშობლო ვიხსნათ ამ „შავი ჭირისგან!“

**რეზო ამაშუკელი**

# saqarTvelos yvela politpatimarsa da ukanonod dapatimrebuls

გილოცავთ საქართველოს უდიდესი შვილის, ერთადერთი და კანონიერი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას 73-ე წლისთავს. თქვენ ყველა პოლიტ-პატიმარი და უკანონოდ დაპატიმრებულნი სამშობლოს უანგარო პატრიოტები, გმირები და რაინდები ხართ. ძნელია, იყო ქართველი ვაჟკაცი და რაინდი, მითუმეტესს დღეს. ყველა ღირსეული მამულიშვილის ხვედრი იყო და არის ტკივილი, საწამლავი, დევნა, საპყრობილე და წამებით სიკვდილი და თქვენც ამის მსხვერპლნი ხართ. ტქვენ დაუპირისპირდით საქართველოში გამეფებულ შევარდნაძის ხუნტის უსამართლობასა და ხუნტის სამართალმემკვიდრე სააკიანის რეჟიმს. მალე გვეხილოს საქართველოს სათავეში ეროვნული ხელისუფლება და თქვენ ყველა ტავისუფალნი. დიდება თქვენს ვაჟკაცობას!

საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტის ბატონ ზვიად გაამსახურდიას კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 3031 მებრძოლი საზღვარგარეთიდან.

**სალომე მჭითური, ლაშა გამსახურდია, ლევან ზალიშვილი, მარიამ კორინთელი.**

### ლევან იზორია: ნავთობბიზნესს დავით კეზერაშვილი მართავს



პარტია “თავისუფალი დემოკრატების” წევრი ლევან იზორია ხელისუფლებას საქართველოში არსებული ნავთობიმპორტიორი კომპანიების კონტროლსა და ფასების ზრდაში ადანაშაულებს.

როგორც დღეს ფრაქცია “ერთობა სამართლიანობისთვის” ინიციატივით, ექსპერტებთან, საერთაშორისო და არასამთავარობო ორგანიზაციებთან გამართულ შეხვედრაზე იზორიამ განაცხადა, “ვარდების რევოლუციამდე” ნავთობის ბიზნესში 100-მდე კომპანია იყო ჩართული, რაც ფასების რეგულაციას უწყობდა ხელს, დღეს კი მხოლოდ ხუთი კომპანია მუშაობს და ხუთივეს დავით კეზერაშვილი მართავს. შეხვედრაზე იზორიამ ხაზი გაუსვა, იმ ფაქტს რომ ვარდების რევულუციის შემდეგ, ნავთობპროდუქტების ფასი საგრძნობლად გაიზარდა. მისი თქმით, მიუღებლად მიაჩნია არგუმენტი, თითქოს საქართველოში ბენზინის სიძვირეს, საერთაშორისო ბაზარზე ფასების მომატებას და ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა იწვევს. “თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენლის ცნობით, წარმოუდგენელია “სოკარის” მიერ ტრანსპორტირებული ბენზინი და ევროპიდან შემოტანილი ბენზინი ერთი დაიგივე ფასი დაჯდეს. “კეზერაშვილის კონტროლირებად ნავთობკომპანიები ფასებს ერთმანეთს უთანხმებენ.კონკურენციის პირობებში კი, მსგავსი რამ ვერ მოხდებოდა. მაგალითად 13 თებერვალს, 26 თებერვალს და 18 მარტს რეგულარის ტიპის ბენზინი ხუთივე კომპანიამ ერთდროულად 5 თეთრით გააძვირა. თავისუფალი ბაზრის პირობებში წარმოუდგენელია ნავთობპროდუქტი ერთი და იგივე ფასით ერთი და იგივე დღეს გაიზარდოს. დღეს საქართველოში არა მხოლოდ ნავთობპროდუქტების ფასები რეგულირდება და კონტროლირდება, არამედ შემოტანის ლიმიტები და მარაგიც”, — განცხადა “თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელმა. იზორიას ცნობითვე, სხვა იმპორტიორებს, საქართველოში ბენზინის დაბალ ფასად შემოტანის და გაყიდვის შესაძლებლობას ხელისუფლება არ აძლევს.

### ჯონ ბასი: მხარს დაგიჭერთ, რომ ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები



“ჩვენი ყურადღება მიმართული იქნება, რომ მხარი დაგიჭიროთ თქვენ, ქართველ ხალხს, რომ ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები და ჩამოყალიბდეს მრავალფეროვანი პარლამენტი, რომელიც გამოხატავს საქართველოში არსებულ რეალობას”, — თშპრესს.გეს ინფორმაციით, ეს განცხადება აშშ–ის ელჩმა ჯონ ბასმა ბათუმში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გააკეთა. ელჩის განცხადებით, საქართველოში დემოკრატია ჯერ კიდევ “სამუშაო პროცესშია”. მისი თქმით, ალიანსი და მისი მოკავშირეები დააკვირდებიან არჩევნების წინა და არჩევნების პერიოდს საქართველოში და ამის მიხედვით გააკეთებენ დასკვნას, რამდენად შეესაბამებოდა პროცესები დემოკრატიის პრინციპებს. “არის სფეროები, სადაც საჭიროა მეტი მუშაობა, სადაც ვისურვებდით, რომ მეტი მიღწევები ყოფილიყოს. კიდევ ერთი სფერო, სადაც მეტი სამუშაოა გასაწევი, არის საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა”, — აღნიშნა ბასმა.

### გერმანია უკრაინასთან ტიმოშენკოს ბერლინის კლინიკაში მკურნალობის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს

გერმანიის ხელისუფლება, უკრაინულ მხარესთან ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს გერმანიაში მკურნალობის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. „ბი-ბი-სის” ცნობით, მათი სურვილია ტიმოშენკომ მკურნალობის კურსი ბერლინის კლინიკა Charité გაიაროს. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მათთვის მთავარია ტიმოშენკომ საჭირო სამედიცინო დახმარება მიიღოს. გერმანულ და უკრაინულ მხარეს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში აქტიურადაა ჩართული იულია ტომოშენკოს ქალიშვილი ევგენია ტიმოშენკო. უკრაინული მხარე აცხადებს, რომ იულია ტიმოშენკოს სამკურნალოდ ხარკოვის ცენტრალურ კლინიკაში გადაიყვანენ. შეგახსენებთ, რომ უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრი იულია ტომოშენკო 2011 წლის აგვისტოში უფლებამოსილების გადაჭარბების ბრალდებით დააკავეს. კერძოდ, მისი დაპატიმრების მიზეზი რუსეთთან გაფორმებული გაზის კონტრაქტი გახდა. სასამართლომ ყოფილ პრემიერ შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

`medianiusi~

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# mixei l saakaSvi l i qar Tu l i saxe l mwi f os Casake t ad emzadeba

მიხეილ სააკაშვილის ვანელმა ჟირინოვსკიმ კაკო ბობოხიძემ შავი დღე აყარა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში ჯონ ბასს – მაგას ხომ არ დაავიწყდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რა შეშფოთებებს გამოთქვამს აქ და რა დირექტივებს იძლევაო.

ბობოხიძის შეძახილის შემდეგ ბასი მხოლოდ შეშფოთებული კი არა ცოტათი შეშინებულიც ჩანს – ეს მთლად ისე კი არ მითქვამს, როგორც ბატონმა კაკომ გაიგო, სხვანაირად ვთქვიო.

ეტყობა, დაზვერვას მიტანილი აქვს ბასისთვის ინფორმაცია ბობოხიძის ბობოქარი ხასიათის შესახებ და ფრთხილობს, სადმე არ ჩამისაფრდეს და მუშტი არ მგლიჯოს ამ გადარეულმა კაკომო.

იმნაიშვილის გალახვა შერჩა, მამრაძის შემოლაწუნება შერჩა და ჯონ ბასი ისეთი ვინ არის, რომ მისი გასილაქებისთვის ვინმემ პასუხი აგებინოს – ასე ფიქრობს, ალბათ, ყოჩაღი კაკო და ასე ფიქრობენ მისი ყოჩაღი „აფხანიკებიც“ ნაც.მოძრაობიდან – აკო მინაშვილი, დავით დარჩიაშვილი და სხვები.

მართლაც არ გააჭირა ამ აშშ-მა საქმე? მაგათ ვინმეში ხომ არ ვეშლებით ჩვენ, ძმაო? რამდენსაა რომ გვიბედავენ – არჩევნები დემოკრატიულად ჩაატარეთ, ხელისუფლება არჩევნებით გადააბარეთ, ადამიანის უფლებებს ნუ არღვევთ, ეს კონტროლის პალატა კიდევ



ძალიან ნუ გააბლატავეთ, ეს გვეუბნებიან, რა მაგათი საქმეა ჩვენს სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოში არჩევნებს სამართლიანად ჩავატარებთ თუ სულაც გავაყალბებთ?

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჯერ კიდევ არ გვქონდა ხმები ბოლომდე დათვლილი და ჯორჯ ბუშმა გამარჯვება მიხეილ სააკაშვილს მიულოცა.

გადაირია სააკაშვილი – რატომ ერევით ჩვენს საქმეებში? რატომ გვილოცავთ ასე ნაადრევად? ბოლომდე არ გვაქვს ხმები დათვლილი და თქვენ კიდევ გვილოცავთ? რა წესია ეს? ხომ შეიძლება „გრეჩიხას“ უფრო მეტი ხმები აღმოაჩნდეს, ვიდრე მე? უ ა რ ს



ვ ა მ-ბობ, არ მინდა, ბატონო, პრეზიდენტობაო, – უთქვამს და სუში-ბარში გაქცეულა გულის მოსაოხებლად.

ჯორჯს კონდი გამოუგზავნია მიშასთან საშუამავლოდ: – ოღონდ კიდევ ერთხელ იყოს პრეზიდენტი ერთი ვადით და მეტს არ შევაწუხებო – შემოუთვლია.

დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მიშა, როგორც იქნა, დათანხმებულა.

აი, ასე ერევიან ეს ამერიკელები ჩვენს შიდა პოლიტიკაში, მაგრამ როგორც აკო მინაშვილმა განაცხადა, ამიერიდან ეს ამბავი არ გაუვათ.

თავნებობა არ გაუვათ სხვადასხვა სახელმწიფოების საელჩოებსაც, რომლებიც, როგორც ქართველი ხალხის ინტერესების ერთგულმა დამცველმა, და თავისი ქვეყნის დიდმა პატრიოტმა და მოჭირნახულემ ღრმად პატივცემულმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ზემოდან დაჰყურებენ ქართველებს, ამცირებენ, აწვალებენ და დროულად არ აძლევენ ვიზებს.

დიდება დიდ მიხეილს!

დიდება დიდ პატრიოტს!

დიდება საქართველოსთვის თავდადებულ გმირს – მიხეილ სააკაშვილს!

ამიერიდან ის დაიცავს თითოეული მეტიჩარა ბუზი ვერ შემოფრინდეს ჩვენს საყვარელ სამშობლოში.

ის ჩაკეტავს ყველა კარს, ყველა ფანჯარას და სიცოცხლის ბოლომდე გვიპატრონებს ჩვენ, უპატრონებს, დაგვიფარავს ჩვენ, დამცირებულებს, დაგვიცავს ჩვენ, დაუცველებს.

სიცოცხლის ბოლომდე, სიცოცხლის ბოლო წუთამდე ის იქნება ჩვენი უფროსი, ჩვენი პრეზიდენტი, ჩვენი მეფე და ამ დაჩაგრულ საქართველოს არავის დააჩაგვრინებს.

ჩვენგანის ღირსებას უცხო ქვეყნების თავგასული საელჩოებისგან და სხვა მჩაგვრელ-ექსპლუატატორებისგან.

ის დაგვიცავს აშშ-სგან და ევროპისგან!

ის დაიცავს არჩევნებს სხვადასხვა არამკითხეების ჩარევისგან!

თუ საჭირო იქნება, ის საიმედოდ ჩაკეტავს ქართული სახელმწიფოს საზღვრებს, ჩაკეტავს მთელ ქვეყანას, ისე რომ ვერცერ-

ი ხ ა რ ე

ჭერო, მოკვდი მტერო!

მიხეილ სააკაშვილი ქართული სახელმწიფოს ჩასაკეტად ემზადება.

მიეცით ამ კაცს ბევრი ლურსმანი, ბევრი აგური, ბევრი ცემენტი, რომ რაც შეიძლება მაღალი გალავანი შემოგვავლოს, ზედ კიდევ დიდი, დიიდი ბოქლომი დაჰკიდოს და მიეცით კიდევ ბევრი მათრახი იმ ურჩების გასაჩუმებლად, რომლებიც მის მიერ ნაჩუქარ ბედნიერებას ვერ შეიშნოვებენ და ხმის ამოღებას გაბედავენ.



თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.



# irakli alasaniam xelisuflebis provokaciuli gegmebi CaSala?

— ჩვენ აქ სამშობლოს საკეთილდღეოდ, მის დასაცავად რაღაცას ჩუმად ვხლაფორთობთ, შენ კი ყველაფერი გაგვიბაზრე და მტერთან ჩაგვიშვიო, — დაახლოებით ასეთი შინაარსისაა ის განცხადებები, რომლებსაც ხელისუფლების წარმომადგენლები ირაკლი ალასანიას მისამართით აკეთებენ.

ტელეკომპანია „იმედმა“ ერთსაათიანი სპეციალური გამოშვება უძღვნა ირაკლი ალასანიას, სადაც ის ლამის სახელმწიფო დამნაშავედ და მოღალატედ არის შერაცხული.

კი, მაგრამ, ისეთი რა თქვა ალასანიამ, რაც მოგვიანებით თვით ამ ხელისუფლებამ არ აღიარა — დიახ, შეიარაღებულ ფორმირებებს ვქმნით, მაგრამ ეს ბანდფორმირებები კი არა ნებაყოფლობითი რეზერვისტები არიანო.

გეთქვათ მაშინ თავიდანვე ასეთ კარგ საქმეს თუ აკეთებდით — რატომ მალავდით, რატომ ჩუმჩუმელობდით და საეჭვოდ რატომ იხდიდით საქმეს?

იქნებ მე გამომრჩა, მაგრამ სხვაც ვერავინ ვნახე, რომ ეთქვა: საქართველოს ხელისუფლება ნებაყოფლობითი რეზერვისტების დაჯგუფებებს ქმნის და მოსახლეობის გასაცნობიერებლად ამ მიმართულებით დიდი საინფორმაციო და ახსნა-განმარტებითი სამუშაო გასწიაო.

საიდუმლოდ შენიღბულნი ალასანიამ რომ „აღმოგაჩინათ“ და მერე რომ დაარქვით სახელი ამ გასამხედროებულ უწყებას, მანამდე დაგერქმიათ სახელი, ვინ გიშლიდათ?

პოლიტოლოგმა ბარნოვმა, თავის დროზე ვითომ ოპოზიციონერ ექსპერტად რომ ჰყავდა მიწვეული „კავკასიას“ და გადაცმული „ნაცმოელი“ რომ აღმოჩნდა, მისთვის ჩვეული მენტორულ-აკადემიური ტონით გაგვაცნობიერა „იმედის“ ეკრანიდან, რომ ნებაყოფლობითი რეზერვისტები ყველა ნორმალურ სახელმწიფოს ჰყავს...





ნორმალურ სახელმწიფოში კი, ბატონო, მაგრამ ჩვენ რომ არ გვაქვს მთლად ნორმალური სახელმწიფო, ეს რატომ დაგავიწყდა, ჭკუის კოლოფო ბარნოვო?

ნორმალური სახელმწიფო კი არა, ვინ გვცემს, ვინ გვიჟაჟუნებს, რეზინის ტყვიებს ვინ გვიშენს, გაზით ვინ გვგუდავს ის ვერ გაგვიგია და ეს „ნებაყოფლობითი რეზერვისტები“ კიდევ რა უბედურებას მოგვწევენ, ღმერთმა უწყის.

— ხედავთ, სოხუმის მთავრობამ და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რა განგაში ატეხეს ალასანიას განცხადების შემდეგ — ქართველები უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს ქმნიანო. ალასანიამ მისცა მათ ამის თქმის საბაბი და როგორ არ გრცხვენია, ალასანია, რუსებთან და აფხაზებთან როგორ ჩაგვიშვიო, — თვალებს აბრიალებენ პატრიოტი ხელისუფლების პატრიოტი წარმომადგენლები.



ქურდს ქუდი ეწვისო, ისე ხომ არ გჭირთ თქვენც, პატივცემულო ხელისუფალნო, კიდევ ხომ არ აპირებთ რაღაც პროვოკაციის გაჩალიჩებას, ვთქვათ, სადღაც შეჭრა-შევარდნას, რომ ნახევრად დაპყრობილები ახლა ბოლომდე დაგვიპყრონ და დაგვასვენონ?



... ცოლი ეუბნება ჭიჭიკიას: — დამიპყარი ჭიჭიკია, ბოლომდე დამიპყარი, ჭიჭიკია...

— „გიპყრობ“, ქალო და მეტი რა ვქნა, ალყას ხომ ვერ დაგარტყამო, — პასუხობს ჭიჭიკია.

რუსეთთან ჩვენი ხვანცალი რაღაცით ჰგავს ჭიჭიკიას და მისი ცოლის ამბავს — კი გვიპყრობს ეს რუსეთი და სანამ ბოლომდე არ დაგვარტყამს ალყას, მანამდე არ უნდა მოვისვენოთ?

**გიორგი გამეზარდაშვილი**

## მკითხველები გვწერენ

**„საერთო გაზეთი“-ს რედაქციას**

**„საერთო გაზეთში“** (№15, 2012 წ) გამოქვეყნებულ მიმართვაში ბიძინა ივანიშვილისადმი, რომელიც განთავსებული იყო „მედიანიუსში“, ინფორმაციის მომწოდებელმა დაუშვა სამწუხარო ტექნიკური შეცდომა.

კერძოდ, მიმართვის სათაურში —„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირი“, სიტყვა „კავშირი“-ს ნაცვლად უნდა იყოს „წარმომადგენლები“.

ასევე: მიმართვაში რამდენიმე პიროვნების ვინაობა მოხსენიებულია მათთან შეუთანხმებლად, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით.

**კახა სიხარულიძე**

**ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრი**

**„საერთო გაზეთი“-ს რედაქციას**

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღდგენის საინიციატივო ჯგუფი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირი“ ბუნებაში არ არსებობს, რომ არაფერი ვთქვათ 42-დან 15 ფალსიფიცირებულ ხელმოწერაზე. როგორც ჩანს, კახა სიხარულიძემ (ის ერთ დროს წევრი იყო იმ ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისა, რომელიც მერაბ კოსტავას საზოგადოებასთან ერთად ხუნტასთან ალიანსის გამო გაირიცხა „მრგვალი მაგიდიდან“) მიზანმიმართულად ხელოვნურად გაზარდა ივანიშვილის მხარდამჭერ ე.წ. ზვიადისტთა რიცხვი, რათა ივანიშვილის კარზე თავისი პოზიციები გაემყარებინა.

ყველა ადამიანი თავისუფალია თავის არჩევანში. მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს, რომ არავის აქვს უფლება ბატონი ზვიად გამსახურდიას სახელით ილაპარაკოს და იმოქმედოს, მით უმეტეს, როცა საქმე სიცრუეს, სიყალბეს და არაკეთილსინდისიერ საქციელს ეხება.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღდგენის საინიციატივო

**ჯგუფის სახელით**

**ეთერ მგალობლიშვილი**

**„საერთო გაზეთი“-ს მთავარ რედაქტორს ბატონ ვახტანგ ხარჩილავას**

**„საერთო გაზეთში“** გამოქვეყნდა ჩვენთვის უცნობი „ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირის მიმართვა ბატონ ბიძინა ივანიშვილს“, რომელშიც დაფიქსირებულია 42 პირის ხელმოწერა. რომელთა ნაწილი, რბილად რომ ვთქვათ, გაყალბებულია.

ბატონო რედაქტორო, გთხოვთ გამოაქვეყნოთ ჩვენი განცხადება რადგანაც არამცთუ არ მოგვიწერია ხელი გამოქვეყნებულ მიმართვაზე, არამედ ჩვენთვის უცნობია ხსენებული „მოძრაობის კავშირი“-ს არსებობაც კი.

**ნუგზარ მგალობლიშვილი**
**ვლადიმერ ცოფურაშვილი**
**ანრი ყრუაშვილი**
**დავით ტაბიძე**
**თამაზ გველესიანი**
**თამარ ჟღენტი**
**ნანა აროშიძე**

**„საერთო გაზეთის“** 2012 წლის 28.III-3.IV მე-15 (199) ნომერში გამოქვეყნდა „ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობის კავშირის მიმართვა ბატონ ბიძინა ივანიშვილს“, სადაც მოხსენიებული ვარ მიმართვის ხელმომწერად და კავშირის წევრად. ამასთან დაკავშირებით მინდა გავაკეთო განცხადება, რომ არ ვარ აღნიშნული კავშირის წევრი და არ ვიცნობდი გამოქვეყნებული მიმართვის ტექსტს.

ამასთან, განსაკუთრებით ვაფასებ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობას საქართველოში, განვიხილავ „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობის საკითხს, მაგრამ არ მივესალმები სხვადასხვა თანამდგომი ძალების მხრიდან ჩემი სახელით გაკეთებულ მსგავს ნაჩქარევ განცხადებებს.

**ეროვნული ხელისუფლების მინისტრი იგორ ჩხეიძე**

# ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილს მკურნალობდა?

sensaciuri informacia

sensaciuri informacia



როგორც სარწმუნო წყარომ გვიამბო, ბიძინა ივანიშვილი, რომელიც საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად ერკვევა ფსიქოანალიტიკის სფეროში, ერთი პერიოდი მიხეილ სააკაშვილს ნერვოზულ-ფსიქიკური პრობლემების დაძლევაში ეხმარებოდა.

მიხეილ სააკაშვილს ვარდების რევოლუციის შემდეგ უძილობა დასჩემდა თურმე – სანამ მოჭარბებული ენერგიისგან ბოლომდე არ დაიცლებოდა და დაღლილობისგან ხელები არ ჩამოუცვივდებოდა, ვერ იძინებდა.

გაწამებული ჰყავდა თურმე ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი – ღამის 2-3 საათზე თავისთან იბარებდა და ისინიც იძულებულნი იყვნენ, დილამდე ესმინათ უძილობისგან გაღიზიანებული და ნერვებმოშლილი შეფისთვის.

სხვათაშორის, ამ ორს, ვანოს და ზურაბს, რომ დაინახავდა, მომენტალურად მშვიდდებოდა და წყნარდებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ესენი იყვნენ ცუდ დღეში – როგორ გინდა თან ღამეები ათენო, დღისით კი საქვეყნო საქმეებზე ირბინო?

– სტალინსაც ასე სჭირდა – დილის 4 საათამდე ვერ იძინებდა და კითხულობდა და კითხულობდა წიგნებს, ამიტომ იყო ასეთი განათლებული და ყოვლისმცოდნე – ადამიანი ამდენ წიგნს რომ წაიკითხავს, გახდება გენიოსი, აბა, რა იქნება? – შეაპარებდა ხოლმე ვანო შეფს, – იქნებ წიგნების კითხვას მოჰკიდოს ხელი და ჩვენ მოგვეშვასო, მაგრამ ამაოდ – სტალინისგან განსხვავებით, მიშას წიგნების კითხვა არ უყვარდა და თავის ნახევრად მძინარე „პოლიტბიუროს" ალმა-დალმა ბარებსა და რესტორნებში დაარბენინებდა.

მიშას გაჭირვების ამბავს ბიძინა ივანიშვილის ყურამდეც მიუღწევია.

შეწუხებულა ბატონი ბიძინა და გიმკურნალებო, უთქვამს ძილდაკარგულისთვის.

ისიც დათანხმებულა და ბატონი ბიძინა პრეზიდენტის მკურნალობას შესდგომია.

რამდენიმე სეანსის შემდეგ პაციენტს უკეთესობა დასტყობია და ვანოსაც და ზურასაც შვებით ამოუსუნთქავთ, „მაგრამ დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?" – ვიღაცას ბატონი ბიძინასთვის უთქვამს: – მორჩენით, შეიძლება მოარჩინო, მაგრამ, იცოდე, აუცილებლად შეგიძულებს და, სჯობს, თავი დაანებოო.

ბატონ ბიძინასაც ყურად უღია ეს რჩევა და პაციენტისთვის „უხარებია" – განკურნებული ხარ უკვე, მეტი მკურნალობა არ გჭირდებაო და სეანსები შეუწყვეტია.

ცოტა ხანში ისევ განახლებულა „პოლიტბიუროს" გამოძახებები შუაღამისას...

– აი, ასე იყო ამბავი, ჩემო ბატონო, – დაასრულა თხრობა ჩვენმა წყარომ – ვერ განკურნა ბატონმა ბიძინამ პრეზიდენტი სააკაშვილი, თუმცა, იმედია, ახლა, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, ბოლომდე განკურნავს...

**გიორგი გამეზარდაშვილი**





# daubruneben Tu ara 5 aprils ivaniSvils saqarTvelos moqalaqeobas?

## romeli varianti jobia xelisuflebisTvis _ imis aRiareba, rom SeeSalaT, Tu imis aRiareba, rom SeeSindaT?

როგორც ცნობილია, ხვალ, ანუ 5 აპრილს გადაწყდება დაუბრუნებენ თუ არა ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას.

**— თუ დამიბრუნებენ მოქალაქეობას, ეს იმის აღიარება იქნება, რომ ხელისუფლებას შეეშალა, თუ არ დამიბრუნებენ, ეს იმას ნიშნავს რომ შეეშინდათ,**

— ნათლად და ლაკონურად განმარტა ბატონმა ბიძინამ ის ჩიხური სიტუაცია, რომელიც ხელისუფლების დაუფიქრებელმა და წინდაუხედავმა გადაწყვეტილებამ შექმნა.

რა ურჩევნია ხელისუფლებას — აღიაროს, რომ მწარედ შეეშალა, როცა ივანიშვილს მოქალაქეობას ართმევდა, თუ შეშინებულის და დამფრთხალის სახელი ერქვას?

გულწრფელნი თუ ვიქნებით, ამ ხელისუფლებისთვის კარგა ხანია სულერთია, თუ რას დაუძახებენ — კრიმინალურს, დიქტატორულს, დემოკრატიულს, გაბედულს, მხდალს თუ მშიშარას.

მან დიდი ხანია დანარჩენი მსოფლიოს წინაშე სირცხვილის და მორიდების გრძნობა დაჰკარგა. მას არც ქართველი ხალხის და არც საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტების აზრი არ აინტერესებს და არ აწუხებს.

**ამ ხელისუფლებას ერთადერთი, მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზანი აქვს — როგორმე შეინარჩუნოს ძალაუფლება, შეინარჩუნოს ნებისმიერი მეთოდით და ხერხებით, მათ შორის ცივილიზებული სამყაროსთვის ყოვლად მიუღებელი საშუალებებით.**

ამ ხელისუფლებამ ბოლო პერიოდში ნიღაბი ჩამოიხსნა და ფაქტობრივად, ღიად და დაუფარავად გვაგრძნობინა, რომ ის ყველაფერზე წავა, ყველაფერს მოაწერს ხელს, ოღონდ ძალაუფლება შეინარჩუნოს.



ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ცხადია, სააკაშვილი და მისი გუნდი მეორე გზას აირჩევენ ანუ ივანიშვილს მოქალაქეობის დაბრუნებაზე უარს ეტყვიან.

მათ ურჩევნიათ ერქვათ მშიშრები, ვიდრე შეცდომა აღიარონ, თუმცა აქ მხოლოდ შეცდომის აღიარებაზე არ არის საუბარი — საქმე ეხება მათი ყოფნა-არყოფნის საკითხს — შეინარჩუნებენ ძალაუფლებას — ხალხის რისხვას და პასუხისმგებლობას ჩადენილ დანაშაულთა გამო თავს დააღწევენ, ვერ შეინარჩუნებენ — ძალიან მკაცრი სამსჯავრო მოელით.

ასე, რომ, ნაკლებად სავარაუდოა, ხელისუფლება შუა გზაზე შეჩერდეს და ივანიშვილს მოქალაქეობა დაუბრუნოს, რომ მერე ივანიშვილმა, რომელსაც მოქალაქეობის დაბრუნება მოქმედების მეტ თავისუფლებას მისცემს, არჩევნებში უფრო ადვილად მოუგოს.

**უფრო ლოგიკური იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ხელისუფლება ივანიშვილის წინააღმდეგ რეპრესიებს გააგრძელებს — და კიდევ უფრო გაამკაცრებს სადამსჯელო ფორმებს.**

ის, რასაც დღეს კონტროლის პალატა აკეთებს, ერთ მზაკვრულ მიზანს ემსახურება — რაც შეიძლება მეტი „კანონდარღვევა“ დაუგროვონ ივანიშვილს და ბოლოს ფართომასშტაბიან ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში დასდონ ბრალი, რასაც შეიძლება მოჰყვეს ივანიშვილის ქვეყნიდან გაძევების მოთხოვნა.

კარგად თუ დავაკვირდებით ხელისუფლების მოქმედების თანმიმდევრულ, კარგად გააზრებულ გეგმას, მას ყველაფერი აქეთკენ მიჰყავს — წარმოაჩინოს ივანიშვილი, როგორც უცხო ქვეყნის აგენტი, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს.

**როგორც იტყვიან, ხელისუფლება ივანიშვილის წინააღმდეგ საქმეს კერავს და არავითარ მნიშვნელობას არ ნიჭებს იმას, ეს საქმე შავი ძაფით იქნება ნაკერი თუ თეთრით — მთავარია, „საბრალდებო“ ტომეულები დაიდოს, მერე კი ამ ტომეულებს სააკაშვილის ყურმოჭრილი მონები პროკურატურისა და სასამართლოს სტრუქტურებიდან იმას დააწერენ, რასაც პატრონი უბრძანებს.**

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელისუფლება რაიმეს დათმობს და რაღაც კომპრომისებზე წავა თუნდაც აშშ-ს ან ევროკავშირის თხოვნით თუ ზეწოლით.

ამ ხელისუფლების მთავარი პრობლემა ის არის, რომ მას არ შეუძლია რაიმე სახის დათმობებზე წავიდეს, რადგან იცის, ერთი ნაბიჯიც რომ გადადგას უკან, მეორე ნაბიჯის გადადგმაც მოუწევს, ბოლოს კი ეს უკანდახევა გაქცევით დამთავრდება, ამიტომ ცდილობს იგი მუდმივი შეტევის რეჟიმში იმოქმედოს და თვითონ კი არ დაიხიოს უკან, უკან დაახევინოს ივანიშვილს.

ხელისუფლება დღეს თავისი სიძლიერის დემონსტრირებას ახდენს და ცდილობს მოსახლეობა დაარწმუნოს, რომ ივანიშვილი სულაც არ არის ისეთი ყოვლისშემძლე, როგორც აქამდე ხალხს წარმოედგინა — მან ვერ დაიცვა თავისი მოქალაქეობა, ვერ დაიბრუნა მოქალაქეობა, ვერ დაიცვა თავისი ფინანსები, ვერ დაიცვა თავისი მომხრეები, ვერაფერი გააწყო კონტროლის პალატის თვითნებობასთან, ვერ შექმნა პარტია და ა.შ.

ხელისუფლების ინტერესშია შეთხზას ივანიშვილის ისეთი მოდელირებული პორტრეტი, სადაც ივანიშვილი წარმოჩინდება როგორც სუსტი, არათანმიმდევრული პერსონა, რომლის დაჩაგვრა სულაც არ არის თურმე ძნელი საქმე.

**ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ რეალობა სულ სხვაა და ბიძინა ივანიშვილი ძალზე სერიოზული პოლიტიკური ფიგურაა, რომელსაც არამარტო საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის სერიოზული მხარდაჭერა აქვს, თუმცა, ცხადია, ხელისუფლებას ამგვარი რეალობის ცნობა ხელს არ აძლევს და ამიტომაც ყველანაირად ცდილობს ეს რეალობა გადააკეთოს და შექმნას სხვა, ვირტუალური „რეალობა“.**

ხელისუფლების ქმედებები ივანიშვილის მისამართით აშკარად პროვოკაციულია. ის ცდილობს წონასწორობიდან გამოიყვანოს ივანიშვილი, გამოიტყუოს ქუჩაში და იქ გაუსწორდეს, როგორც „ბუნტისა“ და არეულობის ორგანიზატორს, რომელიც უცხო ქვეყნის, ამ შემთხვევაში რუსეთის, მითითებებით მოქმედებს და მის დავალებებს ასრულებს.

**— აბა, ერთი გაბედოს და არ დამიბრუნოს მოქალაქეობა!**

**აბა, ერთი გაბედოს და არ დამიბრუნოს! — განაცხადა ამასწინათ ბატონმა ბიძინამ.**

(სხვათაშორის, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ივანიშვილის განცხადებაში მუქარის ტონი გაისმა).

**გაბედავენ ესენი, აუცილებლად გაბედავენ და არ დაუბრუნებენ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას.**

— გავბედავთ და არ მოგცემთ მოქალაქეობას. აბა, ერთი ვნახოთ, რას იზამ? — ასეთია ის უსიტყვო მესიჯი, რომელიც ხელისუფლების ამ ცინიკური გადაწყვეტილების ქვეტექსტად შეიძლება მოვიაზროთ.

**ერთ კაცს, ვინც არ უნდა იყოს იგი, ხელისუფლება, რომელსაც დიდი ძალაუფლება უპყრია ხელთ, ყოველთვის აკადრებს უკადრებელს და ნებისმიერი სახის თავხედობას გაუბედავს, თუ ერი თავის სიმაღლეზე არ დგას და იმის თავი არ აქვს, რომ თავის რჩეულ შვილებს გამოესარჩლოს და მოძალადეებს არ გაათელინოს.**

ბიძინა ივანიშვილს კი არა ქართველ ხალხს აყენებს შეურაცხყოფას ეს ხელისუფლება, ქართველ ხალხს იგდებს აბუჩად და სანამ ამას არ მივხვდებით, მანამდე ჩვენი საშველი არ იქნება.

**დავით ქავთარია**

# kalmaxeliZis jojoxeTi

გასულ კვირას სახალხო დამცველმა 2011 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. წინა წლებთან შედარებით წლევანდელი ანგარიშში ყველაზე მოცულობითი–650 გვერდიანია, სადაც ყველაზე დიდი ადგილი პენიტენციარულ სისტემაში არსებულ პრობლემებს დაეთმო. პატიმრების წამება, არასათანადო მოპყრობა და სიკვდილიანობა ჯერ კიდევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ითვლება.

რატომ მატულობს ყოველწლიურად მსჯავრდებულების სიკვდილიანობა და რეალურად ცვლის თუ არა ქვეყანაში რაიმეს სახალხო დამცველის ანგარიშში? „საერთო გაზეთს" უფლებადამცველი **ლია მუხაშავრია** ესაუბრა.



**— ქალბატონო ლია, როგორ შეაფასებთ სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშს, აისახა მასში ის პრობლემები, რაც საქართველოში რელურად არსებობს?**

— ერთის მხრივ, მისასალმებელია, როცა გიორგი ტუღუში ასე კარგად და კვალიფიციურად მუშაობს. მან თავის ანგარიშში დიდი ნაწილი, დაახლოებით, 300-400-მდე დაუთმო პატიმართა საკითხსა და საპყრობილეებში არსებულ მძიმე მდგომარეობას. დღეს ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გადაუჭრელი პრობლემა. ამიტომ, ვფიქრობ, წლევანდელი ანგარიში ძალიან კარგი იყო, ისევე როგორც შარშანდელი 2010 წლის ანგარიში. უბრალოდ, ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენი მედიის წარმომადგენლების საშუალებით, იმათ, ვისაც აქვს კომპეტენცია და კანონით არსებული ვალდებულება ამ ანგარიშს ყურადღება მიაქციონ და გადადგან ადეკვატური ნაბიჯები.

**— გიორგი ტუღუშმა აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმრებზე არასათანადო მოპყრობის შემთხვევები ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება. მიზეზად, ადმინისტრაციის მხრიდან, მსჯავრდებულების მისამართით არასათანადო მიდგომა დაასახელა. თქვენ როგორ შეაფასებთ პენიტენციარულ სისტემაში არსებულ ვითარებას?**

— საყოველთაოდ გავრცელებული პოლიტიკაა იმის გამო, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა პატიმართა რაოდენობა. უბრალოდ, ციხის ადმინისტრაცია შეშინებულია იმით, რომ მსჯავრდებულების ამდენ რაოდენობას ვეღარ მოუვლის, ამიტომ დამკვიდრდა პრაქტიკა — ყველას ერთნაირად აშინებენ, ატერორებენ, ახდენენ ფიზიკურ ზეწოლას. ეს არის დაკავშირებული პირდაპირ იმ საკითხთან, რომ ადმინისტრაციას არა აქვს უნარი მოუაროს ამდენ პატიმარს.

შარშან დეკემბერში ჩემი ერთი პატიმარი გადაიყვანეს ერთი საპყრობილედან მეორეში. მისმა ოჯახმა ავტომატურად ჩათვალა, რომ ეს მათი შვილის მდგომარეობას უფრო გააუარესებდა. ციხის ადმინისტრაცია მათ შვილზე მოახდენდა ზეწოლას, ბადრაგირებისას სცემდნენ და ა.შ. ალბათ, იცით, რომ პატიმარი როცა ერთი ციხიდან მეორეში გადაჰყავთ, ათავსებენ კარანტინში, სადაც ცემა წამება ჩვეულებრივ მოვლენად და მიღებულ პრაქტიკად ითვლება. აამიტომ მშობლების თხოვნის საფუძველზე, მივმართეთ სახალხო დამცველს, გაეგზავნა სპეციალური წარმომადგენელი ვითარების შესასწავლად. მეც ორჯერ შევხდი პატიმარს, რათა დავრწმუნებულიყავი მის მდგომარეობაში. გასაოცარი იყო, ის რომ, არც მისი თანამგზავრები, ვინც ბადრაგირებისას ახლდა, არ სცემეს და არც კარანტინში ყოფნისას არ ყოფილა მათი მისამართით ფიზიკური ზეწოლა. ბუნებრივია, დავინტერესდი, თუ რის გამო ხდებოდა ყოველივე და ეს ხომ არ იყო გამონაკლისი შემთხვევა. თუმცა ჩემი წყაროებით გავარკვიე, თურმე გაიცა განკარგულება, შეწყდეს მსჯავრდებულების ცემა, არასათანადო მოპყრობა, დაშინება, რაც თავისთავად წინ გადადგმული ნაბიჯია და განპირობებულია სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით.

ვფიქრობ, თქვენთვის და თქვენი მკითხველისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროს ჰქონდა უფლება გამოძიება ჩაეტარებინა იმ შემთხვევაში თუკი დანაშაულს ადგილი ექნებოდა, სისტემის შიგნით, თანამშრომლების თუ სხვა პირების მიმართ, რაც სრულიად დაუშვებელი, მანკიერი პრაქტიკა იყო. ამაზე, გახსოვთ, გამოვიდა „ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ 2011 წლის იანვრის გადაწყვეტილება და ეს საკითხი ეხებოდა იმას, რომ ხობის საპატიმროში მოკლეს პატიმარი, მაგრამ ციხის ადმინისტრაციამ გაასაღა ისე, თითქოს მსჯავრდებულმა თავი ჩამოიხრჩო. ამიტომ საგამოძიებო სისტემის არადაეკვატურად არის ის ძირითადი დარღვევა, რაც ევროპულმა სასამართლომ საქართველოში მიიჩნია. ამის შედეგად წელს იანვარში შეიცვალა ეს მანკიერი პრაქტიკა და სამინისტროში მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით, უკვე გამოძიებას ჩაატარებს, არა უწყების საგამოძიებო დეპარტამენტი, არამედ საქმეები გადაეგზავნება ჩვეულებრივად, პროკურატურას და გამოძიების ჩატარება ჩვეულებრივი წესით მოხდება, რაც თავისთავად პროგრესად შეიძლება ჩაითვალოს.

თუმცა, სამწუხარო ისაა, რომ ამ ცვლილების შედეგად ხალხმა არაფერი იცის. სასჯელაღსრულების სამინისტრო ამ ყველაფერს არ ახმოვანებს იმის გამო, რომ ხალხმა არ გაიგოს თუ რა მძიმე მდგომარეობაა საპყრობილეებში.

**— როგორ ფიქრობთ, ფაქტები, რომელიც გიორგი ტუღუშმა 2011 ანგარიშში ასახა იძლევა იმის საფუძველს, რომ მინისტრის გადაყენების საკითხი დადგეს?**

— სახალხო დამცველის ანგარიში იმდენად ვრცელი, დასაბუთებული და ადეკვატურია, ბუნებრივად უნდა იწვევდეს კალმახელიძის გადაყენების საკითხს და პარლამენტი უკვე ახალ ნორმალურ შემცვლელზე უნდა ფიქრობდეს. თუმცა ქართულ პოლიტიკაში ასეთი კულტურა, ასეთი შეგნება ჯერ კიდევ არ არსებობს ამიტომ აუცილებელია, თქვენი საშუალებით გავავრცელოთ ეს მოთხოვნა რომ ხათუნა კალმახელიძე, მინიმუმ, უნდა გადადგეს. ბევრი ჩემი კოლეგა ამტკიცებს იმას, რომ ეს ქალი დასაჭერი და ციხეში არის მოსათავსებელი.

**— ფიქრობთ, რომ ხათუნა კალმახელიძის გადაყენებით მოგვარდება პრობლემები, თუ საქმე გვაქვს სისტემურ პრობლემებთან?**

— სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პრობლემები არასოდეს არ გადაწყდება, თუ ნორმალური ადამიანები მის მოგვარებას არ ეცდებიან. ქალბატონი, რომელსაც ეღიმებოდა მაშინ, როცა, საპარლამენტო დებატების დროს მის უწყებას დეპუტატები მწვავედ აკრიტიკებდნენ, ეს არის სრული კატასტროფა და თუნდაც ამის გამო, უნდა მოითხოვოს კალმახელიძის გადაყენება საზოგადოებამ.



**— ანგარიშიდან ირკვევა, რომ პატიმრების გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითადი მიზეზი ტუბერკულოზია, თუმცა დღეს უკვე ტუბერკულოზი განკურნებადია. თქვენ რით ხსნით ამ ფაქტს?**

— პატიმრებს შორის ცე ჰეპატიტი და ტუბერკულოზი ყველაზე გავრცელებული დავადებებია ეს საყოველთაოდ ცნობილია და ამას ევროსასამართლოებიც ადასტურებენ. ჩვენ გვყავს ისეთი პატიმრები, რომლებიც ხვალვე რომ გადაიყვანონ, საავადმყოფოებში და საუკეთესო მკურნალობა დაუნიშნონ, შეიძლება, მაინც ვერ გადარჩნენ. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ის კომისია, რომელიც სისტემაში არსებობს, ნამდვილად ამუშავდეს იმისთვის, რომ განიხილოს ასეთი მძიმე ავადმყოფების საკითხები, ნამდვილად იზრუნონ დახმარებაზე და ობიექტურად განიხილონ მათი საქმეები.

**— სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით, პროკურატურას არაერთხელ მიმართა, თუმცა გამოძიება ხშირ შემთხვევაში ან ჭიანურდება, ან საერთოდ წყდება. ასეთ სიტუაციაში რა რესურსს იყენებთ იგივე უფლებადამცველები, არასამთავრობო სექტორი, იმისთვის, რომ სიტუაციის გამოსწორებლად, ხელისუფლებაზე ზეწოლა მოახდინოთ?**

— სწორედ არასამთავრობო სექტორის ძალისხმევით **მიეცა პასუხისგებაში ხონის ციხის დირექტორი და ეს არის ერთადერთი შემთხვევა, მაგრამ სასჯელი მას დაუსწრებლად მიუსაჯეს, რადგან მიმალვაშია. ეს განხორციელდა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემმა კოლეგებმა მოიგეს საქმე ევროსასამართლოში**. ამასთან თბილისის №5 იზოლატორი, რომელიც ტანჯვა-წამების ადგილი იყო, დაანგრიეს სწორედ **რამიშვილი-კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ გადაწყეტილების საფუძველზე** და არა ხელისუფლების კეთილი ნებით.

**მირანდა ნაბახტეველი**

## ალექსანდრე შალამბერიძე: უფასო სასადილოების რაციონი ჯანმრთელობისთვის საშიში აღმოჩნდა



"უმუშევართა კავშირი დასაქმებისათვის" და "თავისუფალ ასოციაციათაკავშირი" დაინტერესდა უფასო სასადილოების რაციონით და ჩაატარა სპეციალური გამოკვლევა. როგორც დღეს გამართულ ბრიფინგზე "თავისუფალ ასოციაციათა კავშირის" ერთ-ერთმა ხალმძღვანელმა, ალექსანდრე შალამბერიძემ და "უმუშევართა კავშირი დასაქმებისათვის" თავმჯდომარემ, თამარ იოვაშვილმა განაცხადეს კვლევის შედეგები სავალალო აღმოჩნდა. "კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს არის სალაფავი, არანაირი კალორიული ნორმა არ არის დაცული, თვით ის ნორმაც, რაც დადგენილი აქვს მერიას, 900 კალორიაც კი არ არის დაცული, რომელიც არის ძალიან ძლიერი დიეტის ნორმა", — განაცხადა ალექსანდრე შალამბერიძემ. როგორც "უმუშევართა კავშირი დასაქმებისათვის" ხელმძღვენელმა თამარ იოვაშვილმა აღნიშნა, მათი კვლევის შემადგენელი ნაწილი იყო სოციალურად დაუცველ ოჯახებში პედიატრის ვიზიტი, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ რამდენიმე სოციალურად დაუცველ ბავშვს აღენიშნება მწვავე ბრონქიალური ასთმა და თითქმის ყველა ბავშვს აქვს ძალიან დაბალპროცენტული იმუნიტეტი.

შალამბერიძის თქმით, მთავარი ის არის, რომ სააკაშვილი ამ სოციალური დაუცველი ფენების აპელირებით ცდილობს შექმნას სოციალურად დაუცველთა საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც ადამიანებს არ ექნებათ დამოუკიდებლად ცხოვრების, სახსარის მოპოვების საშუალება.

"ჩვენ გვინდა საზოგადოებას ვაჩვენოთ, სინამდვილეში რას მიირთმევენ უმწეო საქართველოს მოქალაქეები, როგორია უფასო სასადილოები, რომლითაც ტრაბახობს ჩვენი პრეზიდენტი და ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ საქართველო იყოს ძლიერი და ეკონომიკურად ძლიერი მოსახლეობისაგან შემდგარი", — განაცხადა შალამბერიძემ.

„მედიანიუსი"

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# gamarjvebis erTaderTi formula arsebobs _ yvela saakaSvilis winaaRmdeg!

*გვესაუბრება ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე*
***ნანა დევდარიანი***

**— ქალბატონო ნანა, ჯონ ბასის მიერ კონტროლის პალატის საქმიანობაზე გაკეთებული კრიტიკული კომენტარის შემდეგ ხელისუფლებამ სრულიად მოულოდნელად თითი დაუქნია ამერიკელებს და ჩვენს საქმეებში ნუ ერევითო, მიანიშნა. როგორ უნდა გავიგოთ ეს განცხადებები, სააკაშვილს „დემოკრატობანას“ თამაში მობეზრდა?**

— ეს პირველი შემთხვევა ნამდვილად არ არის, რამდენიმე წლის წინ გიგა ბოკერიამ თქვა, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ სრული იზოლაციისთვისაცო. მაგრამ საქართველო ირანი არ არის. ირანი თვითკმარი სახელმწიფოა, იმდენი რესურსი აქვს, რომ შეუძლია იზოლაციაშიც იყოს და კიდევაც განვითარდეს. საქართველოს კი არ აქვს ამის რესურსი. გარდა ამისა, ქართველების ბუნებაში არ ზის იზოლაციონისტობა. ანუ რაც მოხდა ეს ახალი მოტივი სულაც არ არის. ხელისუფლება მზადაა იმისათვის, რომ თუ მათ ხელისუფლებაში ყოფნას საფრთხე შეექმნება, ისინი ამერიკელებზეც უარს იტყვიან, ევროპელებზეც და ყველაზე აბსოლუტურად. ამ ნაბიჯით მან ამერიკელებს აჩვენა, რომ თქვენ როგორი შეფასებაც არ უნდა მისცეთ, მე როგორც ვაპირებ, მაინც ისე გავაკეთებო. ამაში არაფერი უცნაური ჩემთვის არ არის და არც საზოგადოებას არ უნდა უკვირდეს. სააკაშვილი „დემოკრატობანას“ ისედაც აღარ თამაშობს, ეს მხოლოდ სიტყვიერი რიტორიკაა, თორემ ის,

**რაც ჩვენთან ხდება, დემოკრატიასთან ისევე ახლოსაა, როგორც, მაგალითად, ქართული გრამატიკა — ჩინურ გრამატიკასთან. სააკაშვილი რომ ხელისუფლებიდან წასვლას არ აპირებს, ეს პარლამენტში გამოსვლისასაც ცხადად თქვა.**

თურმე პარტიას აქვს იმის რესურსი, კიდევ დიდ ხანს მართოს ქვეყანა. ახლა, შეიძლება, ვიღაც შემომედავოს, პარტიაზე თქვა და არა თავის თავზეო, მაგრამ ჯერ ერთი სააკაშვილია ამ პარტიის თავმჯდომარე და მეორეც, ნურავის ნუ დაავიწყდება, რომ ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებებით საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავდივართ და „ნაცმოძრაობა“ თუ უმრავლესობას აიღებს პარლამენტში, თავისთავად ცხადია, რომ პრემიერ-მინისტრი გახდება მიხეილ სააკაშვილი. პრეზიდენტის ნაცვლად ერქმევა პრემიერ-მინისტრი და სხვა არანაირი განსხვავება არ იქნება.

**— ამერიკის წინააღმდეგ წასვლა ადვილი არ უნდა იყოს, თუ ამ დროს ზურგს უკან სხვა მფარველს არ მოიაზრებ. შეიძლება, რომ ასეთ მფარველი მტრის ხატით შენიღბული რუსეთი იყოს?**

— მე ძალიან მიჭირს ამის წარმოდგენა, თუმცა პოლიტიკაში ყველაფერი ხდება, განსაკუთრებით სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში. შეიძლება, ასეც მოვიაზროთ, სააკაშვილი ყოველთვის სხვისკენ იშვერს ხელს და იძახის, რომ ყველა დანარჩენი რუსეთთან არიან შეკრულები, კრემლის აგენტები და ა.შ. მაგრამ დღესაც რომ თითი დაუქნიოს პუტინმა, მოდი, დავილაპარაკოთ და შევთანხმდეთო, სააკაშვილი უკან დამხევი არ არის. თვითონაც ხომ თქვა ღიად, რომ მზად არის სუფთა ფურცლიდან დაიწყოს რუსეთთან ურთიერთობა. აბსოლუტურად არ გამოვრიცხავ ამას და არც შერცხვება, დარწმუნებული ვარ. არ არის იმ კატეგორიის ადამიანი სააკაშვილი, რომ მოერიდოს ამდენი წელი ყველაფერს პირიქით რომ იძახდა. მე უბრალოდ, ეჭვი მეპარება, რუსეთი წავიდეს მასთან გარიგებაზე, იმიტომ, რომ ცუდი გამოცდილება აქვთ მასთან ურთიერთობის და კარგად იციან, რომ სიტყვის კაცი არ არის. ასე, რომ სააკაშვილისგან არა, უფრო რუსებისგან გამოვრიცხავ ასეთ ნაბიჯს.



**— სააკაშვილისგან რუსებმა ყველაფერი მიიღეს, რაც უნდოდათ და რატომ არ აწყობთ?**

— იცით, რა, რაც უკვე მიღებულია, ის აღარ ითვლება. პოლიტიკაში არის ასეთი უცნაური, დაუწერელი წესი; ის, რაც შენ მე უკვე მომეცი, აღარ ითვლება და მე დანარჩენზე გელაპარაკები.

**— თქვენ თქვით, სააკაშვილი „დემოკრატიულობანას“ დიდი ხანია აღარ თამაშობსო და ბოლო პერიოდში ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა, გაძლიერდა ზეწოლა საზოგადოებაზე და თან გაცილებით უფრო ღიად, ვიდრე აქამდე. ასეთი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის რომელი ფორმაა ყველაზე მომგებიანი?**

**— ᲘᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲜ ᲒᲘᲡᲛᲔᲜᲡ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ: ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ. ᲓᲦᲔᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲝᲡ, ᲮᲝᲛ? ᲠᲝᲪᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲠᲔᲟᲘᲛᲗᲐᲜ ᲒᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲔᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝᲡ, ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲘᲧᲝᲜ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲗ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲘᲠᲩᲔᲕᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲘᲛᲐᲜ ᲛᲐᲠᲗᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ. ᲩᲔᲛᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ, ᲐᲛᲐᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ.**

მას, ალბათ, აქვს თავისი მოსაზრებები ამ საკითხზე, მაგრამ პოლიტიკური ტექნოლოგიის და ტაქტიკის თვალსაზრისით, მე ვფიქრობ, რომ ეს წამგებიანია.

**— ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჩვენი საზოგადოება, როგორც წესი, გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის პიროვნებების გარშემო ერთიანდებოდა და ყურადღებას არ აქცევდა, რა იდეოლოგიით მოდიოდა ესა თუ ის სუბიექტი. დღეს თუ არსებობს იგივე საფრთხე?**

— კი, ასეა. გახსოვთ, ალბათ, არჩევნებზე როგორ ერქვათ ხოლმე სუბიექტებს? — „სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა“, „ბურჯანაძე-დემოკრატები“ და ა.შ. გვარები იყო წამოღებული, რომ ამომრჩეველს ადვილად მოეხდინა იდენტიფიცირება პოლიტიკური ძალის ან ლიდერის. ახლაც ასეა, მითხარით, რა იდეოლოგიური სხვაობაა თუნდაც სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის. ივანიშვილიც იძახის, რომ „ნატო“-ში უნდა გავწევრიანდეთ, ევროპული ინტეგრაცია გვინდა, ჩვენი ჯარები ავღანეთში უნდა იყოს. საბავშვო სურათები რომ არის — იპოვე ათი განსხვავება, იმას ჰგავს ეს სიტუაცია და მე ვერ ვხედავ ვერავითარ განსხვავებას, გარდა იმისა, რომ ივანიშვილი ამბობს, მე დემოკრატი ვიქნებიო. მაგრამ ამას სააკაშვილიც ამბობს სიტყვიერად. დანარჩენი იდეოლოგიური სხვაობა ჩემთვის ცოტა რთული ამოსაცნობია. მაგალითად, „რესპუბლიკელები“ ზუსტად იმავე იდეოლოგიის არიან, რა იდეოლოგიისაც არის ამ ხელისუფლების „თავისუფლების ინსტიტუტის“ ფრთა. ასე, რომ არჩევანი რჩება — ისევ სააკაშვილი ან ივანიშვილი, რადგან იდეოლოგია ერთნაირი აქვთ. ამიტომ აუცილებლად უნდა გაჩნდეს პოლიტიკური ძალა, რომელიც განსხვავებული იდეოლოგიის იქნება და იტყვის, რომ ჩემი ორიენტირები არის ეს და ეს, რაც სრულიად განსხვავდება იმისაგან, რასაც გთავზობთ სააკაშვილი.

**— როდესაც ჩნდება სხვა ორიენტირის მქონე პარტია ან პოლიტიკური სუბიექტი,რომელიც თუნდაც „ნატოზე“ იტყვის უარს, მას მაშინვე ბრალდება რუსეთის ინტერესების გატარება და ავტომატურად კარგავს რეიტინგს..**

— ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ხელისუფლების თამაშს ვთამაშობთ. ეს მან შემოგვთავაზა თამაშის წესები, რომ ამერიკა კარგია, რუსეთი ცუდი და ჩვენც მივყვებით ამ თამაშს. მე, მაგალითად, არ მიმაჩნია, რომ ამერიკა ჩემთვის კარგია და რუსეთი ცუდი, ან პირიქით. ისინი ჩემთვის კარგი იქნებიან იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დადგება ფეხზე და მისი ეროვნული ინტერესები იქნება დაცული. თანახმა ვარ საქართველომ ითამაშოს არა მხოლოდ ამ ორ მოთამაშეს შორის. აგერ გვერდში თურქეთი გყავს, ირანი გყავს, იქით ევროპაა, აქეთ უზარმაზარი ჩინეთი. მსოფლიო დაპატარავდა, შეიკუმშა, გლობალიზაცია სხვა კი არაფერია. ყველა ამ ინტერესებს შორის, შენ შენი ქვეყნისთვის ყველაზე მეტი უნდა გამოადნო და შენი მეგობარი შეიძლება დღეს ირანი იყოს, ხვალ — თურქეთი. რომელ საკითხში მეგობრობ, გააჩნია. მიგაჩნია, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გარეშე არაფერი არ გამოვა?-შენ ეს ხმამაღლა და გადაჭრილად უნდა თქვა. არ უნდა გეშინოდეს, რომ ვიღაცა, რაღაცას დაგაბრალებს. იმიტომ, რომ თუ რაღაცის დაბრალება უნდათ, სულ არაფერი რომ არ თქვა, ისედაც დაგაბრალებენ. პოლიტიკა ასეთი სპორტია, უხეშად რომ ვთქვათ. მე არ მჯერა ლელა, რომ ჩვენს ხელისუფლებას საქართველო უფრო მეტად უყვარს, ვიდრე ერეკლე მეფეს უყვარდა თავისი სამეფო. ამას არც ერთი ნორმალური ადამიანი არ დაიჯერებს. რამდენი სატელევიზიო სასამართლო პროცესიც არ უნდა მოაწყონ ერეკლე მეფის წინააღმდეგ, მან იმ ნაბიჯით საქართველო გადაარჩინა. სხვა საკითხია, მერე რა მოჰყვა. ურთიერთობები როგორ განვითარდა, რამდენად შეინახეს სიტყვა იგივე რუსეთის იმპერატორებმა.

**ᲪᲣᲓᲘ ᲠᲐᲪ ᲘᲧᲝ, ᲛᲔ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲠᲐᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ.**

**— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ აუცილებლად გაჩნდება მესამე, ალტერნატიული ძალა, თუნდაც ბურჯანაძის და „სახალხო კრების“ გარშემო შეკრებილი ადამიანების სახით, ასეთ შემთხვევაში რას უნდა ველოდოთ არჩევნებისგან?**

— თუ ივანიშვილი ცოცხალი თავით არ მიდის ფორმულაზე, ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ, დანარჩენი საქართველო ხომ არ დაიმარხება, არა? არიან ადამიანები, რომლებიც პრინციპულად არ მისცემენ ხმას ივანიშვილს. იმიტომ კი არა, რომ ივანიშვილია ცუდი, პირიქით. ვიღაც „რესპუბლიკელების“ გამო არ მისცემს ხმას, ვიღაც ალასანიას გამო. მაგრამ ყველას ერთად თუ შეკრებს, ადამიანი იტყვის, ჯანდაბას, ყველანი ერთად არიან და მისცემს ხმას. მაგრამ ამ კონფიგურაციის, რომ თქვენ ყველანი წადით და მე უნდა ვიყო მარტო ოპოზიციაო, სააკაშვილიც არის, თქვენ ყველანი წადით და მე უნდა ვიყო ხელისუფლებაშიო. ამიტომ გარდაუვალია მესამე ცენტრის წარმოშობა და შეიძლება მარტო ერთი კი არა, სხვა გაერთიანებებიც იყოს.



# me namdvilad minda ivaniSvilma miaRwios warmatebas da es malaparakebs, Torem ra mrjis?!

**ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ, ᲛᲝᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲝ, ᲠᲐᲦᲐᲪᲔᲑᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲑᲘᲯᲝ, ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲨᲔᲜᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲐᲜᲢᲘᲞᲐᲢᲘᲐᲡ, ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲔ ᲒᲐᲛᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲔᲚᲘ. ᲨᲔᲜ ᲗᲣ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑ, ᲐᲛ ᲓᲐᲨᲚᲘᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲒᲐᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑ? ᲮᲝᲛ ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲐ? — ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ? ᲛᲔ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲘᲐᲚᲬᲘᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲔᲡ ᲛᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲠᲐ ᲛᲠᲯᲘᲡ?!**

ვიტყვი, რომ ივანიშვილი ყველაზე კარგია, ყველაფერს სწორად აკეთებს, ამაზე ადვილი რა არის? დაუკვირდით, როგორ თავდაცვის მდგომარეობაში დგას მუდმივად ბიძინა ივანიშვილის გუნდი. ხელისუფლება დაესხმება თავს, იქ ტვირთს გაუჩერებს, აქ მხარდამჭერს დაუჭერს. ესენი კი მუდმივად ან განცხადებას აკეთებენ, ან აღშფოთებულები არიან და თავს იცავენ. აქ მეტი ენერგიაა საჭირო და იქით უნდა დაესხა თავს ამათ. იარაღის ხელში აღებას არ ვგულისხმობ, მაგრამ არის უამრავი მტკივნეული საკითხი და ხელისუფლება უნდა ჩააყენო თავდაცვის რეჟიმში. მუდმივი და ყოველდღიური უნდა იყოს ეს ბრძოლა. ჩვენ ოთხი თვის წინ დავწერეთ გაზეთში, რომ სამეგრელოში შეიარაღებული ფორმირებების შექმნა მიმდინარეობს და ალასანიამ წინა კვირაში გააკეთა ამის შესახებ განცხადება. ამ ტემპით და ამ ტაქტიკით ნამდვილად არაფერი არ გამოვა.

**ლელა არაბული**

# ar SeiZleba arsebobdes demokratia iq, sadac policia yvelganaris _ Cems telefonSi, dedaCemis, mamaCemis samsaxurSi, naTesavebis ojaxebSi

***გვესაუბრება ფილოსოფოსი გოჩა მსხილაძე:***

**— გოჩა, „ენ-დი-აი“ ამტკიცებს, ბიძინა ივანიშვილის რეიტინგმა იკლოო. როგორია სინამდვილეში რეალობა?**

— დაიწია თუ არა რეალურად ივანიშვილის რეიტინგმა? — ეს საორჭოფო საკითხია, ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. რის მიხედვით შეიძლება ვამტკიცოთ ეს, რა ბარომეტრი გაგვაჩნია, NDI-ს კვლევები?! — მთელი რიგი ფაქტორების გამო ეს ორგანიზაცია თავისი არსით სანდო არ არის. პრეზიდენტების რეიტინგებთან დაკავშირებულ კითხვარში რატომ იქნა შეყვანილი ივანიშვილი, ნათელაშვილი და არა სააკაშვილი, ნავარო ამაზე პასუხს არ სცემს და ამბობს, რომ იგი პასუხისმგებელი არ არის. ამიტომ ეს ბარომეტრი



ვერ იქნება სანდო, გადამოწმების მექანიზმები არ გვაქვს. მეორე ბარომეტრი შეიძლება იყოს საზოგადოების განწყობა. აქვე შეგვიძლია ვისაუბროთ საჯაროობის პრობლემაზე. როდესაც ივანიშვილის პერსონა საჯარო გახდა, წინ წამოიწია ყველა იმ პრობლემამ, ნაკლმა, რაც ბატონი ბიძინას საჯაროობას გააჩნია. იგი ძალიან კარგად წერს და გადმოსცემს სათქმელს, მაგრამ მისი ვერბალური პოლიტიკური რიტორიკა ჯერ ისევ დასახვეწია. მეორე საკითხი, რაც შეიძლება მისი რეიტინგის კლებას უკავშირდებოდეს, ეს გახლავთ მისი ფინანსების განკარგვა, რაც საზოგადოებისთვის მტკივნეული თემაა. სახელისუფლებო ტელევიზიები მთავარ აქცენტს აკეთებენ იმაზე, თუ რამდენი გადაურიცხა ივანიშვილმა ხიდაშელს, ტრიპოლსკის და ა.შ., რაც ისედაც გაჭირვებულ, გაბოროტებულ ხალხში უკურეაქციას იწვევს. ხალხი ფიქრობს, ამათ კიდევ ფული აკლიათო?! აპელირება იმაზე, რომ თავის ფულს როგორც უნდა ისე ხარჯავს, ამ შემთხვევაში, არ მოქმედებს. მესამე, როგორც კი ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა, საზოგადოება სრულიად უსაფუძვლოდ მისგან მკაფიო, ეპატაჟური მესიჯების მოლოდინში იყო. ხალხს ეგონა მკაცრი პოლიტიკური ქმედებები დაიწყებოდა, ივანიშვილი აქტიური იქნებოდა და ა.შ. ივანიშვილმა კი სრულიად სხვა — მშვიდი, დინამიური, არაეგზალტირებული ტაქტიკა აირჩია, რაც უარყოფითად დამუხტული საზოგადოების დიდ ნაწილში უარყოფით რეაქციას იწვევს.

**— როგორ ფიქრობთ, რა არის დღეს საზოგადოების მოთხოვნა, შეკვეთა. კოალიცია გვარწმუნებს, რომ ხალხმა მათ არჩევნების გზით გამარჯვება დაუკვეთა, რა ხდება რეალურად?**

— მოდი ასე ვთქვათ, საზოგადოება არ არის ერთგვარი მასა, იგი თავის თავში დასახსრულია და სხვადასხვა ფენას სხვადასხვა ინტერესი ამოძრავებთ. მაგრამ, ჩვენ ვისაუბროთ საზოგადოებაზე, რომელიც ოპოზიციურადაა განწყობილი. ამ საზოგადოების დაკვეთას შეიძლება ჰქონდეს სოციალური და პოლიტიკური ნაწილი. NDI-ს კვლევებში გამოიხატა ის სოციალური პუნქტები, რომლის გადაწყვეტასაც საზოგადოება ითხოვს. ამ მოთხოვნის შესასრულებლად მილიარდები არ კმარა, ამას პოლიტიკური და სახელისუფლებო ბერკეტები სჭირდება. რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, ამ კუთხით ძალიან დაყოფილია საზოგადოების აზრი. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ივანიშვილს უნდა გაეერთიანებინა ოპოზიციური სპექტრი, მეორე ნაწილს სწორად მიაჩნია ის, რომ ბიძინამ გვერდით არ დაიყენა ბურჯანაძე, კუკავა და სხვა. ანუ საზოგადოებაში არ არის ერთგვაროვნება. პრობლემა ისაა, რომ ეს ხლეჩს საპროტესტო ელექტორატს, მაგრამ რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილმა? შესაძლებელია კი ყოვლისმომცველი გაერთიანება? — ეს ხომ ელემენტარულად პოლიტიკური გემოვნების საკითხია. მაგრამ, ვიმეორებ, ეს ფაქტი საზოგადოების საპროტესტო ნაწილს ხლეჩს და მას ორ ბანაკად ჰყოფს, რაც ივანიშვილის წისქვილზე წყალს ნამდვილად არ ასხამს. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ივანიშვილი სწორად იქცევა იმიტომ, რომ პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების დაკვეთათა სივრცე არ არის.

**— რატომ დუმს საზოგადოება, მას ქვეყნის ბედი არ ანაღვლებს?**

— ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ არ ვიცით, როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს სახელმწიფოსადმი. ჩვენ არ ვიცით, რა და როგორ უნდა მოვთხოვოთ სახელმწიფოს. ჩვენში ეს ჩვევა არ არის, არ ვიცით, ხელისუფლება როგორ ვაიძულოთ ხალხის სასიკეთო ქმედებები გადადგას. არ გვაქვს ამერიკული ცნობიერება, რომელიც თავისი არსით კოლექტიურია. ყველა ყოფით საკითხზე აშშ-ში საბჭოები იქმნება სოფლის, ქალაქის, კორპუსის დონეზე და ერთად წყვეტენ საკითხებს. ნებისმიერ მარტივ საკითხზე, ვთქვათ, როგორ დაიგავოს ქალაქში ქუჩა, ამაზეც კი იკრიბებიან და მსჯელობენ, საზოგადოებრივი საქმისადმი დამოკიდებულების ჩვევა აქვთ. ჩვენ ეს არ გვაქვს და რადგან არ ვიცით, რა და როგორ მოვთხოვოთ ხელისუფლებას, ამიტომ ეს უკანასკნელი შეუვალია და ხელეწიფება საზოგადოება ისე დაგვქსაქსოს, დაგვანაწევროს, როგორც დღეს ვართ.

აქვე ჩნდება მთავარი — პარტიული სისტემის პრობლემის საკითხი პარტიულმა სისტემამ დღევანდელ ვითარებაში ასეთი კონფიგურაცია შეიძინა — საქართველოში სახეზეა ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების იდეიდან აღმოცენებული თითო ადამიანს მორგებული, სუსტად ორგანიზებული, იდეოლოგიისგან სრულიად დაცლილი პარტიები. შესაბამისად, ივანიშვილის მრავალპარტიული კოალიციის არმოსვლის შემთხვევაში, (იგი ყველაზე რეალურ ალტერნატივად ითვლება), შეიძლება მივიღოთ „წამყვანი პარტიის“ სისტემა, სადაც ხელისუფლების სათავეში ძალიან დიდი ხანი დარჩება ნაც. მოძრაობა, იქნებიან სხვა პატარ-პატარა და მსხვილი პარტიებიც, მაგრამ მათი ხვედრითი წილი პოლიტიკურ ცხოვრებაში იქნება არაფრის მაქნისი, ისინი ამ ხელისუფლებას კვალიფიციურ წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ და შედეგად ნაც. მოძრაობა შიგნიდან უფრო გაირყვნება, გაიხრწნება (რისი ნიშნებიც უკვე არის) და საზოგადოებას შერჩება პარტიული სისტემა, სადაც ხელისუფლებისთვის ბრძოლის მექანიზმები პარტიებს არ ექნებათ, ხოლო სათავეში იქნება აბსოლუტურად გარყვნილი, კორუფციისგან შეჭმული, ყველაზე მეტად საშიში პოლიტიკური პარტია.



**— ანუ არსებობს რეალური საფრთხე, ივანიშვილის პარტია, როგორც ალტერნატიული ძალა ვერ მოვიდეს და ქვეყნის პარტიულ სისტემას წამყვანი პარტიის სისტემად გადაქცევის საშიშროება დაემუქროს?**

— რა თქმა უნდა, ამის საფრთხეები უკვე არის. ეს ნელ-ნელა გამოიკვეთა. აქ საუბარია ხელისუფლების მზაობაზე. როგორც ვხედავთ, ხელისუფლება დათმობაზე წასვლას არ აპირებს. რაც უფრო აქტიურ ფაზაში შევა წინასაარჩევნო კამპანია, საზოგადოებაზე ზეწოლა მით უფრო გაძლიერდება. ამაზე ბევრი ფაქტი მიუთითებს — სააკაშვილი ყოველ გამოსვლაში აფიქსირებს, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა ნაცმოძრაობა კვლავ ხელისუფლების სათავეში დარჩეს, იგი თავისი რეფორმების დასრულების ბოლო ვადას დღითიდღე წევს— ხან 2013, ხან — 2015 წელს ასახელებს. ეს ყველაფერი მესიჯებია — დიახაც, ჩვენ ხელისუფლებაში დავრჩებით ყველა მეთოდებით, საშუალებებით. სწორედ ამ კონტექსტშია ჩასმული ის როყიო, გაუაზრებელი გამოსვლები, რაც აშშ-ს საელჩოსთან მიმართებაში გაკეთდა. ეს იმის ნიშანია, რომ ხელისუფლება მაინც არ არის მშვიდად და საზოგადოებას ილუზორულ მესიჯს უგზავნის, რომ იგი ძლიერია და საკუთარ გადაწყვეტილებაში არ დაერიდება თვით აშშ-ს პოზიციასაც კი. თუმცა მათ მშვენივრად იციან — თუ აშშ-ს ხელისუფლებისგან მხარდაჭერა არ ექნებათ, განწირულნი არიან. მათ საერთაშორისო თანამეგობრობას ასეთი მესიჯი გაუგზავნეს — იცით, ასე კი ვამბობთ, მაგრამ ამით ჩვენს ხალხს ვაშინებთ, ამით ქვეყნის შიგნით ჩვენი სიძლიერის დემონსტრირება გვჭირდება, სხვა არაფერიო. ამიტომ, ნუ გვგონია, თითქოს ხელისუფლებაში ისეთი ბრიყვები სხედან (ბოკერიები, კუბლაშვილები), რომლებიც თავიანთი ლეგიტიმურობის საფუძველთა საფუძველს შეეწინააღმდეგებიან. არა, ბატონო! თუ მაინცდამაინც სკამებს გადაეგნენ, საგარეო ფაქტორები დაივიწყეს და მათ წინააღმდეგ წავიდნენ, ეს აბსოლუტური სიბეცე იქნება და ამას ერთადერთი ახსნა გააჩნია — ესაა ნიცშეანური ძალაუფლების ნება, რომელიც საკუთარ გზაზე ყველას და ყველაფერს ანგრევს. როდესაც ძალაუფლებისადმი ლტოლვა იმდენად არაცნობიერი და ძლიერია, რომ უკვე აღარ გაინტერესებს შენი სახელმწიფო, ხალხი, მომავალი და მთლიანად ამ ძალაუფლების ნების მონობაში ექცევი.

**— როგორ ფიქრობთ, ძალაუფლების შესანარჩუნებლად რამდენად შესაძლებელია სააკაშვილი წინასაარჩევნოდ ახალ პროვოკაციებზე წავიდეს?**

— რაც სააკაშვილი ხელისუფლების სათავეშია, მთელი მისი არსებობის მანძილზე — ეს შიდა განხეთქილების, ძმათამკვლელი ომის პროვოცრებაა. იმიტომ, რომ მან ისე ხისტად, დაუფიქრებლად განახორციელა ქმედებები, რომ საზოგადოების გახლეჩვის საშიშროების მარცვალს მუდმივად ატარებდა. ამიტომ, თუ წინასაარჩევნოდ იგი პროვოკაციას მოაწყობს, ამაში სიახლე არაფერი იქნება. მას არაფრად არ უღირს ადამიანის სიცოცხლე. ეს იქიდანაც კარგად ჩანს, თუ რა ფუნქცია მიანიჭა მან პოლიციას. პოლიცია ყველგან არის — ჩემთან ტელეფონში, დედაჩემის, მამაჩემის სამსახურში, ნათესავების ოჯახებში და ა.შ. ქართული პოლიცია ისეთი დაუნდობელია, რომელიც ყველაზე წმინდას — ოჯახის უსაფრთხოებას ეხება. არაერთი პრეცედენტი გვაქვს, როცა პირის პოლიტიკური აქტივობის გამო მისი ოჯახის წევრი დასჯილა. ერთადერთი, პოლიციას ისღა დარჩენია ჯორჯ ორუელისეული აზრის პოლიცია შექმნას, რომელიც ისეთ რეალობას მოგვაჩეჩებს და ძალით დაგვაჯერებს, სადაც ომი მშვიდობაა ან პირიქით. ამავე დროს ისეთ რეალობაში გვაცხოვრებს, რასაც ფორმას თვითონ მისცემენ. ორუელისეულ ევრაზიის სახელმწიფოს გვიქმნიან, სადაც ომის მოგება არ შეიძლება, ამიტომ ომი აზრს კარგავს. აი, ასეთ ვირტუალურ რეალობაში გვაცხოვრებენ. სწორედ ამ პოლიციის და მასმედიის საშუალებით ქმნიან ვირტუალურ სამყაროს, სადაც ომი არ არის, მაგრამ ყველა ომობს.

**თამარ შველიძე**

## მოქალაქეობის მიღების შემთხვევაშიც კი ბიძინა ივანიშვილი საკუთარ პარტიას 60 ათას ლარზე მეტით ვერ დააფინანსებს

კონსტიტუციონალისტ ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ სოლიდური თანხით დაფინანსებას იმ შემთხვევაშიც ვერ შეძლებს, თუ ის საქართველოს მოქალაქე და პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გახდება.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ხმალაძემ განმარტა, საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაშიც კი, ივანიშვილი საკუთარ პარტიას 60 000 ლარზე მეტს ვერ შესწირავს.



„კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკურ პირს პოლიტიკური ორგანიზაციისთვის 60 000 ლარზე მეტი შეწირვის უფლება არ აქვს. მნიშვნელობა არ აქვს, ის ადამიანი ამ პარტიის დამფუძნებელია, რიგითი წევრია თუ თავმჯდომარე. ხელისუფლებამ ყველაფერი გათვალა. ეს კანონი, ხომ სწორედ ბიძინა ივანიშვილის გამო მიიღეს, — განუცხადა „მედიანიუსს“ ვახტანგ ხმალაძემ.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# demokratiis mRrRnelivirTxebis epoqa unda dasruldes!

## samSoblos gamyidvels TavSesafari arc aWaraSi eqneba, arc imereTSi, arc samegreloSi, arc kaxeTSi, arc arsad

**გვესაუბრება „სახალხო კრების“ წევრი ლუკა კურტანიძე:**

**— ბატონო ლუკა, საზოგადოებაში კვლავ უიმედობაა, ხალხი მოლოდინშია, თუმცა სასიკეთო არაფერი ხდება. პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა მკვეთრად დაცემულია.**

— ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის შედეგად გასული წლის შემოდგომაზე ტემპერატურამ მკვეთრად აიწია, ახლა ტემპერატურის კლება, ნორმალურია. ბუნებაშიც ტემპერატურა ხან იწევს, ხან კლებულობს. რადგან ხალხი არჩევნებს ითხოვს, ჩვენ დავიწყებთ მზადებას ამ პროცესისთვის, მაგრამ ჩვენი მთავარი გზავნილია არჩევნები არჩევნებამდე მოვიგოთ. არჩევნებამდე მეტნაკლებად „გადატეხილი“ უნდა იყოს არჩევნების ბედ-იღბალი. ესაა მთავარი. თორემ იმ განწყობით, რაც ახლა ხალხშია, არც არჩევნებს და არც არაფერს აზრი არ აქვს. როდესაც ბრძოლაში მიდიხარ უამრავ სტრატეგიას, ტაქტიკას უნდა ფლობდე, რათა გაიმარჯვო. არსებობს შიდა, საგარეო, შემტევი პოლიტიკა, რომელიც ერთიან ფრონტს ჰქმნის. სწორედ ამ ერთიანი ფრონტის შექმნაზე ვსაუბრობთ, რისი შექმნის შემთხვევაშიც გამარჯვება გარდაუვალი იქნება. ქართველი ხალხი ყოველთვის მაშინ ააგორებდა ტალღას, როდესაც გრძნობდა გამარჯვების მოახლოებას, ან ითმენდა, რაც ახლა ხდება. ხალხმა იცის დღევანდელი შექმნილი ვითარება, ამიტომ არ აქტიურობს. ამ ტალღის ასაგორებლად საჭიროა დიდი ერთობა და მზად ვარ მეც და „სახალხო კრებამაც“ ბევრი რამ მოვითმინოთ რათა ეს ერთობა შედგეს. სწორედ ამან უნდა გადატეხოს ხელისუფლების მიერ წლების მანძილზე ხალხში დანერგილი შიში.

**— თუმცა ივანიშვილთან „სახალხო კრების“ შეხვედრის მერე, როგორც გამოიკვეთა, ჯერჯერობით, ამ ერთობას პირი არ უჩანს. თქვენ ადრე აღნიშნეთ კიდეც, რომ უნდა გავერთიანდეთ — ყველა მინუს სააკაშვილიო.**

— სააკაშვილი არის ადამიანი, რომელიც ხელისუფლებასაა მორგებული. მნიშვნელოვანია, რა რეჟიმი დაამყარა ამ ხელისუფლებაში მისულმა ხალხმა. ბატონ ბიძინასთან შეხვედრამდეც და მერეც მუდმივად გაერთიანებაზე ერთობაზე ვსაუბრობთ. შეიძლება ერთი კოალიციის არსებობა აუცილებელი არ იყოს, მაგრამ კოორდინირება და ერთიანი ფრონტი აუცილებელია. ყოველი ბრძოლა, ქმედება ღირსეული უნდა იყოს. ჩვენი წინადადება უკვე შევთავაზეთ ივანიშვილს, აღვნიშნეთ, რომ მზად ვართ ეროვნული ფრონტის შესაქმნელად, დადგა დრო თანამებრძოლებს ანახო, რომ ძლიერი ხარ შენი მოქმედებით, საქმიანობით. განცხადებების, შეთავაზებების დრო უკვე დასრულდა, დრო დადგა, პარალელური გზით ვიმოქმედოთ, რათა, როცა ბრძოლა მოახლოვდება, როგორც ღირსეულმა სუბიექტებმა ერთმანეთს დაველაპარაკოთ. ივანიშვილმა ათწლეულების მანძილზე უამრავი სიკეთე გაუკეთა ქვეყანას, უამრავი ადამიანი გადაარჩინა. ამ ადამიანისთვის სიცოცხლეს გავწირავ. „სახალხო კრებამ“ ქმედებები უკვე დავიწყეთ, პირველივე დღიდან მივესალმეთ ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლას. მთავარი ფორმულაა „სახალხო კრებამ“ და მასში შემავალმა პარტიებმა მტერსაც და მოყვარესაც სიცოცხლისუნარიანობა, სიძლიერე აჩვენოს და შემდეგ გადავდგათ ნაბიჯები ერთიანი ფრონტის სვლისკენ. ჩვენ უკვე დავაფიქსირეთ მხარდაჭერა ივანიშვილისადმი. ჩვენს სიტყვებს ნებისმიერ ადგილას ბრძოლით დავამტკიცებთ, მაგრამ ახლა საქმეა გასაკეთებელი. მზად ვართ დავილაპარაკოთ იმ ერთობაზე, რასაც სრულიად საქართველო ელოდება.



**— ანუ ქართველი ხალხი ერთიანი ფრონტის გაშლის მოლოდინშია, როდის დაიწყებთ კონკრეტულ მოქმედებებს?**

— როგორც ზემოთ ვახსენე, 26 მაისს მასშტაბურ აქციას ვგეგმავთ, ეს უნდა იყოს არა „სახალხო კრების“ მიერ ჩატარებული, არამედ ერის გამაერთიანებელი აქცია. ვინც 26 მაისს სულიერად, ფიზიკურად, მორალურად დასახიჩრდა, ყველანი ერთად უნდა დავდგეთ. ხელისუფლება ხელს უქნევს აშშ-ს, რომელიც ჩვენი პარტნიორი და მეგობარია, ხელს უქნევს და მტრად გვიქცია რუსეთი, რომელიც ჩვენი მეზობელია. სააკაშვილი დღითიდღე ისეთ ნაბიჯებს დგამს, რაც ქართული ღირებულებებისთვის, ქვეყნისთვის დამღუპველია. ბათუმში აქციას დავესწარით. აზიზიეს მეჩეთის იმ ადგილზე აშენება ნიშნავს, რომ საზღვარი ნელ-ნელა აქით იწევს. როდესაც აჭარა საქართველოს დაუბრუნდა, ჩვენი მებრძოლები — იუნკერები დაიღუპნენ, ქართული სისხლი დაიღვარა და დამპყრობელი აზიზიეს ტაძარს ვაშენებთ ქართველების სისხლზე?! აზიზიე დაპყრობის სიმბოლო იყო. მე არ მინდა დაპყრობის სიმბოლო გვქონდეს. ეს ქვეყნის დაქუცმაცების პოლიტიკის გაგრძელებაა და ამის უფლებას არავის მივცემთ, დავიცავთ ქართულ ღირებულებებს. ნინო ბურჯანაძე სამშობლოს, ერის გადარჩენისთვის მზადაა, როგორც „სახალხო კრების“ რიგითმა წევრმა იბრძოლოს ბოლომდე, ეს მხოლოდ და მხოლოდ დიდ ადამიანს შეუძლია. როცა სიტყვას ქმედებად გადააქცევ, მაშინ ექნება ბრძოლას აზრი. ძალიან ბევრს აწუხებს, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებში მყოფთაც, ის, რასაც ხელისუფლება აკეთებს. ამიტომ, როცა ერთიანობაზე ვსაუბრობ, ეს მარტო ოპოზიციას კი არ სჭირდება, არამედ იმ ადამიანებს, რომელთაც ერთი სული აქვთ ხელისუფლების საპირწონედ



ის ძალა დაინახონ, რომელიც ამ უბედურებას შეეწინააღმდეგება. ამას ელოდება ხალხი, ის ნამდვილი ქართველობა, რომლებიც მარტო ოპოზიციაში კი არა, ყველგან არიან. ასეთი ხალხი მთელ საქართველოშია, ისინი სამშობლოზე ლოცულობენ, სანთლებს ანთებენ და ცრემლი სდით სამშობლოს სიყვარულში. ბევრი პატრულის თანამშრომელი მინახავს, რომელიც ეკლესიასთან გავლისას პირჯვარს იწერს და ღმერთს სამშობლოს ავედრებს.

**— 5 აპრილს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნების საკითხი წყდება. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში „სახალხო კრება“ მოსალოდნელ საპროტესტო აქციას შეუერთდება?**

— ჩვენ აქცენტებს 26 მაისზე ვაკეთებთ. ივანიშვილისნაირი ადამიანი საუკუნეების მანძილზე შეიძლება არ დაიბადოს. ასეთ ადამიანს მოქალაქეობას რომ ართმევ, ეს სიბინძურე და მარაზმია. მინდა პირდაპირ ასე დაწეროთ — ამ ხელისუფლების ვირთხებმა განაცხადეს, რომ არ აპირებენ ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნებას. ეს სიახლე არ არის, რადგან თავისი ცხოვრებიდან გამომდინარე, ისინი ვირთხები არიან, რომლებიც ქვეყანას, ერს, მოქალაქეებს ღრღნიან. რაც საჭირო იქნება სამართლიანობის აღსადგენად — „სახალხო კრება“ ყველაფერს გააკეთებს. უკან არ დავიხევთ, წინ წავალთ, ყველაფრისთვის ვართ მზად. თუ ივანიშვილს თანაბრძოლაში დავჭირდებით, ღირსეულად, სიხარულით ჩავიკრავთ გულში და ისე ვიბრძოლებთ ბოლომდე. ამ სიტყვას სიცოცხლის ფასად დავიცავთ. ბევრი ამბობს, რომ ნინო ბურჯანაძე პრორუსია და მიუღებელია პროდასავლური ღირებულებების კოალიციაში მყოფთათვის. რომელი მხრიდანაც არ უნდა წამოვიდეს ტალახი, (ზოგს სურს, რომ ეს ერთობა არ შედგეს), მიუხედავად ამისა, ვივლით იმ გზით, რომელიც ამ რეჟიმს შეებრძოლება. ჩვენ ქართველები ვართ, საქართველოში ცხოვრება, ქართველობა გვინდა, რითაც უნდა ვიყოთ დანარჩენი მსოფლიოსთვის საინტერესო. ჩვენ ვართ პროქართველები. აქედან გამომდინარე, ხაზს ვუსვამთ, რომ მეზობლებთან, პირველ რიგში, რუსებთან კარგი, მეგობრული ურთიერთობა გვინდა და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებთ, რაც მოგვცემს საშუალებას აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს დაუბრუნდეს. მე აფხაზეთიდან ვარ და ვთვლი, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა უნდა აღდგეს, იმიტომ, რომ ჩემს სამშობლოში უნდა დავბრუნდე, ჩემი მამა უნდა მოვძებნო და დავმარხო. ამ შემთხვევაში, არ მაინტერესებს არც ერთი პოლიტიკური ორიენტირი. არამედ მაინტერესებს აფხაზეთში ჩასვლა, მამის ძვლების პოვნა და როგორც ადათი და წესია საფლავისთვის მიბარება. ამიტომ რუსეთთან სიტუაციის დალაგებას ყველანაირად შევუწყობ ხელს. ეს სამშობლოს ინტერესია და რადგან სამშობლოს ნაწილი ვარ, ამას მხარს ვუჭერ.

**— თუმცა ამ ხელისუფლების პირობებში ეს წარმოუდგენელია. სააკაშვილმა პარტნიორ ქვეყნებს — აშშ-ს, დასავლეთს თითი დაუქნია. ეს ექსპერტების ნაწილმა, როგორც შანტაჟი ისე შეაფასა — თუ ჩვენს ჭკუაზე არ გაგვატარებთ, აგერ არ არის რუსეთიო. ჩვენ კი, ამ დროს არჩევნებში გამარჯვებაზე ვსაუბრობთ. არადა, ვითარება იმდენად მწვავდება, მიშამ შეიძლება ომის პროვოცირებაც მოახდინოს და არჩევნებისთვის აღარავის ეცალოს.**

— ე.წ. პრეზიდენტი საქართველოს თავისი ქმედებებით არასერიოზული ქვეყნის იმიჯს უქმნის. ეს არ არის სერიოზული პოლიტიკოსის ქმედებები. მან რომც თქვას რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება მინდაო, არავინ დაუჯერებს, მის სიტყვს ფასი არ აქვს. სანამ სააკაშვილს არ დაუნაყავენ ცხვირ-პირს და ჭკუას არ ასწავლიან, იქამდე არაფერი გამოვა. არ ხდება ისე, რომ ჯერ აგინო და მერე მეგობრობის ხელი გაუწოდო. ცხვირ-პირი უკვე დაუნაყეს, მაგრამ იგი ისევ არასერიოზულად იქცევა. ის, რაც ხდება, ერთი პიროვნების კი არა, არამედ ქვეყნის უბედურებაა. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ ერთიანი ფრონტის კოორდინირება მოხდება. არჩევნებამდე დიდი დროა, ხელისუფლება ყოველდღიურად ახალ-ახალ სიურპრიზებს ამზადებს და ერთ-ერთი მათგანი საკუთარი თავის დასაკლავი დანის გამოთხრაც შეიძლება იყოს, მაგრამ ჩვენ კი არ უნდა დაველოდოთ, ისინი დანას როდის გამოთხრიან, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ უბედურების თავიდან ასაცილებლად. ერთმა ადამიანმა მითხრა —შენი გულწრფელობა ახლა არაფერში არ გვჭირდებაო, მაგრამ თუ ბრძოლაში, პოლიტიკაში ან საქმეში გულწრფელობა არ არის, ის საქმე არ გამოვა.

**— ახლა ახსენეთ, ბევრი დროა არჩევნებამდე და შეიძლება ხელისუფლებამ თავის დასაკლავი დანაც გამოთხაროს. მაგრამ შეიძლება, არჩევნებამდე ვერც მივიდეთ და ხელისუფლებამ ქვეყნის დასაკლავი დანა გამოთხაროს. ირანთან ომის შემთხვევაში, მიშამ შეიძლება, საერთოდ ჩაკეტოს ქვეყანა და აქ ცოდვის კალო დაატრიალოს. რას ფიქრობთ, ამაზე?**

— ეს რომ არ მოხდეს გონივრული მოქმედებაა საჭირო. არ უნდა მივცეთ ხელისუფლებას საქართველოს გაყოფის, დაქუცმაცების საშუალება. ძალიან საშიში რისკების წინაშე დგას დღეს საქართველო. შეიძლება პოლიგონიც გავხდეთ. საუბარია იმაზეც, რომ შეიძლება, აჭარა თავშესაფრად გამოიყენოს მიშამ.

**— ყარსის ხელშეკრულებას გულისხმობთ?**

— დიახ, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეიძლება, რუსეთს არ ჰქონდეს იქ შესვლის უფლება და ეს მიშასთვის თავშესაფარი გახდეს, მაგრამ, მერწმუნეთ, აჭარაში ცხოვრობს ხალხი, ის ქართველობა, რომელიც სამშობლოს გამყიდველს, დამაქცეველს თავშესაფარს არ მისცემენ. სამშობლოს გამყიდველს თავშესაფარი არც იმერეთში ექნება, არც სამეგრელოში, არც კახეთში, არც არსად.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# buba kikabiZis da saakaSvi l is sxva bu l bu l ebis `naciona l uri gastro l ebi~ qarTu l i emigraciisTvis

**„სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი არც მსახიობი, არც მწერალი და არც არავინ ჯერ ჩვენთან არ გამოჩენილა და როგორც გითხარით, მათი მხარდამჭერი, უფრო სწორად კი ბატონი ბიძინას მხარდამჭერი ყოველი მეორე ემიგრანტი, იტალიაში ამას ძალიან ველოდებით.“**

პრეზიდენტად წოდებული მავანი და მისი „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელ და როგორც სახელმწიფოს, როგორც მართლმადიდებლურ ქვეყანას რომ ებრძვის, არახალია, მაგრამ როგორც ეტყობა, ამ კრიმინალურ ანკლავს, საქართველოდან შორს გადახვეწილი, ლუკმაპურის საშოვნელად წასული ათასობით ქართველის მომავლის მოსპობაც განუზრახავს და საამისოდ, თავისი „დამკვრელების“, უთავმოყვარეო, ე.წ. არტისტების არმიას ბრძოლისწინა მდგომარეობაში მოსაყვანად, ქვეყნის გარეთაც აგზავნის.

ახლა მიშა და მისი ბანდა ბიუჯეტში ჩვენივე შეტანილ ფულს რომ აქა-იქ ანიავებს, არც ეს არის ახალი, მაგრამ, ვფიქრობ ძალიან საინტერესო უნდა იყოს ამჯერად იტალიის ქალაქებში — ბარში და კალაბრიაში ნაც.მოძრაობას წინასაარჩევნოდ რამდენი ათასი ევრო გადაუხადა ბუბა კიკაბიძეს, რომელმაც არც სიმღერა იცის და არც კაცობის ნატამალი არ გააჩნია? ანდა, ისიც ხომ საკითხავია, „მომღერალი“ ბუბას მოსასმენად მუსიკალურად რა გემოვნების ადამიანები მიდიან ან იქ და ან აქ?

მე არ ვიცი, ვის რა გემოვნება აქვს, მაგრამ „აშუღური“, სომხურ-აზერბაიჯანული, ბუბასეული „ქართული“ სიმღერები, ვერანაირ კრიტიკას რომ ვერ უძლებს, დარწმუნებით შემიძლია თქმა, მაგრამ — ვინც ასეთ მუსიკას მაინც უსმენს, მისი საქმე რატომ არ არის წასული? ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ კომუნისტურ ეპოქაში ნაკლები ნიჭის, მაგრამ „სასიკეთოდ მიდრეკილ“ ახალგაზრდებს, გარკვეული პირობების შექმნით, სათავისოდ ამუშავებდნენ „კგბ“ მაღალჩინოსნები და „საჭირო“ დროს (თუნდაც შემოქმედებითად გარდაცვლილები ყოფილიყვნენ) უმალ აცოცხლებდნენ.

ასე მოხდა „პატივცემული“ ბუბას შემთხვევაშიც და მისი გამოცოცხლების მისია გასულ საუკუნეში რუსეთის ხელისუფლებამ იკისრა, კერძოდ კი მაშინდელმა მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ბუბა კიკაბიძეს არამარტო ძვირადღირებული საგასტროლო ტურნეები ჰქონოდა რუსეთში, არამედ „პატარა“ ბიზნესითაც დაკავებულიყო და მოსკოვში რამდენიმე რესტორანიც ჰქონოდა.

„ჩიტა გვრიტა მიმინო“ კი მიუხედავად იმისა, რომ რუსებმა ლამისაა წუმპედან ამოიყვანეს — მოდგა და ლანძღვა დაუწყო იმ ხალხს, ვინც ფულიც აშოვნინა და ვინც ფიზიკურ სიკვდილსაც გადაარჩინა.

ერთი სიტყვით — უმადური, უთავმოყვარეო კაცია ბუბა კიკაბიძე, თორემ რაც მაგან „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ალიანსში იკადრა, იმას ჭეშმარიტი ხელოვანი, ანუ შინაგანად თავისუფალი ადამიანი იკადრებდა?

რა, არ გვახსოვს 2008 წლის აგვისტოში ჩვენი ჯიშიანი ბიჭები ჯერ დასაფლავებულები რომ არ იყვნენ — რა ტაშფანდური მოგვიწყვეს ბუბამ, ნანიმ, ლელამ, დათომ, ანრიმ, ნინიმ და დანარჩენებმა რუსთაველის გამზირზე?

ჩემი ღრმა რწმენით, ამ ადამიანების არათუ კონცერტებზე მოსვლას, არამედ ქუჩაში გამარჯობის თქმასაც არ უნდა კადრულობდეს თავმოყვარე ქართველი, მაგრამ ჩვენ ხომ მსოფლიოში ყველაზე მიმტევებელი, ყველაზე გულუბრყვილო და ამავედროულად ყველაზე ამნეზირებული ერი ვართ?

მილიონნახევარი ადამიანია საქართველოდან გაქცეული და ეს მაშინ, როცა ერთი მუჭა კრიმინალები აქ გვისხედან, ქვეყანას თავზე გვაქცევენ და ჩვენ „ბაიბურში“ არა ვართ, ჩვენივე ფულით რაებს „აიმასქნებენ“, ოღონდაც სკამი, პრივილეგიები და დილმალი, მოპარული ფინანსები შეინარჩუნონ. სამშობლოდან გაქცეულები, გარდა იმისა, რომ ათასობით ევროს თუ დოლარს ხარჯავენ, იმაზეც კი მიდიან, რომ სიცოცხლის რისკის ფასად ყუთებში, სპეც.სამალავებში, უსაბუთოდ და უფულოდ ენდონ ვილაცას და ჯოჯოხეთად ქცეული სამშობლოდან შორს გადაიხვეწონ, ირჩინონ თავი და არჩინონ აქ დარჩენილი ოჯახები, მაგრამ ამ შემზარავ სტატისტიკასაც რომ ფეხებზე ვიკიდებთ ნელ-ნელა, არ ვიცით? „ნაციონალური მოძრაობა“ წინასაარჩევნოდ უზარმაზარ თანხებს ხარჯავს, როგორც ქვეყანაში, ისე ქვეყნის გარეთ და მარტო მათ მიერ დაქირავებულ პიარ ჯგუფებს რომ თავი დავანებოთ, მაგალითად ისიც გამოდგება — ამასწინათ ვინმე ნავარომ რა „ნავაროტკებიანი“ კვლევები შემოგვაჩეჩა,



ლი ინფორმაცია მოვიტანე თქვენამდე, მკითხველო და სიტყვასიტყვით გაწვდით თბილისის ერთ-ერთი სკოლის ყოფილი დირექტორის, ამჟამად კი იტალიაში, ქალაქ ბარიში გადახვეწილი ქალბატონის მანანა გ-ს სატელეფონო საუბარს. (გვარს შეგნებულად არ ვწერ, რადგან ამ წერილის ამჟამად ბიძინა ივანიშვილია, მაგრამ გაცდის ვინმე, შენი პოზიცია ან ხმამაღლა თქვა, ანდა არჩევნებზე დააფიქსირო?

— თქვენ მანდ იღებთ ხოლმე არჩევნებში მონაწილეობას?

— აბა, როგორ? მეც მივდივარ და ბევრი სხვაც, მიუხედავად იმისა, საბუთები წესრიგში გვაქვს თუ არა. ახლა მინდა იცოდეთ — რომ „ნაც.მოძრაობამ“ წინასაარჩევნო მარათონი იტალიაში უკვე გააჩაღა. ზეგ ჩამოდის, ის მათხოვარი არაკაცი ბუბა კიკაბიძე და კონცერტებს გამართავს აქ ჯერ ქალაქ ბარიში, ხოლო 5-ში კალაბრიაში.

სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი არც მსახიობი, არც მწერალი და არც არავინ ჯერ ჩვენთან არ გამოჩენილა და როგორც გითხარით, მათი მხარდამჭერი, უფრო სწორად კი ბატონი ბიძინას მხარდამჭერი ყოველი მეორე ემიგრანტი იტალიაში ამას ძალიან ველოდებით.

„მიშისტებმა“ უკვე დაიწყეს ტვინის ბურღვა — უვიზო რეჟიმზე „ნატოში“ შესვლაზე, ევროპულ კეთილდღეობაზე და ათას სიკვდილზე აგიტაცია-პროპაგანდა, მაგრამ რას აკეთებს ბატონი ბიძინა, რატომ აქ არ ეძებს თავის მხარდამჭერებს და იმ ხალხს, რომლებიც მოვკვდებით და კოტეია გა-

### დეს და შემდეგ ვილაცის დასაცინები გავხდეთ — ხომ გაჯობეთო?

ახლა რაც შეეხება ბუბა კიკაბიძის კონცერტებს. კონცერტზე, როგორც გითხარით, კოტე გაბაშვილის აქტივი, ე.ი. მხოლოდ „ნაც.ემიგრანტები“ არიან დაპატიჟებული, დაურიგეს მოსაწვევები და ეს უბედური ჩვენი ქალები ახლა კაბების ყიდვაში არიან — არიქა, მოსამსახურე კი არა, ბედნიერი ქართველი ვარ და კონცერტზე მივდივარო... დიდი ასოებით დაწერეთ — პაპუნა დავითაიას აქ თავისი შპიონი ქალების ორგანიზაცია აქვს, მათ კი ყველაზე დიდი შპიონი ნინო მაზიაშვილი ხელმძღვანელობს და აქაურ უბრალო, მოსამსახურედ მომუშავე ქალებს ათასი სისულელით უჭედავს ტვინს საქართველოში რომ ჩახვალთ, ვერც კი იცნობთ, ისე გაალამაზა მიშამო.

ჩვენც წავალთ იმ კონცერტზე, მაგრამ ტუტუცი ბუბას მოსასმენად კი არა, ბატონო, კონცერტის ჩასაშლელად მივალთ. მივალთ და ვეტყვით, რომ ჩვენ, ქართველებს, აქ, იტალიაში, სასიმღეროდ არ გვაქვს საქმე და არც იმ ზღაპრების მოსმენის ხასიათზე ვართ, რომელშიც მიშა სააკაშვილის „გმირობაზეა“ ლაპარაკი. რა მინდა მე აქ? კარგი, მე მოსაკვეთი ვიყავი და ამერიკული სოციოლოგიური ცენტრის „ენდიაი“-ს მეშვეობით, აქაოდა ნაც-მოძრაობას, კონკურენტი არ ჰყავს. მაგრამ გამარჯვებისთვის ადამიანების ტვინების გამორეცხვისთვის განა მიშამ არ იცის, ეს საკმარისი რომ არ არის?

**ჰოდა, ამიტომაც ხვალ იტალიის ქალაქ ბარში, სადაც რიცხობრივად მთელი იტალიის მასშტაბით ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტია, ამღერებს ბუბას, ზეგ გააგზავნის ზუმბას, მაზეგ სტეფანეს და ათქმევინებს, რომ საქართველო „გაბრწყინებულია“, „დემოკრატიულია“, რომ აქ წყლის მაგივრად უკვე რძე ამოდის მიწიდან, რომ ციდან „პაჩკა-პაჩკა“ დოლარები ცვივა და მტრის ჯინაზე ყველაფერი კარგადაა და რომ ქვეყნიდან გაქცეული „ქართველი მონები“ ისევე უყვარს სააკაშვილს, როგორც საკუთარი დედა, ბებია, ბაბუა და ა.შ.**

ახლა, არ იკითხავთ — რა კატეგორიის მონებს უმღერიან „მიშას ბულბულები?“ უმღერიან მათ, ვინც იტალიასა თუ საბერძნეთში, ესპანეთსა თუ საფრანგეთში, თურქეთსა თუ ამერიკაში განთავსებულ საქართველოს საელჩოებთან თანამშრომლობენ, ვინც „ნაც.მოძრაობის“ მეხოტბეები არიან და ვისაც ისეთი ემიგრანტული ცხოვრება კი არა აქვთ, როგორიც სხვა დანარჩენებს, არამედ უფრო შემსუბუქებული, ანუ დაწყებული უპრობლემო გადაადგილებით, დამთავრებული ბანკეტ საღამოებზე დასწრებით. თანაც, საელჩოებთან შეკრულების აქ დარჩენილი ოჯახის წევრებს ნაც.ხელისუფლება ასაქმებს და როცა ხელი ხელს ბანს, წარმატება რა გასაკვირია?

მე, ძალიან ბევრი ქვეყნიდან მირეკავენ ჩვენი მოქალაქეები და მეხვეწებიან, რომ მკითხველამდე მივიტანო მათი პოლიტიკური შეხედულებები, კერძოდ კი სააკაშვილისა და მისი ბანდის მიმართ მათი განწყობები. ამჯერად, როგორც ხედავთ, იტალიიდან მიღებუშემდეგ, შეიძლება, პრობლემები გაუჩნდეს) „ქალბატონო ირინა, ლოტოტრონის მეშვეობით უმუშევრად დარჩენილ 3-შვილიან დედას რა უნდა მექნა? ვისესხე ფული, გავაკეთე 20 დღიანი ვიზა და აგერ უკვე 5 წელია, თვალით არ მინახავს ჩემი ოჯახი... პატარა ბიჭი 6 წლის დავტოვე... (ტირის.) გოგო გათხოვდა, მაგრამ მისმა ბედნიერმა დღემაც უჩემოდ ჩაიარა... 12 წელი ვიყავი სკოლის დირექტორი და ახლა? ახლა, იტალიელ ლოგინად ჩავარდნილ სინიორა სკლეროტიკს ვუვ-



ლი აქ და ნერვები აღარ მაქვს უკვე... კარგი, ეს ყოფილა ჩემი ჯვარი და ღმერთია მოწმე, პატიოსნად ვეზიდები მას, მაგრამ ნუთუ მანდ დარჩენილებმა არ უნდა იფიქროთ იმაზე, რომ ეს ჯოჯოხეთური შრომა შეგვიმსუბუქოთ და უფრო არ მოგვიშალოთ ნერვები?

— რაშია საქმე ქალბატონო, რა დაგიშავეთ აქ დარჩენილებმა?

— საქმე იმაშია, რომ არაფერს აკეთებს ჩვენი დამაქცევარი სააკაშვილის და მისი „ნაც.მოძრაობის“ ამოსაძირკვად. ლამისაა ტელევიზორთან მეძინა 2007, 2008, 2009, 2010 და 2011 წლებში, ვფიქრობდი, აი ოპოზიცია დაასიკვდილებს იმ გიჟს და სახლში წამოვალ-თქო, მაგრამ არ გაძლა მაგათი მუცლები...

თქვენ რომ იცოდეთ, მარტო ქალაქ ბარიში ათასობით ქართველია, ყველას გვაქვს ერთმანეთთან ურთიერთობა, ვიცით ვის უჭერენ მხარს აქ წამოსულები და მინდა გითხრათ, რომ ეს პიროვნება ბაშვილს ჩვენს ხმებს არ გავაყალბებინებთ?

სხვისი არ ვიცი, მაგრამ დაახლოებით 1000 კაცამდე მარტო მე მყავს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, ისეთი ქალები არიან თვალებს ამოკორტნიან, ვინც მათი ხმების გაყალბებას შეეცდება და მიშას გაგულავებას არ დაუშვებენ, მაგრამ ვიმეორებ, ამ ხალხს აქ, ერთი-ორი ხელმძღვანელი, ბატონი ბიძინას ნდობით აღჭურვილი კაცი არ გვჭირდება?

კაი ბიჭია ის ფეხბურთელი, კახა კალაძე, მაგრამ არჩევნების, მითუმეტეს ხმების დაცვის და გაკონტროლების, რა იცის მაგან? გამოგვიყენოს ეს გამოცდილი ყოფილი ინტელიგენტი ადამიანები ბიძინამ, რა უშლის ხელს? ჩვენ რა, ფულს ვთხოვთ მაგას თუ სამსახურს? აქეთ შევუგროვებთ და გადმოვუგზავნით, ოღონდ სამშობლოში ღირსეულად დაბრუნება გვეღირსოს, ცოდონი არ ვართ?

**— „ნაც.მოძრაობა“ თუ აგზავნის ბუბას თავისი მხარდამჭერი ემიგრანტებისთვის და კონცერტ-ბანკეტებს მართავს, ბიძინას არ შეუძლია ერთი დარბაზის ქირაობა აქ და ჩვენი თავშეყრა? გიმეორებთ — აქ „ნაცებს“ ერთი-ორი ქართველი თუ უჭერს მხარს, მაგრამ ისე არ გამოვიდეს, არჩევნების მერე ჩვენი ხმებიც მიშას ჯულაბაში აღმოჩნ-**

მომიგლიჯა გულიდან ჩემმა ქვეყანამ, მათხოვრად მაქცია და სიმწრის ცრემლებით მატირა, მაგრამ ვინც თავისთან დაიტოვა, არ გაუშვა არსად და გულში ჰყავს ჩაკრული ის ადამიანი, ჩემზე ცოტა უფრო ბედნიერი ხომ უნდა იყოს მანდ? არის კი? შიშმილით იხოცება ხალხი, გულები უსკდებათ, ნაგავში იქექებიან ჩემი ყოფილი პროფესორები, გალოთდა და გადაირია ახალგაზრდობა და „ნაც.მოძრაობა“ მაინც კარგია? რა ლოგიკაა ეს ქართველები, რა აზროვნება და რა პატრიოტიზმია ეს, გამაგებინეთ ერთი?

ღმერთმა ამასწინათ ბებია გამხადა, ამხელა საჩუქარი მიძღვნა, მაგრამ ბავშვი არ მაჩვენა — ეს არის სამართალი? რამდენია ჩემისთანა, გიფიქრიათ? ცხარე ცრემლებით ვტიროდი, კანადაში იახტის კატასტროფის დროს 4 არალეგალი ქართველის სიკვდილი რომ გავიგე...

კარგი, აყვავებული, ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნიდან ვინ გარბის სააკაშვილო, ამოგიწყდა გამჩენი და მყვარებელი!? იტალიაში ბუბას გამოაგზავნი თუ ნანის, მე გპირდები ვერაფერი გიშველის! აქ დემოკრატიული ქვეყანაა და ვისაც როდის გაეხარდება, იმას აპროტესტებს, გპირდებით ჩვენს ხმებს საქვეყნოდ არ გადავაკეთებინებთ არც კოტე გაბაშვილს და არც არავის. ისეთ მიტინგს მოგიწყობთ საელჩოსთან, თბილისური დაგავიწყდებათ.

ოღონდ... ოღონდ ბატონო ბიძინა, თქვენც იმ წლების ოპოზიციასავით არ გვიღალატოთ, სულში არ ჩაგვაფურთხოთ და გამარჯვების გზაჯვარედინზე უპატრონოდ არ დაგვყაროთ.

იტალიის ქართველი ემიგრანტები ბრძოლისთვის მზად ვართ და გამოგვიყენეთ, უმორჩილესად გთხოვთ. ჩვენ არაფრის აღარ გვეშინია, რადგან რისი დაკარგვისაც ყველაზე ძალიან გვეშინოდა უკვე დავკარგეთ ეს ჩვენი ოჯახები, ჩვენი სამშობლო და ჩვენი ქართული, უწყინარი მენტალიტეტია. აქ, იტალიაში საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლა, ყოველდღიური მოთხოვნილებაა და ჩვენი უმთავრესი

12 gv.

11 gv.

მოთხოვნა და უფლება კი „ნაც.მოძრაობის“ დამარცხების შემდეგ სამშობლოში ღირსეულად დაბრუნებაა!

გვფარავდეს და გვისმინოს უფალმა!

ქალბატონო ირინა, იმედი მაქვს „საერთო გაზეთი“, რომელსაც ინტერნეტის მეშვეობით ვკითხულობ ხოლმე, გაითვალისწინებს იტალიაში ქართველი ემიგრანტების თხოვნას და ჩვენს საუბარს დაბეჭდავს.

**იმედი მაქვს, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილიც წაიკითხავს ამ წერილს და აქ, წინასაარჩევნოდ თავის ხალხთან დაგვაკავშირებს. ვიმეორებ, „ნაც.მოძრაობას“ იტალიიდან ხმებს არ გავატანთ, მოვკვდებით და არ გავატანთ, რადგან ვიცით, რომ ეს ჩვენი ღირსეულად დაბრუნების ერთადერთი შანსია. დამიჯერეთ, სააკაშვილს მანდ არჩევნების გაყალბება არც დასჭირდება, რადგან მილიონნახევარი ემიგრანტის ხმები, თუ არ შევებრძოლებით, უკვე ჯიბეში აქვს.**



აი, ძვირფასო მკითხველო! ქალბატონი მანანა და მისი უამრავი ქართველი მეგობარი შორეულ იტალიაშიც კი, თავისი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვას ასე აპირებს. ჩვენ? ჩვენ ვართ კი მზად ამისთვის?

ისე, ძალიან საინტერესო იქნებოდა საბერძნეთში, თურქეთში, ესპანეთში, ამერიკაში და იტალიაში ჩასვლა და იქ მცხოვრებ ქართველებთან პირისპირ საუბარი, მაგრამ როგორ? ჩემი ერთადერთი შვილიც იქ არის, 5 წელია არ მინახავს...

ეჰ, რა ეშველება ქართველობას, ან შინ და ან გარეთ? გასკდა უკვე გული, გასკდა და დაიცალა სისხლისგან...

**ირინე გოგოსაშვილი**

**P.S. წერილი უკვე დასაბეჭდად მზად იყო, ქალბატონმა მანანამ ისევ დამირეკა და მეტად საგულისხმო ინფორმაცია მომაწოდა. კერძოდ, თურმე, ნუ იტყვით და, ამ ჩვენს „მსოფლიო ხმა“ ბუბა კიკაბიძეს მთელი ევროპის მასშტაბით ჰქონია „საგასტროლო ტურნე“, რომელსაც საქართველოს კულტურის სამინისტრო და რეინტეგრაციის სამსახური ერთად აფინანსებენ. „პატივცემული ბუბა“, იტალიაში ჰოლანდიიდან ჩაფრენილა და პირველი კონცერტი 3 აპრილს, ქალაქ ბარიში გაუმართავს. ოღონდაც, პაპუნა დავითაიას „შპიონი ემიგრანტები“, მათ შორის, ნინო მაზიაშვილი, იტალიაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები და თბილისიდან ბუბას „საბალეშჩიკოდ“ ჩასული ნაც. ავაზაკები, თურმე, საკონცერტო დარბაზის შესასვლელ კართან ლამისაა ჩხრეკდნენ, დაკითხვას უწყობდნენ და სახელს, მამის სახელს, მისამართს და საქართველოში საცხოვრებელ მისამართს ეკითხებოდნენ, კონცერტზე მისულ მოსაწვევის არმქონე „არანაცნობ“ ადამიანებს. ამ ყველაფრის შემდეგ კი საგულდაგულოდ იწერდნენ ამა თუ იმ პიროვნების „მოკლე“ მონაცემებს და დარბაზში მხოლოდ ამის შემდეგ უშვებდნენ.**

**ქალბატონმა მანანამ ისე, გულისტკივილით თქვა: „ახლა ამ უბედურებას ტელევიზიები რომ არ იღებენ, ეგ არის დემოკრატია? აქ რომ „ქართული ოცნების“ ერთი ოფისი მაინც იყოს, ხომ გადაიღებდნენ ყველაფერს და ისედაც თავმოჭრილ ნაც.მოძრაობას უფრო შევარცხვენდითო?!“**

**ბატონო ბიძინა! ჩემი აზრით, მართალია ეს ქალბატონი, როდესაც ამბობს, რომ მიშას არჩევნების გაყალბება არც დასჭირდება საქართველოში, საამისოდ ქვეყნიდან გასულების საარჩევნო ხმათა გაყალბებაც ეყოფათ. იქნებ მართლაც გეფიქრათ ამაზე?**



# ekvadoris prezidenti giJi abdala betmenis formiT dadioda, saakaSvili ki amerikis samxedro formiT dadis

***პარლამენტის სხდომათა დარბაზში ოპოზიციისა და ნაციონალების დაპირისპირება ჩვეულ მოვლენად იქცა. თუმცა, ეს არ გახლავთ კონსტრუქციული დიალოგი. „ნაცები“ გააფთრებით იბრძვიან იმისათვის, რომ სავარძლები, რომლებიც ამჟამად უკავიათ, ოქტომბრის შემდეგაც არ დაკარგონ, ამიტომ ყველაფერს კადრულობენ და ოპოზიციონერთა მორიგ გამოსვლაზე მძაფრად რეაგირებენ. ასე იყო ამჟამადაც, ბოლო სხდომაზე.***

***საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით პარლამენტარ პეტრე მამრაძეს***

**— ბატონო პეტრე, რა მოხდა პარლამენტის ბოლო სხდომაზე, რატომ იყო კობა ხაბაზის მიერ თქვენს გამოსვლაზე პასუხი ასე მძაფრი და არასერიოზული მისი მხრიდან, გარდა ამისა, რატომ ვერ არჩევს პარლამენტარი ორ მცნებას — ხელისუფლებასა და ძალაუფლებას ერთმანეთისაგან, ესეც ოპოზიციის ბრალია?**

— ჩემს გამოსვლაში მე ვისაუბრე პოლიტიკურ კორუფციაზე ზოგადად და მოვიყვანე მაგალითად ის ჟურნალისტური გამოძიებები, რომელსაც საზოგადოება ბოლო პერიოდში გაეცნო. ყოველივე ამის საპირისპიროდ ნაციონალებს არგუმენტები არ ჰქონდათ, ამიტომ სააკაშვილის „კლოუნების თეატრის“ წარმომადგენლები ნებისმიერ უზნეობას კადრულობენ, რომ როგორმე პრეზიდენტს თავი დაამახსოვრონ და მომავალშიც მის გვერდში იყვნენ. ასე იყო ამჯერადაც, როცა პარლამენტარი კობა ხაბაზის გამოხტომა ვიხილეთ. საბედნიეროდ, ასეთი ადამიანები უმრავლესობაში ძალიან ცოტანი არიან, სულ თითზე ჩამოსათვლელნი. ეს ის კი არ გახლავთ, რომ ადამიანს რაღაცის სჯერა და შეცდომაშია შეყვანილი. არა, უბრალოდ, ისინი მომავალი არჩევნების შემდეგ ადგილს ახლავე ეძებენ. ამიტომაც სურთ ასიამოვნონ პრეზიდენტს.

ჩემს გამოსვლაში უცნაური მე არაფერი მითქვამს, მე გავიმეორე ლორ დექტონის ფრაზა — ***ძალაუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის ადამიანს.*** მე ამ



ფრაზას დავუმატე სიტყვა აგიჟებს, ანუ ვთქვი რყვნის და აგიჟებს. ეს უბრალო ნათქვამი არ გახლავთ, ამის მაგალითები ხშირი იყო ბოლო წლების მსოფლიო პოლიტიკაში. ასეთი ფაქტი იყო ჩაუშესკუს შემთხვევაც.

გაიხსენეთ გადამდგარი ირაკლი ოქრუაშვილის განცხადება, როცა მან თქვა შემდეგი: ***„რამდენიმე ადამიანს და მათ შორის მე, გვქონდა, პრაქტიკულად, შეუზღუდავი ძალაუფლება, რამაც ტრაგედია მოუტანა ჩვენს ქვეყანასო“.***

როდესაც ჩვენ ვხედავთ ქვეყანაში ძალაუფლების გამოყენების უაზრო ქმედებებს, ეს გახლავთ მონუმენტები, დეკორატიული ხიდები, რომელიც ათეულობით მილიონი უჯდება გალატაკებულ ქვეყანას, რა უნდა ვთქვათ? ის ხომ ერთი ადამიანის გადაწყვეტილებით არის აგებული? რისთვის იხარჯება ამდენი ფული? გვაქვს ამის ფუფუნება?

ხაბაზმა მე წამომაძახა, რომ დიდი ხანია ხელისუფლებაში ვარ. დიახ, მე დიდხანს ვიყავი ხელისუფლებაში მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელედ, მაგრამ ყოველთვის პატიოსნად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, არ ვამეტებდი ჩემს უფლებამოსილებას. ამიტომ არასერიოზულ დაპირისპირებებს არც ვაქცევ ყურადღებას.

**— სხდომაზე თქვენ პირდაპირ ფაქტები დაასახელეთ. ნაციონალების შეუზღუდავი ძალაუფლების ამსახველი რომელი ფაქტი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?**

— დავიწყოთ დიღმის ტყე-პარკის მიტაცება. ჟურნალისტურმა გამოძიებამ რეესტრიდან ამოღებული საბუთებით დაადასტურა, რომ „ნაცების“ დიდ ნაწილს როგორ წაუღია დიღმის მთელი ტყე-პარკი, რომელსაც სააკაშვილი თავგამოდებით იცავდა წლების წინ და ამბობდა, რომ ეს ტყე-პარკი ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო და დარჩენოდა საზოგადოებას. სინამდვილეში ის დაანაწევრეს და დაირიგეს. ეს ის ხალხია, რომელთაც საზოგადოება არც კი იცნობს, თუმცა, პარლამენტის წევრებიც კი არიან. ***სხვათაშორის ამ ტყე-პარკში ამჟამად სააკაშვილის ვილა დგას, ოღონდ ისეთ ადგილზეა და ისეთი დაცვა ჰყავს, რომ მას ჟურნალისტებმა სურათიც ვერ გადაუღეს გამოსვლისას.***

ერთი ამბავიც გამახსენდა, და შევახსენე პარლამენტარებს, რომ 2007 წელს ტელეკომპანია „იმედმა“ ჯერ კიდევ დარბევამდე აჩვენა სააკაშვილისა და ბიძამისის თემურ ალასანიას მდიდრული ვილები იქ, სადაც წყალი იფილტრება მთელი თბილისის მოსახლეობის. ასეთ ადგილზე მშენებლობა დაუშვებელია და იკრძალება. შემდეგ ისიც აჩვენეს, რომ პრეზიდენტმა დაანგრევინა თავისი ვილა, ბიძამისის კი დარჩა. დანგრევა საკმარისი არ გახლავთ, გამოიძიონ თუ შეიძლება, ვინ გასცა ბრძანება იქ მშენებლობისა? რა თანხა დაჯდა იმ ვილის მშენებლობა? ან რა დაჯდა შემდგომში მისი დანგრევა?



ამდენი წელია თანამდებობის პირი ვარ და არა მაქვს იმის საშუალება, რომ რაიმე დავანგრიო, ამას სერიოზული თანხები სჭირდება. დღემდე გაურკვეველია ვინ გასცა ამ ვილის დანგრევის ბრძანება. ეს ყველაფერი უკანონოა.

***ვნახეთ დოკუმენტები იმის თაობაზე, თუ როგორ შედიან ციხეში ჯიპები, რომელთაც გამოჰყავთ იქიდან გირგვლიანის მკვლელები, მიჰყავთ სადღაც, საქეიფოდ თუ დასასვენებლად, არ ვიცი. მერე კი ისევ აბრუნებენ ციხეში. ეს ხომ კანონის ფეხქვეშ გათელვაა ნებისმიერ ქვეყანაში?*** ეს რომ სადმე მომხდარიყო, ატყდებოდა დიდი სკანდალი, ჩატარდებოდა გამოძიება და შინაგან საქმეთა მინისტრი გადაყვებოდა ასეთ ამბავს. აქ არაფერი მოხდა, რატომ? იმიტომ, რომ თავად შინაგან საქმეთა მინისტრისაგან და პრეზიდენტისაგან მოდის ასეთი ბრძანებები!

მე, ვამბობდი, რომ კორუფცია მარტო ის კი არ არის, როცა რომელიმე სახელმწიფო მოხელე იყენებს თავის თანამდებობას პირადი ***ინტერესებისათვის, არამედ კორუფციის განმარტება არის შემდეგი: „ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, რომელიც ემსახურება მის პირად ინტერესებს“.***

ჩემი გამოსვლის ლაიტმოტივი იყო ის, რომ ყველა ქვეყანაში შეიძლება მოხდეს დანაშაული, მაგრამ უზენაესი ხელისუფლება ყოველთვის ემიჯნება ასეთ დანაშაულს და მადლობას უხდიან მათ, ვინც ეს დანაშაულებრივი ფაქტი გამოავლინა. ასევე, კანონის სრული დაცვით სჯიან დამნაშავეს.

განა არ იყო დიდი სკანდალი აშშ-ში, როცა აბუგრეიდის ციხეში ამერიკელმა და უცხოელმა ჟურნალისტებმა დაამტკიცეს, რომ იქ ადგილი ჰქონდა კანონდარღვევებს ძალოვნების მხრიდან? როგორ იმოქმედა მაშინ აშშ-ს ადმინისტრაციამ? მათ მადლობა უთხრეს, ვინც ეს დარღვევა გამოავლინა. დაგმეს მოძალადეების ქმედება და მთელი მსოფლიოს დასანახად გააკეთეს ყველაფერი, დასაჯეს კანონის შესაბამისად დამნაშავენი.

***მალე დადგება ისეთი დრო, რომ დაისჯებიან როგორც უკანონო ბრძანებების გამცემნი, ისე შემსრულებელნი. ეს დრო მალე დადგება და მაშინ უკვე სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი თავის მაგივრად დედაკაცებს ველარ გამოაგზავნიან.*** როგორც იმ დღეს, როცა ჩვენ დავთანხმდით იმას, რომ პარლამენტში მოსულიყო ადეიშვილის მოადგილე. იმიტომ რომ ვანო მერაბიშვილი მოდიოდა თავად.

**— რატომ არ მოვიდა შსს მინისტრი?**

— არ ვიცი, ოთხს ოცი წუთი აკლდა, როცა გვითხრეს, რომ ვანო მერაბიშვილი პარლამენტის შენობაში იმყოფებოდა. ზუსტად ოთხ საათზე კი, როცა სხდომათა დარბაზში შევედით — გამოაცხადეს, რომ ის სასწრაფო საქმის გამო კვლავ წავიდა და თავის მაგივრად ეკა ზღულაძე გამოაგზავნა. ის ქალი, რომელსაც შარშან შემოსავალი ჰქონდა 126 ათასი ლარი! და რომელსაც იტალიური ჟურნალები აცხადებენ, როგორც დამაკავშირებელს სააკაშვილსა და იმ იტალიურ არქიტექტორს შორის (მიკელეს), რომელმაც ააგო თბილისში შუშის ხიდი და წაიღო ჩვენი ქვეყნიდან მილიონები. იტალიელი ***ჟურნალისტები ამავე სტატიაში იმასაც იუწყებოდნენ, რომ ეკა ზღულაძეს ძალიან უყვარს მილანში შოპინგები!***

ეს თანხა სამჯერ მეტია პარლამენტის ხელფასზე. თუმცა, პრეზიდენტის მრჩევლებსაც დიდი ხელფასები აქვთ. ქალბატონ ნატო ყანჩელს მიუღია 70 ათასზე მეტი. ალანა გაგლოევაც მრჩეველი ყოფილა, ისიც მიიღებდა ალბათ, დიდ ხელფასს. ***ისმის კითხვა — რა ურჩიეს ასეთი პრეზიდენტს?***

**— ისეთ მდგომარეობაში როგორშიც არის ჩვენი ქვეყანა დღეს, სხვა განვითარებდი ქვეყნებიც ყოფილან, იქნებ მათი გამოცდილების გაზიარება სჯობს?**

— მე მახსენდება ეკვადორი, როდესაც ძალიან გაუჭირდათ ურთიერთობა ქვეყნის პრეზიდენტთან. ***მაშინ აბდალა ორტისი*** ჰყავდათ პრეზიდენტად. არაბული წარმოშობის პიროვნება, როცა ის ქვეყნის პირველი პირი გახდა მან კლინიკური სიგიჟე გამოავლინა თანაც ღია ეთერში. ეს გრძელდებოდა ექვსი თვე. მისი სიგიჟეები თანდათან მატულობდა და უკონტროლო ხდებოდა, ***მაშინ შეიკრიბა პარლამენტი და იმპიჩმენტის წესით გადააყენეს თანამდებობიდან იმ ფორმულირებით, რომ მას არა აქვს გონებრივი შესაძლებლობა იმისა, რომ ემართა ქვეყანა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ როდესაც ეს პროცესი მიმდინარეობდა, იმ დროს აბდალა ორტისი ტელევიზიით გამოდიოდა ბეტმენის კოსტიუმში გამოწყობილი. ყვიროდა და ღრიალებდა, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად იყო, ჰქონდათ ეკონომიკური წინსვლა. ამტკიცებდა, რომ მართალია გიჟს მეძახიან, მაგრამ, იცოდეთ, რომ გიჟები ლაპარაკობენ გულის სიღრმიდან და სულით ხედავენო.*** მაშინაც, როცა ჯონდი ბაღათურიას გამოსვლის დროს სააკაშვილი გაიქცა სხდომათა დარბაზიდან და კვლავ დააბრუნეს, სწორედაც რომ ქვეცნობიერის ნაკადი მოდიოდა მისი გონებიდან როცა ამბობდა: ტალახში დაგზელენ კარგად, მე მამაჩემს დავურეკე და ყვითელი ავტობუსით წაგიყვანენ, გუდიანი ქალი-ჰილარი და სხვა მრავალი. რა ილაპარაკა, არ იყო ეს სიგიჟეები?

**— აბდალას ბეტმენის ფორმა ეცვაო, ახლა მახსენდება სააკაშვილი აშშ-ში ნაჩუქარი სამხედრო პირის ფორმით რომ დადიოდა მთელი ზამთარი, შეიძლება სხვა ქვეყნის სამხედრო ფორმა ეცვას პრეზიდენტს?**

— მე წარმოდგენილი მაქვს, რამხელა დარტყმა იყო მისი ეს ჩაცმულობა აშშ-ს ადმინისტრაციისათვის, როცა სააკაშვილი ამ ქვეყნის ემბლემით გამოხატული სამხედრო ფორმით დადიოდა ჩვენს ქვეყანაში. სხვათაშორის ბოლოს გიჟი აბდალა გაიქცა ეკვადორიდან და ათეულობით მილიონი დოლარი გაიტაცა ქვეყნიდან — გიჟი უძახეთ და ფულის ამბავში არ იბნევიან.

**ეთერ კასრელიშვილი**

# Tu saswauli mainc moxda da saakaSvilma ivaniSvils moqalaqeoba daubruna, ese igi, fardisukan raRac iseTi xdeba, rasac Cven ver vxedavT...

***რამდენად დამაჯერებელია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა და იქონიებს თუ არა გავლენას კვლევის შედეგები, ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები წინასაარჩევნოდ? „საერთო გაზეთს" ვასილ მაღლაფერიძე ესაუბრა***

**— ბატონო ვასილ, NDI-ის მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თქვენ რას ფიქრობთ, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევაზე?**

— "ენ–დი–აის" მიერ რეიტინგების გამოქვეყნების წესი ქართული საზოგადოების უპატივცემულობას ნიშნავს. ამას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ დემოკრატიის ხელშეწყობას. ამგვარად მოქცევას გაუბედავდნენ, მაგალითად, ამერიკის მოქალაქეებს? ერთადერთი, რამაც შეიძლება კვლევების პროცესი შედარებით ნორმალურ კალაპოტში მოაქციოს, არის კვლევითი კომპანიების ერთობლივი მუშაობა და ერთმანეთის ნამუშევრის გადამოწმება, რათა საბოლოოდ შეჯერებული პროდუქტი შესთავაზონ საზოგადოებას. ეს თავად ამ კომპანიების ინტერესსშიც უნდა შედიოდეს, რადგან ასეთ შემთხვევაში, მათი მისამართით უფრო ნაკლები კრიტიკა იქნება.

ლუის ნავარომ „კავკასიის" ეთერში საკუთარი კვლევების სანდოობის დასაზუსტებლად რამდენჯერმე განაცხადა, რომ ამ კვლევების მეთოდოლოგია მოსწონთ და მისაღებად მიაჩნიათ ისეთ აღიარებულ სპეციალისტებს, როგორებიც არიან: მარინა ჩიტაშვილი და იაგო კაჭკაჭიშვილი. თუმცა ცოტა ხანში აღმოჩნდა, რომ ბატონი ნავარო არასწორ ინფორმაციას აწვდიდა მაყურებელს. სწორედ ამიტომ, ლოგიკა მოითხოვს, რომ ბატონმა ნავარომ ჩაახედოს მარინა ჩიტაშვილი და იაგო კაჭკაჭიშვილი მის ხელთ არსებულ ნედლ მასალაში და თუ ასე არ მოიქცევა, კიდევ უფრო გაძლიერდება ეჭვი, რომ იქ რაღაც არ არის წესრიგში.

**— ანუ თქვენ კვლევის შედეგებს ეჭვქვეშ აყენებთ?**

— სანამ არ იქნება დაცული კვლევებისთვის აუცილებელი სტანდარტები და აუცილებელი გამჭვირვალობა, ეს კვლევები არ იქნება განკუთვნილი საზოგადოებისთვის, რადგან საზოგადოებამდე აღწევს მხოლოდ კვლევიდან გამოყონილი ფრაგმენტები. ნავაროსთვის არავის დაუძალებია, მაგრამ თვითონ გვარწმუნებდა, მარინა ჩიტაშვილი და იაგო კაჭკაჭიშვილი ენდობიან კვლევას, ანუ მათი ავტორიტეტით სურდა საზოგადოების დარწმუნება. ამიტომ, სანამ საზოგადოებას დაელაპარაკება, ჯერ ეს ორი ადამიანი დაარწმუნოს თავისი კვლევის სანდოობაში და თუ ასე არ მოიქცა, მაშინ გამოვა, რომ ეს უნებლიე შეცდომა კი არ ყოფილა, არამედ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის განზრახულობა, ასე, რომ არჩევანი მასზეა.



**— ბატონო ვასილ, კვლევაში ყველაზე დიდი რეზონანსი პარტიული რეიტინგების გამოქვეყნებას მოჰყვა, სადაც, როგორც ირკვევა, „ნაცმოძრაობას" მოსახლეობის 85% უჭერს მხარს? თქვენ რას ფიქრობთ, პარტიული რეიტინგები რამდენად ემთხვევა ხალხის განწყობას?**

— სოციოლოგია არის მეცნიერება და

## vasil maRlaferiZe:

## სოციოლოგია არის მეცნიერება და არა მკითხაობა, ან ფოკუსების კეთება

არა მკითხაობა, ან ფოკუსების კეთება. გავიმეორებ იმას, სანამ ბატონი ნავარო არ დაიცავს საჯარო მოხმარებისთვის განკუთვნილი კვლევებისთვის აუცილებელ პროცედურებს, ამას ჩემთვის კვლევა არ ჰქვია.

**— ბატონო ვასილ, არსებული კვლევის თანახმად, ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ მოსახლეობის 10% უჭერს მხარს. ოქტომბერში ჩატარებული IRI-ის კვლევის მიხედვით, კი 22% უცხადებდა მხარდაჭერას. თქვენ რას ფიქრობთ, რა შეიცვალა ოქტომბრიდან დღემდე?**

— უკვე გითხრით, რომ "ენ-დი-აი" სანამ საჯარო კვლევებისთვის აუცილებელ პროცედურებს არ დაიცავს, მის შედეგებზე საუბარი არ შეიძლება. მინახავს კვლევები, სადაც ივანიშვილის რეიტინგი ბევრად მაღალია, ვიდრე შემოდგომაზე იყო. ჩემთვის კვლევის სანდოობისთვის უმთავრესია იმ რამდენიმე მაღალკვალიფიციური ექსპერტის აზრი და შეფასება, რომლებიც საქართველოში არიან. მათ შორის არიან მარინა ჩიტაშვილი და იაგო კაჭკაჭიშვილი. სხვათა შორის, ამ წუთში მიდის „პრესატვ.გე" გამოკითხვა. 2235 ადამიანია გამოკითხული და 92% არ ენდობა "ენ-დი-აი-ს."

მე ამ წუთში ვუყურებ რამდენიმე სხვადასხვა კვლევას, სადაც ბიძინა ივანიშვილს 70-75% აქვს და არც ამით ჩანს ვინმე გაკვირვებული. თუმცა ამ კვლების შესახებაც ჯერ სპეციალისტებმა უნდა გააკეთონ დასკვნები. "ოცნების" ტაქტიკას და სტრატეგიას რაც შეეხება, ეს მათი გადასაწყვეტია და გარედან მისი შეფასება შუა თამაშში არასერიოზულია. ჩვენ ვუყურებთ, პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე ერთ სვლას, მაგრამ არ ვიცით, რა იქნება შემდეგი სვლა. იქნებ ის, რაც პასიურობა გვგონია, შეტევის მომზადებაა, ან რაც შეტევა გვგონია, სინამდვილეში თავდაცვაა. ასე რომ, ვინც მოვლენებს გვერდიდან ვაკვირდებით, სიჩქარე არ გვმართებს.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად მართებულია ივანიშვილის მხრიდან, ქუჩის აქციებზე უარის თქმა, მით უფრო მაშინ, როცა ყველა ერთხმად თანხმდება, რომ არსებული საარჩევნო გარემო არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს?**

— ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, რაზე ამბობს ბიძინა ივანიშვილი უარს და რაზე – არა. ვფიქრობ, რომ ძალიან ცოტამ იცის მისი გეგმების შესახებ. ამიტომ, რა ტაქტიკით იმოქმედებს იგი, ამაზე არ ღირს მარჩიელობა. სრულიად ნათელია, მხოლოდ ერთი, მისთვის მეორე ადგილი, ნებისმიერი პროპორციით იქნება სრული დამარცხება და ფიასკო. კარგად ჩანს, რომ იგი სრულად აცნობიერებს ამას, რადგან ამ საქმეში ჩაერთო, ამიტომ შესაბამის ნაბიჯებსაც გადადგამს. ბევრი რამ დამოკიდებულია, როგორ გადაწყდება მოქალაქეობის საკითხი. არ უნდა დავივიწყოთ ივანიშვილის მუქარა – „აბა, გაბედოს საკაშვილმა და არ მომცეს მოქალაქეობა". მე მგონია, რომ ჩვენს თვალწინ ბევრად უფრო რთული პოლიტიკური საჭადრაკო პარტია მიმდინარეობს, ვიდრე ზოგიერთ გაღიმებულ ექსპერტს ჰგონია.

**— ბატონო ვასილ, როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავდა ივანიშვილის მხრიდან განაცხადი, აბა, გაბედოს და არ დამიბრუნოს მოქალაქეობა?**

— სააკაშვილის მართვის სტილიდან გამომდინარე, ცხადია, ისედაც არ აპირებდა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნებას. ხოლო მას შემდეგ, რაც უთხრეს — "აბა გაბედოს და არ მომცეს, აბა, გაბედოს და უკან არ დაიხიოსო!" — მითუმეტეს აღარ დაუბრუნებს მოქალაქეობას.

თუ სასწაული მაინც მოხდა და სააკაშვილმა ივანიშვილს მოქალაქეობა დაუბრუნა, ესე იგი, ფარდის უკან რაღაც ისეთი ხდება, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ.

ხოლო თუ "გაბედა" და არ დაუბრუნა მოქალაქეობა, მაშინ სვლა გადავა ივანიშვილისკენ და ახლა უკვე მის მიმართ გაჩნდება კითხვა – რას გულისხმობდა იგი, როცა თქვა: "აბა, გაბედოსო!" და როგორ აიძულებს იგი სააკაშვილს მოქალაქეობის დაბრუნებას.

ასეც და ისეც დღეები დათვლილია პირდაპირი მნიშვნელობით, დარჩა სამი დღე... ორი, ერთი... პასუხს თქვენს კითხვაზე ერთად მოვისმენთ და დავინახავთ, სულ რამდენიმე დღეში.

**— როგორ წარმოგიდგენიათ ივანიშვილის როლი პოლიტიკაში, იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი მოქალაქეობას კვლავ არ დაუბრუნებს. შეუქმნის ეს ბარიერი მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ივანიშვილს?**

— ჩემი წარმოდგენები ჯერ ეფუძნება ბიძინა ივანიშვილის სამ გამონათქვამს. ხოლოო შემდეგ ბიძინა ივანიშვილის შემდგომი საქმიანობა, ჩემი აზრით, ამ გამონათქვამების დადასტურებას უნდა წარმოადგენდეს.

„მიზნის ჩამოყალიბების გარეშე საერთოდ არ უნდა წახვიდე არანაირ მოლაპარაკებაზე. თუ ეს არ იცი, არც შეცდომებისგან ხარ დაზღვეული. მთავარია, კარგად ხედავდე მიზანს და თან არა მარტო შენსას - მეორე მხარის მიზანსაც უნდა აცნობიერებდე, გრძნობდე, რა უნდა მას და ყოველთვის უნდა იყო განწყობილი ბალანსის მოსაძებნად." „აბა, გაბედოს და არ დამიბრუნოს მოქალაქეობა, აბა, გაბედოს და არ დაიხიოს უკან," „ხელისუფლება ყველანარად ცდილობდა და ცდილობს პოლიტიკიდან ნებისმიერი გზებით ჩემს ჩამოცილებას, მაგრამ ამას ვერ მოახერხებენ."

**— თქვენი დაკვირვებით, რომელ პარტიას მიჰყავს „პარადი" ივანიშვილის კოალიციაში?**

— სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენლები და აგენტები არ მყავს და ამიტომ, ვერ ვისაუბრებ, როგორ მიიღება გადაწყვეტილებები კოალიციაში. თუმცა ჩემი შთაბეჭდილებით, ბიძინა არ არის ის ადამიანი, ვინმე რომ თავის გადაწყვეტილებებში უხეშად კი არა, საერთოდ ჩარიოს. მოუსმენს, ალბათ, და ეგ არის. ვინმე რომ იყოს, ვისაც ბიძინაზე ზემოქმედების უნარი ახლა აღმოაჩნდა, დროს რატომ დაკარგავდა? წავიდოდა და თვითონ იშოვიდა ერთ–ორ მილიარდს. დღეს საკითხი არ დგას ასე, „რესპუბლიკელებს" უჭერს ვინმე მხარს თუ „ქრისტიან–დემოკრატებს", დღეს არჩევანია სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის. თუ ვინმეს აქეთ ან იქით მოსწონს ამ ორი ლიდერიდან რომელიმე, მაგრამ არ მოსწონს გარემოცვა, ასეთ რამეს ვურჩევდი, ნახევრად ხუმრობით, ჩამოწეროს ფურცელზე ერთ მხარეს სააკაშვილი და მისი გარემოცვის ოცეული, მეორე მხარეს ივანიშვილის და მისი გარემოცვის ოცეული, თითოეულს ათბალიანი სისტემით მიუწეროს ქულები და საითაც მეტი ქულა დაგროვდება, იმას მისცეს ხმა.

**— დავუბრუნდეთ NDI-ის კვლევებს, თქვენ რას ფიქრობთ, რატომ არაა საჯარო, პარტიული რეიტინგები. არ გვაქვს, უფლება ვიცოდეთ რეალური მონაცემები, პარტიულ რეიტინგებთან დაკავშირებით?**

— არსებობს ასეთი წესი – თუ კვლევა საჯარო მოხმარებისთვის არის განკუთვნილი, ყველას უნდა მიუწვდებოდეს ხელი იმ ნედლ მასალაზე, რომლის საფუძველზეც ხდება მონაცემების და რეიტინგების გამოქვეყნება. თუ კვლევას ერთი ორგანიზაცია უკვეთავს, მაშინ, არც მასალა და არც შედეგები არ ქვეყნდება. "ენ–დი–აი-" იქცევა ჰიბრიდულად, ნედლ მასალას და მეთოდოლოგიას არ ასაჯაროებს. პრესაში ხვდება რაღაც რიცხვები, რომელზეც პასუხისმგებლობას თავად "ენ–დი–აი" არ იღებს. რატომ შვრება ამას? ვფიქრობ, ძნელი არ არის დასკვნის გაკეთება. ვინც ბოლომდე არ ამბობს სიმართლეს, ის სიმართლის დამალვას ცდილობს.

**— რამდენად იქნება არჩევნების რეალური შედეგი დამოკიდებული იმაზე, რამდენად მკაცრი იქნება დასავლეთი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით?**

— არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში ყველას აქვს საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნები, მათ შორის დასავლეთს და, ცხადია, ამერიკას. ამიტომ დასავლეთი ყოველთვის დაუჭერს მხარს საკუთარ ინტერესებს და არაფერს სხვას, ეს ნორმალური და ჩვეულებრივი ამბავია. თუ დასავლეთმა დაინახა, რომ მის ინტერესებს რომელიმე ქვეყანაში უკეთ იცავს ავტორიტარული რეჟიმი, რომელსაც მოსახლეობა ეგუება, დასავლეთი ასეთ რეჟიმს დაუჭერს მხარს და ადრეც დაუჭერია, გადახედეთ თუნდაც უახლეს ისტორიას. ხოლო თუ დასავლეთმა დაინახა, რომ მოსახლეობა არ ეგუება ავტორიტარიზმს და ეს დესტაბილიზაციას იწვევს, მაშინ დასავლეთი ამ ქვეყანაში მკაცრად მიუდგება არჩევნების საკითხს და მხარს დაუჭერს დემოკრატიას. დემოკრატიას და თავისუფლებას ძალით ვერავინ მოგისჯის, შენით უნდა მოიპოვო. დიქტატურაა ჩრდილოეთ კორეაში, მაგრამ მე არ მინახავს ქართველი, რომელიც იქ წასვლას და თავის გაწირვას აპირებდეს დემოკრატიის დასამყარებლად. არც კორეელი მოიკლავს ჩვენთვის თავს, არც ამერიკელი და არც ფრანგი. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თანხვედრაში მოვიდეს საქართველოს და დასავლეთის ინტერესები და ყველამ დაინახოს, რომ საქართველოში აუცილებლათ უნდა დამყარდეს დემოკრატია, აუცილებლად.

**მირანდა ნაბახტეველი**

# `subieqturi azris~ subieqturi azri `maestroze~

მეც და ჩემი ოჯახიც არალიბერასტული პოზიციის გამო "ენჯეოშნიკი" და პოლიტიკურის ლიბერასტებისთვისაც ქსენოფობებს, დესტრუქციულებსა და ფაშისტებსაც რომ წარმოვადგენთ — დიდი ხანია შევეგუე. სადღაც მეამაყება კიდეც, მაგრამ არასამთავრობოთა წრეში ასე მიღებული უფლებათა დამცველის, ამდენი ხნის სტაჟის მქონე ნანა კაკაბაძის სუბიექტური აზრიც ფაშისტობად თუ მოინათლებოდა, "გუშინ საიდანღაც გამოჩეკილი", შვილის ტოლა ლაწირაკი თუ მოსთხოვდა ბოდიშის მოხდას — ვერ წარმოვიდგენდი. მით უფრო გამიკვირდა ამ თემის იმ "მაესტროდან" ასე აიტაცება, რომელსაც ტელესივრცეში "ობიექტურობის ნიშა" უჭირავს. შალვა რამიშვილისგან, რომელმაც უცნობთან "საკანში" თავად განაცხადა: "ავანტურისტი ვარ და ფული მიყვარსო"— ეს არ გამკვირვებია. ყველაფერი არა, მაგრამ რაღაც-რაღაცები, ვაღიარებ, მისიც მომწონს ხოლმე. არც ამ გადაცემაში ნანა კაკაბაძის მოწვევა გამკვირვებია. ალბათ არც დიანა ტრაპაიძისგან უნდა გამკვირვებოდა (რომელსაც "იმედიდან", ალბათ, არ ვეხსომები), მაგრამ 7 ნოემბერს ორსული რომ დააგდეს ძირს, მე მახსოვს. შალვას ბევრი ჰყავს და ალბათ დიანასაც ჰყავს შვილები და მინდა ვკითხო: "თავად თუ ისურვებდნენ "ლგბდ" შვილებისა და მეორე ნახევრების ყოლას?". გასაგებია, რომ თემა პოპულარული და როგორც ახლა უყვართ თქმა — ეპატაჟურია. დღეს ბევრმა, ვისთვისაც და ვისი ოჯახებისთვისაც ასეთები ადრე, უბრალოდ, "პედერასტები" იყვნენ, "ლიბერალის ნიღაბი მოირგეს" და თავგამოდებით დაიწყეს მათი დაცვა. დღეს ეს "დასავალური და მომგებიანია". ტრადიციულ ლექსიკონში წერია: **„ïåäåðàñòèÿ- ìóæåëîâñòâî, èçâðàùåííûå ïîëîâûå ñíîø-åíèÿ ìåæäó ìóæ÷èíàìè“.** (პედერასტია, პედერასტობა— მამაკაცების გამოჭერა, მათზე ნადირობა, გარყვნილი სქესობრივი ურთიერთობაა მამაკაცებს შორის.) ახლა ფორმულირებაზე ნუ შემომედავებით და "ჰომოსქსუალები და გეები" არ მაძახებინოთ ამათთვის. ამათ მამა-პაპურად პედერასტები ჰქვიათ. ანეგდოტის არ იყოს — "გეი ვერსაჩე იყო, ჭიჭიკია კი პედერასტიაო", —ასეა ამათი საქმეც. თეა თუთბერიძისავით, "სუბიექტურ აზრში" "კომპეტენტური აზრისთვის" მოწვეული ვიღაც პატარა გაუნათლებელი გოგონა, მაგდა კალანდაძე, პოპულარობისთვის იღწვოდა და "დატრეინინგებული (გაწვრთნილი) ტერმინებით" ცდილობდა თავის დამკვიდრებას. თავის დროზე უწიგნური და თმებგაზეთილი, "ბოსტნის პრასივით ამოსული" თეა თუთბერიძეც პოპულარული, თეას აზრები კი „კომპეტენტური" სწორედ ტელევიზიებმა და პრესამ არ გახადა? აბა ისე თუთბერიძის არსებობას ვინ და რითი გაიგებდა? ნიჭითა, განათლებით ბრწყინავს, გვარიშვილობით, თუ დიდი ზნეობრივი პრინციპებითა და დახვეწილი სიტყვა-პასუხით? შვილო, მაგდა, ვირიშვილო-თქო გეტყოდი, მაგრამ მას შემდეგ, როგორც უფროსს, ნანა კაკაბაძეს ესაუბრებოდი, შესაძლოა, კომპლიმენტადაც მიიღო. თუმცა პატრონი რომ არა გყავს, იქედანაც გეტყობა— რა ორგანიზაციასაც წარმოადგენდი. ლესბოსელობა გინდა გოგონი?— იყავი, დაგიშალა ვინმემ? შინ გივარდებით, პასუხს გთხოვთ, თუ რატომ არ გასვენებს გამჩენი? თუთბერიძესთან შედარებით "ბრიჯიტ ბარდო" ხარ. რა გაგიჭირდა იმის ფასი "ლგბდ" საზოგადოების დაცვით რომ იმკვიდრებ თავს? შალვა რამიშვილმაც იმით დაიწყო, რომ ნანა კაკაბაძემ — "ჩემი აზრით, ჰომოფობიური განცხადებები გააკეთაო". "ჩემი აზრითაცო", დააყოლა ტრაპაიძემ, რადგანაც ორივე წამყვანს "პოპულარული ლუკმა" ჩაუვარდა თემად. ნანამაც უთხრა და საქმეც იმაშია, რომ შალვამაც და ბევრმაც შესანიშნავად იცის, რომ არანაირ ჰომოფობიაზე საუბარი არ მიმდინარეობს და უფლებების გამოხატვა-დაცვის კუთხითაც, ძირითადში, ქართულ ფასეულობებთან შეუთავსებელი "პედერასტების აღლუმის" ჩაუტარებლობის გამო "ღრნის" ბევრს. დაიაროს შალვამ "ვერის პარკიდან" დაწყებული "პეროვსკაიათი" გაგრძელებული და "უკომენტაროდ" ნახავს რამდენი ბარი და კაფეა "ასეთებისთვის და ასეთებით" სავსე. "სექსუალური უმცირესობების" დაცვაში კი მაინცა და მაინც ამათი შიშველი უკანალების საზოგადოების ცხვირწინ ტრიალი რომ იგულისხმება, ესეც იცის შალვამ, მაგრამ "ლიბერალურ დემოკრატიაზე" საუბარს ასე არგებს. ქართულ საზოგადოებას, რომელიც, საბედნიეროდ ჯერ კიდევ უმრავლესობაა, აღარ ეკითხებით უნდათ თუ არა ამათი სიშიშვლის ქუჩაში ყურება? არ ეკითხებით და თქვენს აზრსაც ძალად ახვევთ თავს. "გვერდზე უნდა გაიხედოო, ეს არის თავისუფლებაო" — აკი მითხრა კიდეც ლაშა ბუღაძემ, ნინია კაკაბაძის გადაცემაში დებატებზე მისულს. "ჩვენ გვერდზე უნდა გავიხედოთ", ამათ კი თავიანთი სიშიშვლით უნდა მოიწონონ თავი. "ევროპა-ევროპაო", რომ გაკერიათ პირზე, ჰკითხეთ იმ ევროპას, ტანსაცმელი სიშიშვლის დასაფარად მოიგონა თუ არა ადამიანმა? "გვერდზე გახედვამ" და "ლეღვის ფოთლებმა" რატომ არ უშველა საქმეს?

ბევრი გარყვნილი მილიონერი დიდ ფულს დებს და ფონდებსაც უქმნის ასეთებს, რადგან უკიდეგანო სიმიდრეს უკიდეგანო გარყვნილებაც მოჰყვება ხოლმე თუ ადამიანს შინაგანი ზნეობის დეფიციტი აქვს. ეს ფონდებიც ისეთი გაუნათლებელი, "ენაგატლეკილი ლიბერალების" დაფინანსების შესანიშნავი გზაა, როგორიც ეს მაგდა კალანდაძე გახლდათ. "ჩვენ ერთნი ვართ, ჩვენ თანასწორნი ვართ" ორგანიზაციას "პედერასტების" აღლუმი ჩაუვარდა. ახლა ახალი შექმნეს- "ლგბდ.გე" და "იდენტობა". თუ რამე არ იღონეს, მთელი "ლიბერალური ბომონდი რჩება მშიერი". შესაძლოა, დაფინანსებაც შეუწყვიტონ. ახლა თავს მოიკლავენ "პატრონებს" ერთგულება რომ დაუმტკიცონ. თან ბიბლიურად ანტიქრისტეს პერიოდიც ახლოვდება და ვინ თუ არა "21-ე საუკუნის სოდომისტმა პედერასტებმა" უნდა ითავონ საქართველოში "სოდომ-გომორას" მოწყობა. ვიღაც არსაიდან ამომძვრალი ლაწირაკი ბოდიშის მოხდას რომ ითხოვს, საზოგადოების უმრავლესობის აზრს შეურაცხყოფს და იარლიყებს აკერებს, საზოგადოებას რატომ არა აქვს უფლება აქეთ გიწოდოთ ის, რაც რეალურად ხართ? გარყვნილებისა და აღვირახსნილობის პროპაგანდისტები და ხელშემწყობები! ***რატომ არ იქნა დაცული გადაცემაში საზოგადოების უმრავლესობის პოზიცია, როდესაც "მაესტროს" გადაცემების ყველა რეკლამა მხოლოდ იმას ქადაგებს, რომ ის საზოგადოების აზრსა და პოზიციას გამოხატავს. თუ ეს მხოლოდ "საზოგადოების ლიბერალური ფრთის პოზიციას" გულისხმობს, მაშინ ეს ტელევიზიაც სახელისუფლებო ყოფილა!***

„ფობიაც“ რაღაცის მიმართ შიშს ნიშნავს. "ასეთი ფობიები" კი, საზოგადოებრივი აზრის მიუღებლობის გამო სწორედ ლიბერალები არიან და არა ჩვენ-"ფაშისტები", რადგან ამ საზოგადოების მათ ეშინათ. "80-იანი წლების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალაო", — რამიშვილმა თქვა. მიუხედავად იმისა, რა პოლიტიკური ვითარებაა მსოფლიოში და რომელი სუპერსახელმწიფოს პოლიტიკური გავლენა მატულობს რეგიონში, ზნეობრივი ფასეულობები და მორალი საზოგადოებისთვის არ იცვლება. ამის შეცვლა მათ აწყობთ, ვინც თავადაა ასეთი და სახელმწიფო იდეოლოგიასაც ასეთს ნერგავს. ზნეობრივი ფასეულობების შეცვლა "დამფინანსებლების და პოლიტიკური პოზიციების სისწრაფის" მსგავსად, ასე მარტივად არ ხდება, ჩემო შალვა. ვეთანხმები იმ ენაგატლეკილ ლიბერალ მაგდას იმაში, რომ პედერასტებისა და ლესბოსელები ბუნება მათი




იდენტობაა, ასეთებად დაიბადნენ. კი, ბატონო, ასეთად დაიბადა, მაგრამ ასეთად დაბადება ჩემთვისაც ნორმა და ბუნების კანონი რატომაა? "მაიმუნიდან ადამიანის წარმოქმნის" არ იყოს — ყველა მაიმუნი ადამიანად რატომ არ გარდაიქმნა? ასეთი ცხოვრების წესი რომ არ მოგვწონს აქეთ ვართ ფაშისტები?

ნანამ რატომღაც არ ახსენა ის სახელისუფლებო არხები და გადაცემები, რომლებიც სწორედ პედერასტიის პროპაგანდას ეწევიან. გაგახსენებთ იგივე "იმედზე" სიმართლის დროს", სადაც პედერასტი ქუთაისელი ლექტორი ღიად და ამაყად საუბრობდა თავის პედერასტულ მიდრეკილებებზე. გაიხსენეთ "ბესო-კესო" თუ ვიღაც ოხრობა. ეს გატლეკილი მაგდა კალანდაძე "მაესტოზე" ამტკიცებდა "ღია პროპაგანდას ადგილი არა აქვს არსადროსო". აქვს ჩემო კარგო! როცა ტელევიზია შენისთანა "არსაიდან მოსულ", ახალგაზრდას ტელეეთერს დაუთმობს და აზრს ეკითხება, მეორე შენისთანა გაუნათლებელი კი გიყურებს, მისთვის ეს უკვე "ცნობადობა, პოპულარობა" და პროპაგანდა — "შენც ასეთი გახდი, და ტელევიზორითაც გამოხვალ, ფულსაც მოგცემ და გრანტსაცო". იქნებ სახელისუფლებო არხებზე გასულ ყოველ მეორე სერიალში არ გადის, ჩემო მაგდა, პედერასტი მამაკაცების "სასიყვარულო ურთიერთობები"? თანაც რა კუთხით: "აგერ, იმ ევროპასა და დასავლეთში, საითაც მივილტვით და სადაც ასე "კარგად, ფუფუნებაში და დემოკრატიულად" ცხოვრობენ ხუან კარლოსები, კასანდრები და მარიები — ეს პედერასტობა და ლესბოსელობა ასე მისაღებიაო". ჩვენ დეკლარირებულად ევროპისკენ მივილტვით და ბევრმაც "ევროპული ფასეულობა" სწორედ ასე შეიძლება გაიგოს და "თავიც მოგვეჭრას". ან შესაძლოა, "შენისთანა ახალგაზრდებმა" იფიქრონ, რომ "ევროპული დემოკრატია და ფასეულობა" პედერასტობა, ლესბოსელობა, პროსტიტუცია და არატრადიციული სექტების დაცვაა. იქნებ "ჩვენს მაღალსა და ლამაზსაც" ასე ჰგონია და ამიტომ გვიდგამს გარყვნილებისა და აღვირახსნილობის ძეგლებს? არ არის ეს პროპაგანდა? მე კი გაზეთის ფურცლიდან აღარ ჩამოვთვლი ხელისუფლებაში თანამდებობებზე მყოფ პედერასტთა გვარებს. თბილისი პატარაა და "კოლმეურნეობის თავმჯდომარის" პრინციპით, ყველამ ყველაფერი იცის. მათ ოჯახებსა და შვილებსაც მოვერიდები. თუმცა უფლებათა დამცველი არა ვარ. რიგითი ქართველი, შვილი, ცოლი, დედა და უკვე ოთხი ბიჭის ბებიაც ვარ, რომელსაც მიმაჩნია, რომ ასეთი ურთიერთობების აგიტაცია, არა მარტო გადახრა და გარყვნილება — უდიდესი ცოდვაცაა. ამ ტუტრუცანა ლიბერალმა გოგომ კი არ იცის, რადგან არც ოჯახში უსწავლია და არც ლიბერალებს ასწავლიან, რომ უფროს ადამიანს შენობით არ უნდა მიმართო! წამყვანებსაც რატომ არ ეხამუშათ დედის ტოლა ქალთან ტუტრუცანა გოგოს შენობით საუბარი? ამ ლიბერალი მაგდას მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ზრდილობა არა, მაგრამ ლიბერალებსაც სცოდნიათ, რომ **თურმე ასაკზე აპელირება არ შეიძლება**. ეს კი სწორედ დღევანდელი სახელისუფლებო პოლიტიკის ნაწილია— გატლეკილი არასრულწლოვანი, გაუნათლებელი ახალგაზრდებისა და "თინეიჯერების" მინისტრებად და საპასუხისმგებლო ადგილებზე დანიშვნა. თეა თუთბერიძე დღეს პროფესორია, დაიხსომეთ მაგდა კალანდაძის სახელიც! ის, შესაძლოა, აკადემიკოსიც ან რექტორიც გახდეს ხუბუასავით! ***შალვა რამიშვილმა კი ხაზგასმულად ვიღაცას "დაუმესიჯა", როდესაც განაცხადა, რომ "საზოგადოება არის დაავადებული კომპლექსით, რომ გვიტევენ. ჰომოსექსუალები, გვიტევენ მასონები"***-ო. ჩემო შალვა, ჰომოსექსუალები კი არ გვიტევენ. არამედ ვერ გვიტევენ სწორედ ეს აგიჟებთ, თორემ დიდი ხანია მოკალათდნენ თანამდებობებზე და სტრუქტურებში. ამდენი შვილის მამა, შენ "რა-




იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**ვესაუბრებით ადამიანის საერთაშორისო უფლებათა განათლების დარგის ექსპერტს პროფესორ ბიძინა სავანელს.**

**— ბატონო ბიძინა, რა სამართლებრივი სტატუსი ელოდება საქართველოს?**

— სტალინმა **დაიწყო** საქართველოს გარედან დაგეგმილი პოლიტიკური დაშლა, როდესაც მან სამი პოლიტიკური ავტონომია შექმნა.

შევარდნაძემ **გააგრძელა** საქართველოს გარედან დაგეგმილი პოლიტიკური დაშლა, როდესაც მან გაეროს სტანდარტების და პრაქტიკის საწინააღმდეგოდ აფხაზეთში და "სამხრეთ ოსეთში" რუსეთის შეიარაღებულ ძალებს სამშვიდობო სტატუსი მიანიჭა.

სააკაშვილი **ამთავრებს** საქართველოს გარედან დაგეგმილ პოლიტიკური დაშლას, როდესაც მან სამხრეთ ოსეთის ავტონომია აღადგინა და მას ახალგორი, ხოლო აფხაზეთს ზემო სვანეთი მიუერთა და რუსეთთან ომი წამოიწყო, რითაც ხელი შეუწყო რუსეთს გაფართოებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია მოეხდინა და ისინი დე-იურედ ეღიარებინა. ისვე თურქეთს ხელს უწყობს აჭარის ეკონომიკური, დემოგრაფიული და რელიგიური და ბოლოს მცოცავი პოლიტიკური ოკუპაცია მოახდინოს. მასვე სამხრეთელი მეზობლის ოცნების ასახდენად საქართველოს დედაქალაქი ქუთაისში გადააქვს. ისვე ჰპირდება აზერბაიჯანს ბორჩალოს მაზრის აღდგენას მისი აზერბაიჯანისთვის მიერთების პერსპექტივით. იგივე აღვივებს სამეგრელოში კუთხურ სეპარატიზმს და შეიარაღებული კონფლიქტის ინიცირებით რუსეთს სამეგრელოს აფხაზეთთან მიერთება უწყობს ხელს, აფხაზეთში, მოგეხსენებათ, დღეს ეროვნული უმრავლესობა სომხები არიან.



# SevewinaaRmdegoT saqarTvelos saxelmwifos daSlis garedan dagegmil bolo etaps

ამ დროს ჩვენ რუსეთისაგან, თურქეთისაგან, სომხეთისაგან და აზერბაიჯანისაგან ფარულად მხარდაჭერილი სააკაშვილი არჩევნებით გვსურს დავამარცხოდ?! ფუჭი ოცნებაა!

ამას დაუმატეთ, შიდა და საერთაშორისო დანაშაულებისთვის სასჯელთა შეკრების წესით დღეს მოქმედი ორმოცდაათამდე თანამდებობის პირის 30 წელზე მეტი ვადით სისხლის სამართლის მოსალოდნელი პასუხისმგებლობა, რის გამოც ისინი ხელისუფლებას, ასე ვთქვათ, "ცოცხალი თავით" არ დათმობენ.

ამიტომ გარედან დაგეგმილ საქართველოს პოლიტიკური დაშლის დამამთავრებელ ეტაპს ერთად უნდა შევეწინააღმდეგოთ. "მტერისა შინა ყოლასა, ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობიაო".

**— როგორც ექსპერტები ამბობენ, დღეს საქართველო ღრმა შიდა კრიზისში იმყოფება. სამართლებრივმა მიზეზებმა განაპირობა ეს კრიზისი?**

— ჩემთვის, როგორც სამართლის თეორიისა და პრაქტიკის მკვლევარისთვის, მთავარი მიზეზი ათეული წლების განმავლობაში სტერეოტიპად ქცეული ხელისუფალთა დაუსჯელობის დანაშაულებრივი პრაქტიკაა. აბა, თვალი გადავავლოთ საბჭოთა და დღეის ჩათვლით შემდგომ პერიოდს და ერთ დასკვნამდე მივალთ: მაღალი თანამდებობის ყველა პირს ყველაფერი შერჩა. დღეს ეს პროცესი ფართოვდება და ღრმავდება. მე მხედველობაში მაქვს მაღალი თანამდებობის პირების მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით ერის კუთვნილი ეკონომიკური ობიექტების თუ ბუნებრივი რესურსების მითვისება-გასხვისება, სულიერი ღირებულებების ნგრევა და ახალგაზრდობის მიზანმიმართული ზნეობრივი გადაგვარების პოლიტიკა. ვკითხულობ: ვინ დაისაჯა? არავინ! ცივილიზებული კაცობრიობისათვის დასჯა თვითმიზანი არ არის, იგი დანაშაულის ზოგადი პრევენციის მიზანს ემსახურება.

ხომ ცხადი ფაქტია, რომ უკანასკნელი 55-60 წლის მონაკვეთში პარაზიტული ელემენტების ხელისუფლებაში მოსვლის უმთავრესი მიზანი ხელისუფლების ბოროტად გამოყენების გზით უზომო გამდიდრება იყო და დარჩა. დროის მთელ ამ მონაკვეთში ყველას ყველაფერი შერჩა. ესენიც ამას გააგრძელებენ.

**— გამოსავალი არ არის?**

— მოკლედ გიპასუხებთ, რადგან დასაბუთებული პასუხი ქართულ პრესაში არაერთხელ გავაჟღერე.

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5, პუნქტი 2-ის ძალით: "საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის და **უშუალო** დემოკრატიის სხვა ფორმების და მათ მიერ არჩეული დეპუტატების მეშვეობით." სხვა სიტყვებით: რეფერენდუმის, როგორც **უშუალო** დემოკრატიის ფორმით ჩატარებას ხელისუფლების მხრიდან **"გაშუალება"** არ სჭირდება.

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5 პუნქტ 2-ზე დაყრდნობით, მიუკერძოებელი არასამთავრობო ორგანიზაციების მეოხებით ჩატარებული რეფერენდუმის გზით ერმა თავისი ნება **უშუალოდ** უნდა გამოხატოს, და **არა შუალობითი** დემოკრატიის ფორმით ანუ სხვა ერზე სულმიყიდული დეპუტატების "დახმარებით".

ნიშანდობლივია, რომ უშუალოდ გაეროს ანდა ეუთოს მიერ ჩატარებულმა არჩევნებმა სანიმუშოდ გაამართლა: ხორვატიაში, პერუში, კამბოჯაში, აღმოსავლეთ საჰარაში, ალბანეთში, პარაგვაიში, მექსიკაში, ბრაზილიაში, მაკედონიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

სარეფერენდუმო კითხვები შემდეგია:

**1. უნდა აღუდგეს თუ არა ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა?**

**2. უნდა ჩამოერთვას თუ არა მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა?**

**3. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები გაერომ და ევროკავშირმა ერთობლივად უნდა ჩაატაროს თუ არა?**

**ანა ვადაჭკორია**

---

ტომ ღელავ" ასე ამ ლიბერალებზე? არ მითხრა ახლა, რომ ამით რამეს, ან ვინმეს პრინციპებს იცავ? დიდი ფულის გარდა, (დამეთანხმები, ალბათ,) ყველა პრიცნიპი "ფეხზე გკიდია". ბევრისგან განსახვავებით, გულწრფელი მაინც ხარ და არ დაგიმალავს, რომ რასაც ემსახურები — მხოლოდ ფულის გამო აკეთებ ამას. პირადად ჩემთვის ეს ადამიანის პლუსი არ არის. თუნდაც "კრეატიულის", რადგან ასეთი, სწორედ ამ ფულისთვის "თხასავით გაგყიდის". ეს ჩემი "სუბიექტური აზრია" და იმედი მაქვს, არაჰომოფობიური. რაც შეეხება მასონებს, ეს თემა "202"-ის ეთერშიც არაერთხელ გიხსენებია, რადგან "შეთქმულების თეორიაზე" საუბარი პოპულისტურია. რაც არ არსებობს, იმაზე არც კამათობენ და არც არეგისტრირებენ როგორც ორგანიზაციას. ტროცკისტი ბოლშევიკების პრინციპი იყო ემტკიცებინათ ღმერთის არარსებობა. რა საჭიროა იმის არარსებობის მტკიცება, რაც მიგაჩნია, რომ არ არის?! "მასონური ლოჟა" კი ამ ხელისუფლებამ დიდი ხნის წინ დაარეგისტრირა, როგორც პოლიტიკური სუბიექტი და დათო გამყრელიძისგან იმ პერიოდში ისიც მოვისმინე: "რა მოხდა, ამერიკაშიც არის ასეთი პოლიტიკური ორგანიზაციაო". აშშ-ში სატანისტების სექტაცაა დარეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტად. ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ ჩვენც უნდა დავარეგისტრიროთ და მოვიწონოთ. ჩემო შალვა, საზოგადოებას არ შეიძლება ჰქონდეს "კომპლექსი" და მით უფრო, ***<u>კომპლექსით დაავადებული</u>*** ვერ იქნება, რადგან საზოგადოება დროთა განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციებითა და ნორმებით ცხოვრობს. რასაც შენ "კომპლექსს", ლიბერალები კი — "ჩვენს სიბნელესა და ფუნდამენტალიზმს" უწოდებენ, ამას "ქართული ეროვნული მსოფლმხედველობა" ჰქვია, რომელსაც ლიბერალების სურვილისამებრ ვერავინ შეცვლის.

ჩემო შალვა, დაავადებული საზოგადოება კი არ არის, მას "ის ადამიანები აავადებენ", რომლებიც სწორედ <u>საზოგადოების სიჯანსაღის განზრახ დაუნახავობაში,</u> ლიბერალიზმის პროპაგანდაში ფულის აღებით ცდილობს ცხოვრების აწყობას. საბედნიეროდ, დღეს ქართველ ხალხს საკმარისზე მეტი ინფორმაცია გააჩნია ლიბერალიზმის არსზეც და მისი პროპაგანდის მიზნებზეც. ან როგორ გავიგოთ ის, რომ ***<u>ჟურნალისტი და გადაცემის წამყვანი შალვა რამიშვილი საზოგადოებას აყენებ შეურაცხყოფას,</u>*** აცხადებ: "რომ ***<u>თურმე მთელი საზოგადოება ყოფილა "კომპლექსით დაავადებული"</u>***. ეს "დაავადება" კი თქვენი "ტლიკინა რესპონდენტის" პრინციპით, ჩვენი "ნიშან-თვისებაც" და იდენტობაც ყოფილა! ქართული საზოგადოების ამ "ნიშან-თვისებას, "დაკომპლექსებულობას" ლიბერალები და სჩანს, შენც ვერ ღებულობთ, რადგან სწორედ "ქართულისადმი და ტრადიციულისადმი ფობიითა" ხართ დაავადებული. ან თუ ასეთი დემოკრატები და ლიბერალები ხართ, რატომ არ მოითხოვთ საზოგადოების დიდი ნაწილის რელიგიური და ტრადიციული გრძნობების შეურაცხყოფისთვის ერეკლე დეისაძისა და ზაზა ბურჭულაძისგან ბოდიშის მოხდას? იმიტომ, რომ ისინიც "თქვენს საქმეს" აკეთებენ და გარყვნილების პროპაგანდას ეწევიან, რათა "ცივილიზებული მსოფლიოს" თვალში ქართველები "ბნელი ფუნდამენტალისტების" სახით წარმოჩინდნენ და ვიღაცამ თავისი გარყვნილება და "სოდომისტური ფუფუნებით" ცხოვრება ჩვენი "სიბნელით, შეუწყნარებლობით და "სიძულვილის ენაზე საუბრით" გაადებულნი" და "დაკომპლექსებულნი", თუ სწორედ ისინი, ვისაც, შესაძლოა, არც მოსწონდეს, მაგრამ მოდურობის, პოპულიზმისა და დიდი ხელფასის გამო ამაზე ხმამაღლა საუბარს ვერ ბედავდეს? შენ კი, შალვა, როგორ შეგეტყო მიშას რომ აპიარებდი? იმან "ჩარეცხა" საზოგადოება, შენ კი, "დაკომპლექსებულებულად" მონათლე. როგორც იტყვიან „î äí à ø êî ëà“. აი, აქ კი მაგრა ჩაიჭერი ჩემო შალვა! "კომპლექსით დაავადებული საზოგადოება"




მართლოს! ***<u>აბა, რომელიმე პედერასტი დაეპატიმრებინათ, რა ამბავს ატეხდნენ ქართველი ლიბერასტები საერთაშორისო დონეზე, თუ წარმოგიდგენიათ?</u>*** ჩვენ კი ასეთებად დავიბადეთ და ეს ჩვენი იდენტობაა. ანუ როგორც შალვა თვლის — "კომპლექსი". თქვენ კი ლიბერალებო, იმიტომ, რომ სწორედ "ფობია" გჭირთ, ჩვენი — "კომპლექსით დაავადებულების" ასეთებად მიღება არ გსურთ და ხან — ფაშისტებს, ხან — ქსენოფობებს და ხან — ექსტრემისტებს გვეძახით. ვეკითხები იმდღევანდელი "სუბიექტური აზრის" ორივე წამყვანს: ვინაა ახლა ჩვენს შორის ქსენოფობი, ჩვენ — "ჩვენი ტრადიციული იდენტობით დაბაასეთ "ტუტუცობებზე" ცუდად რეაგირებს. („გოიმები ვართ" და „ლიბერალური ხუმრობა" არ გვესმის!) თქვენებური, "ლიბერალური დემოკრატია?" სიმართლის თქმისთვის და ზნეობრივი პრინციპების დაცვისთვისთვის გრანტებს არ იძლევა. საინტერესოა, რატომ არ დასთანხმდი ოპოზიციონერო შალვა რამიშვილო ნანა კაკაბაძის მოთხოვნას — ჰომოსექსუალიზმის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის "მაესტროში" ჩატარებაზე? იმიტომ, რომ ზუსტად იცი, როგორი იქნებოდა დადებითი პასუხი, მაგრამ ახლა "დემოკრატობანასა და ლიბერალობანას თამაშის" დროა, როგორც ადრე "ნაციონალობანას თამაშის". დიანა ტრაპაიძემაც დაამატა: ***<u>"თანამედროვე საფრანგეთში სიძულვილის გამავრცელებელი სიუჟეტების ნახვა აკრძალული არისო".</u>*** პორნოგრაფიული ფილმების გაშვებაც აკრძალულია ევროპის ბევრ ქვეყანაში, დღისით მზისით, ჩემო დდიანა, მაგრამ ამაზე ხმა რაღაც არ ამოგიღიათ?! საფრანგეთში კი პედერასტი მერიც აირჩიეს და პედერასტებსაც აქორწინებენ. რაც იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენც იგივეს მოვიწონებთ, რადგან ჩვენი იდენტობა (ანუ შალვას კლასიფიკაციით, "კომპლექსი") ამის უფლებას არ გვაძლევს. საფრანგეთში მთელი სამეფო კარი — ბიძაშვილ-მამიდაშვილებიანად ერთმანეთის ლოგინში რომ გორაობდა, საქართველოში ქალსა მამაკაცს სატევარი ედოთ. ძმაკაცის დის შეყვარებასაც არ ბედავდნენ. ისიც დად ითვლებოდა. სწორედ ლიბერალებს და ფულის გამო მათ "ტაშ-ფანდურზე მოთამაშეებს" გძულთ ნორმალური საზოგადოება, ნორმალური ზნეობა და ბუნების ნორმალური კანონები. ჩვენთვის მიუღებელის, "თქვენთვის" მისაღებობის გამო კი თურმე აქეთ უნდა გიხადოთ ბოდიშები? ვინა ხართ, რას წარმოადგენთ, იგივე ბოდიში და პასუხი რომ არ მოგთხოვოთ საზოგადოებამ ერის შეურახყოფისთვის? რატომ არ არის ეს იგივე ქართველების იდენტობის მიმართ ასეთი დამოკიდებულება — "შოვინიზმიც, ფაშიზმიც და ქართველთფობიაც" ახლა კი სადაც გინდათ იქ მიჩივლეთ და ბოდიშის მოხდა მოითხოვეთ. ბოდიშის მოხდა არასდროს მითაკილია, მაგრამ რაშიც ცამდე მართალი ვარ, იმაში ბოდიშს არ ვიხდი!

**ბაია ამაშუკელი**

# 6,4 miliardis saidumlo _ biZina ivaniSvili Tavisi biznes-imperiis, marTvis modelis, warmatebis saidumlos da bednierebis Sesaxeb

**- ამერიკულმა Forbes-მა თქვენი ქონება 6,4 მილიარდად შეაფასა. რამდენად სწორია ეს შეფასება?**

- ვფიქრობ, რეალობასთან მიახლოებულია. ქონების შეფასებისას ყოველთვის არის ცდომილების შანსი, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რა ხდება საფონდო ბაზარზე და როგორ მერყეობს სურათი. თან, გააჩნია, როგორი პრინციპით შეაფასებ: თუ დღესვე გინდა ქონების თუნდაც ნაწილის რეალიზება, მისი ფასი ალბათ ნაკლებია; თუ ერთი წლის შემდეგ, როცა კრიზისის შემდგომი ზრდა იქნება შესამჩნევი, ცოტა უფრო მეტია ფასი. მოკლედ, ამერიკული ფორბეს-ის შეფასება მეტ-ნაკლებად კორექტულია და არ შევედავებოდი.

**- საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო მოხელე თუ გახდებით, ქონებრივი და ფინანსური დეკლარაცია უნდა შეავსოთ. ასე რომ იყოს, ბევრ სიურპრიზს აღმოვაჩენდით თქვენს დეკლარაციაში?**

- არც ერთი სიურპრიზი არ იქნება, მთელი ქონება გამჭვირვალე მქონდა და მაქვს. შემთხვევით არ ვაკეთებ აუდიტს ქველმოქმედებაზეც კი. ამ მხრივ არანაირი დაფარული პოზიცია არ მქონია, ყველა ბანკს, ვისთანაც ვთანამშრომლობ, ყოველთვის ვუგზავნი აუდიტის ანარიცხებს და ჩემ მიერ გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციას.

**- როცა უკვე მილიარდერი ხარ, გზის დასაწყისი შეიძლება არც გახსოვდეს. თუმცა, იქნებ მაინც გაიხსენოთ, თავიდან რატომ გაგიჩნდათ ბიზნესის წარმოების იდეა, რა იყო სტიმულის მიმცემი?**

- ელემენტარულად, როგორც ყველა არაფრის მქონე ადამიანი, მეც ვფიქრობდი, რამე შემეძინა, ფეხზე დავმდგარიყავი და გავმდიერებულიყავი.

რა სასტარტო პირობები მქონდა? არ გამაჩნდა ბინა, ერთი საერ-



თო საცხოვრებლიდან მეორეში გადავდიოდი, სოფლიდან 50 მანეთით ჩამოვედი და, მგონი, ჩემმა მშობლებმა ეს თანხაც მეზობლებში ისესხეს. 15 მანეთს ვიხდიდი ბინის ქირად, სვანეთის უბანში ვცხოვრობდი და ტრამვაის გაჩერებიდან ნაქირავებ სახლამდე კიდევ 15 წუთი ფეხით სიარული მიწევდა. მარტო ქარხნამდე (კამოს სახელობის მექანიკურ-ჩამომსხმელ ქარხანაში ვმუშაობდი) მისასვლელად გზაში ვხარჯავდი ბევრ დროს და ენერგიას. ქარხანაში ვმუშაობდი და უნივერსიტეტში საღამოს ფაკულტეტზე ვსწავლობდი. დღის დასწრებულზე სწავლაზე ვერც ვიოცნებებდი, რადგან არაფერი გამაჩნდა და დღისით ქარხანაში ვიყავი.

თუმცა, 1980-ში, როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, კათედრაზე დარჩენა შემეძლო, მაგრამ არ მოვინდომე. ის დრო, მოგეხსენებათ, როგორი იყო: დიპლომი არაფერს განსაზღვრავდა, არც წამბიძგებელი მყავდა ვინმე. ასე რომ, მე თვითონ რამე ისეთი უნდა გამეკეთებინა, რაც ცხოვრებაში დამეხმარებოდა.

1982-ში მოსკოვში ასპირანტურაში ჩავაბარე, დისერტაციაც დავიცავი. თუმცა, როცა ამის შემდეგ თბილისში დავბრუნდი, საერთო საცხოვრებელშიც კი აღარ დამაბრუნეს, თურმე, აღარ შეიძლებოდა. ასე რომ, უკიდურესად გაჭირვებულ დღეში ვიყავი.

ამ დროს „პერესტროიკა“ იწყებოდა. ველოდი ჩემს დროს. ვიცოდი საბჭოთა კავშირის მაკროეკონომიკური მდგომარეობა, ქვეყანა გაკოტრების პირზე იყო და დაშლის პროცესი გარდაუვალი იყო.

ამ დროს მსოფლიო სრულიად ახლებურ სისტემაზე იწყებდა გადასვლას: სწორად გავთვალე, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებაზე უარს ვერავინ იტყოდა, თან ინფლაციაც გარდაუვალი იყო, რაც დამატებით მომგებიან ეფექტს ქმნიდა და ამ პროცესში ჩავერთე. სწორედ ამით დავიწყე, მერე კი ელექტროტექნიკით გავაგრძელე.

ბიზნესი არ დამიწყია იმ ფიქრით, რომ უნდა გავმდიდრებულიყავი. 33 წლის ვიყავი, არ მქონდა ბინა, არ გამაჩნდა არაფერი, არ ვიყავი დაოჯახებული, ინსტიტუტში ვიყავი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ელემენტარულად ცხოვრების მოწყობა მინდოდა. პირველი მარტივი წარმოებაც ამ მიზნით დავიწყე.

**- კერძოდ?**

- არმირებული შლანგების გამოშვება დავაპირე. საქართველოში დავიწყე წარმოების გამართვა, თვითონვე ვჩარხავდი მოწყობილობისთვის საჭირო დეტალებს, რომ უფრო იაფი დამჯდარიყო, მაგრამ წარმოების აწყობას დიდი დრო უნდოდა. სწორედ ამ დროს დაიწყო გამალებული კომპიუტერიზაცია და კომპიუტერებზე მოთხოვნა გაჩნდა. ტრადიციულად ვმეგობრობდი ქართველ ებრაელებთან, რომელთა დახმარებითაც ავაწყე ეს ბიზნესი. პრობლემა კომპიუტერების შოვნა იყო, თორემ სამეცნიერო ინსტიტუტები ხშირად უყოყმანოდ გირიცხავდნენ ფულს.

ვისარგებლე ჩემი ახლო ნაცნობობით და გავაკეთე ამ საქმის კარგი ორგანიზება. მე ჩამოვუტანე პირველი კომპიუტერები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. რაკი ვივალდებულე ეს საქმე, არ მინდოდა, თავი შემერცხვინა და ლამის ჩემთვის სარგებლის გარეშე ჩამოვუტანე კომპიუტერები. ძალოვანი უწყებების „ინეტერესსაც“ პირველად მაშინ შევეჯახე.

**- რას გულისხმობთ?**

- მარტო ის ფაქტი, რომ კომპიუტერების საფასური ჩამირიცხეს და დიდი ფული გამოჩნდა ჩემს ანგარიშზე, საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისთვის ყადაღა დაედოთ. საქართველოს იმდროინდელ გენერალურ პროკურორამდე მივედით რკვევა-რკვევით, რატომ დაგვიყადაღეს ანგარიში. პასუხად ის მივიღეთ, რომ უკვე წლების განმავლობაში არსებობდა კოოპერატივები, მაგრამ ამხელა თანხა არც ერთის ანგარიშზე არ ყოფილა და უნდა გაერკვიათ, რა ხდებოდა.



დაახლოებით ერთი თვე ველოდი ამ საკითხის გარკვევას და მივხვდი, რომ აქ საქმე არ გამოვიდოდა. ის ფული, მგონი, არც ამიღია. როცა ანგარიში განბლოკეს, უკვე საკმაოდ მდიდარიც ვიყავი და იმ ფულსაც ღირებულება დაკარგული ჰქონდა.

თუმცა, ხომ იცით, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ამ ისტორიის მერე წავედი რუსეთში. საქართველოში რომ დავრჩენილიყავი, ალბათ, ბიზნესის წარმოების ამხელა მასშტაბებზე ვერ გავიდოდი.

**- „არ მინდა, რამე ისეთი გავაკეთო, რაც პირად თავისუფლებას შემიზღუდავს“, - ეს ფრაზა თქვენი განცხადებიდან არის. ახერხებთ ამ პრინციპის დაცვას?**

- პირადი თავისუფლების შენარჩუნებას ყოველთვის ვახერხებდი. ნიჭიერი ადამიანის ჩემეულ ფორმულაშიც ასეა: ნიჭიერმა ადამიანმა უნდა მოახერხოს, რომ თავისი ქმედებით სიცოცხლე და თავისუფლება არ დააყენოს ეჭვქვეშ, საციხოდ არ გაიხადოს საქმე, კანონი არ დაარღვიოს და ა.შ. მგონი, ვახერხებდი ამას არცთუ უნიჭოდ. თუ არ ჩავთვლი ბოლო სვლას (პოლიტიკაში მოსვლას), როცა არჩევანის გარეშე დავრჩი და იძულებული გავხდი, გადამედგა ეს ნაბიჯი. თუმცა დღეს ბედნიერი ვარ, რომ გადავდგი ეს ნაბიჯი და არ დავრჩი თავისუფლების ლოკალური და ძალიან სუბიექტური აღქმის სიბრტყეზე. გლობალურად თუ გინდა, თავისუფალი იყო, შენი ქვეყანაც თავისუფალი უნდა იყოს. თავისუფლად, სრულფასოვნად მარტო შენს ქვეყანაში გრძნობ თავს, შენნაირებთან ერთად. თუ ეს გაკლია, სადაც არ უნდა წახვიდე, ვერც თავისუფალი იქნები და ვერც ბედნიერი.

**- თქვენი ბიზნესი რუსეთში იმ დროს აყვავდა, რომელზეც ზოგადად ასეთი კლიშე არსებობს: კრიმინალის, ძლიერი მფარველების და სისხლიანი დაპირისპირებების გარეშე დიდი ფულის შოვნა შეუძლებელი იყო...**

- მე მაქვს ჩემი პირადი ისტორია, როგორ ვქმნიდი ბიზნესს. ალბათ, გახსოვთ ე.წ. **Cåìèáàíêè-ðùèíà** - რუსეთის მსხვილი ბიზნესის არაოფიციალური ერთობა, რომელშიც ჩემი დაფუძნებული ბანკი **Ðîññèéñêèé Êðåäèò**-იც ითვლებოდა. სულ მქონდა ოცნებად, წლების მერე დავმსხდარიყავით იმდროინდელი მსხვილი ბიზნესმენები და გაგვეხსენებინა, ვინ რას აკეთებდა. მათგან ყველასთან ვმეგობრობდი და კონფლიქტში არავისთან შევსულვარ, როცა დანარჩენები ერთმანეთს არაერთხელ დაუპირისპირდნენ და თან ძალიან დაუნდობლადაც.

ასე რომ, ჩემი პასუხი ჩემს კონკრეტულ ქმედებებში ძევს. სამ პატარა ისტორიას გეტყვით: როცა საინვესტიციო აუქციონზე მიხაილოვსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის 20% შევიძინე და ცოტა ხანში საინვესტიციო პროგრამის გათვლებში შეცდომები აღმოვაჩინე, პროგრამა თვითნებურად არ შევცვალე და ეს პაკეტი სახელმწიფოს დავუბრუნე. გარწმუნებთ, ეს მაგალითი უპრეცედენტოა რუსეთის პრივატიზაციის ისტორიაში.

როცა 1998 წლის დეფოლტი გამოცხადდა, Ðîññèéñêèé Êðåäèò-ს არც ერთ ვალდებულებაზე უარი არ უთქვამს (რაც ყველა სხვა ბანკმა გააკეთა) და ყველა ბოლომდე გავისტუმრეთ. დაბოლოს, უმსხვილესი ტიუმენის სანავთობო კომპანიის ყიდვის ისტორიას გავიხსენებ, სადაც პარტნიორებად მე და ვიქტორ ვექსელბერგი (ამჟამად Forbes-ის სიის №64, ქონება - 12,4 მილიარდი დოლარი) გამოვდიოდით. მაგრამ როგორც კი ამ პრივატიზების კანონიერება დააყენეს ეჭვქვეშ, მაშინვე გამოვეთიშე პროცესს. რატომ, არ შემეძლო თვალი დამეხუჭა? ვექსელბერგი დღესაც ამ აქტივის მეპატრონეა და მეც ვიქნებოდი, მაგრამ ჩემს პრინციპს ეწინააღმდეგებოდა ამ აუქციონში მონაწილეობა: თუ პროცესის კანონიერება იოტისოდენა ეჭვს მაინც იწვევს, იქ არაფერი მესაქმება.

**- მოკლედ, უნდა დავიჯეროთ, რომ მთელი თქვენი ქონება ყველაზე არეულ დროს სტერილური, კანონიერი სქემებითა რის დაგროვილი?**

- გარწმუნებთ, უკანონოს ვერავინ ვერაფერს გამიხსენებს. აქამდეც ბევრჯერ ეცადნენ, მაგრამ უკანონო ვერასოდეს ვერაფერი ნახეს. არათუ კანონი არ დამირღვევია, იმასაც ვერავინ გაიხსნებს, რომ ვინმეს სიტყვა გავუტეხე. ბიზნესში არაფერი იმალება: ვინ ვისთან იყო, ვინ „შავებთან“ მეგობრობდა, ვის ვინ „კრიშავდა“ - ყველაფერი იშიფრება. აბა, ვინმემ დაასახელოს ჩემი ასეთი საეჭვო კავშირები. ვერ დაასახელებენ - არ არსებობს და იმიტომ.

არ ვარ განსაკუთრებული, მაგრამ მეყო ნიჭი და გონიერება, რომ არასოდეს საფრთხის ქვეშ არ დამეყენებინა ჩემი სიცოცხლე და კრიმინალებთან არ მემუშავა. ბევრი შეეწირა ამას. ბევრიც ციხეში აღმოჩნდა. მე ეს ავიცილე.

დიდ ფულთან დამოკიდებულებაც სპეციფიკური მაქვს. შეიძლება, ხშირად „ირთვებოდეს“ სპორტული ჟინი, რომ მეტი იშოვო, მაგრამ კანონის დარღვევის საფასურად ან ლობირებით არ ამიღია არაფერი.

**- საეჭვო მაგალითად რუსეთის ძვირფასი ლითონების სახელმწიფო კომპანიასთან (ÐîñÄðàãÌåò) თქვენს კავშირს ასახელებენ...**

- ამ კომპანიასთან მხოლოდ წმინდა საქმიანი შეხება მქონდა. ოქ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

◄

როს ბიზნესში უშუალოდ ვმონაწილეობდი. მქონდა ოქროს კარიერები ნაყიდი, აფინაჟის ქარხანა ავაშენე მაგადანში და საკმაო წარმატებითაც ვამუშავებდი. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ოქრო ძალიან რთული ბიზნესია. მე ვიყავი ამ ბიზნესში და, გამოგიტყდებით, წაგებით წამოვედი იქიდან.

ამ სექტორში ჩვეულებრივი ინვესტიცია მქონდა დაბანდებული და დროთა განმავლობაში ამ ბიზნესიდან გამოვედი, რადგან საკმაოდ კრიმინალიზებული და უპროგნოზო იყო. მას მერე, რაც ამ ბიზნესს გამოვეთიშე, ცხრაჯერ შემამოწმეს. როგორ გგონიათ, რამე დარღევა რომ მქონოდა, ეს დაიმალებოდა?

დაუსაბუთებელი ბრალდებები არ მიკვირს. ერთ ხანს იმ თეორიასაც ავითარებდნენ, რომ კრიმინალურ ავტორიტეტ ოთარ კვანტრიშვილს ჰქონია დამსახურება ჩემს წარმატებებში.

- **ტყუილია?**

- არც კი ვიცნობდი ამ ადამიანს. ისე მოკვდა, ხელიც არ მქონდა ჩამორთმეული, ნანახიც არ მყავდა. ესეც არ იყოს, მტკიცებას, რომ ჩემს წარმატებაში წვლილი მას მიუძღოდა, ერთი მაგალითი მაინც ხომ უნდა ადასტურებდეს? არ არსებობს ასეთი მაგალითი.

**- კვანტრიშვილისგან განსხვავებით, ცნობილია თქვენი ურთიერთობის ისტორია ვლადიმირ რუშაილოსთან, რომელიც რუსეთში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას კურირებდა, მოგვიანებით კი შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა.**

- ჩემთვის საამაყოა, რომ არათუ არ ვიყავი არასოდეს კრიმინალთან, არც ვუხდიდი მას. სირცხვილად მიმაჩნდა, რომ საქმეს მე ვაკეთებ და ფული თურმე სხვას უნდა ვუხადო, კაცმა არ იცის, რაში.

რაღაც ეტაპამდე სხვადასხვა გზით ვახერხებდი კრიმინალური სამყაროს გაცურებას. რუშაილოსთან პირველად მაშინ მივედი, როცა საქართველოში ჩემი ძმა მოიტაცეს. გამოსასყიდზე მიდიოდა ლაპარაკი და მაშინ მითხრეს, რომ რუშაილო დამეხმარებოდა, თუმცა დიდად ვერაფერში დამეხმარა.

როცა ბიზნესებზე კრიმინალის დაწოლა გაძლიერდა, მე ვიყავი შეხვედრის ინიციატორი, მივედი მასთან და შევთავაზე, რომ გადავუხდიდით ფულს და ჩვენი ბიზნესი დაეცვათ. თავიდან ხელები გაასავსავა, ეს ქრთამიაო და უარს აცხადებდა, მაგრამ დავამშვიდე, რომ არაფერი მსგავსი არ იქნებოდა, ყველაფერი ოფიციალურად გაკეთდებოდა.

ორი შეხვედრის მერე დავარწმუნე ჩემი აზრის ლოგიკურობაში, გავაკეთეთ პროექტი და შევედი შინაგან საქმეთა მინისტრ ვიქტორ ერინთან, რომელმაც მოაწერა ხელი და შეიქმნა მსხვილი ბიზნესის დაცვის სპეციალური განყოფილება.

ერთი კვირის შემდეგ ყველა მსხვილი ბიზნესმენი მლოცავდა, იმდენად შვება იყო მათთვის ამ სამსახურის შექმნა. ვფიქრობ, კარგი ნაბიჯი იყო, რაც გავაკეთე. მართალია, ბანკის დაცვის სამსახურში ათასზე მეტი თანამშრომელი მყავდა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი: თუ ვინმე კრიმინალური ავტორიტეტი მიადგებოდა, დაცვა იყო უსუსური. ოფიციალური სახელმწიფო ორგანო ასეთ ვითარებაში გაცილებით უნარიანი იყო.

**- სულ ხაზს უსვამთ, რომ პრივატიზების პროცესში არ ინტერესდებოდით ისეთი ქონებით, რომლის დასაუფლებლადაც კონფლიქტები იყო მოსალოდნელი. აბა, რა გზით დააგროვეთ ასეთი მიმზიდველი აქტივები?**

- თუ ვინმეს ჰქონდა ნებისმიერი აქტივის შეძენის საშუალება, ერთ-ერთი უპირველესი ვიყავი, რამდენადაც ავაგე უნივერსალური დიდი ბანკი და მქონდა საშუალო და წვრილი კლიენტების ფულზე დაფუძნებული პასივები, რაც უფრო სანდო და საიმედო რესურსია. თან, მუდმივად ბიზნესის რეკაპიტალიზაციასაც ვახდენდი და ესეც ჩემი წარმატების ერთ-ერთი საწინდარია. სხვები ძირითადად ფულს გარეთ ექაჩებოდნენ და რესურსებს კარგავდნენ.

მოკლედ, ისეთი ფული მქონდა, ნებისმიერ აუქციონში შემეძლო მონაწილეობის მიღება. მაგრამ ნავთობისა და ალუმინის აქტივებზე ნადირობა ძალიან საშიში იყო და არც გავკარებივარ იმის მიუხედავად, რომ უამრავი საშუალება მქონდა. იქ თითის შეყოფა არ შეიძლებოდა, რადგან მთლიანად კრიმინალიზებული იყო და სამი თავი უნდა გქონოდა, რამე რომ გეცადა.




მაგრამ იყო სხვა აქტივები, რომლებიც არანაკლებ ფასეული იყო, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას.

- **მაგალითად?**

- კრასნოაირსკის ალუმინის ქარხნის (**ÊĐÀÇ**) ისტორიას მოგიყვებით. ამ ქარხნის გარშემო გაუთავებელი ომი მიდიოდა და უამრავი ხალხი დაიხოცა კიდეც, შეიძლება ყველაზე მეტიც კი ერთი საწარმოს შემთხვევაში.

**ÊĐÀÇ**-ის გვერდით კი (ერთი ღობე ჰყოფდა) არსებობდა კრასნოიარსკის მეტალურგიული ქარხანა (**ÊĐÀÌ Ç**). ორივე იმ ანგარიშით იყო აშენებული, რომ ერთიანი საწარმოო ჯაჭვი შეექმნათ - ალუმინის ქარხანაში წარმოებული ნედლეული მეტალურგიულ ქარხანაში საბოლოო პროდუქტებად უნდა ქცეულიყო და ასე გაყიდულიყო. თუმცა, როცა მე კრასნოიარსკში ჩავედი, **ÊĐÀÇ**-ის მეპატრონეებს **ÊĐÀÌ Ç**-ის საქმიანობა საერთოდ არ აინტერესებდათ - მთელ ნედლეულს პირდაპირ ყიდდნენ საზღვარგარეთ ვალუტაზე. შედეგად, მეტალურგიული ქარხანა რამდენიმე წელი გაჩერებული იყო.

სწორედ მისი აქციების შესყიდვა დავიწყე - ვაფასებდი ძირითად ფონდებს, რომლის ღირებულებაც 2-3-ჯერ აჭარბებდა **ÊĐÀÇ**-ისას, რომლის გარშემოც ომები არ წყდებოდა. ასე, კაპიკებში - 15 თუ 20 მილიონ დოლარად ვიყიდე **ÊĐÀÌ Ç**-ის აქციათა 20-30%.

მოგვიანებით, როცა **ÊĐÀÇ**-ის აქციათა სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი 20% უნდა გაყიდულიყო, ინტერესები და ლობისტური ომები იმდენად ძლიერი იყო, რომ დიდხანს ვერ იპოვეს მექანიზმი, როგორ გაეყიდათ. ბოლოს, **ÊĐÀÇ**-ის და **ÊĐÀÌ Ç**-ის ქონება გააერთიანეს, მსხვილი საინვესტიციო პაკეტი გააკეთეს და ისე გაიტანეს გასაყიდად. ანუ იმ საწარმოს, რომლის აქციებსაც მე გამალებით ვყიდულობდი და უკვე 30% ვფლობდი, უეცრად დიდი ფასი დაედო. დავიწყე ამ აქციების შესყიდვის ახალი ფორსირება და დღეში ზოგჯერ ორმაგდებოდა და სამმაგდებოდა მათი ღირებულება. მერე დაიწყო მუქარა (სან-ტროპეშიც კი მომაგნეს ტელეფონით), თუმცა, არ შევშინდი, ფასი არ დავაგდე, კარგად გავყიდე და ისე წამოვედი. მოკლედ, პრაქტიკულად შემთხვევით მოვხვდი იქ და კარგი მოგება ვნახე.

- **დაშინება როგორ ხდებოდა?**

- ჯერ კიდევ საფრანგეთში ვიყავი, როცა ჩემი წარმომადგენელი დამიკავშირდა და ასეთი ისტორია მიამბო: ჩემი კომპანიის მენეჯერები, ვითომ ჩემი დავალებით, მოტყუებით ჩასვეს მანქანაში და მოგვიანებით სასაფლაოზე აიყვანეს. აჩვენეს მათი საფლავები, ვინც ალუმინის ქარხნისთვის ბრძოლაში დაიღუპა, შესთავაზეს, აერჩიათ, სურდათ თუ არა იმავე ბედის გაზიარება და სასაფლაოზე დატოვება.

**- „ჩვენ ვაკეთებდით იმას, რასაც სხვები არ აკეთებდნენ“, - ასე დაახასიათეთ ბანკ Ðîññèéñêèé Êðåäèò-ის საქმიანობა. რას აკეთებდით ამდენად განსხვავებულს?**

- Ñáåðáàíê-ის შემდეგ, პრაქტიკულად, პირველი ბანკი გავხდით იმ რეკაპიტალიზაციისა და საქმიანობის შემდეგ, რაც გავწიეთ. როგორც მომსახურების უნივერსალურობის, ასევე ფილიალების რაოდენობითაც ვიყავით მეორე. არადა, ბანკის პირველი ფილიალი საბავშვო ბაღის შენობაში გვქონდა. ვფიქრობ, სწორედ ის მოდელი იყო საინტერესო, რამაც საბოლოოდ წარმატებული შედეგისთვის მიგვაღწევინა.

წარმოიდგინეთ ვითარება, როცა ძალიან რთული იყო შენობის ნახვა ფილიალის მოსაწყობად, იმდენი ფული კი არ იყო, რომ ჩვენ თვითონ აგვეშენებინა.

ამავე დროს, ეს ის პერიოდია, როცა ეკონომიურად საშინელ დღეში იყო მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები (ხელფასებსაც კი ვერ იხდიდნენ), საწარმოების დირექტორები კი დაძაბულები იყვნენ, რადგან პრივატიზაცია მიმდინარეობდა და არ იცოდნენ, რა ელოდათ უახლოეს მომავალში. ბანკში კი კლიენტურა ჭირდა.

ეს სამივე ფაქტორი ერთდროულად არსებობდა და ის სქემა, რომელიც მოვიფიქრე (ერთი ღამე გავათენე მასზე ფიქრში), სამივეს გამოყენებას ითვალისწინებდა: მაშინ, როცა დიდ ქარხნებს ახალ ბანკში მოსვლა არ უნდოდათ, პრობლემა იყო ბანკის გაფართოება და პროფესიონალი კადრების შოვნაც, სასწრაფოდ გავხსენი კოლეჯი და საბანკო საქმის სწავლება დავიწყეთ (მე თვითონაც ვკითხულობდი ლექციებს საწყის ეტაპზე) და დავგეგმეთ ბანკის სწრაფი ექსპანსია. დავიწყე კლიენტის მოზიდვა და ფილიალების გახსნა. მე თვითონ დავდიოდი და სხვადასხვა საწარმოს თუ ინსტიტუტის (მათ შორის, მეცნიერებათა აკადემიის სისტემის) 100-ზე მეტ დირექტორის შევხვდი.

შედეგად, მოვახერხე რამდენიმე კურდღლის ერთდროულად დაჭერა. იგივე აკადემიკოსები და დირექტორები ჯერ ლექციების საკითხავად „გადმოვქაჩეთ“ ჩვენს კოლეჯში. პარალელურად, მათი ინსტიტუტებისა და საწარმოების შენობებში ფართს ვქირაობდი, იქ ვაწყობდი ფილიალს და მათვე ვნიშნავდი ფილიალის დირექტორად. ამ მოდელზე უმრავლესობა დავითანხმე.

იგივე დირექტორები (ვისაც არ ჰქონდა შესაბამისი ცოდნა) დადიოდნენ ჩემს კოლეჯში და წრაფად გადიოდნენ საბანკო საქმეში გადამზადებას. ეს ყველაზე კარგი კონტინგენტი იყო, თითქმის მზა კადრი - ადმინისტრატორის გამოცდილებით პლუს ცოტა ხანში საბანკო საქმის ცოდნით (მარტო ექვსი საკავშირო აკადემიკოსი იყო ჩემი ბანკის სხვადასხვა ფილიალის დირექტორი).

სწორედ ეს იყო, რაც გაკეთდა ჩემს ბანკში და არ გაკეთებულა სხვაგან. ეს იყო სწორი გზა, რაც მალე დასასტურდა: ის ქარხნები თუ ინსტიტუტები თავიანთსავე შენობებში განთავსებულ ფილიალებში ხსნიდნენ ანგარიშებს და თანხებსაც იზიდავდნენ, კოლეჯი კადრების სამჭედლო იყო, კორპორატიული სულიც ჩამოყალიბდა და პროფესიონალების დენადობაც დაიწყო.

შედეგად, მე მივიღე კლიენტიც, კოლეჯიც, მენეჯერებიც, ფილიალების ქსელიც და ეს მოდელი ნელნელა განვავითარე მთელს რუსეთში, ყველგან სადაც **Ðîññèéñêèé Êðåäèò**-ის ფილიალები იხსნებოდა.

ეს პროცესი სწრაფად და წარმატებით წარიმართა, ბანკის ექსპანსია უზრუნველყოფილი იყო, ამასობაში პრივატიზაციაც ხურდებოდა და საინტერესო ობიექტები გამოვიდა გასაყიდად. ბანკი მყარი ექსპანსიური პოზიციით შეხვდა ამ დროს. კარგად განვვითარდით, საშუალო და წვრილი კლიენტურის ფული იყო ძალიან ბევრი (რაც ყველაზე „კარგი“, გრძელვადიანი ფულია), „პასივის“ დიდ ნაწილს ვააქტიურებდით თვითონ.

ამ წყაროებით მობილიზებული სახსრებით შევიძინე ის ძირითადი ქარხნები (მაგალითად, მიხაილოვსკის და სტოილენსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატები), რომლებიც მოგვიანებით სარფიანად გაიყიდა. თუმცა, როცა ვყიდულობდი, ეს საწარმოები „ჩაწოლილი“ იყო, არავის უნდოდა.

- **თქვენ რად გინდოდათ?**

- პერსპექტივას ვხედავდი. როცა სამთო კომბინატები ვიყიდე, მეტალურგიულ ქარხნებს პირდაპირ გაჰქონდათ ნედლეული საექსპორტოდ, გამამდიდრებელი წარმოება ნაკლებად აინტერესებდათ. იყო ჭარბწარმოება და მეტალურგები ფასებს თვითნებურად გვიწესებდნენ.

ასეთ ვითარებაში ვიყიდე ეს ქარხნები. ძირითადად ისევ ფონდებს ვაფასებდი, უზარმაზარი ქარხნები იყო; რომ გამოდიოდა საპრივატიზებო ცხრილი, ვიჯექი რამდენიმე ანალიტიკოსთან ერთად და ვაფასებდი, რა იყო აქტივები, ვალდებულებები, ცვეთა, ნარჩენი ღირებულება. ასე, დეტალური ანალიზის შედეგად ვიყიდე სამთო-გამამდიდრებელი კომბინატები.

ვყიდულობდი, რადგან იმ მომენტში არავის აინტერესებდა, მე პერსპექტიულად მიმაჩნდა, ბანკში პასივების მდგომარეობის გამო კი უკვე თავს უფლებას ვაძლევდი, გრძელვადიანი დაბანდებები გამეკეთებინა.

რა თქმა უნდა, დაცემულ ბაზარზე შესყიდვა შედარებით იაფი იყო და ამიტომაც იოლად „ავკრიფე“ ეს აქტივები. შედეგად, ერთი ხანს შავი მეტალურგიის ნედლეულის 60%-მდე ჩემს ხელში იყრიდა თავს.

2-3 წელი შევინარჩუნე ეს პოზიცია, მერე პროცესებიც გააქტიურდა: მეტალურგებს კარტელისმაგვარი შევუქმენით ნედლეულის დამმუშავებლებმა, მოვხსენით ჭარბი წარმოება (მაგალითი კოლეგებს თვითონ მივეცი, როცა წარმოება შევამცირე), შეიქმნა რეალური დეფიციტი და მოთხოვნა და ვითარება შეიცვალა - მეტალურგები ფასებს ვეღარ გვკარნახობდნენ. ამით ვაიძულეთ ისინი, გადაეხადათ პროდუქციაში ის, რაც ღირდა და ნელ-ნელა გავხადეთ რენტაბელური ეს ქარხნები. მერე კარგადაც ამიტომ გაიყიდა.

**- „აქციონერი და ტოპმენეჯერი ერთდროულად ვარ. რუსეთში სხვაგვარად შეუძლებელია“, - ეს თქვენი სიტყვებია. საქართველოში კი ყველა ბიზნესში უფლებამოსილება დელეგირებული გქონდათ. რატომ? ასეთი განსხვავებული ბიზნეს-მოდელებია ამ ორ ქვეყანაში?**

- საქართველოში ბიზნესი, პრაქტიკულად, არ მქონია. თუ არ ჩავთვლით „ბანკ ქართუს“, რომელიც ქვეყნის დასახმარებლად გავხსენი და საინვესტიციო ბანკად იყო ჩაფიქრებული. რუსეთში კი მესაკუთრე და მენეჯერი ახლა არის დაყოფილი, თუმცა, დასაწყისში, ვინც მსხვილი ბიზნესი გააკეთა (მათ შორის ვიყავი მეც), უნდა ყოფილიყო კარგი მენეჯერიც და ანტრეპრენიორიც. თუ ორივე არ იყავი ერთდროულად, წარმატება პრაქტიკულად გამორიცხული იყო.

ვფიქრობ, ორივე თვისება კარგად მქონდა შერწყმული და ეს ბევრ რამეში დამეხმარა. მაშინ მენეჯერს ვერ იქირავებდი (ეს ბაზარი არ არსებობდა, ბოლო 10 წელიწადში ჩამოყალიბდა), ამიტომაც ფილიალებს რომ ვხსნიდი, ამ პროცესშიც კი ბოლომდე ვიღებდი მონაწილეობას და ვზრდიდი საშუალო რგოლის მენეჯერებს. ბანკს თავად ვმართავდი.

**- კიდევ სად აწარმოებდით ბიზნესს? გამიგია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშიც კი გქონდათ აქტივები.**

- წარმოიდგინეთ, ვინც წინა საუკუნის 90-იანი წლების რუსეთში შედიოდა, უმეტესობა ოქროს მაძიებლებივით იყო. ზუსტად ორმაგ ფასს ადებდნენ ყველაფერს, უნდოდათ სწრაფი გამდიდრება.

ღილაკებიანი ტელეფონების დიდი პარტიის შესაძენად (მაშინ ასეთი აპარატები ძალიან პოპულარული იყო), სამი თვე ტენდერს ვატარებდი და ბოლოს მივხდი, რომ

4 gv. ►

# 6,4 miliardis saidumlo _ biZina ivaniSvili Tavisi biznes-imperiis, marTvis modelis, warmatebis saidumlos da bednierebis Sesaxeb

3 gv.

დროს ვკარგავდი. საფრანგეთში წავედი სატელეკომუნიკაციო გამოფენაზე და პირდაპირ ერთ-ერთი ჰონკონგურ კომპანიასთან დავდე კონტრაქტი. ფასებიც მაშინვე განახევრდა იმასთან შედარებით, რასაც მოსკოვში მთავაზობდნენ. ჰონკონგიდან უკვე უშუალო მწარმოებლებამდე, ჩინეთის ქარხნებში ჩავედი და, საბოლოოდ, რამდენიმე ქარხანა შევიძინე კიდეც.

მოგვიანებით, ეს ბიზნესი ერთ-ერთ აფრიკელ პარტნიორს დავუთმე. ბანკის ჩამოყალიბება მქონდა დაწყებული და ვაჭრობის დრო აღარ იყო. თან, რუსეთი გაცილებით საინტერესო ბაზარი იყო, რადგან 1-2 წელიწადში ხდებოდა კაპიტალის გაორმაგება, რასაც სხვაგან ათწლეულები უნდოდა. ამიტომ არ მქონია მცდელობა, ბევრ სხვა ქვეყანას მოვდებოდი.

**- მსხვილი კლიენტების მეპატრონეებს და ტოპ-მენეჯერებს Ðî ñïèéñêèé Êðåäèò-ის ვიცე-პრეზიდენტებად ნიშნავდით. შეგიძლიათ ამიხსნათ, რა ლოგიკით?**



- ესეც ბანკის ექსპანსიის ნაწილი იყო. ფილიალების დირექტორებადაც ვნიშნავდი, პარტნიორებიც ხდებოდნენ და ა.შ. ვიცე-პრეზიდენტების სტატუსის მინიჭება ამის გაგრძელება იყო. ბანკი უკვე იმდენად სახელიანი და გავლენიანი იყო, რომ მსხვილი საწარმოების დირექტორებს მოსწონდათ მისი ვიცე-პრეზიდენტობა. არადა, ეს ისეთი პოსტი იყო, რომ არც არაფერი ევალებოდა და არც უფლებამოსილებას ანიჭებდა, კლიენტად რჩებოდა და, ფაქტობრივად, ახალ სავიზიტო ბარათს იღებდა.

ჩემთვის სარგებელი ის იყო, რომ ასეთი პარტნიორი უფრო ლოიალური ხდებოდა, ანგარიში ჩემს ბანკში ჰქონდა, სესხები ჩემგან მიჰქონდა, უმნიშვნელო შეღავათებით სარგებლობდა (მაგალითად, ურიგოდ იხილებოდა მისი საკითხი საკრედიტო კომიტეტზე). ამის სანაცვლოდ ვიცე-პრეზიდენტის სტატუსის გაცემა (რომელიც წმინდა საპატიო ფუნქცია იყო) ღირდა.

**- 1989 წელს ყველაფრის დაკარგვის საფრთხე მემუქრებოდაო, ამბობთ. რამ გადაგარჩინათ?**

- ცხადია, მქონდა გათვლები, რომ ბაზრის დაცემა უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა, მაგრამ ზუსტად პროგნოზირება, რომ ფასები 2-3 წელიწდში ძველ ნიშნულზე დაბრუნდებოდა, არავის შეეძლო.

როცა რუსეთში დეფოლტი მოხდა, რთული არჩევანის წინაშე აღმოვჩნდი - გამეკოტრენბინა ბანკი ან დამოუკიდებლად დამეწყო მისი რესტრუქტურიზაცია. მეორე გზა ავარჩიე, რაც ჩემს კოლეგა ბანკირებს არ მოსწონდათ და ბანკის „გადაგდებას“ მირჩევდნენ, მაგრამ კლიენტებს, რომლებთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა, კარი ვერ დავუკეტე და ხელი ვერ დავიბანე.

შედეგად, სხვებმა ბანკები „გაასუფთავეს“ და გააქრეს, მე კი ჩემი ქონება ჩავდე საგირავნო უზრუნველყოფაში და მოზიდული სახსრებით ვალდებულებების გასტუმრება დავიწყე. შემდეგ, ამ ვალდებულებების დროულად „დასახურად“ აქტივების ნაწილის (ლებედინსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, ორიოლის მილსაგლინავი ქარხანა, ქარხანა „ტულაჩერმეტი“) გაყიდვაც მომიხდა, თან საბაზროზე ბევრად დაბალ ფასად.

ჩემი ქონების ფასს კრიზისის შემდგომ 2-3 წელიწადში (როცა პირველი საბანკო გადასახდელები მიწევდა) რომ არ მოემატა, ცხადია, მთელ ქონებას წაიღებდნენ კრედიტორები, მაგრამ სწორად გავთვალე, რომ ზრდა იქნებოდა. ასე რომ, ჩემი მხრიდან რისკი იყო, მაგრამ აზრიანი. ეს სახის შესანარჩუნებლად გავაკეთე, თუმცა, რომც არ მექნა, ვერავინ ვერაფერს მეტყოდა, რადგან ასეთი რესტრუქტურიზაცია არავის გაუკეთებია.

ამ ნაბიჯის პლუსი ისიც იყო, რომ ბიზნეს-ისტებლიშმენტში, განსაკუთრებით ევროპასა და აშშ-ში, კარგი სახელი მომიტანა.

**- მეტალურგიული აქტივები საკმაოდ კარგი ბიზნეს-კონიუნქტურის პირობებში გაყიდეთ. ხომ არ გაიძულეს?**

- არა, ნამდვილად არ ვყოფილვარ იძულებული. უბრალოდ გადავწყვიტე, ფულის გამო თავისუფლება არ დამეკარგა. ვურჩიე ბევრს, რომ გაეყიდათ თვალისმომჭრელი აქტივები, რადგან რუსეთში პოლიტიკური სისტემა და თამაშის წესები იცვლებოდა. მეორე სამთო-მომპოვებელი ქარხანა რომ გავყიდე, პირველის გაყიდვის შესახებ მხოლოდ მაშინ გაიგეს. რომ დამეტოვებინა ეს აქტივები, დიდი ალბათობით ქონების გადანაწილების ახალ ტალღაში მოხვდებოდა.

ამიტომ მსხვილი აქტივები გავყიდე და ისეთები დავიტოვე, რაც არ ხვდება თვალში - სამშენებლო, რასაც მაშინ ასეთი ფასი არ ჰქონდა, „კაუჩუკი“, რაც ახლა ყველაზე ძირი ღირს და სხვებიც.

**- „გაზპრომის“ აქციონერი მართლა ხართ? ხშირად მესმის, რომ მისი აქციების დაახლოებით 1%-ს ფლობთ.**

- ჰო, და თან ძალიან სასაცილოდ და არაპროფესიულად სვამენ ამ კითხვას. ოდესღაც, 7-8 წლის წინათ მართლაც მქონდა პორტფელში „გაზპრომის“ აქციების 1%-მდე, რაც გავაორმაგე და მნიშვნელოვანი სარგებლით გავყიდე. ახლაც შეიძლება მქონდეს პორტფელში 10 ან 20 მილიონის აქციები, მაგრამ ამ ინფორმაციას ოპერატიულად არ ვაკონტროლებ, რადგან ამა თუ იმ ემიტენტის აქციების პიორტფელში ქონა დამოკიდებულია იმ მენეჯერზე, რომელიც პორტფელს მართავს. დღეს შეიძლება პორტფელში იყოს ამა თუ იმ ემიტენტის 50-მილიონამდე დოლარის აქციები, ხვალ - აღარც ერთი ცენტის. ეს ჩვეულებრივად, პორტფელის მართვის სტრატეგიის შესაბამისად ხდება. თუმცა ვიცი, რომ ამჟამად რომელიმე მსხვილი ემიტენტის აქციების მსხვილ პაკეტს, სამწუხაროდ, არ ვფლობ.

**- რას წარმოადგენს საინვესტიციო კომპანია „უნიკორი“, რომელიც თქვენს აქტივებს აერთიანებს?**

- წლების მანძილზე ჩემი ძირითადი ბიზნეს-ჰოლდინგი იყო „მეტალოინვესტი“. როცა მასში შემავალი ორი ქარხანა გავყიდე, ეს ბრენდიც მათთან ერთად მივყიდე ალიშერ უსმანოვს (ფორბეს-ის სიის №28, ქონება - $ 18,1 მილიარდი, რუსეთის უმდიდრესი ადამიანი). სახელი „უნიკორი“ კი „უნივერსალური კორპორაციიდან“ მოდის, რომელშიც შედის ჩემი საფინანსო, სავაჭრო, სამრეწველო, აგრარული, სამშენებლო, ფარმაცევტული და სხვა აქტივები.

თუმცა, ამჟამად მასში შემავალ ბიზნესებს ვყიდი, თან ისე, რომ მათი უმეტესობის სათანადო კაპიტალიზაცია ვერ მოვასწარი და საბაზროზე დაბალ ფასად გაიყიდება.

როგორც „უნიკორის“ ფარგლებში, ასევე მის მიღმაც მრავალმხრივი ინვესტიციები მაქვს განხორციელებული. ერთადერთი, სადაც ვერ მოვსინჯე საკუთარი შესაძლებლობები და გული მწყდება, ზერენტაბელური მაღალი ტექნოლოგიების სექტორია.

**- რატომ მიიჩნევთ, რომ საქართველოში ბიზნესი არ გაქვთ? იგივე ბანკი „ქართუ“ ასეულობით მილიონი ლარის აქტივებს ფლობს და საკმაოდ აქტიური საბანკო მოთამაშეა.**

- ცხადია, ის კომერციული ბანკია, თუმცა თუ ნახავთ მის საქმიანობას, დარწმუნდებით, რომ ეს არ იყო ჩემთვის ბიზნესის საკეთებლად შექმნილი ბანკი. „ქართუ“ პირველი ორგანიზაცია იყო, რაც აქ გავხსენი, რადგან აქეთ სულ ვიხედებოდი და მინდოდა ქვეყანას დავხმარებოდი. იმის კვალობაზე, კაპიტალი როგორ მეზრდებოდა, სურვილიც მეტი იყო.

მინდოდა, „ქართუ“ საინვესტიციო ბანკი ყოფილიყო და ქვეყანაში საქმიანი აქტივობის ზრდას დახმარებოდა. მაგალითად, სესხის 25% მსესხებლისთვის მიგვეცა უპროცენტოდ, შეგვექმნა სხვა მექანიზმებიც, რათა ინვესტორი უფრო დაინტერესებულიყო და გაცილებით იოლად მიეღო გადაწყვეტილება ბიზნესის დაწყებაზე. სამწუხაროდ, ამ მოდელმა არ იმუშავა.

**- ჯერ კიდევ წლების წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართული აქტივების გაყიდვა გინდოდათ. რატომ?**

- იმიტომ, რომ საქართველოში აქტივების მართვას დიდი დრო უნდოდა, რაც არ მქონდა. მაშინ უნდა მოვწყვეტოდი იმ საქმეს, რასაც საზღვარგარეთ ვაკეთებდი და რაც საშუალებას მაძლევდა, ბევრად მეტი გამეკეთებინა საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის. თუმცაღა, ცხადია, ქველმოქმედებაზე გაცილებით სწორი გზაა ბიზნესის წარმოება და სამუშაო ადგილების შექმნა, თუ ადამიანების დახმარება გინდა.

**- პარტნიორებს როგორ არჩევდით საქართველოში?**

- პრაქტიკულად, არც დამჭირვებია. პირველი ფსონი ბანკის მმართველად ნათესავზე გავაკეთე, რაც დიდი შეცდომა იყო - ნათესავიც დავკარგე და საქმეც ვერ განვითარდა. საქართველო ძალიან სპეციფიკურია ამ მხრივ და დღესაც რთულია პარტნიორის შერჩევა.

**- გოგი თოფაძე როგორ მოძებნეთ?**

- თვითონ მომძებნა, როცა საბანკო სესხის საჭიროება იყო, პარტნიორობის შემოთავაზებაც მისგან მოდიოდა. ბაკურიანის პროექტს როცა ვაკეთებდით, მაშინ დავმეგობრდით. გოგი ძალიან აქტიურობდა, ბევრს ცდილობდა. ჩემთვის ყველანაირად მისაღები პარტნიორია: გარდა იმისა, რომ ბიზნესმენია, ბევრი რამის კეთება უნდა, ბევრი სხვა ბიზნესმენისგან გამოირჩევა. კარგი ვარიანტია პარტნიორობისთვის იმითაც, რაც სამუშაო ადგილებს ქმნის (რაც ჩემს შემთხვევაში ნაკლებად ხდება) და არც ერთ პროექტს ლოკალურად არ მიჩნევს, ყოველთვის მის გაფართოებაზეა ორიენტირებული. ესეც, ჩემი აზრით, კარგი თვისებაა.

**- იმის მიუხედავად, რომ უკვე თითქმის ნახევარი წელია, საჯარო ფიგურა გახდით, მაინც ნაკლები წარმოდგება გვაქვს, რა შეხედულება გაქვთ ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე. მაგალითად, როგორი უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკა. ცოტა მეტს არ გვეტყვით ამ საკითხზე?**

- საკმაო დრო გავიდა იმისთვის, რომ მოკლე განცხადებებით აღარ ვიფარგლებოდე, მაგრამ მაინც მოკლედ ვამჯობინებ.

რა სჭირდება ეკონომიკას? ძალიან მარტივი რამ: უნდა იყოს თავისუფალი ბაზარი და ჩინოვნიკები არ უნდა მართავდნენ მას. თუ ეს არ არის უზრუნველყოფილი, ლაპარაკი ეკონომიკურ კატეგორიებზე სიღრმისეული წიაღსვლებით ცოტა თვალთმაქცობად მიმაჩნია. თუ სასამართლო და მედია თავისუფალი არ არის და ნებისმიერი ჩინოვნიკი თვითონ არის ბიზნსემენი, აქ რამე ეკონომიკურ პოლიტიკაზე ლაპარაკი უადგილოა.

პირველი ამოცანა სწორედ ეს უნდა იყოს - ბიზნესი უნდა განთავისუფლდეს ჩინოვნიკებისგან. ამის მერე უკვე აქვს აზრი დავას საგადასახადო საკითხებზე, ინფრასტრუქტურის მოწყობის მოდელზე, საბიუჯეტო და სოციალურ პოლიტიკაზე... მაგრამ თავისუფალი ბაზრისთვის აუცილებელი პირობების არარსებობის შემთხვევაში, ყველა ეს მსჯელობა სპეკულაციაა.

**- იღბლიანი ხართ?**

- არ ვიტყვი, რომ კი, მაგრამ არც უამისობაა. 1991 წელს აზიის ერთ-ერთი უმსხვილესი ბჩჩI ბანკი რომ გაკოტრდა და იქ 9-10 მილიონი დოლარი დავკარგე, პირველად მაშინ გავკოტრდი. რა ვიცი, ამას როგორ დავარქვა იღბლიანობა? მეორედ, უკვე გითხარით, 1998 წელს როგორ ვიყავი გაკოტრების პირას.

თუმცა უიღბლოსაც ვერ მივაწერ ჩემს თავს. რა თქმა უნდა, ფორტუნას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ძირითადად ადამიანი შრომით აღწევს შედეგს.

**- წარმატების თქვენეული ფორმულა მითხარით.**

- ჯერ განვსაზღვროთ წარმატებული ადამიანი. ჩემთვის წარმატებულია, ვისაც ჰყავს კარგი ოჯახი, უხარია შინ ყოფნა, დილას სამსახურში წასვლა და საღამოს - სახლში დაბრუნება. ეს უკვე წარმატებაა. თუ ადამიანს აქვს გათბობა, წამალი, სახურავი და წელიწადში ერთხელ შვებულებაში წასვლასაც ახერხებს, ჩემთვის ეს უკვე წარმატებული ადამიანია.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

განსაკუთრებით წარმატებულს კი ერთი რამ ემატება - ნიჭიერება, რომელიც პირობითად ორი ნაწილისგან შედგება: დაახლოებით ნახევარი ეკუთვნის ინტელექტს, ნახევარი - ჯანსაღ ფსიქიკას. თუ ჯანსაღი ფსიქიკა გაქვს, შენი ინტელექტის შესაბამისს გააკეთებ და შედეგს მიიღებ. თუ საყვარელ პროფესიას ირჩევ, კარგ ოჯახს აფუძნებ, კარგი მეუღლე და შვილებს გყავს, წარმატებულიც სწორედ მაშინ ხარ.

არ მიმაჩნია, რომ ჭარბი ფული არის წარმატების სიმბოლო. ბევრი მდიდარი ვიცი, ვინც გაუბედურებულია და არ იცის, რისთვის ცხოვრობს, მთელი სიცოცხლე სდევდა ფულს, იშოვა კიდეც, მაგრამ იმავე რისკებზე „ზის“, რაც ადრე ჰქონდა და მე ვერ ვხედავ მათ წარმატებას და ბედნიერებას.

მე დამლაგებლადაც ვმუშაობდი, საპირფარეშოც დამილაგებია, ფეხშიშველი დავრბოდი ბავშვობაში, მაგრამ უბედური ვიყავი-მეთქი, ნაღდად არ ვიტყვი. ჩემს შვილებსაც ასე ვუხსნი ხშირად. მათ არაფერი აკლიათ, მაგრამ ჩემზე ბედნიერი ბავშვობა აქვთ-მეთქი, ვერ ვიტყვი. მე მათ ასაკში არაფერი მქონდა, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი.

**- ფულის წილი რამდენია წარმატებაში?**

- ზუსტად იმდენი, რომ გქონდეს ჯანმრთელობა, წამალზე არ ფიქრობდე, არ იშიმშილო, სახურავი გეფაროს. ამის იქით, როგორც ზედმეტი წონა არ ვარგა, ისე ზედმეტი ფული არ ვარგა.

თან, რაც დრო გადის, სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ძნელია, ერთმა ადამიანმა შეიქმნას წარმატების ისტორია ისე, თუ გარემო არ არის ჯანსაღი. ქვეყანაც უნდა გქონდეს წარმატებული, სტაბილური, არც მოხუცებულობის გეშინოდეს და მაშინ ეს იქნება 100%-იანი წარმატება: სტაბილური ქვეყანა, საყვარელი სამსახური და საყვარელი ოჯახი თუ გაქვს, ამ შემთხვევაში ფულის წილი უმნიშვნელოა.

**- ფორბეს-ის მილიარდერების სიას რომ ვუყურებ, ძალიან ბევრს უმაღლესი განათლება არ აქვს. განათლება წარმატებას ხელს რომ უწყობს, თითქოს აღიარებული ფაქტია. შეიძლება უშლიდეს კიდეც?**

- ისევ ჩემი პრაქტიკიდან გიპასუხებთ: როცა „პერესტროიკა“ დაიწყო, საკმაო განათლება მქონდა. სადოქტორო თითქმის მზად მქონდა, თუმცა როგორც კი ბიზნესს მივყავი ხელი, მივხვდი, რომ იქ მანამდე მიღებულ განათლებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მე რომ განათლებასა და აკადემიურ ეკონომიკურ ცოდნაზე დამყარებული ბიზნესი დამეწყო, დავიღუპებოდი. ბიზნესმენს უფრო სხვა მოცემულობა სჭირდება, თუმცა მენეჯერის შემთხვევაში განათლებას დიდი როლი ენიჭება. ანტრეპრენიორს განათლებაზე მეტად სხვა რამ სჭირდება - უპირველესად, ხედვა, უნდა ხედავდეს პერსპექტივას. განსაკუთრებით ისეთ სიტუაციაში, როცა მე დავიწყე ბიზნესი - როცა პრეცედენტები არ არსებობდა და ანალიზს ვერ გააკეთებდი. დაიმსხვრა უზარმაზარი იმპერია, ხდებოდა ქონების გადანაწილება, სირბილში იწერებოდა კანონები, არანაირი სტაბილურობა არ არსებობდა...

ასეთი ვითარება დღესაც ხშირად იქმნება. ამიტომაც მეწარმისთვის ზოგჯერ ცოდნა და წესების ბრმად მიყოლა შეიძლება დამღუპველიც კი აღმოჩნდეს. სერიოზულ წარმატებას თუ გინდა მიაღწიო, მხოლოდ ცოდნაზე დაფუძნებით ძალიან გაგიჭირდება. ცოდნამ შეიძლება ხელიც შეგიშალოს, რასაც მე ბევრჯერ გადავაწყდი: ადამიანები ცდილობენ მოირგონ წიგნებში ნანახი მოდელები და ფორმულები და არაფერი გამოსდით. ხშირად ტრადიციული ცოდნა სიახლის დანახვას ხელს უშლის.

ამიტომ არის, როცა ბრეინ შტორმინგებს ატარებენ, სხვა, ხშირად თემისგან სრულიად მოწყვეტილ ადამიანებს რთავენ პროცესში, რომ სხვა ფოკუსით, სხვა რაკურსიდან შეხედონ ვითარებას და ფასეულ იდეას მიაგნონ.

**- სპონტანური ხართ?**

- არა, მაგრამ ძალიან სწრაფად ვიღებ გადაწყვეტილებებს. სწრაფი აზროვნება მაქვს, თუმცა ანალიზის გარეშე არაფერს ვწყვეტ.



**- ალბათ ძალიან ბევრ მოლაპარაკებაში მიგიღიათ მონაწილეობა. რა განწყობით და „შეიარაღებით“ უჯდებით ხოლმე მოლაპარაკების მაგიდას?**

- სწორად ვხედავ მიზანს. მიზნის ჩამოყალიბების გარეშე საერთოდ არ უნდა წახვიდე არანაირ მოლაპარაკებაზე. თუ ეს არ იცი, არც შეცდომებისგან ხარ დაზღვეული. მთავარია, კარგად ხედავდე მიზანს და თან არა მარტო შენსას - მეორე მხარის მიზანსაც უნდა აცნობიერებდე, გრძნობდე, რა უნდა მას და ყოველთვის უნდა იყო განწყობილი ბალანსის მოსაძებნად.

**- როცა არც სრული ინფორმაცია გაქვთ, არც საკმარისი დრო და გადაწყვეტილებაც სწრაფად არის მისაღები, ასეთ დროს რას ეყრდნობით?**

- ალღოს, გამოცდილებას, ნიჭს... ვისაც ეს ყველაფერი კომპლექსში აქვს და შეუძლია სიტუაცია სწორად შეაფასოს დროის და ინფორმაციის სიმცირის მიუხედავად, ალბათ ამით გამოირჩევა კიდევ ნაკლებად წარმატებულებისგან.

**- პლანეტის უმდიდრესი ადამიანი კარლოს სლიმ ელუ ამბობს, რომ უმჯობესია ადამიანს მისცე სამუშაო, ვიდრე დაეხმარო მას. თქვენ ბევრს ეხმარებით. თქვენი სოფლის ან რაიონის მაგალითზე რომ შევაფასოთ, რა მიეცით და რა წაართვით ამ ადამიანებს პერმანენტული დახმარებებით?**

- აპრიორი ვეთანხმები, რომ როცა შეგიძლია სამუშაო ადგილის შექმნას, ჯობია შექმნა და დაასაქმო, ვიდრე დაეხმარო. რაც შეეხება ჩემს შემთხვევას, ამ რაოდენობის სამუშაო ადგილის შექმნა რომ დამეწყო, გაცილებით ნაკლებ ადამიანს დავეხმარებოდი და ქვეყანასაც ნაკლებად წავადგებოდი.

საინვესტიციო ბანკის შექმნის იდეა იმიტომ მქონდა, რომ სწორედ ახალი ბიზნესების გაჩენისა და დასაქმებისთვის შემეწყო ხელი. ცხადია, შეიძლებოდა კიდევ ერთი ან ორი მცირე საწარმო შემექმნა (კიდევ 200 კაცი დამესაქმებინა) და ამაზე გადამეტანა მეტი დრო და ყურადღება, მაგრამ მაშინ იმ მასშტაბების ბიზნესის აწყობას ვერ შევძლებდი, რაც სოლიდური დახმარებებისა და ქველმოქმედების რესურსს მაძლევდა.

ესეც არ იყოს, რას ვაკეთებდი, რას იღებდა ხალხი ჩემგან? ელემენტარულს, სასიცოცხლო პირობების დასაკმაყოფილებელს, რაც არ ჰქონდათ. არავისთვის ფუფუნება არ შემიქმნია. თითოეულ მცხოვრებს (ჩემი სოფელი და საჩხერის რაიონიც რომ აიღო) მიეცა მკურნალობის საშუალება, 7-8 ათას ოჯახს სახურავი გამოვუცვალე.

სახურავის გამოცვლა თუ კაცს გააფუჭებს, ეს უფრო მისი მენტალობის პრობლემაა და არა თავად დახმარების იდეის. არც ის მგონია, რომ თუ კაცს სახურავიდან წყალი ჩასდის, მას დიდი აღმშენებლობის უნარი ჰქონდეს. ამდენად, არ ვთვლი, რომ ვინმე გავაზარმაცე, თუ სახლი გადავუხურე ან 200-ლარიანი დახმარება მიიღო - ამით კაცს პერსპექტივას ვერ მოუკლავ.

**- ეს მიდგომა მარტო სოფელს ან რაიონს არ ეხება. ბევრი ქვეყნის შეგნებული არჩევანია, რომ სხვისი დახმარების ხარჯზე იცხოვროს. შეუძლია ასეთ ქვეყანას რაიმე ღირებულის შექმნა?**

- დახმარებას გააჩნია. დღევანდელ ისტორიაში, როცა დედამიწა დაპატარავდა, კატასტროფული სხვაობებია განვითარებისა და ცხოვრების დონეებს შორის. აფრიკას რომ უნდა დაეხმარო სწორი ტექნოლოგიებით, ასწავლო მოსავლის მოყვანა და სწორი წარმოება, რომ ადამიანები შიმშილით არ დაიხოცონ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

მაგრამ ის, რომ დახმარების ფორმები ძალიან ხშირად მახინჯია და მთელი სახელმწიფოები, უფრო სწორად კი, ამ სახელმწიფოთა მეთაურები ახერხებენ ამ დახმარებების მითვისებას და ვალები მოსახლეობის გასასტუმრებელი რჩება, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზული პრობლემაა.

ხშირად არ ხდება შესატყვისი კონტროლი მათი მხრიდან, ვინც არიგებს ამ დახმარებას. ის ფორმალიზმი, რაც ამ კონტროლშია, არის აბსოლუტურად დამღუპველი და ასეთი დახმარებები არც არის სასურველი. დახმარებას თან თუ არ სდევს შესატყვისი კონტროლი, ჯობია საერთოდ არ იყოს.

**- რომელი კაპიტალიზმის მოდელი უფრო მისაღებია თქვენთვის - ამერიკული თუ, მაგალითად, სკანდინავიური?**

- ალბათ, რაღაც შუალედური მათ შორის. სკანდინავიური ზედმეტად სოციალურია, რაც მოსახლეობისთვის შეიძლება კარგია, მაგრამ ისიც ყველას გვახსოვს, მაგალითად, შვედეთიდან როგორ გარბოდა ბიზნესი მაღალი გადასახადების გამო. ასე რომ, ამ ყველაფერს კარგი ანალიზი სჭირდება. დღეს იმავე სკანდინავიაში სოციალური დაცვის სტანდარტი მაღალია, მაგრამ არც ეკონომიკის ზრდა ფერხდება. ლიბერალური ეკონომიკისა და სოციალური სოლიდარობის თავსებადი მოდელის მოძებნა დღეს ბევრი ქვეყნის ყველაზე მთავარი გამოწვევაა.

**- კაპიტალიზმის კრიზისზე საუბარი უკვე ჩვეულებრივი ამბავია. უფრო რადიკალურ მსჯელობებში მისი შესაძლებლობების ამოწურვაზეც მიანიშნებენ. თქვენ რას ფიქრობთ?**

- დღეს რომ იყოს ცნობილი (თეორეტიკოსების დონეზე მაინც), რა უნდა იყოს შემდეგი ფორმაცია, ამაზე მსჯელობა უფრო საგნობრივი იქნებოდა, მაგრამ ასეთს ვერ ვხედავ. ვფიქრობ, დროთა განმავლობაში პიროვნულ დონეზე ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი მოიმატებს. თავისუფლების ხარისხიც გაიზრდება და მოსაძებნი იქნება ფორმა, რომ ეს ქაოსში არ გადაიზარდოს. მეტი ლიბერალიზმი და სოციალური სოლიდარობა მაინც დღის წესრიგის მთავარ საკითხებად დარჩება. სოციალურ ქსელებსაც რომ შეხედოთ, მიხვდებით, რომ ეს უპირატესი მნიშვნელობის საკითხებია.

**- კრიზისები გახშირდა, მათი სიმძიმეც იმატებს. რა არის ასეთ დროს საქართველოსნაირი ქვეყნის საშველი - როგორ უნდა გაუმკლავდეს ის კრიზისებს, რომლებზე რეაგირებაც ერთი ქვეყნის ძალებს აღემატება?**

- დამიჯერეთ, ყველა გლობალურ კრიზისშიც ძალიან ბევრია პიროვნული. ყველაფრის სათავე კი ადამიანის სიხარბეა. რა არის ბოლო კრიზისების საერთო ნიშანი? ის ეკონომიკური პოლიტიკა, როდესაც სახელმწიფოები ხარჯავენ იმას, რაც არ შეუქმნიათ. თავი და თავი ეს არის. იმავე ბერძნებს რა პრობლემა აქვთ? დახარჯეს ის, რაც არ ჰქონდათ (მხედველობაში მაქვს აურაცხელი სახელმწიფო კრედიტები). დღეს კი გამოდიან კრიზისში ჩავარდნილი ადამიანები, ითხოვენ ძველებურად ცხოვრებას და ძნელია აუხსნა, რატომ აღარ გამოვა ძველებურად.

და როცა მსგავსი პრობლემა ბევრ ლოკალურ წერტილში შეიქმნა, ეს უკვე გლობალური თავის ტკივილია. და ჩვენი ერთ-ერთი პრობლემაც ის არის, რომ არანაირად არ გვაქვს მზაობა გლობალიზაციისთვის. რომ მას ანგარიში გავუწიოთ, მივიღოთ კარგი, განვვითარდეთ და არა პირიქით, დაგვასუსტოს მისმა გარემოებებმა.

ეს ძალიან რთული პროცესია. მით უფრო მაშინ, როცა ეკონომიკური სივრცე არ ყალიბდება კლასიკური ღია ბაზრის პრინციპებით და მონოპოლიებისა და კარტელების გზით ვითარდება. როცა ერთნი მაქსიმალურად ღარიბდებიან და სხვანი შემოსავალს იღებენ. და როცა საპროცესო შეთანხმებებით იკრიბება ფული და ისე ფინანსდება პენსიები.

**- როგორ ფიქრობთ, რა დრო სჭირდება რეფორმის განხორციელებას? სახელმწიფო მასშტაბის რეფორმას ვგულისხმობ.**

- პოლიტიკური რეფორმები ძალიან სწრაფად შეიძლება განხორციელდეს. დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისთვის 1-2 წელიც კი საკმარისია. რაც შეეხება ეკონომიკურ რეფორმას, ეს იქნება გაცილებით ხანგრძლივი და უფრო რთული. სწორ კანონებზე დაფუძნებული საინვესტიციო გარემოს შექმნა არ არის ხანგრძლივი პროცესი. მაგრამ ეს პროცესი რომ თითოეულმა მოსახლემ შეიგრძნოს (დაიწყოს სამუშაო ადგილების შექმნა, გამოჩნდეს გრძელვადიანი ეფექტი), ამას დასჭირდება უფრო მეტი დრო.

**- დამისახელეთ სამი დარგი, სადაც ინვესტიციებს დააბანდებდით.**

- პირველ რიგში, სოფლის მეურნეობა, რადგან ზედაპირზევე დევს. თუმცა, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას არანაკლებ ინვესტიციად მივიჩნევ, რაც ბიზნესს მისცემს საშუალებას, ააღორძინოს ეკონომიკა. სახელმწიფო ამას ვერც გააკეთებს და არც აქვს ამის ვალდებულება. მისი საქმეა კანონების ჩამოყალიბება და სწორი კლიმატის შექმნა. ეს დააბრუნებს ქვეყნიდან გასულ ხალხს. მარტო რუსეთში ათასამდე ქართველი მოვთვალე, ვისაც ერთ მილიონ დოლარზე მეტი აქვს. მცირე პოზიტიური საინვესტიციო სიგნალებიც საკმარისია, რომ ეს ხალხი და მათი ფული ამოძრავდეს ქართულ ბიზნესში.

რაც შეხება კიდევ ორ სფეროს, სადაც ინვესტირებას გადაუდებელ აუცილებლობად მივიჩნევ, ეს მედიცინა და განათლებაა.

**- ცოტა ხნის წინ ამბობდით, რომ წიგნის დაწერას აპირებდით. თქვენი ცხოვრებისეული გეგმების შეცვლის გამო ეს იდეა ხომ არ დაივიწყეთ?**

- არა, ეს იდეა დავიწყებას არ მისცემია, მხოლოდ გადავადდა. ვფიქრობ, რომ ძალიან მარტივად და გასაგებად მაქვს დანახული, რა არის ყოფა და როგორია ადამიანი. რატომ არის ასეთი, რა ამოქმედებს, რა ამოძრავებს. ვფიქრობ, რომ მარტივად, მაგრამ რეალისტურად მაქვს ეს დანახული. კარგად მაქვს დასისტემებული და ნაჩვენები, ადამიანის მოქმედების სხვადასხვა ასპექტები. ამ წიგნს მოგვიანებით აუცილებლად დავუბრუნდები.

**- ბედნიერი თუ ხართ?**

- ამაზე ბევრი მიფიქრია (სეირნობა და ფიქრი ჩემი ჰობია, თუმცა სულ უფრო ნაკლები დრო მრჩება ბოლო დროს საამისოდ) და ისევ იმ აზრზე ვარ, რომ ცალკე აღებული ერთი ადამიანი ვერ იქნება ბედნიერი და წარმატებული, თუ წარმატებული არ არის მისი მეზობელი, ერი, ქვეყანა. სწორედ ამ საზოგადო ბედნიერების დეფიციტმა გადამადგმევინა ის ნაბიჯი, როცა 56 წლის კაცი წარმატებული ბიზნესიდან პოლიტიკაში წავედი.

**რევაზ საყევარიშვილი**



# ratom urCevnia qarTvel istorikosTa erTnawils, qarTvelebi kolxuriki arasomxuri warmomavlobis iyvnen?

**ანზორ შონია**
**მკვლევარი, „ფაზისის" აკადემიის წევრი**

საქართველოს მთავრობამ გადაწყვეტილება, აღენიშნათ ქართული სახელმწიოფოებრიობის 3000 წლის იუბილე, რაც ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

მართალია, ეროვნულ მეცნიერებაში ქართული სახელმწიფოებრიობის თარიღზე ერთიანი აზრი არ არსებობს, მაგრამ აშკარა იყო, შეაჯერეს პოზიციები და აღნიშნულ თარიღზე შეთანხმდნენ.

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად აღიარეს კოლხეთის სამეფოს ეპოქა, რასაც საფუძვლად დაედო მიკენური, ასურული წარწერები, არქეოლოგიური აღმოჩენები, ბერძენი სწავლულების ცნობები კოლხეთზე და კოლხებზე, ბერძნების მიერ შექმნილი მითი კოლხეთზე, მეფე აიეტზე და მის ბრძენ ქალიშვილ მედეაზე (დაახლ. ძვ.წ.ა. XV-XIVსს) და ა.შ.

ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ კოლხეთზე მითის შექმნის საფუძველს ბერძნებს კოლხეთში არსებული სინამდვილე აძლევდა.

მართალია, ისინი შესანიშნავად ეცნობოდნენ იმ ეპოქის ქვეყნებს, მაგრამ არც ერთ მათგანზე არ შეუქმნიათ ესოდენ დიდებული მითი, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია, ვინაიდან ეს მეტყველებს კოლხეთის სამეფოს როლზე და ავტორიტეტზე იმ ეპოქაში.

ამ მითმა დიდი როლი შეასრულა ქართველებში ერთიანობის შეგნების განმტკიცებაში; მასზე თაობები იზრდებოდნენ.

მეცნიერთა მიერ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება მეტყველებს მათი მხრიდან ამ საკითხისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომაზე. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა კოლხეთში (ეგრისში), ზოგადეროვნულ მოვლენად აღიარეს, თუმცა, სრულიად შესაძლებელია, იმ ეპოქაში კოლხეთის სამეფოს საზღვრები გაცილებით შორს ყოფილიყო.

მართალია, ჩემთვის უცნობია, მაგრამ იუბილის შესახვედრად გარკვეული ღონისძიებები იქნებოდა დასახული და, მათ შორის, გადაწყვეტილი იქნებოდა საქართველოს სრულყოფილი და ობიექტური ისტორიის გამოცემა, ვინაიდან, სწორედ ასეთი ისტორიის უქონლობა უარყოფითად აისახა ქართულ სინამდვილეზე.

სამწუხაროდ, 3000 წლიანი იუბილისათვის მზადება რატომღაც შეწყდა, მაგრამ ახლახან გამოვიდა პოლიგრაფიულად შესანიშნავად გაფორმებული „საქართველოს ისტორიის" ოთხტომეული.

ვიფიქრე, მასში გასწორებული იქნებოდა ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში, მაგრამ შევცდი.

მხედველობაში მაქვს ოთხტომეულის ის ნაწილი, რომელიც ეხება ეპოქას საქართველოს გაერთიანებამდე (განსაკუთრებით VI-XIII-თავები).

რა თქმა უნდა, მე არა მაქვს კომპეტენცია, რომ რეალურად შევაფასო „საქართველოს ისტორიის" ამ ნაწილის ისტორიული დონე, მაგრამ, ასევე დარწმუნებული ვარ შემდეგში – ქართველი მეცნიერები თავს შეიკავებენ მასზე ობიექტური აზრის გამოთქმისაგან, იმდენად ავტორიტეტული მეცნიერების მიერ არის იგი შედგენილი.

სწორედ ამან გადამაწყვეტინა, გამეზიარებინა ჩემი მოსაზრებები საზოგადოებისათვის.

სანამ მასზე გადავიდოდე, მინდა შევეხო იმ ინციდენტს, რომელიც მოხდა ჩემსა და „საქართველოს ისტორიის" ავტორებს შორის 2010 წელს.

ბატონმა შოთა ზოიძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, გამოაქვეყნა წერილი - „დნეპრდალეულმა პრეზიდენტმა რუსთაველი ჩაგვაშხამა" (გაზ. „საქ.რესპ." 15.V.2010წ), რომელშიც აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ პრეზიდენტმა ბათუმში, რუსთაველის ბიუსტის დადგმის დროს, „î äí î ç-í à÷í î" განაცხადა - „ქართველობა სომხურ ეთნოს ნიშნავს"-ო.

ამასთან დაკავშირებით ამავე გაზეთში (20.V.2010წ) გამოქვეყნდა ჩემი წერილი - „ქართველი და სომეხი სხვადასხვა ეთნოსია". ავტორს დავეთანხმე, რომ საშინელებაა, როდესაც ამას ამბობს პრეზიდენტი, მაგრამ ამაში მოულოდნელი არაფერია, ვინაიდან ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა" ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებს, რომ ერთი ეთნოსის არიან არა მარტო ქართველები და სომხები, არამედ - კავკასიაში მცხოვრები

# mosazrebani `saqarTvelos istoriaze~



ყველა ხალხები, რასაც მე არ ვეთანხმები.

უფრო მეტი. აშკარაა, რომ მას მეგრელები და ჰერები ქართველებად არ მიაჩნია და მათ წარმოგვიდგენს, როგორც ლეკებს, სომხებს და სხვებს.

დღეს, რომ ქართლოსი, ეგროსი და ჰეროსი ქართველთა ეთნარქებად არიან აღიარებული, ეს ქართველი მეცნიერების დამსახურებაა, რაც სრულიად ლოგიკურია, ვინაიდან ისინი ეთნობრივად ერთნი და ჭეშმარიტი ქართველები არიან.

სხვათა შორის, ლეონტი მროველის მოსაზრებაზე ქართველი მეცნიერები არაფერს ამბობენ. ვფიქრობ, ერთადერთი ვარ, რომელიც არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას და ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ, რომ ქართველებშა ერთი ეთნოსის დომინანტია.

რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ბატონ შოთა ზოიძეს, დოქტორს, მწერალს, წაკითხული ექნებოდა „ცხოვრება ქართველთა მეფეთა", ვუსაყვედურე, რატომ არ გამოხატავდა აღშფოთებას იმაზე, თუ როგორ ამაზრზენად აღწერდა მროველი ქართლში შექმნილ მდგომარეობას, დაახლოებით, ძველი წელთაღრიცხვის VII-VI-საუკუნეებში.

ის გვამცნობს, რომ ნოეს შთამომავალმა თარგამოსმა, თითქოს კავკასიელი ხალხების წინაპარმა, თავისი რვა შვილიდან, „უმეტეს გმირს" ჰაოსს მისცა თავისი სამფლობელოს ნახევარი, ხოლო დანარჩენ შვიდ შვილს - მეორე ნახევარი (ალბათ, კავკასიის ნახევარი).

თურმე, ჰაოსს ემორჩილებოდნენ ძმები და მათი ენა ყოფილა სომხური - „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუქცევეს ენა სომხური, და შეიქმნა ენა ქართული. და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთა, რამეთუ ცოლქმრობისთვის არა უჩნდა ნათესავობა და ყოველსა ნათესავსა სულიერსა ჭამდეს, საფლავი არ იყო და მკვდარსა შესჭამდეს".

ამაზე ამაზრზენი რაღა უნდა დაეწერათ ქართლზე და ქართლელებზე, რომ ქართველ მეცნიერებს ეთქვათ საზოგადოებისთვის, თუ რამდენად ბოროტი სიცრუეა ყოველივე ეს. მით უმეტეს, ეს არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა, ვინაიდან იმ ეპოქაში სომხეთი კავკასიის რეგიონში საერთოდ არ არსებობდა.

არა და, იმის დასამტკიცებლად, რომ მართლაც ასეთი საშინელი სიტუაცია იყო ქართლში, მროველი ახალ ტყუილს გვთავაზობს: თითქოს ასეთი საზარელი სურათი უნახავს ალექსანდრე მაკედონელს, როდესაც მან ქართლი დაიპყრო.

და ეს მაშინ, როდესაც ისტორიაში დადგენილია ფაქტი, რომ კავკასიაში მაკედონელი არ ყოფილა. მით უმეტეს, არც ქართლი დაუპყრია და, არც ქართლში ყოფილა.

ვფიქრობ, ქართველი ისტორიკოსების ამ საკითხისადმი მიდგომას გამართლება არა აქვს, ვინაიდან ყოველივე ეს ჩვენი წინაპრების საშინელი შეურაცხყოფაა.

ჩემს წერილში გამოვაქვეყნე ფაქტობრივად სამხრეთ კავკასიის რუკა (ძვ.წა.VI-VII), სადაც სომხეთი არ ჩანს და, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ტერიტორიაზე, არსებობს მხოლოდ კოლხეთის (ეგრისის სამეფო).

წერილმა და რუკამ სომხების აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ მალე გაჩუმდნენ. ხოლო როდესაც ვკითხე, თუ რატომ არაფერს ამბობდნენ, მიპასუხეს – შეიძლება შენ მართალი იყო, მაგრამ ამას თვითონ ქართველი მეცნიერები არ გაპატიებენ, ვინაიდან მათ იციან, სომხების შთამომავლები რომ არიანო.

მართლაც, არ გასულა დიდი დრო და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (26.05.2010წ) გამოქვეყნდა ბინძური, პროვოკაციული წერილი, რომელიც ითვალისწინებდა ჩემს დამცირება-შეურაცხყოფას და ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, თითქოს ჩემი წერილი ხელს უშლიდა მეცნიერების წინსვლას.

არა და, რა ვთქვი ისეთი - შევეცადე დამემტკიცებინა, რომ ძველი წელთაღრიცხვის VI-V-საუკუნეებში კოლხეთის (ეგრისის) სამეფო მდებარეობდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე; ფაქტობრივად, მასში შედიოდა მთელი სამხრეთ კავკასია და ქართველებში ერთი ეთნოსის დომინანტია.

ამაზე კარგი რა უნდა უთხრა ქართველ ხალხს, რომ გაახარო? – ვფიქრობ, ამ საკითხთან დაკავშირებით ძნელია უკეთესის თქმა.

ოპონენტებმა წამომიყენეს პრეტენზია, თითქოს ჩემთვის წყაროები უცნობი იყო, მაგრამ, ეტყობა, ეს ნაკლი სწორედ მათ აქვთ, ვინაიდან ისინი წყაროდ არ მიიჩნევენ უცხოელ მეცნიერებს, ისტორიის მამად წოდებულ ჰეროდოტეს, ბიზანტიელ სწავლულს ევდოკიას, ბიზანტიურ ენციკლოპედიას (VIII-IX-სს), ცნობილ მეცნიერს იოსებ ყიფშიძეს, რისმაგ გორდეზიანის მიერ კასპიისპირეთში მიკვლეულ მეგრულ ტოპონიმებს და ა.შ.

ჩემი მოსაზრების საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ დაღესტნის დედაქალაქია მახაჩკალა – მეგრულად „მთოხნელი" (რასაც თვითონ ისინიც არ უარყოფენ). განჯა კი მეგრულად არის „გალება."

სხვათა შორის, დიდმა დავით აღმაშენებელმა სწორედ განჯიდან წამოიღო ჭიშკარი. ეტყობა, წარსულში იქიდან იწყებოდა კოლხეთის (ეგრისის) სამეფო.

აშკარაა, ისინი აღაშფოთა იმან, რომ ქართული ეთნოსის სათავეებთან კოლხები (მეგრელები) აღმოჩნდნენ.

ვაი, ჩვენს თავს – ეტყობა, არც ისინი არიან დაზღვეული კუთხური ცნობიერებისაგან, თორემ, რა განსხვავებაა, ვინ აღმოჩნდება ქართული ეთნოსის სათავეებთან. მთავარია, რომ ერთნი ვართ.

ყოველ შემთხვევაში, მე არ ვაპირებ „საქართველოს ისტორიის" ამ გამოცემის განხილვას, მას ჩემი დონე არ ეყოფა, მაგრამ მინდა, გამოვთქვა ჩემი აზრი ავტორების ზოგიერთ მოსაზრებაზე, რომელიც მიუღებლად მიმაჩნია.

ვეცდები, „ცრუმეცნიერულ მორევში არ ჩავიხრჩო", როგორც მომწერა ვიღაც იდიოტმა, ვისაც თარგამოსი იაფეთის „ძმისწული" (და არა შვილიშვილი) ჰგონია და რომელსაც ვერც კი წარმოუდგენია, რომ შეიძლებოდა ჩვენი ქვეყანა ოდესმე ერთიანი ყოფილიყო. ამ წერილს, სამწუხაროდ, ხელი მოაწერეს ახალი „საქართველოს ისტორიის" ფაქტობრივმა ავტორებმა. ეტყობა, წერილის ავტორებისთვის უცნობია ცნობილი მეცნიერის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ კლიმენტი შელიას წიგნი - „კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე"- (თბ.2008წ.), თორემ, მაშინ უნდა გენახათ მათი აღშფოთება.

არა და, საინტერესოა, ქართული ისტორიოგრაფიის რა დონის ფანტასტიურ შეურაცხყოფად აღიქვამდა ბატონი ნოდარ ლომოური ბატონ კლიმენტი შელიას კონცეფციებს.

„საქართველოს ისტორიის" ოთხტომეული იწყება ცნობილი მეცნიერის ოთარ ჯაფარიძის შრომებით, სადაც შესანიშნავადაა განხილული ჩვენი ქვეყნის წარსული, ქვის ხანის ეპოქიდან თითქმის ახალი წელთაღრიცხვის ეპოქამდე.

მართალია, ძველი ქვის ხანიდან მოყოლებული გვიან ბრინჯაოს ხანამდე (დაახ. ძვ.წ.ა.VI-V-ს.ს.), მეცნიერი ყველა ეპოქაში ახსენებს მხოლოდ კოლხეთს და კოლხეთში მიღწეულ წარმატებებს, მაგრამ ის კოლხეთს ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს დასავლეთ საქართველოს რიგით რეგიონად, მაშინ როდესაც კოლხეთის და კოლხური ენის ნაკვალევს არა მარტო მთელს საქართველოსა და კავკასიაში, არამედ შუამდინარეთშიც კი ნახულობენ.

ყოველ შემთხვევაში, მეცნიერი ადრეულ – ბრინჯაოს ხანიდან, ყველა ეპოქაშიც, ჩვენს ქვეყანას მოიხსენიებს აღმოსავლეთ საქართველოდ და დასავლეთ საქრთველოდ, რაც მეტყველებს იმაზე, რომ იგი თითქმის გამორიცხავს ჩვენი ქვეყნის ერთიანობას რომელიმე ეპოქაში.

ვფიქრობ, უფრო სწორი იქნებოდა ეხსენებინა საქართველო, ვინაიდან სანამ მის მხარეებს დაერქმეოდა აღმოსავლეთ საქართველო და დასავლეთ საქართველო, ჩვენს ქვეყანას უნდა რქმეოდა საქართველო, მაგრამ არც ეს იქნებოდა გამართლებული, რადგანაც იმ ეპოქაში ცნებები „საქართველო" და „ქართველი" არ არსებობდა, რაზეც მაშინვე იტყვიან ქართველი ხალხის არაკეთილმოსურნენი, რომელთა ნაკლებობას ქართველი ხალხი არ განიცდის.

არა და, დაუშვებელია, როდესაც ქვეყნის ისტორია იწერება, შენი ქვეყანა ათასწლეულების განმავლობაში სახელის გარეშე დატოვო, მით უმეტეს, როდესაც მეცნიერები, მათ შორის უცხოელებიც, მიიჩნევენ, რომ ჩვენს ქვეყანას შორეულ წარსულში „იბერია" და მოსახლეობას „იბერები" ერქვა.

უფრო მეტი, ნაწილი უცხოელი მევნიერებისა, იბერების სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევდნენ და პირენეის იბერებსაც აქედან წასულებად აღიარებდნენ.

მართალია, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასაწყისიდან ბერძნები ჩვენს ქვეყანას „კოლხეთად" მოიხსენიებდნენ, მაგრამ მას „იბერიასაც" ეძახდნენ. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა გაიყო კოლხეთის (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) სამეფოებად (ძვ.წ. IV-III-სს), მათ, ხშირად, ზემო და ქვემო იბერიებადაც მოიხსენიებდნენ.

სხვათა შორის, ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი „იბერიას" მეგრულ სიტყვად მიიჩნევდა.

მართლაც, სიტყვა „იბერია" მეგრული ენისთვის დამახასიათებელი სიტყვაა. მით უმეტეს, შესაძლებელია, შინაარსითაც მეგრული იყო, რადგანაც „ბერი" მეგრულ-ლაზურ ენაზე „ვაჟიშვილს" ნიშნავს. სხვათა შორის, „შვილს" ნიშნავს ბასკურადაც.

ამდენად, ყოვლად გაუმართლებე-

ლია, როდესაც ქვეყნის ისტორია იწერება ქვეყანა ათასწლეულების განმავლობაში სახელის გარეშე დატოვო. მითუმეტეს, გამორიცხულია, ასე ყოფილიყო.

ყოველ შემთხვევაში, მე ეს „საქართველოს ისტორიის" ერთ-ერთ შეცდომად მიმაჩნია.

წიგნში მოთავსებულია აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის ნაშრომი „ქართველთა წარმომავლობისთვის".

ამაში მოულოდნელი არაფერია, მაგრამ მოულოდნელია მეცნიერის მიდგომა ამ საკითხისადმი.

ავტორი მიიჩნევს, რომ ქართველთა ეთნოგენების გარკვევა რთული პრობლემაა და მას ათასწლოვანი ისტორია მაინც აქვს - „ანტიკური ხანის უცხოელ მწერლებს თავი რომ გავანებოთ, რომლებიც კავკასიელ ივერიელებსა (აღმოსავლეთ ქართველებს) და პირენეის იბერებს ერთმანეთ უკავშირებენ."

— ჯერ ერთი, კავკასიელებიც იბერები არიან და არა „ივერიელები". სწორი ფორმაა „იბერია" და არა „ივერია". ეტყობა, „ივერია" რუსული გავლენითაა დამკვიდრებული, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რუსულ ენციკლოპედიაში, როგორც ძველში ისე ახალში, ფორმა „იბერია" იხმარება.

„საქართველოს ისტორიაში" ფრთხილად უნდა მოვექცეთ ეროვნულ ცნებებს.

-მეორეც, რატომ უნდა გავანებოთ თავი ანტიკური ეპოქის სწავლულებს, რომლებიც ერთმანეთს უკავშირებდნენ ქართველ იბერებსა და პირენეის იბერებს, მაშინ როდესაც, თანამედროვე მსოფლიოში ცნობილი მეცნიერებიც თითქმის ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებენ, რომ იბერები სწორედ კავკასიიდან მოხვდნენ, არა მარტო ევროპაში, არამედ — ამერიკაშიც.

ჩემთვის უცნობია სხვები რას იტყვიან, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია ქართველი, რომელიც ამას თავისი ქვეყნის სასახელოდ არ აღიქვამდა.

როდესაც მეცნიერი წერს — „კავკასიელ იბერიელებს (აღმოსავლეთ ქართველებს)", აშკარაა, რომ იბერიელებად აღმოსავლეთის ქართველები მიაჩნია, რაც არ ეპეტიება, ვინაიდან ბერძნები სწორედ კოლხებს უფრო (მეგრელებს) მიიჩნევდნენ იბერებად, გაცილებით შორეული ეპოქიდან, ვიდრე ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს. მას შემდეგ წარმოჩინდა იბერიის (ქართლის) სამეფო (ძვ.წ. IV-III-ს.ს.). ეგრისისა და ქართლის სამეფოებს ქვემო და ზემო იბერიებად მოიხსენიებდნენ.

თანაც დადგენილია, რომ ესპანეთის იბერების შთამომავლებს, ბასკებს, გაცილებით მეტი აქვთ საერთო მეგრელებთან, ვიდრე ქართლელებთან.

რომ არაფერი ვთქვათ საერთო სიტყვებზე, გამოთქმებზე, გრამატიკაზე მეგრულ და ბასკურ ენებში, საკმარისია მოვიყვანოთ ერთნაირი ფორმისა და შინაარსის მეგრული და ბასკური გვარები, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ამ ენების ნათესაობაზე, ვინაიდან გვარი იქმნება იმ ენაზე, რომელზედაც მეტყველებს მისი შემქმნელი ხალხი.

არა და, ბატონი დავითის ამ მოსაზრებამ ფაქტობრივად გამორიცხა, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი შორეულ წარსულში (ძვ.წ. V-III-ათასწლეულები) „იბერია" ყოფილიყო.

ასეთ შეცდომას არ უნდა უშვებდეს ამ დონის მეცნიერი.

ქართული ეთნოგენეზის შესწავლაში ბატონი დავითი უპირატესობას ერთმნიშვნელოვნად ანიჭებს XI საუკუნის „განათლებულ ისტორიკოსს" ლეონტი მროველს.

თუ როგორ ამაზრზენად წარმოგვიდგინა მროველმა ქართველთა წარმომავლობა, ამაზე ზემოთ ვისაუბრე და არ გავიმეორებ, მაგრამ მან ის მაინც მოახერხა, რომ ქართლელები, ჰერები და მეგრელები ერთი ეთნოსის მქონე ხალხებად აღიარა, რაც, ეტყობა, ბატონმა დავითმა არ გაიაზრა, ვინაიდან ერთხელაც არ უხსენებია, რომ ქართველები და მეგრელები ერთი ეთნოსის მქონე ჭეშმარიტი ქართველები არიან, ხოლო ჰერებზე ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ისინი ეთნიკურად ქართველები არ არიან.

რამდენიც არ ეძება ქართლელების წინაპრები, არ უთქვამს, რომ სრულიად შესაძლებელია, ქართლელები და კოლხები (მეგრელები) ერთი და იგივე წარმოშობის ტომები ყოფილიყვნენ.

არა და, მან ვერ დაასახელა კონკრეტულად ვერც ერთი ტომი, რომელიც შეიძლებოდა ქართველთა წინაპარი ყოფილიყო; მაშინ, როდესაც, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხების (მეგრელების) შემადგენლობაში 20-ზე მეტი მეგრულენოვანი ტომია დასახელებული — ხალდები, ხალიბები, მანრალები, მაკრონები, ჰენიოხები, დრილები, სანები, სანიგები, მისიმიანები, შკვითინები და ა.შ. რომელთა ტერიტორიული განლაგება ზუსტად დადგენილი არ არის და, სრულიად შესაძლებელია, მათგან ზოგიერთებს აღმოსავლეთ საქართველოში ეცხოვრათ და ქართლელების, კახელების, მთიულების წინაპრები ყოფილიყვნენ.

ბატონი დავითის აზრით, ქართველური ენების ძველი ცნობილი ეთნოსების — ხეთების, ხათების, ხურიტების, ურარტუელების ენებთან თანხვედრა იძლევა საშუალებას, ზოგადად შემოვხაზოთ გეოგრაფიული არეალი, სადაც ძველი წელთაღრიცხვის ათასწლეულებში ქართველურ ტომებს უნდა ეცხოვრათ.

-ჯერ ერთი ამ ენებს გაცილებით მეტი საერთო აქვთ კოლხურ (მეგრულ) ენასთან და ამ ტომებს მიიჩნევენ მეგრულენოვან ტომებად, რისთვისაც საკმარისია გავეცნოთ ცნობილი მეცნიერის გრიგოლ გიორგაძის შრომებს.

-მეორეც, თუ ეს ენობრივი თანხვედრები იძლევიან იმის საფუძველს, დადგინდეს, სად შეიძლებოდა ეცხოვრათ ქართველებს, კოლხური (მეგრული) და ქართული ენების თითქმის იდენტურობა რატომ არ შეიძლება იძლეოდეს იმის საფუძველს, რომ შორეულ წარსულში კოლხებს (მეგრელებს) აღმოსავლეთ საქართველოშიც ეცხოვრათ და ქართლელები და კოლხები (მეგრელები) ერთნი ყოფილიყვნენ.

რამდენად სწორია ბატონი დავით მუსხელიშვილის მოსაზრებანი, ეს საზოგადოების გადასაწყვეტია, მაგრამ, ეტყობა, ქართველთა წარმომავლობაზე ასეთმა მოსაზრებამ ათქმევინა ჩვენს მტრებს, ქართველები გაურკვეველი წარმომავლობის ხალხიაო, რასაც „საქართველოს ისტორიაც" არ უარყოფს.

ამის გამართლება არ შეიძლება.

მართალია, ბატონ დავითს სჯერა ლეონტი მროველის, მაგრამ როგორ შეიძლება მას ენდოს მეცნიერი, როდესაც მან თავის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა"-ში საერთოდ არ ახსენა იბერია და კოლხეთი; მაშინ როდესაც, ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეების მიჯნაზე ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში დაარსებულ სამეფოს ეწოდა „იბერიის სამეფო" და არა — „ქართლის სამეფო", როგორც მას მროველი მოიხსენიებს.

ნაწილი ქართველი მეცნიერებისა ვარაუდობს, რომ ახალი სამეფოსთვის „იბერიის სამეფოს" დარქმევა თითქოს მისი საფუძვლის ჩამყრელის მიერ ჩვენი ქვეყნის უძველესი სახელის აღდგენის სურვილმა განაპირობა.

სხვათა შორის, არ არსებობს ისტორიული წყარო, რომელშიც „იბერიის სამეფოს" ნაცვლად მოიხსენიებოდეს „ქართლის სამეფო".

სამწუხაროდ, VI საუკუნეში სპარსეთმა იბერიაში მეფობა გააუქმა, რის შემდეგაც იბერია, როგორც ადმინისტრაციული ერთეული არ არსებობს, მაგრამ, XI საუკუნეშიც კი, ქართველი მოღვაწე გიორგი ბაკურიანისძე, „პეტრიწონის მონასტრის" მშენებელი, ეროვნებად ისევ იბერიელს აღიარებდა.

ისტორიაში ზუსტად დადგენილი არ არის, როდის შეიცვალა იბერია ქართლით, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო ერთიანი საქართველოს ეპოქაში (XI-XVს.ს.).

არა და, მროველის ნაწარმოებს „ცხოვრება ქართველთა მეფეთა" ერქვა თუ „ცოვრება იბერთა მეფეთა" დაუდგენელია, ვინაიდან მისი ქართული დედანი დაკარგულია და მხოლოდ სომხური ვარიანტია ნანახი, რომელსაც ქართულიდან ნათარგმნად მიიჩნევენ.

„ქართლის ცხოვრება" სომხურიდან ითარგმნა XV საუკუნეში, როდესაც „ქართლის სამეფო" რეალურად არსებობდა. ეტყობა, ამან განაპირობა მთარგმნელის მიერ ლეონტი მროველის ნაწარმოებისათვის „ქართლის ცხოვრებად" მოხსენიება, თორემ სომხები ჩვენს ქვეყანას ყოველთვის „ვრასტანს" ეძახდნენ, მას იბერია ერქვა თუ ქართლი. სათანადოდ უცნობია, მროველის ნაწარმოებს სინამდვილეში რა ერქვა. შესაძლებელია, მას „იბერიის ცხოვრება" რქმეოდა. „საქართველოს ისტორიაში" ამაზე უნდა თქმულიყო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)




teleNEWS

**ირაკლი ჩიქოვანი „თავისუფალი დემოკრატები":** როგორც იცით, კახა მიქაია დააკავეს „თავისუფალი დემოკრატების" წევრის სერგო ჩაჩიბაიას სასამართლო პროცესის შემდეგ, რომელსაც ის შენობასთან შეკრებილ ხალხს მიმართავდა. ამ დროს გამოჩნდა ზუგდიდის პოლიციის უფროსი ლევან ქირია და ათამდე პოლიციელი და მათ დააკავეს მიქაია. მხოლოდ ომბუდსმენის წარმომადგენელის ჩარევის შემდეგ გახდა ცნობილი ჩვენთვის მისი ადგილსამყოფელი. ხოლო ადვოკატი მას მხოლოდ სასამართლო პროცესზე შეახვედრეს. რაც მოხდა სასამართლოში, ეს უბრალოდ ტრაგიკომედიაა. რიგითი პოლიციელი, რომელიც საერთოდ არ ყოფილა მიქაიას დაკავებისას, განუწყვეტლივ იმეორებდა, რომ „მიქაიას უნდა მიესაჯოს 90 დღე".

ჩვენ მიტინგს ვატარებდით პატარა პარკში, იქ მოსახლეობა არ არის. შესაბამისად, სიმშვი-



დეს ვერ დავურღვევდით. ნამდვილად არ ვიგინებოდით, ვსაუბრობდით, თუ რა მოხდა სასამართლოზე, სადაც მოსამართლემ უსირცხვილოდ გაიმეორა ის, რაც მას დაავალეს ახალაიას უწყებიდან.

ზუგდიდში ძალიან ბევრი ადამიანია, რომელსაც სალი აზრი აქვთ შექმნილ ვითარებაზე, მაგრამ არიან ადამიანებიც, რომლებიც მუშაობენ რა ნაციონალური მოძრაობის მიერ კონტროლირებად სამართალდამცავ სისტემებში ცდილობენ გამართლება უპოვონ თავიანთ მოღვაწეობას. მათ ხომ კარგად იციან, რომ პოლიციელის ფუნქცია არ არის დევნოს ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ განსხვავებული აზრი. ჩვენ არ გვჭირდება იდეოლოგიური პოლიცია. მე კარგად ვიცი, რას აკეთებს პოლიცია ზუგდიდში და რატომ აკეთებს, ამაზეც მოგახსენებთ. პოლიცია რომ პოლიტიზირებულია ამაზე ჩაჩიბაიას და მიქაიას მაგალითიც მოწმობს. ჩაჩიბაიას მოუწყეს პროვოკაცია, მას მივარდა ახალგაზრდა ყმაწვილი ლანძღვით, როდესაც იგი მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა ე.წ. „პროფილაქტიკაში". სერგო მიხვდა, რომ ეს იყო პროვოკაცია და ხმა არ გაუღია. მეგობრებმა ახალგაზრდა გადაიყვანეს ქუჩის მეორე მხარეს. ამ დროს მოდის პოლიციის ორი პიკაპი და სთხოვენ ჩაჩიბაიას გაყოლას პოლიციის სამმართველოში, რათა გაერკვნენ სიტუაციაში. სერგო გაჰყვა მათ ულაპარაკოდ. ოთხსააათნახევარი ვეძებდით, სად იყო ჩაჩიბაია. მხოლოდ ამის შემდეგ დაუკავშირდნენ ადვოკატს და უთხრეს, რომ იგი იმყოფება სამმართველოში, რომელიც ნამდვილად არ გახლავთ გამჭვირვალე და იქ შეღწევა ძალიან ძნელია. აღსანიშნავია, რომ ჩაჩიბაიას ბრალად წაუყენეს ცივი იარაღის ტარება და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა, თითქოს მას მანქანაში ოთხიდან სამი პოლიციელი გაულახავს. სოციალურ ქსელებში ხუმრობაც კი გაჩნდა, თავისუფალ დემოკრატებს რიგებში „რემბო" ჰყავთო.

თუმცა ამ ორი პიროვნების დაკავება მხოლოდ მათ პოლიტიკურ შეხედულებებს არ უკავშირდება. ეს კავშირშია ბ-ნ ირაკლი ალასანიას ბოლოდროინდელ განცხადებებთან სამეგრელოში უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნის შესახებ. თუმცა არც მხოლოდ ესაა მიზეზი. ჩვენ დიდი ხანია ვამბობთ, რომ სამეგრელო მეტად მნიშვნელოვანი რეგიონია. ძალიან ხშირად ცვლილებები საქართველოში იწყებოდა სწორედ ამ რეგიონიდან. ამიტომაც ცდილობს ხელისუფლება გააქვავოს აქ სიტუაცია, შეინარჩუნოს სტაბილური „გამყინვარება". და თუკი აქ დაიძრა ყინული, ამას აუცილებლად მოჰყვება იმ აისბერგის დნობა, სააკაშვილის ხელისუფლება რასაც ჰქვია. და მინდა გითხრათ, რომ დნობა უკვე დაწყებულია, რაზეც მოწმობს ხელისუფლების პანიკური ქმედებები.

რაც შეეხება უშუალოდ ამ სამხედრო ფორმირებებს, რომელიც ნამდვილად არ არის რეზერვი, დღეისათვის გადაყვანილია სხვა დისლოკაციის ადგილზე. მე არ ვიცი, რა ინფორმაციას ფლობდა ამის შესახებ მიქაია, მაგრამ ჩაჩიბაია, ისევე როგორც მე ნამდვილად ფლობდა ინფორმაციას ამ ფორმირებების შესახებ. ჩემი სახლიდან მეხუთე სახლში იყო განთავსებული ასეთი ფორმირება. ეს ზუგდიდელებისთვის დამალული არ არის. მათი ახალი მისამართების დასახელება ამ ეტაპზე არ შემიძლია, ამასთან, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, შემცირდა მათი რიცხობრივი რაოდენობა.

მე არ გამკვირვებია, ამ ხელისუფლებამ ალასანიას განცხადება რომ არ აღიქვა სერიოზულად, რადგან ეს ხელისუფლება სერიოზულად არ აღიქვამს საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლესაც კი. ამათთვის ავანტურა და შიშსა და ტყუილზე დამყარებული მმართველობა, არის უმთავრესი. ეს არის რეალობა, რომელსაც არ სჭირდება დიდი კვლევა. ადამიანები, რომლებიც მივიწყებულნი იყვნენ წლების განმავლობში, გროვდებიან და გარკვეულ ურთიერთობებს იჭერენ სახელისუფლებო წარმომადგენლებთან, რომლებიც მათ აიარაღებენ. ეს საჭიროა შიშის დასანერგად.

ასევე ამ პიროვნების დაკავება უკავშირდება „ქართული ოცნების" გააქტიურებას, გაიხსნა რამდენიმე ოფისი, განსაკუთრებით ვემზადებით ზუგდიდის ოფისის გახსნისთვის. შესაბამისად, ხელისუფლება ხვდება, რომ ყინული დაიძრა, ხალხმა დაინახა, რომ გარდა ხელისუფლებისა, ქვეყანაში არსებობს სხვა ძალა, რომელსაც რეალურად შეუძლია შეცვალოს ვითარება და გამოიყვანოს ქვეყანა კრიზისიდან.

სამეგრელოში ხალხი ნაკლებად ინფორმირებულია. არ არსებობს დამოუკიდებელი მედიასაშუალებები. მოსახლეობასთან შეხვედრებმა ხალხს ინფორმაცია მიაწოდა. მე მწამს, რომ ისინი მალე ხმას აიმაღლებენ და უახლოეს მომავალში იტყვიან თავიანთ გადამწყვეტ სიტყვას.

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# SezRuduli SesaZleblobis mqone pirTa problemebi saqarTveloSi

ამბობენ, რომ დღეს სახელმწიფოში უამრავი პროგრამა არსებობს ამა თუ იმ პრობლემის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ჩვენი ქვეყანა და მთავრობა მზად არ არის შეუქმნას სრული პირობა უნარშეზღუდულ ადამიანს, რომ მან თავი იგრძნობს საზოგადოების სრულყოფილ წევრად. თუმცა ყველაფერს სახელმწიფოს არასწორ პოლიტიკას ვერ დავაბრალებ, ჩემი აზრით, თავი და თავი ამ პრობლემის მაინც ჩვენშია. ჩვენ გვესირცხვილება "ინვალიდი" ადამიანის ნათესაობა, რომ აღარაფერი ვთქვათ დანათესავებაზე. გვეცოდებიან ისინი, ზოგ შემთხვევაში, ზიზღნარევი გრძნობითაც კი, თუ მათი ფიზიკური მონაცემი აღფრთოვანების საშუალებას არ იძლევა, თანავუგრძნობთ, მეტწილად ფარისევლურად, მაგრამ არ ვაღიარებთ მათ, როგორც საზოგადოების სრულფასოვან და სრულყოფილ წევრებს. შესაბამისად, როდესაც მოთხოვნა არ გაქვს შენი "ინვალიდი" ნათესავი და ოჯახის წევრი გარეთ – ხალხში გავიდეს და საზოგადოებაში ინტეგრირება მოახდინოს, მაშინ სახელმწიფოს არ სთხოვ მისთვის შეღავათების და უფლებების დაცვას, არ ითხოვ ტროტუარების, მეტრო-სადგურების, შენობა-ნაგებობების ისე მოწყობას, რომ ამ ადამიანებს მინიმუმ თავისუფალი გადაადგილების უფლებით სარგებლობა შეეძლოთ. როცა ასეთი ადამიანი სახლის ან ინტერნეტის რომელიმე ოთახშია გამოკეტილი, მათ არც მეტრო სჭირდებათ, არც ავტობუსი, არც უსინათლოთათვის სპეციალური ზოლები, არც ბრაილის შრიფტით დაწერილი წიგნები ბიბილიოთეკებში და არც ხმოვანი შუქნიშნები. როცა ძველ, კულტურული მნიშვნელობის შენობაზეა საუბარი, კიდევ გასაგებია, რთულია მისი გადაკეთება, მაგრამ როცა ახალი სახლები შენდება, როცა მაღა-



ზიები, რესტორნები გარე ფასადის მოსაწყობად ამდენ თანხას ხარჯავენ, კიბესთან ერთად პანდუსის გაკეთებაც არა მგონია, რთული იყოს. არც ხმოვანი შუქნიშნები დაჯდება ჩვეულებრივზე ბევრად ძვირი. პირველი და უმთავრესია ამ ადამიანების საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება და შემდეგ კი უკვე პრობლემა - დასაქმებაა.

არადა, მათ შეუძლიათ სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისთვის მატერიალური და არამატერიალური დოვლათის შექმნა. ამის მაგალითია გერმანია და ჩრდილოეთ ევროპა. გერმანელი ინვესტორები ხშირად სხვა ქვეყანაში მცხოვრებ უნარშეზღუდულ ადამიანებსაც ეხმარებიან, ამის მაგალითია რუსთავში არსებულ "შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრში" გახსნილი მინისაწარმო, სადაც უნარშეზღუდულები მუშაობენ. საწარმოსათვის საჭირო ყველა მოთხოვნას გერმანული მხარე უზრუნველყოფს. რუსთავის აღნიშნული ცენტრი 2007 წელს დაფუძნდა და იქ 100-ზე მეტი ადამიანი დადის. ცენტრში უნარშეზღუდული ბავშვები 25 წლამდე უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ხშირად ისინი იქ 25 წლის შესრულების შემდეგაც აგრძელებენ ცხოვრებას, რადგან ეს მათი პატარა სამყაროა, სადაც ისინი თავს სრულყოფილ ადამიანებად თვლიან. ძალიან ბევრ ქვეყანაში აპრობირებულია მეთოდია, როცა სახელმწიფო იმ მეწარმეებს ათავისუფლებს რაღაც წილი გადასახადებისაგან, რომლებიც საკუთარი მუშახელის გარკვეულ პროცენტს ავსებენ შეზღუდული უნარის მქონე პირებით. 1990-1994 წლებში აშშ-ში მიღებული იქნა აქტი უნარშეზღუდული ადამიანებისათვის ტექნოლოგიური დახმარების გაწევის შესახებ და 1996 წელს კი გამოიცა აქტი, რომლის თანახმადაც ყველა შტატისთვის სავალდებულო იყო შემუშავებულიყო სპეციალური პროგრამები მათთვის ტექნიკური საშუალებებით უზრუნველსაყოფად. ეს აქტები ბევრ ადამიანს დაეხმარა ჩართულიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დაეწყო მუშაობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაახლოების არც ერთი პროექტი საქართველოში დღემდე არ განხორციელებულა. ადამიანს, რომელიც მცირე პენსიას იღებს, თავისთავად არც კომპიუტერის შეძენა შეუძლია და საკმაოდ ბევრისთვის ინტერნეტიც ხელმიუწვდომელია. თუმცა, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამებიც კარგად შეისწავლეს, მაგრამ დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობა მაინც არა აქვთ, რადგან საქართველოში სამწუხაროდ, საკითხთა უმეტესობა მაინც პირადი კონტაქტით წყდება და ასევე დამსაქმებლები თავს იკავებენ დისტანციურად მუშაობის მსურველი ადამიანის აყვანისაგან. არადა მრავალი ტიპის სამუშაო არსებობს, რომელიც არ ითვალისწინებს ოფისში მისვლას ყოველდღიურად და სრულყოფილი დისტანციური მუშაობის შესაძლებლობას იძლევა.

შეზღუდული შესაძლებლობა შეიძლება იყოს: ფიზიკური, გონებრივი, ემოციური და მგრძნობიარე. ადამიანი შეიძლება ასეთი დაიბადოს ან რაიმე შემთხვევის შემდეგ გახდეს უნარშეზღუდული. ყველაზე ნაკლებად მაინც ფსიქიკურ ჯანმრთელობას აქცევენ ხოლმე ყურადღებას, გულის თუ აგვტკივდა, ან შაკიკმა შეგვაწუხა, აუცილებლად მივაკითხავთ ექიმს, მაგრამ ფსიქიკასთან დაკავშირებით ყოველთვის თავს ვიკავებთ და ვერც კი ვგრძნობთ, როდის გადადის ზღვარს ეს პრობლემა. მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით ყოველ მეოთხე ოჯახში არის შანსი, რომ ერთი ადამიანი მაინც იყოს ფსიქიკური პრობლემის მქონე. 2020 წლისთვის კი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კარდიოლოგიური პრობლემების შემდეგ დეპრესია იქნება მეორე წამყვანი დაავადება მსოფლიოში.

**P.S.** ალბათ ბევრმა ნახა ტელევიზიით **(ყველა არხზე და საკმაოდ ხშირად გადმოსცეს) როგორ მოინახულა პრეზიდენტმა ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვი, რომელსაც იმის გამო შეუწყდა სოციალური დამხარება, რომ იგი სამკურნალოდ იყო ნამყოფი საზღვარგარეთ. ისიც მოვისმინეთ, როგორ დაიბარა პრეზიდენტმა სოციალური აგენტი, რომელიც საწყლად ლუღლუღებდა, რომ ეს მისი ბრალი არ არის და ასე მოქცევას მას კანონი და ის ინსტრუქციები ავალდებულებს, რომელსაც შესაბამისი სამსახურის თბილისის სათაო ოფისი იძლევა. ისიც გავიგონეთ, როგორ დაავალა პრეზიდენტმა აგენტს გადაწყვეტილების გადახედვა. სავარაუდოდ, ოჯახს სოციალურ დახმარებას აღუდგენდნენ, მაგრამ ნამდვილად არაფერი მომისმენია იმის თაობაზე, ამის შემდეგ ან კანონი გახდება უფრო მოქნილი ან ინსტრუქციები თბილისის სათაო ოფისიდან რეგიონებში და თავად დედაქალაქში გვექნება უფრო კორექტული. რაც თავისთავად იმას გულისხმობს, რომ მსგავსი შემთხვევა კვლავაც განმეორდება.**

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲣᲨᲔᲚᲐᲕᲐ**

**ინტერვიუ კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ წევრთან ᲝᲚᲔᲒ ᲘᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ.**

**– ბატონო ოლეგ, თქვენ 22 წელი იყავით საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი რა მიზეზით მოხდა თქვენი მოულოდნელი და ნაუცბათევი გათავისუფლება თანამდებობიდან?**

– ჩემი განთავისუფლების მიზეზი გახდა ის, რომ ვიყავი და ვარ თავისუფალი პიროვნება. ნაკრებშიც მეგობრუ-



# sportsmenebis CarTva politikaSi uzneobaa da meti araferi

ლი, დემოკრატიული ვითარება იყო, არ ვერეოდით პოლიტიკა, სრულიად აპოლიტიკურები ვიყავით. სხვა ფედერალების მსგავსად, რომლებიც შესაძლებლობას არ უშვებენ შეხვდნენ ქვეყნის ხელისუფლებას, ჩვენ ამას თავს ვარიდებდით. ახლა ბევრს საუბრობენ ზონდერჯგუფებზე, საუბედუროდ, უამრავი სპორტსმენი ჰყავთ ჩართულ ასეთ სიბინძურეში. ასეთ წუმპეში როგორ გავრევდი ჩემს შეგირდებს. სწორედ ეს თავისუფლება არ მაპატიეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა. მიზეზად მოიდეს ის, რატომ წავხვედი მოსკოვის ტურნირზე საასპარეზოდო. ჩვენ იქ საბრძოლველად წავედით. მოსკოვის ტურნირი მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი ასპარეზობაა, სადაც გუნდებს იწვევს სამბოს მსოფლიოს ფედერაცია წინა წლის შედეგების მიხედვით. მართალია, რუსეთის პრეზიდენტის თასი ჰქვია, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ტარდება. ერთადერთი, ვისაც შეუძლია რუსეთის გუნდის დამარცხება, საქართველოს ნაკრები. ამიტომაც წავედით იმ შეჯიბრზე, რატომ სამინისტროს ხელმძღვანელობას არ შეატყობინეთ რომ მიდიოდითო. ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა. დამოუკიდებელი ფედერაცია ვართ და რატომ უნდა გვეკითხა ვინმესთვის. რაც მთავარია, ყველა ხარჯი მსოფლიოს საერთაშორისო ფედერაციამ გაიღო.

**– ზონდერები ახსენეთ. ამბობენ, რაზმებში სამბისტებიც არიან ჩაბმულიო. თუ გსმენიათ, ამის შესახებ?**

– სამწუხაროდ, ასეა. თუმცა მეც გაზეთში ვნახე გელა ბარათაშვილზე რომ ეწერა, იგი 15 წელი იცავდა საქართველოს ნაკრების ღირსებას. სპორტიდან წასვლის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში დაიწყო მუშაობა, როდესაც მოქმედი სპორტსმენი იყო, ზონდერჯგუფში ყოფნას ვერ გაბედავდა, ამისთვის ნაკრებიდან გავრიცხავდი. ყველამ იცოდა, რომ მკაცრად მოვექცეოდი ნებისმიერს, არც ეს არ მაპატიეს.

**– როგორც ყოფილ სპორტსმენს და მწვრთნელს როგორ მიგაჩნიათ სპორტსმენების ჩართვა ასეთ საქმეებში?**

– ნებისმიერი ნორმალური ადამიანი იტყვის, რომ როგორ შეიძლება სპორტსმენები ჩართო პოლიტიკაში და უარესი, გამოიყენო ასეთ ბინძურ საქმეებში, აცემინო საკუთარი ხალხი, რომელიც მას გულშემატკივრობდა, ტაშს უკრავდა, უზნეობაა, მეტი რა ვუწოდო.

ჩემი განთავისუფლება ყოველგვარი კანონდარღვევით მოხდა იმის დამტკიცება სასამართლოში შეიძლება, მაგრამ ახლა სამართლის პოვნა ძნელია. გუნდის მწვრთნელობიდან მაინც წამოვიდოდი, რადგან სპორტის დღევანდელ მინისტრთან ლადო ვარძელაშვილთან ვერ ვიმუშავებდი – შეურაცხყოფა მომაყენა, რუსეთის აგენტი მიწოდა! მაგან უნდა მასწავლოს სამშობლოს და ერის სიყვარული? დღეს ყოვლისშემძლედ მიიჩნევს თავს, მაგრამ მოვა დრო და ბოდიშსაც მოვახდევინებ.

**– თქვენ თავს აპოლიტიკურად მიიჩნევთ, მაგრამ პოლიტიკაში აქტიურად ხართ ჩართული.**

– სიმართლე გითხრათ არ მესმის დასავლელი დიპლომატების, რომლებიც ორმაგი სტანდარტებით ხელმძღვანელობენ. 26 მაისს საკუთარი ხალხი დახოცა ჩვენმა ხელისუფლებამ და ხმა არავის ამოუღია! ასეთი ამბები, ვგონებ, ვენესუელაშიც არ ხდება, საშინელი პოლიტიკური ტერორია ქვეყანაში! რაიონში რომ ჩავდივარ ხალხს მისალმების ეშინიათ, მეუბნებიან შენ, გვიბარებენ და გვეკითხებიან „მაგისკენ ხართო“. ხალხი დაშინებული ჰყავთ. ამჟამად ჩემს რაიონში კასპში „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ვარ. ალბათ, მალე გადაწყდება ჩემი შტაბის უფროსად დანიშვნის საკითხი. შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში კენჭსაც ვიყრი. ჩემს ძალას, ენერგიას, მივმართავ ბიძინა ივანიშვილის ქვეყნის სათავეში მოსვლას.

**– ბიძინა ივანიშვილს შეხვედრიხართ?**

– პირადად ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ ალბათ, მალე შევხვდები. კოალიცია „ქართული ოცნების“ სპორტის თემატური ჯგუფის წევრი და „თავისუფალი დემოკრატების“ პარტიის წევრი ვარ. ორ დიდ პიროვნებას ბიძინა ივანიშვილს და ირაკლი ალასანიას გვერდში ვდგავარ, კასპის რაიონში მთელ ჩემს ავტორიტეტს გამოვიყენებ გამარჯვებისთვის პოლიტიკა არ მაინტერესებს, მაგრამ კასპში არჩევნებში გავიმარჯვებ, თუმცა იმ დღიდანვე სამბოში დავბრუნდები. არანაირი თანამდებობა არ მაინტერესებს და არც მინდა, მქონდა შემოთავაზებები არგენტინიდან, მექსიკიდან, მაგრამ არ წავედი. ტრადიციულ ოჯახში ვარ გაზრდილი და თუ ჩემს რაიონში სოფელში არ ჩავედი, ვერ გავძლებ. აქ უნდა ვიყო და ჩემს ხალხთან ერთად ვიცხოვრო.

**– მართალია სპორტსმენებს პროგნოზები არ გიყვართ, მაგრამ მაინც შეგეკითხებით გაქვთ იმედი, რომ არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს?**

– იმედი რომ არ მქონდეს მაშინ საქართველოში ცხოვრება არ შეიძლება. ღმერთმა დაიფაროს კვლავ ამათ გაიმარჯვონ! ქვეყანაში ბძინა ივანიშვილი გყავდეს და გამარჯვება სათუო იყოს – გამორიცხულია. მე მას ქვეყნის აღმშენებელი შევარქვი, რომელსაც ქვეყნის შენება უნდა, ეს თავისი მოღვაწეობითაც დაამტკიცა, აგერ უკვე რამდენი წელია ქვეყანას ინახავს. დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს!

**ᲒᲘᲐ ᲑᲣᲠᲓᲣᲚᲘ**

# `nacionaluri~ absurdi _ xelisufleba ucnob dokumentze komentars akeTebs, kalmaxeliZe utopisti gaxda

ხელისუფლება საგულდაგულოდ მალავს ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰუმან რაითს უოტჩის" გამოქვეყნებულ დასკვნას, საქართველოს ადმინისტრაციული კანონის თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობის შესახებ. ინფორმაცია დოკუმენტის შესახებ ამ არასამთავრობოს საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელის გიორგი გოგოხიას მეშვეობით გახდა ხელმისაწვდომი.





საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს 1984 წელს მიღებულ ადმინისტრაციული სამართლის კოდექსს წლების განმავლობაში უწუნებდა. გასული წლის ივლისში „მორჩილმა" პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის ვარიანტი. ის, გოგოხიას გადმოცემით, კვლავაც არ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.

„ნაციონალებმა" უცვლელად დატოვეს ადმინისტრაციული სასჯელი 90 დღე. რაც „ჰუმან რაითსის" მოსაზრებით მეტად მკაცრია და სისხლის სამართლის საქმეზე ჩადენილ დანაშაულს უტოლდება. კრიტიკა ეხება იმასაც, რომ დაკავებულებს არ აძლევენ მესამე მხარესთან (ოჯახთან, ადვოკატთან) დაკავშირების უფლებას. და თუ ეს მოხერხდა დამცველს არ აძლევენ თავისი მოვალეობის ჯეროვნად განხორციელების საშუალებას.

„ჰუმან რაითს უოტჩი" კრიტიკულად აფასებს ადმინისტრაციული სასჯელით დაკავებულთა მდგომარეობას. ორგანიზაციას მიუღებლად მიაჩნია, როდესაც ადმინისტრაციულ სასჯელს პირები შსს-ს დროებითი დაკავების იზოლატორებში იხდიან. „ჰუმან რაითს უოტჩი" უსამართლოდ, გულგრილად განხილულად მოიხსენიებს საქმეებს, სადაც პიროვნების ბრალეულობის დამტკიცებას სულ რაღაც 15 წუთს ანდომებს, განსაკუთრებით საგანგაშოდ კი იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ ასეთ ნაუცბათევ გადაწყვეტილებებს მოსამართლეები, უმეტესწილად, ღებულობენ პოლიტიკური ნიშნით (მიტინგების, აქციების მონაწილეთა) დაკავებულთა მიმართ.

### ხელისუფლებამ არ იცის, მაგრამ გამოსწორებას ცდილობს

„ჰუმან რაითს უოტჩის" დასკვნაზე კომენტარს ხელისუფლება იმ მოტივით არ აკეთებს, რომ დოკუმენტს არ გასცნობია. პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კახა ანჯაფარიძე კი, მისი განცხადებით, შენიშვნებს არ გასცნობია, მაგრამ მიიჩნევს — მოქმედი ადმინისტრაციული კოდექსი მართლაც საჭიროებს ძირძველ ცვლილებებს, უფრო მეტს — ახალი აქტის მიღებას. სადაც უმთავრესი იქნება ადამიანის უფლებების დაცვის ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. თუმცა ანჯაფარიძე ვერ აკონტროლებს, როდის დაიწყება კანონზე საფუძვლიანი მუშაობა და მითუმეტეს, როდის შევა ის ძალაში.

### ციხეები სანატორიუმებს კონკურენციას გაუწევენ

„ჰუმან რაითს უოტჩმა" საქართველოს სასჯელის აღსრულების სისტემაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. აქაც გულდასმით მალავენ საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნას და სახელისუფლებო ელიტის მსგავსად აცხადებენ, რომ დოკუმენტს არ იცნობენ, მაგრამ უცხოური არასამთავრობოს ჩხვლეტა იმდენად მგრძნობიარე გამოდგა, რომ მინისტრმა კალმახელიძემ დასკვნის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში შემხვედრი სვლა გააკეთა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ვითარების გაჯანსაღებისა და პატიმართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 10-მიმართულებიანი პროგრამა გამოაქვეყნა.

დროს პროგრამით სხვა უკვე არსებული უნდა დაიხუროს. ეს მაშინ, როდესაც ყოველდღიურად იზრდება სასჯელმისჯილთა რაოდენობა, საერთაშორისო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით აშენებული საპყრობილეებიც არა საკმარისია, კალმახელიძე მათ დახურვას აპირებს.

სპეციალისტთა ერთი ნაწილი კი სწორედ აქ ხედავს შორს გათვლილ მიზნებს. ციხეებზე გამოყოფილი გრანტებიდან ბევრი არამიზნობრივად დაიხარჯა. აშენებულთაგან უმეტესობა თანამედროვე სტანდარტებს ვერ პასუხობენ. მათ და გახარჯულ თანხებს ჩამოწერენ. დონორებიდან ახალ ინვესტიციებს მოითხოვენ. მიიღებენ და ისე გახარჯავენ როგორც წინარეებს.

ერთ-ერთი პუნქტით გათვალისწინებულია კომფორტული მისაღებების მოწყობა დაწესებულებებში. აღარ იქნება რიგები იქნება მაღალი დონის მომსახურება და სერვისი. სპეციალისტთა განმარტებით მისაღებებში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა სააკაშვილის იუსტიციის მინისტრად ყოფნის პერიოდში. მნიშვნელოვნად გაუარესდა (შევარდნაძის პერიოდთან შედარებითაც კი) მისი გაპრეზიდენტების შემდგომ.



სპეციალისტთა ერთი ნაწილი მას ღიმილის მომგვრელ უტოპიად მიიჩნევს, ნაწილს კი მიაჩნია, რომ დოკუმენტის ავტორთ შორსგამიზნული გეგმები ამოძრავებთ და „10 მიმართულებას" გამოიყენებენ საერთაშორისო ფონდებიდან დახმარებებისა და კრედიტების მოსაზიდად, საქართველოს მოსახლეობისათვის კი თვალებში ნაცრის შესაყრელად — ხომ ხედავთ ვმუშაობთო.

მიმართულების პუნქტებს — ყველა მსჯავრდებული დაწესებულებაში და დაწესებულება გისოსებს გარეშე, ექსპერტთა ერთ ნაწილში გაურკვევლობას იწვევს იმდენად, რამდენადაც ოზურგეთის რ-ნის სოფელ ლაითურში ასაშენებელი გრანდიოზული ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებისათვის დიდი თანხები იქნება საჭირო, დროც საკმაოდ გავა. ამავე

ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ პუნქტი „ყველა პატიმარს პირადი ექიმი" ეს არის საზოგადოების მასხრად აგდებისა და ცინიზმის თვალსაჩინო მაგალითი. უწყებაში, სადაც ვერ და არ მკურნალობენ მომაკვდავ ავადმყოფებს, სადაც პირველადი დახმარების მედიკამენტებიც კი არა აქვთ და ყოველივეს დაუფინანსებლობით ხსნიან. უწყება, რომელიც სხვადასხვა კლინიკებში ამწესებენ თავიანთ მომაკვდავ პატიმრებს, რომ გარდაცვალების ფაქტი მათთან არ დაფიქსირდეს (რისთვისაც სამინისტროს „იმპორტიორი" უწყება შეარქვს), სადაც კვალიფიციური მედიკოსების ნაკლებობაა და საერთოდ, მედპერსონალი დაუკომპლექტებელია. აპირებენ თითოეულ პატიმარს თითო ექიმი მიუჩინონ.

**ზაზა ბილიხოძე**

---

# facebook

# xalxis azriT

რაღაც ნაცებს წესრიგში ვერა აქვთ საქმე: NDI-ის ქართული ოფისის ხელმძღვანელმა ლუის ნავარომ უკვე დატოვა "ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალური ოფისი, სადაც მმართველი პარტიისთვის რეიტინგების პრეზენტაცია შედგა. ნავაროს კომენტარი არ გაუკეთებია. ასევე კომენტარის გარეშე დატოვეს ოფისი საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა - პეტრე ცისკარიშვილმა, გიგი წერეთელმა, შოთა მალაშხიამ და ლაშა თორდიამ.

მე თუ მკითხავთ, ახლავე უნდა გავიდეთ სამიტინგოდ, საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად, როცა გააყალბებენ და მასონები ცნობენ, რუსებთან ერთად, მერე გვიან იქნება, თანაც კარგმა ამინდმა ლომკა გამიღვიძა, მიტინგდამოკიდებულობის!!!

მაღალოო... არ ჯობია, რო საერთოდ თეატრები დავხუროოთ, რა ჯანდაბად გვინდა ახლა ჩვენ თეატრი, ა?... აგეე, თურქმენბაშიმ რამდენი ხანია აკრძალა თეატრი და ჩვენ რით ვართ ძირძველ ქრისტიან თურქმენებზე ნაკლები ....მთავარია გამჭვირვალე პოლიციის შენობები გვაქვს, შენ და შენი მინისტრები კიდე თეატრი არა ხართ მამაძაღლიი..

ღმერთო, რა დავაშავე, გოგის სიმღერის შემდეგ "100 გრადუს ცელსიუსს" რომ შემომინთებს "იმედი" როგორღა გავერკვე, რომელია უფრო ქალი, ენა მომტყდა ჰეტერო-ტრანს-ჰომოსექსუალისტების გამეორებაში:)) საით, მიდიხარ ჩემო საქართველო?

ხელისუფლებისაგან სულში ჩაფურთხებული, პროფესიონალები... ბატონო პავლე, კარგო კაცო, ცოტაც გაუძელით და მოზარდ მაყურებელთა თეატრი კვლავ დაიბრუნებს დიდებას... ის 40 მსახიობი კიდე მრავალჯერ გავა "პაკლონზე"...

ჩვენი ბაში-აჩუკი ბიძინააო, კახელებმა - ისევ იმერელი გვიშველისო:)

სკოლებში უკვე, მამების პირადობებიც დაავარეს, ბაღებში პირდაპირ თხოვენ მშობლებს, დაგვეხმარეთო. მე უკვე აზრზე ვერ მოვდივარ, რა უნდა მოხდეს, რომ ამათ თავიანთი ვერ გაიტანონს. საბიუჯეტო ორგანიზაციები მაგათია, პლუს ჯარი, მილიცია, პატიმრები, პრობაციონერები, მათი ოჯახები. მარნეული და ამასთან ერთად დაშინებული ხალხი.

მიშაც იძახის, 5 წელი კიდე გვაცადეთ ნაცმოძრაობასო, კესარიაც დაიმუქრა, 5 წელში უმრავლესობა ვიქნებითო!!!! რევოლუცია დროზე, სასწრაფოდ გვესაჭიროება რევოლუცია

მიშა, შენ უნდა წახვიდე, სხვა გამოსავალი არა გაქვს... აღარ უნდა ხალხს ამდენი უცოდინარის, თავხედის, მონობის ქვეშ ცხოვრება! არც ასეთი სიტუაციები უნდა... უნდა წახვიდე! ისწავლე ისტორიის გაკვეთილები...ჩვენიც და ახლო აღმოსავლეთის მაგალითები წინ გაქვს...უნდა წახვიდე, შენი გაჩერება აფერხებს ჩვენი ქვეყნის განვითარებას! ცხოვრებაში ერთხელ მაინც იფიქრე ქვეყანაზე, ხალხზე და წადი!

დაირიგეს პრემიები ივანიშვილის ჯარიმებით ამ კონტროლის პალატის დამაშვრალ მოხელეებსაც ხომ უნდათ ჭამა!!!!! კონტროლი კი არა მაგათ დიდი როზგი უნდათ, აზრზე რომ მოვიდნენ.

გუშინ კავკასიის ეთერში ავადასახსენებელი ნდ NDI-ის შეფმა - ნავარომ საქვეყნოდ აღიარა, რომ ის ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს და ასრულებდა.

1. თურმე დამკვეთები ნაცები ყოფილან.

2. ინგა გრიგოლიასა და ბიძინა ივანიშვილის პროცენტულ შედარებასთან სახე დამანჭა, ამას რას ხედავს ჩემი თვალებიო, თითქოს არც წაეკითხა და მგონი, მასეც იყო.

3. კავკასიის ყურებადობასთან დაკავშირებით მთლად ჩამოყარა ყურები და რევიზიას უპირებს.

4. ქვეკონტრაქტორები: თარხნიშვილის მეუღლე და და-ძმანნი მისნი.

5. მენეჯერებზე საუბარი არც ისურვა, იმიტომ რომ ისინი აშკარად ნაცები არიან.





Facebook

# `me-9-e arxi~ namdvilad siaxle iqneba qarTul telesivrceSi



*ქართული საზოგადოების დიდ ნაწილში მე-9 არხთან დაკავშირებული მოლოდინი საკმაოდ დიდია. არსებობდა ბევრი მიზეზი, რის გამოც არხი ეთერში დათქმულ დრომდე - მარტის ბოლო-აპრილის დასაწყისი, ვერ გავიდა. თუმცა ვრცელდება ინფორმაცია, რომ მეცხრე არხი აპრილის დასაწყისში საცდელ მაუწყებლობას დაიწყებს. ვესაუბრებით ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ გენერალურ დირექტორს* **პაატა ბექაურს**

**— რამდენიმე კვირის წინ თქვენ განაცხადეთ, რომ გინდოდათ საცდელი მაუწყებლობის აპრილში დაწყება, რადგან სალიცენზიო ვადა იწურებოდა, რაც შემდეგში პრობლემებს შეგიქმნიდათ ...- „მეცხრე არხს“ საკაბელო ქსელითა და სატელიტით მაუწყებლობის ლიცენზია აქვს.**

— საცდელი მაუწყებლობა, როგორც იყო გაცხადებული, აპრილში დაიწყება. ეს იქნება ტესტური მაუწყებლობა, აპრილში მე-9 არხი ლიმიტირებული ფორმატით გავა ეთერში. საკაბელო ოპერატორებიდან ჯერჯერობით ვიცით მხოლოდ, რომ ''გლობალ ტვ''-ს პაკეტში ვიქნებით. დანარჩენი საკაბელო ოპერატორებიდან ველოდებით პასუხს მე-9 არხის თავიანთ პაკეტში ჩართვის შესახებ. ჩვენ ყველა საკაბელო ოპერატორს, ჩვენი არხის გავრცელების თხოვნით, წერილობით მივმართეთ. ველოდებით მათგან პასუხს. ჩვენ ასევე დავიწყებთ სატელიტურ მაუწყებლობასაც თურქსატზე. ტექნიკური პარამეტრები გამოცხადდება მოგვიანებით.

**— როდის შეიძლება დაიწყოს მუშაობა მეცხრე არხმა და რა არის ის მთავარი პრობლემა, რის გამოც ვერ მოხერხდა ეთერში გასვლა?**

— ძირითადი მიზეზი არის ის, რომ არხი ტექნიკურად არ არის მზად სრულყოფილი მაუწყებლობისთვის. როგორც მოგეხსენებათ, მე-9 არხის მაუწყებლობისთვის საჭირო ტექნიკა საზღვარზე შემოტანისას რამდენჯერმე განადგურდა საბაჟო ტერმინალში. ჩვენ ახლა ვიღებთ ზომებს იმისათვის, რომ მოვახერხოთ ტექნიკის შემოტანა დაზიანების გარეშე. როდესაც შევძლებთ ტექნიკის შემოტანას, იქიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ არხი შეძლებს სრულყოფილ მაუწყებლობას.

**— რა ეტაპზეა არხის მთავარი გუნდის და საზოგადოებრივი საბჭოს ფორმირება?**

— გუნდის კომპლექტაცია მიმდინარეობს, მაგრამ პროცესი ჯერ დასრულებული არ არის. რაც შეეხება საზოგადოებრივ საბჭოს. ამ იდეამ ცოტაოდენი ტრანსფორმაცია განიცადა. კერძოდ, სამკაციანი საბჭოს ნაცვლად, შეიძლება, 5 ან 7-კაციანი საბჭო შეიქმნას. ასევე გარდა ქართველი წევრებისა, საბჭოში იქნებიან უცხოელებიც, რომლებსაც ანალოგიური საქმიანობის ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ.

**— რამდენად მოახერხებს საზოგადოებრივი საბჭო არხის სარედაქციო დამოუკიდებლობის შენარჩუნებას? ხომ არ მოიაზრება საზოგადოებრივი მაუწყებლის ალტერნატიული მოდელის შექმნა?**

— საზოგადოებრივი საბჭო ნამდვილად მოახერეხებს არხის სარედაქციო დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და დაეხმარება, რომ მე-9 არხმა უზრუნველყოს მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკის გატარება.

კი, გარკვეულწილად მოიაზრება საზოგადოებრივი მაუწყებლის ალტერნატიული მოდელის შექმნა. დღეს რეალურად არ არსებობს საზოგადოებრივი მაუწყებელი. ის დღეს ხელისუფლების პროპაგანდის ისეთივე ინსტრუმენტია, როგორიც ''რუსთავის-2'' და ''იმედი''. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო მხოლოდ ფორმალურად არსებობს. ის მასზე დაკისრებულ ვერც ერთ ფუნქციას ვერ ასრულებს და ვერც ერთ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ იღებს, ის მთლიანად ხელისუფლებისგან იმართება.

**— რამდენადაც ცნობილია, მეცხრე არხი იქნება სიახლე ქართულ ტელესივრცეში. რა იგულისხმება ამ სიახლეში — გადაცემათა ფორმატი, საინფორმაციო გამოშვებების სტრუქტურა, მთლიანად ბადე, სახეები...**

— დიახ, მე-9 არხი ნამდვილად სიახლე იქნება ქართულ ტელესივრცეში. პირველ რიგში, იგულისხმება არხის ფორმატი. საინფორმაციო გამოშვებების ფორმატი და სტრუქტურა იქნება სხვანაირი. ახალი ამბების და თოქ-შოუების მომზადების სამენეჯმენტო სისტემა იქნება აბსოლუტურად სხვანაირი, რაც უზრუნველყოფს ახალი ამბების მაყურებლისთვის მიწოდებას უწყვეტ რეჟიმში ოპერატიულად და რაც მთავარია, მაღალი ჟურნალისტური სტანდარტით. თუმცა ეს ყველაფერი იქნება ცოტა მოგვიანებით, როდესაც მე-9 არხი სრულყოფილი ფორმატით შეძლებს მაუწყებლობას. საცდელი მაუწყებლობის პერიოდში ჩვენ ამას ვერ მოვახერეხებთ.

რაც შეეხება ბადეს და სახეებს. ყველა გადაცემა პერსონიფიცირებული იქნება. მე ვიზიარებ მოსაზრებას, რომ სახე გადაცემის შინაარსის ნაწილია. მხოლოდ აქ მთავარია, რომ სახეებს მოვარგოთ სწორი ფორმატები, რაშიც ისინი მაქსიმალურად საუკეთესოდ გამოავლენენ თავიანთ თავს. ეს უკვე საპროდიუსერო ნაწილია და მგონია, რომ არც ისე ცუდად ვიცი.

**— აქვე აუცილებლად უნდა გკითხოთ კადრების შესახებ. რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ ის ადამიანები, რომელთაც აქვთ სურვილი, დაიწყონ არხზე მუშაობა?**

— კრიტერიუმი მხოლოდ პროფესიონალიზმია.

**— როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს არხის რეიტინგს და ინფორმაციის სანდოობას?**

— სინამდვილეში, ძალიან ბევრი კომპონენტი განაპირობებს არხის რეიტინგს. თავისუფალი ბაზრის პირობებში ახალი ამბების ფორმატის არხის



რეიტინგს ძირითადად, განაპირობებს მისი სანდოობა. ის, თუ რამდენად ენდობა მაყურებელი იმ ინფორმაციას, რომელიც ამ არხზე გადის, რამდენად კვალიფიციურად და ამომწურავადაა ახალი ამბები გაშუქებული არხზე არსებულ სხვადასხვა ფორმატებში. ნებისმიერი ახალი ამბავის უკან სხვა ამბავიც არის. მაგალითად, ჩვენს სატელევიზიო მედიაში, ძირითადად, ახალი ამბები ზედაპირულად შუქდება. ამან ის თქვა, ან აქ ეს მოხდა. სინამდვილეში ახალი ამბავი ''რა თქვა?'', ან ''რა მოხდა?'' კი არ არის, არამედ ''რატომ თქვა?'', ან ''რატომ მოხდა?''. კითხვა ''რატომ?'' ერთ-ერთი მთავარი კითხვაა ახალი ამბების კეთებისას. ეს აინტერესებს მაყურებელს. მაყურებლის ინტერესს თუ დააკმაყოფილებ, რეიტინგი გარანტირებული გაქვს.

**ნინო ფირცხალავა**

„მობილური ტელეფონები არასდროს იყო დაცული. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ მობილურით არ გისმენენ, თუ იმ ოთახში, სადაც თათბირობთ, მობილური არ არის“ — საინფორმაციო უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის მობილური კავშირის უსაფრთხოების ფედერალური სამმმართველოს უფროსი, ვილჰელმ ჰიუტცი.

როდესაც პიროვნებით ინტერესდებიან, კარზე მიყურადებიდან დაწყებული ყველანაირი საშუალებით შეიძლება მოუსმინონ მის საუბარს, მაგრამ მობილური ტელეფონის მასიურად გავრცელებამ მთლად გააიოლა საქმე. მობილურის მფლობელის საუბრის მოსმენა შესაძლებელია მაშინაც, როცა მობილური გამორთული უდევს პატრონს. ამბობენ, რომ მობილური შპიონაჟის თავიდან აცილების მხოლოდ ორი გზა არსებობს, ამოაცალოთ აკუმულატორი ან გამოიყენოთ მობილური ბლოკირების მოწყობილობა, ისრაელის წარმოების ჩამხშობი გენერატორი, რომელიც 4 000 ევრო ღირს.

ტექნიკის განვითარებიდან გამომდინარე, ერთმანეთის მოსმენა, გარკვეული ტექნიკის შეძენით ყყველას შეუძლია. თუ ეჭვი გაგიჩნდათ, შეგიძლიათ პოლიციას მიმართოთ და ისინი დაადგენენ ვინ გისმენთ, მაგრამ თუ თვითონ გისმენენ და თქვენზე ადრე კითხულობენ **GPS** მოქმედებს **GSM** ოპერატორის ყველა ქსელში. იგი ძალზე მარტივია. საკმარისია იმ მანძილის ცოდნა, რომელიც ობიექტს აშორებს, მინიმუმ სამ საბაზო სადგურს. თითოეულ სადგურს თავისი მისამართი აქვს, ამიტომ სრულებით არაა ძნელი იმ წერტილის მიღება რუკაზე, რომელშიც აბონენტი იმყოფება მოცემულ მომენტში.

მობილურის საშუალებით თქვენი ბინის მოსმენაც შეიძლება. ამისთვის საკმარისია, რომ ტელეფონი ქსელში იყოს დარეგისტრირებული და მისი მკვები ძალიან განმუხტული არ იყოს. აშშ-ისა და რუსეთის სპეცსამსახურებმა აითვისეს ტექნოლოგია მობილურის ისე ჩართვისა, რომ პატრონი ვერაფერს მიხვდეს.

აპარატურული ნაწილიდან პროგრამულზე სპეციალური ფუნქციების გადანაწილებამ პროგრამისტებს საშუალება მისცა შეექმნათ ე.წ **SPY** (შპიონური) ტელეფონები სერიულად გამოშვებული ტელეფონების ბაზაზე. მსოფლიოში ცნობილი ტელეფონების „ნოკია“, „პანასონიკი“, „სიმენსი“, „მოტოროლა“, „სამსუნგისა“ და „სონი-ერიქსონის“ 70-ზე მეტი მოდელი არსებობს, რომელთა ბაზაზე **SPY** ტელეფონები მშობლების მიერ ბავშვების მოსასმენედაც კი აშეიქმნა. ასე რომ, მოსმენა და თვალთვალი უკვე ძალიან იაფი ჯდება.

# nu gaiocebT Tu gaigebT, rom mTel saqarTvelos usmenen



სპეციალისტების რჩევები:

1. თქვენი ტელეფონის **ESN** ნომრიანი დოკუმენტები შეინახე საიმედო ადგილზე.

2. ყოველთვიურად შეამოწმეთ ფიჭური კავშირით სარგებლობის ანგარიშები.

3. თუ დაგეკარგებათ ან მოგპარავენ ტელეფონს, დაუყოვნებლივ გააფრთხილეთ ფირმა, რომელიც უზრუნველჰყოფს თქვენს ფიჭურ კავშირს.

4. რეგულარულად შეცვალეთ თქვენი აპარატის **MIN** ნომერი.

5. დააყენეთ ოთხნიშნა დამატებითი კოდი, რომელსაც საუბრის წინ აკრეფთ. ეს კოდი ურთულებს საქმეს ყალთაბანდებს, რომლებიც იტაცებენ **MIN** და **ESN** ნომრებს.

6. მნიშვნელოვანი საუბრებისას გამორთეთ ტელეფონი, ამოიღეთ ბატარეები და რაც შეიძლება შორს დადეთ.

თუ **SIM** ბარათს ცვლით, გადააგდეთ ტელეფონიც.

თქვენთვის გამოგზავნილ შეტყობინებებს?

გავრცელებულია აზრი, რომ **GSM** სისტემის მობილურების მოსმენა შეუძლებელია, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება, ყველა მოდიფიკაციის მობილურის მოსმენაა შესაძლებელი, უბრალოდ, **GSM** სისტემის მობილურის მოსმენა ცოტა ძვირი ჯდება.

ფიჭური ტელეფონის მიყურადება შეუძლებელია, თუ თქვენ საათში 80 კმ-ზე მეტი სიჩქარით მოძრავ მანქანაში ხართ. ტელეფონის გარდა, სხვაგვარადაც შეიძლება მოსმენა, ამიტომ, თუ თქვენს პირად ცხოვრებაში შეჭრისგან დაცვა გინდათ, ამის აბსოლუტურ გარანტიას (ჯერჯერობით მაინც) იზოლირებული ოთახის ცენტრში დაკიდებული მინის კუბი იძლევა, რომელსაც ვაკუუმიანი ორმაგი კედლები აქვს. ერთგვარი გარანტიაა საზღვაო ტრანსპორტიც, ტალღები ხმოვან სიგნალს ახშობს.

ყველა **SMS** და **MMS** ორი წლის განმავლობაში ინახება ტელეფონების ოპერატორის ბაზაში და ამ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე სპეცსამსახურების გარდა გარკვეული თანხის საფასურად ყველას მიუწვდება ხელი.

აკუმულატორის ამოღებას რაც შეეხება, მობილური მაინც გადასცემს სიგნალს. თანამედროვე აპარატებში კვების ორო წყაროა, ერთი უშუალოდ მომხმარებლისთვის, მეორე საპოლიციო ზედამხედველეობისთვის. ადგილმდებარეობის გარკვევის ტექნოლოგია **A-**

თქვენი ტელეფონი ისმინება, თუ:

1. ტელეფონით არ გისარგებლიათ, ელემენტი კი თბილია.

2. ტელეფონი არც ისეთი ძველია, მაგრამ ელემენტი ძალიან სწრაფად ჯდება.

3. ტელეფონის გამორთვისას ხდება დაყოვნება, ან არ ქრება ეკრანი.

4. ტელეფონს თავისით აენთო ეკრანი.

5. მოგაწოდათ ის მონაცემები, რომელიც თქვენ არ მოგითხოვიათ.

6. ელემენტი დატენილია, მაგრამ ტელეფონი თავისით გამოირთო.

7. საუბრის დროს გესმით თქვენივე ხმის ექო, ჩამრთველის ჩართვის მსგავსი ხმა, წკაპუნი.

8. ტელეფონის ელექტრომოწყობილობის სიახლოვეს გამოყენებისას იქმნება ხარვეზები.

მოამზადა
**მაია ჭელიძე**

# gza diplomatiidan mebaJeobamde

## (დევნილის მონოლოგი)



ნება მიბოძეთ მოგმართოთ, ცოტათი მაინც გაგართოთ, მზად ხართ მძაფრი განცდებისთვის?

აი, მეც... მიმოიხედეთ, ირგვლივ ... ნუთუ ვერ მამჩნევთ, ახლა მე თქვენს გზაზე ვდგავარ.. ახლა თქვენს გვერდით, ახლა თქვენს ცნობიერებაში, თქვენს გონებაში, თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ...უცნაურია, ნუთუ მაინც ვერ მამჩნევთ?

მე ვარ ყველგან: სადაც დაუსაქმებელი ადამიანების მიმართ სახელწიფოს მოხსნილი აქვს ყოველგვარი პასუხისმგებლობა, სადაც ბიზნესი დატერორებული და პოლიტიზებულია, სადაც ყვითელქურთუკიანი მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს გულწრფელად სწამს, რომ უმუშევარი ადამიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტით უბილეთო მგზავრობის შეთხვევაში უნდა დააჯარიმოს, სადაც რეორგანიზაცია-კონკურსების სისტემა არასასურველ პირთა დევნისა და ანგარიშსწორების საშუალებად გაუხდიათ, სადაც შესაძლებელია პროფესიონალი დიპლომატი ჯერ მესაზღვრე გახადონ, შემდეგ პატრული და ბოლოს მებაჟე, უკანონოდ ჩატარებული ტესტირების საფუძველზე გაათავისუფლონ (აღმოაჩინონ, რომ ის თურმე მებაჟე არ ყოფილა); მე ვარ მერიაში, სადაც სოციალური დახმარების თხოვნით დაწერილი საკუთარი განცხადების ასლის გამოთხოვაზე მოსაკრებელს ახდევინებენ; მე ვარ იქ, სადაც ქვეყნის ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანებისა და ნათელ მომავალზე ზრუნვის საბაბით ხშირად ხდება განხვავებულად მოაზროვნე ადამიანთა დევნა და მათი უფლებების უხეში დარღვევა, მე იმ ქვეყანაში ვარ, სადაც სამართალს ვერსად იპოვი...

რუსეთის დიპლომატიურ აკადემიაში სწავლის პერიოდში წარმატებულ დიპლომატიურ კარიერაზე ვფიქრობდი, ვნატრობდი, შემეტანა ჩემი წვლილი დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობაში, ქართული დიპლომატიის შექმნაში.

მე ისეთ ქვეყანაზე ვოცნებობდი, სადაც კომუნიკაციის მთავარი საშუალება ტყუილი არ იქნებოდა, სადაც განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის ადამიანთა დევნა არ მოხდებოდა, სადაც მცირერიცხოვანი "ელიტის" კონტროლქვეშ არ იქნებოდა საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, მასმედიის საშუალებები, სასამართლო სისტემა, სადაც სახელმწიფო და მსხვილ კერძო სექტორში მოხვედრის აუცილებელი პირობა არ იქნებოდა "ნაციონალური მოძრაობის" წევრობა, ან ამ პარტიის მაღალჩინოსნებთან ნათესაობა, მეგობრობა, მეზობლობა და საყვარლობა, სადაც ღირსეულად დაფასდებოდა ქვეყნის მამულიშვილობა და პროფესიონალიზმი, მე მხოლოდ "ნორმალურ ქვეყანაზე ვოცნებობდი".

ვცდილობდი: ყოველდღიური სწავლა-განათლებით გამეფართოებინა საკუთარი მსოფლმხედველობა და შემექმნა წარმატებული დიპლომატიური კარიერა, ამავე დროს მშვენივრად მესმოდა, რომ აუცილებლად დავბრუნდებოდი უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ სამშობლოში, რათა მეზიდა ის მძიმე ჯვარი, რასაც ქართველობა ჰქვია.

ჩემი პოლიტიკური მოსაზრებების გამო დევნა ჯერ კიდევ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ აკადემიაში დაიწყო და გაორმაგებული ძალებით გაგრძელდა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძისდროინდელ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაინც ვშრომობდით, ვშრომობდით ფაქტობრივად, უსასყიდლოდ (40 ლარი), დილიდან –საღამომდე, შაბათ – კვირასაც კი. ერთადერთი, რაც გვასულდგმულებდა იმ დროს, იყო განცდა იმისა, რომ შეგვაქვს ჩვენი თუნდაც მცირე წვლილი თავისუფალი საქართველოს დიპლომატიური სამსახურის მშენებლობაში.

გადატანილმა განსაცდელმა არ დამაკარგვინა იმის რწმენა, რომ შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა აუცილებლად იქნებოდა შემჩნეული და დაფასებული, ამიტომ იმედის თვალით შევყურებდი "ვარდების რევოლუციით" მოსულ ხელისუფლებას.

სამწუხაროდ, ყველაზე ცუდი პროგნოზი გამართლდა, მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, 2004-2010 წ.წ. განხორციელებულ რეფორმებს თან ახლდა დიდი უსამართლობებიც. დაიწყო დაუმთავრებელი რეორგანიზაციები, რასაც მოჰყვა ჩემი დიპლომატიური კარიერის შეწყვეტა. ჯერ გამათავისუფლეს, შემდეგ ისევ დამაბრუნეს ხელშეკრულებით აბსოლუტურად ანალოგიური ფუნქციებით. შემდეგ გადამიყვანეს მესაზღვრედ, შემდეგ პატრულში მომიწია სამსახურის გაგრძელება, მოგვიანებით შემოსავლების სამსახურში - მებაჟედ. ბოლოს და ბოლოს პროფესიების უსისტემო ცვლა არ მაკმარეს და საერთოდ გამათავისუფლეს.

2010 წელს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა ყოველგვარი წესებისა და ნორმების დარღვევით ჩაატარა ტესტირება. შედეგად "აღმოაჩინეს", რომ თურმე მებაჟე არ ვყოფილვარ. ასე დასრულდა დიპლომატობის, მესაზღვრეობისა და პატრულის შემდეგ ჩემი სამსახურეობრივი ეპოპეა.

მწარე გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ დღევანდელ საქართველოში სახელმწიფო აპარატი უკიდურესად პოლიტიზებულია, პარტიული ერთგულების პრინციპით ხდება კადრების უთავბოლო გადაადგილება და დავიწყებას მიეცა პროფესიონალიზმის მცნება. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას არაპროფესიონალების მიერ ხორციელდება ჭეშმარიტი პროფესიონალების გეგმაზომიერი დევნა და შევიწროება.

ვცადე საკუთარი ბიზნესის წამოწყება, თუმცა სწრაფად დავრწმუნდი, რომ კერძო სექტორი დაშანტაჟებული, დაშინებული და ისიც პოლიტიზებულია. 12000 ლარის კრედიტზეც კი უარი მითხრეს, მიუხედავად იმისა, რომ ქონებრივი უზრუნველყოფა მრავალჯერ აღემატებოდა მოთხოვნად თანხას. ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას სწორეთ ხომ დაბალპროცენტიანი საბანკო კრედიტები წარმოადგენს. ბიზნეს-კრედიტის საპროცენტო განაკვეთი 18-24 % მერყეობს, რაც გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს დამწყებ ბიზნესმენს, კლავს ყოველგვარ ინციატივას.

აი, ასე დავრჩი ბედის ანაბარად მიტოვებული საარსებო სახსრებისა და სოციალური მომსახურეობის გარეშე, ქალაქში გადაადგილებაც კი პრობლემად მექცა. ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტი ოფიციალურად აცხადებს, რომ შექმნა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო და არაკორუმპირებული სახელმწიფო აპარატი.

ნახეთ, რა უყვეს ჩემს ოცნებებს, მიზნებს, რამდენი რამ დარჩა სათქმელი, განუხორციელებელი, გასაკეთებელი.

ვის არ მივმართე, საგარეო, ფინანსთა, ჯანდაცვის სამინისტროებს, ქალაქის მერიას, ბოლოს პრეზიდენტის აპარატს. ვერ გავარღვიე ეს დაწყევლილი წრე, სამართლიანობა არ იქნა დადგენილი, პრობლემა არ იქნა დანახული.

ეს ქალაქი ცარიელია, ეს ღამე ცივი. ისევ მარტონი ვართ, პირისპირ ერთი – ერთზე, უთანასწორო ბრძოლაში. ისეთი განცდა გვეუფლება, რომ ეს ქვეყანა ერთ დიდ სასაკლაოს დაემსგავსა...

ვგრძნობ შიშს ადამიანთა გამოხედვაში, ვაკვირდები უმწეო მოხუცებს, როგორი სევდიანია მათი სახეები, როგორ ამაყად ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი თავი ცხოვრების დაუნდობელ რბოლაში.

მთელი ჩვენი თაობა ძალიან რთულ დღეში აღმოჩნდა, არ გაგვიმართლა. გვიან დავბადებულიყავით, ნეტავ, სულ რაღაც 15-20 წლით გვიან...

**ირაკლი კიკიანი**

**21.03.2012 წელი ქ. თბილისი**

## თბილისში სომეხთა სათვისტომო სომეხთა გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალის დადგმას ითხოვს



საქართველოს სომეხთა სათვისტომომ თბილისის მერიას და საკრებულოს თხოვნით მიმართა, ნებართვა გასცენ ქალაქში 1915-1923 წწ. სომეხთა გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნას მიძღვნილი მემორიალის დასადგმად.

„სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეები წარმოვადგენთ რაოდენობით მეორე, ხოლო ქ. თბილისში პირველ ეროვნულ უმცირესობას და დღემდე არ გვაქვს ქვეყნის დედაქალაქში სომეხთა გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნას მიძღვნილი რომელიმე ძეგლი-სიმბოლო.

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა – ნება დაგვრთოთ და ქ.თბილისში გამოგვიყოთ შესაბამისი ტერიტორია 1915-23წწ. სომეხთა გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის დადგმისთვის", – ნათქვამია მიმართვაში.

მიმართვას ხელს აწერენ „საქართველოს სომეხთა სათვისტომო", „სომეხთა სათვისტომოს სტუდენტური ასოციაცია", „სომეხთა სათვისტომოს ახალგაზრდული კავშირი" და „საქართველოს სომეხთა სათვისტომოს მოზარდთა კავშირი".

როგორც „მედიანიუსს" სომეხთა სათვისტომოდან აცნობეს, „საქართველოს სომეხთა სათვისტომომ" ანალოგიური მიმართვით, წლების განმავლობაში ქალაქის მერს არაერთხელ მიმართა, მაგრამ დღემდე წერილები და მიმართვები მერიის მხრიდან იგნორირდება.

**„მედიანიუსი"**

ყოველგვარი ცენზი მოშლილია, რა უბედურებაა ეს :( თითქმის ყველა არხზე კვირაში 5-ჯერ სექსუალურ უმცირესობებს ვუსმენთ

პირადად ვიცნობ ლუის ნავაროს და არაერთხელ შევხვედრივარ!... ზედმიწევნით ზუსტად იცის, რა ხდება საქართველოში! საქართველოს ისტორიაც კი ისე აქვს შესწავლილი, რომ მაგალითები მოჰყავს ხოლმე... ბევრ ქართველ პოლიტიკოსზე კარგად იცის, სადაა და რაშია ჩვენი ხსნა. დამიჯერე პირად საუბრებში ბევრ მინიშნებებსაც კი აკეთებს! უბრალოდ, ეგ კაცი იმ ორგანიზაციის წნეხის ქვეშაა, სადაც მუშაობს და მე გეკითხები ახლა შენ, იმ ქვეყანაში, სადაც ქართველი ყიდის საკუთარ სამშობლოს, შენ რას ითხოვ მისგან?

თარხნიშვილის შედგენილ რეიტინგებს ვინც არ ენდობით თქვენ გატყავდით და დაიმშიეთ ჩვენს მთავრობასავით!))

მონობასა და თავისუფლებას შორის არჩევანი ოქტომბერში!!!

რა აქვთ საერთო დეპუტატს და კრუხს?

ორივე კვერცხებზე ზის, მაგრამ კრუხისაგან რაღაც შედეგს მაინც ელიან! :))))))

ვეთანხმები აშშ–ს საელჩოს: საქართველოს და საერთაშორისო საზოგადოების დაბოლების, ანუ ცრუ ინფორმაციის მიწოდების კუთხით, მართლაც რომ საოცარი მიზანდასახულობა, პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა იგრძნობა ამ კვლევების ჩამტარებლების მხრიდან....

## xalxis azriT

ყველა ის ადამიანი, საქართველოს მოქალაქე ვინც მხარს უჭერს ტოტალიტარიზმსა და დესპოტიზმს ქვეყანაში, ყველანი ხართ ის კრიმინალები, ვინც მოკლა და შეიწირა უამრავი ადამიანი, ვინც დაკარგა ქვეყნის ტერიტორიები, წაართვეს ხალხს კუთვნილი ფართები, დაანგრიეს ეკლესიები, ჩაყავით ყველას ჯიბეში ხელი, თქვენ გადაასხით ბენზინი იმ დევნილ პენსიონერს თავზე, რომელმაც ღირსეული სიკვდილი ამჯობინა ულირს ცხოვრებას და მერე ყველამ ერთად თქვით – ბენზინის ფული ხო იშოვა, თავი რომ დაეწვაო... თქვენ მხარს უჭერთ ულირსობას, კრიმინალს, პიდარასტებს. ლეზბიანკებს, სულით და ხორცით ბოზობას, ქვეყნის გამყიდველობას, ქვეყნის ღირსების შელახვას! თქვენ მომხრე ხართ ჩრდილოეთ კორეის მსგავსი ლიდერის, თქვენ ღირსეულ სიკვდილს ნაძრახი სიცოცხლე გირჩევნიათ, თქვენ გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, უამრავ გამწარებულ ოჯახს. დაწიოკებულ ბიზნესს, მშიერს, მწყურვალს, რელიგიას, სულში აფურთხებთ ხალხს!

ხო, ხო, ხო, ეს ცოტნე ბაკურია რა ყოფილა... არ აჭრევინებს შიშით 32 ბოლტგაიკას მთელ მიშმანთა შაიკას. რაო, მიშისტებო რატო ღნავიხართ?... ცოტნე ბაკურიამ "გაგიდოთ"?

დავბერდი ამ დედაარღნიან საფრანგეთში და ტრანსსექსუალი ნაციონალურ ტელევიზიაში მიწვეული მე არ მინახავს (-თუნდაც ეს არხი კერძო იყოს)... რა უბედურებაა ეს, ვერ გავიგე... უჩივლეთ ვინმემ ამ ჩემის ტრულაილა ტელევიზიას გარყვნილების პროპაგანდისთვის

ისე, ჩემო მიშმანებო... ცოტნე ბაკურია რო ამოიღეთ სამიზნეში... არ ჯობდა ლევან მამალაძე "გაგეჩითათ"... უფრო კარგი "პრორუსული" ბეგრაუნდი აქვს... თან "ყველა პარამეტრებით" ქაჩამს ბიძინოიდების მთავარ პიარშიკს... აბა, ეხლა ბაკურია ვინააა.. .ოოოო, მამალაძეეე...მამალაძე სხვა საქმეა...



# ჰოლივუდის ღიმილი

უთუოდ გსმენიათ, რომ შუა საუკუნეებში მონათა ბაზარზე „ცოცხალი საქონლის“ ხარისხს კბილების მიხედვით ადგენდნენ: მისი ფასი, ვისაც საღი კბილები ჰქონდა, ერთიორად იზრდებოდა, ცუდი კბილების პატრონს კი არაფრის იმედი უნდა ჰქონოდა — მუშად არ გამოდგებოდა.

ის სასტიკი დრო დიდი ხანია დავიწყებას მიეცა, თუმცა ახლა ექიმებს კბილებით უფრო მეტის გაგება შეუძლიათ, ვიდრე ოდესმე. მაგალითად, მოთეთრო-რძისფერი — უმეტესად ფარისებრი ჯირკვლის დაავადებაზე (ფუნქციის გაძლიერებზე) მიუთითებს, მუქი მოყვითალი-მოწითალო შეფერილობის — კი თირკმელზედა ჯირკვლის ჰიპერფუნქციის მანიშნებელია, მოყვითალო-მოყავისფრო ნადები მწეველს ამხელს...

წვრილი, ყვითელი ზოლები იმაზე მიგვანიშნებს, რომ კბილების ფორმირებისას მინერალური ცვლა დაირღვა; მათი მიხედვით იმის დადგენაც კი შეიძლება, როდის იღებდა ბავშვი ანტიობიოტიკებს. ხოლო ის, რომ სტომატოლოგები კბილებზე ცნობენ მკერავებს, გურმანებსა და ტკბილეულის მოყვარულთ, ამაზე, აღარავინ დავობს.

საღ კბილებს, გარდა იმისა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს



საჭმლის მონელებისას და ორგანიზმს მრავალი ინფექციური აგენტისგან იცავს, კიდევ ერთი — ესთეტიკური — დატვირთვაც გააჩნია.

„სფინქსის ღიმილმა“, საუკუნეთა მანძლზე რომ აჯადოებდა მნახველებს, მომხიბლაობა თანდათან დაკარგა. პოსტინდუსტრიულმა სამყარომ მას „ჰოლივუდის ღიმილი“ არჩია.

**თუ ასეთ ღიმილზე ოცნებობთ, ზოგი რამ დაიხსომეთ:**

შეეცადეთ, რაციონი შეძლებისდაგვარად სრულყოფილი გქონდეთ.

ყველაზე მეტი მიირთვით ხილი, ბოსტნეული, მწვანილი: ქინძი, ოხრახუში, ნიახური და კამა.

ჭამა რაიმე მკვრივით, მაგალითად კიტრით, ვაშლით ან ბოლოკით დაასრულეთ — ეს ხელს შეუწყობს კბილების თვითგაწმენდას. ჭამის შემდეგ შეგიძლიათ დაღეჭოთ უშაქრო საღეჭი რეზინი, ოღონდ, არაუმეტეს 10-20 წუთი;

ნუ მიირთმევთ ტკბილეულს კერძსა და კერძს შორის, დესერტი შეგიძლიათ, ნასადილევს ჩაროზად დააყოლოთ, ოღონდ — არა მთელი დღის განმავლობაში;

როგორი უსიამოვნოც უნდა იყოს, წელიწადში ორჯერ უთუოდ უნდა ეწვიოთ სტომატოლოგს, თუ საჭიროა, უფრო ხშირადაც;

ლამაზი ღიმილი მაინცდამაინც ყურებმდე გახსნილი პირი როდია: ისე უნდა გაიღიმოთ, ღრძილები არ გამოგიჩნდეთ;

გარდა კბილებისა, ღიმილს მომხიბლაობას ლამაზად შეღებილი და მოვლილი ტუჩებიც მატებს. ტუჩის საცხით მოსვრილი კბილები კი იმაზე მეტყველებს, რომ დაბნეული და ფეთხუმი ხართ, ამიტომ ყურადღებით შეარჩიეთ საცხის ფერი და სისქე;

ბოლო დროს ძალზე მოდურია კბილების გათეთრება და ბევრი მას უსისტემოდ მიმართავს. ქათქათა კბილები, რა თქმა უნდა, ძლიერ ეფექტურია, მაგრამ ამ მეთოდსაც აქვს ნაკლი — რამდენიმე ხნის შემდეგ კბილები თავიანთ პირვანდელ ფერს იბრუნებს. თუმცა, თუ თვალისმომჭრელი, ელვარე ღიმილი აკვიატებულ იდეად გექცათ, მიმართეთ სპეციალისტს, რომელიც დაადგენს, რამდენად შეიძლება ამ მანიპულაციის ჩატარება თქვენი ღრძილების, კბილის მინანქრისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსისთვის.

საზოგადოდ, ყველაზე ჯანსაღი კბილები კეთილშობილი სპილოს ძვლის ფერისაა; სწორედ ეს ფერი გვაუწყებს, რომ ამ კბილების პატრონი სრულფასოვნად იკვებება, ესე იგი, იღებს კბილის მინანქრისთვის საჭირო ფთორის ოპტიმალურ რაოდენობას.

გარდა ამისა, სპილოსძვლისფერი მინანქარი თეთრზე გაცილებით მყარი, სქელი და გამძლეა.

და ბოლოს, კბილების სითეთრე გუნება-განწყობაზეც ახდენს გავლენას: ჯანსაღი, ჯანმრთელი, უდეფექტო კბილები ხომ კიდევ ერთი მიზეზია ღიმილისთვის, მაშინ, როცა მოუვლელი კბილების პატრონები კომპლექსდებიან, უარს ამბობენ ურთიერთობებზე და საკუთარ თავში იკეტებიან.

ასე რომ, მოუარეთ კბილებს — ისინი თქვენი ღიმილის გარანტები არიან.

რა მნიშვნელობა აქვს, ამ ღიმილს „სფინქსისას“ დავარქმევთ თუ „ჰოლივუდისას“... ღიმილი ყოველთვის ღიმილია — დიდი მეგობრობის დასაწყისი და ადამიანთა გულის მონადირების საუკეთესო საშუალება.

# სტრესი ორგანიზმს ნელ-ნელა ანგრევს

**ყველა ავადმყოფობის სათავე სტრესია!**

მთელი ჩვენი ცხოვრება ერთი დიდი სტრესია.

ამერიკელმა მეცნიერებმა ტ. ჰოლმსმა და რ. რეიემ სტრესების 100-ქულიანი შკალა შემოიღეს, რომლის მიხედვითაც, ახლობელი ადამიანის სიკვდილი — 100 ქულაა, ქორწინება — 50, ფეხმძიმობა — 40, ახალი თანამდებობა — 40, სამსახურში დაწინაურება დაახლოებით იმდენივე — 39, ხოლო ორჯერ დაოჯახება, დაახლოებით ახლობელი ადამიანის სიკვდილის ტოლფასი ყოფილა — ის 98 ქულას უტოლდება.



**რა გველის სტრესისგან?**

თუუათასგვარ თეორიას დავუჯერებთ, მისგან ყველაფერს უნდა ველოდოთ, განსაკუთრებით კი დაავადებებს, ბანალური გრიპით დაწყებული, ავთვისებიანი სიმსივნეებით დამთავრებული.

**რა არის სტრესი?**

სამედიცინო პრაქტიკაში ტერმინი stress 1936 წელს კანადელმა ფიზიოლოგმა ჰანს სელიემ შემოიღო.

მანვე შემოგვთავაზა სტრესის უნივერსალური თეორია, რომლის ვულგარიზებული დასკვნა ასე ჟღერს: „ყველა ავადმყოფობის სათავე სტრესია“.

ის, რასაც მთელი მსოფლიო ებრძვის, „დისტრესია“, ანუ სიტუაცია, როცა გარეშე გამღიზიანებელი ფაქტორების დონე ადამიანის დამცავი სისტემების შესაძლებლობებს აჭარბებს.

თუკი სტრესული ფაქტორები ორგანიზმზე ხანგრძლივად მოქმედებს, ან ადამიანის დამცავი მექანიზმები თავიდანვე სუსტია, გამოფიტვის სტადია გარდაუვალია.

სინამდვილეში, სტრესი ყოველთვის არასასურველი ცხოვრებისეული მდგომარეობა როდია, როგორც ამას ბევრი ფიქრობს; რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ იგი ორგანიზმის დამცავი რეაქციაა არასასურველი გარემო სიტუაციისგან. სწორედ ცხოვრებისეული პატარ-პატარა სტრესების წყალობით ახერხებს ადამიანი დაკისრებულ მოვალეობათა გაძღოლას და რაც მთავარია, უძლებს უფრო დიდ და მასშტაბურ დარტყმებს.

სტრესის გარეშე ცოცხალი ორგანიზმი კარგავს ბუნებრივ, სასიცოცხლოდ აუცილებელ ტონუსს და გაცილებით დაბალხარისხიან არსებობაზე გადადის.

ასე რომ, სტრესი სულაც არ ნიშნავს ბოროტებას!

ამის დასტურად ეს მაგალითიც გამოდგება — ერთ-ერთ უცხოურ ზოოპარკში ვეფხვები, მიუხედავად იმისა, რომ იდეალურ პირობებში ჰყავდათ (ყოველდღეფჭამდნენ ხორცს მოჭარბებით, ცხოვრობდნენ ბუნებრივ საცხოვრებელთან მაქსიმალურად მსგავს გარემოში), მაინც ვერ მრავლდებოდნენ. რეგულარული კვებისას, როცა ზომაზე მეტს ჭამდნენ და არაფერზე ზრუნავდნენ, ერთმანეთი არც კი ახსენდებოდათ.

მოგვიანებით, ზოოპარკის თანამშრომლებმა მათ ხელოვნურად შეუქმნეს სტრესული სიტუაცია — საკვებს დღეგამოშვებით აძლევდნენ, ამასთან, გაცილებით მცირე ულუფებით... ვეფხვებს რამდენიმე დღეში მოეძალათ ვნება და გამრავლებასაც შეუდგენენ.

ასე რომ, ბუნებრივ პირობებში სტრესის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, როცა ადამიანს რეალური სტრესი აკლია, მოქნილი გონების წყალობით, მას თავად იგონებს. შემთხვევით არ არის, ფსიქიური მოშლილობები, დეპრესიები და თვითმკვლელობები მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უფრო ხშირი მოვლენა, ვიდრე „ცხელ წერტილებში“, სადაც რეალური და არა გამოგონილი პრობლემები ისედაც თავზე საყრელია.

გამოგონილ სტრესთან ბრძოლა გაცილებით რთულია, ვიდრე ნამდვილთან.

**სტრესი და სქესობრივი ცხოვრება**

როგორ მოქმედებს სტრესი სქესობრივ ცხოვრებაზე?

სხვადასხვაგვარად.

სოციალური სტრესისას: რევოლუციები, ომის და სხვადასხვა სოციალური კატაკლიზმის დროს შობადობა კი არ მცირდება, პირიქით — მატულობს. საამისო რაციონალური განმარტებაც არსებობს — როცა ქუჩებში ტანკები გრუხუნებს, ეზოებში კი კომუფლირებულ სამოსში გამოწყობილი ხალხია თავმოყრილი, უიარაღო ადამიანის უკანასკნელი თავშესაფარი ოჯახი და სიყვარულია.

ასე რომ სტრესი, რომელსაც ადამიანი მთელ საზოგადოებასთან ერთად განიცდის, ფიზიოლოგიურად ააქტიურებს ადამიანებს.

რაც შეეხება ინდივიდუალურ, პერსონალურ სტრესს — ინდივიდუალური დარტყმები (ახლობლის დაკარგვა, ფინანსური პრობლემები) სექსუალურ აქტივობას საგრძნობლად აქვეითებს; ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, რომელსაც ახლობელი ადამიანის დაკარგვის ან გაკოტრების შესახებ ცნობის მიღების შემდეგ ვნება მოეძალება.

თუმცა მედალს ყოველთვის აქვს ორი მხარე, თუ პრობლემას სხვა მხრიდან შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ სტრესისგან თავის დაღწევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სწორედ სექსია.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ორგაზმის დროს სხეულში გამოიყოფა ენდორფინები — განცხრომისა და ნეტარების ჰორმონები, რომლებიც ამცირებს აგრესიას, შფოთვას, განგაშს, უძილობასაც კი შველის.



თუმცა, არც ის დაგავიწყდეთ, რომ სექსიც სტრესია, ასე რომ, ნურც ზომიერებას უღალატებთ.

**სტრესის საწინააღმდეგო პანაცეა**

სტრესის საწინააღმდეო პანაცეა მხოლოდ სიყვარულია.

ვიქტორ ფრანკლინი გერმანელი მეცნიერია. მან ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკები გამოიარა და მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ სტრესის საწინაალმდეგო უნივერსალური წამალი სიყვარული, შემოქმედება და იმ ადამიანებზე ზრუნვაა, ვისაც შენზე მეტად უჭირს.

გავიხსენოთ, რომ სიტყვა სტრესს-ის ზუსტი თარგმანი დაძაბულობაა, ასე რომ, ნუ დაიძაბებით, ნუ დაიზაფრებით და გიყვარდეთ, გიყვარდეთ ერთმანეთი!

გვერდი მოამზადა
**ზვიად ღონღაძე**

## მსოფლიო პრესის მიმოხილვით

# amerikam pirvelad aRiara, rom Cumad amaragebda siriis opozicias

ამერიკის შეერთებული შტატები უკვე რამდენიმე თვეა, სირიელ ამბოხებულებს კავშირგაბმულობის სპეცმოწყობილობებით, კერძოდ, ტელესაკომუნიკაციო საშუალებებით ამარაგებდა, რომ მეამბოხეებს გარე სამყაროსთან კავშირის საშუალება ჰქონოდათ. ბაშარ ასადის მოწინააღმდეგეთა კონტრაბანდული მომარაგების შესახებ პირველად აღიარა სახელმწიფო დეპარტამენტმა, თუმცა უარი განაცხადა ხელმისაწვდომი გახადოს ამ დახმარების მოცულობა და სპეციფიკა. თუ ეგრეთ წოდებული „სირიის მეგობრები“ ოფიციალურად მოიწონებენ ამ ფაქტს, ვაშინგტონი მსგავს დახმარებას უკვე ლეგალურად გააფართოებს.

ამერიკის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენელი ვიქტორია ნულანდი აცხადებს: „ჩვენ გვქონდა საკმაოდ მოკრძალებული პროგრამა „ახლოაღმოსავლეთის პარტნიორობის“ ფარგლებში... ახლა მისი მასშტაბების გაფართოებას ვაპირებთ...“ ამასთან, მან უარი განაცხადა დაეკონკრეტებინა მოცულობა და თანხა, რომელიც ამ პროგრამისთვის იხარჯება. „საჯაროდ არ ვილაპარაკებთ, ზუსტად რას გულისხმობს ეს დახმარება და რა სახის აპარატურაა ან ქვეყნის რომელ ნაწილში ვგზავნიდით მას“.



როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ „სირიის მეგობართა“ სტამბოლის შეხვედრაზე გადაწყდა, მინიმუმ, ფინანსური დახმარება აღმოუჩინონ მეამბოხეებს. ამერიკული დიპლომატიის მეთაურის ჰილარი კლინტონის განცხადებით, თეთრი სახლი ოპოზიციას დაეხმარება კავშირგაბმულობის საშუალებებით და გამოყოფს „დამატებით 12,2 მილიონ დოლარს სირიელი ხალხის ჰუმანიტარული დახმარებისთვის“.

„ოპოზიციას კავშირგაბმულობის ტექნიკა სჭირდება მომხრეთა ორგანიზებისთვის, გარე სამყაროსთან ურთიერთობისთვის და სამთავრობო ჯარების თავდასხმების ასაცილებლად. ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ვმსჯელობთ, თუ როგორ გავაფართოოთ ეს დახმარება“, — აცხადებს კლინტონი.

სირიელ მეამბოხეებს იმედი ჰქონდათ, რომ სტამბოლის შეხვედრაზე იარაღის მიწოდების საკითხიც გადაწყდებოდა. ამასთან დაკავშირებით, სხდომის შედეგების შესახებ რამე ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.

რუსეთის ოფიციალური პოზიციით, „თვითმარქვია მეგობართა“ შეხვედრაზე მშვიდობიანი გზებით სირიის კონფლიქტის მოგვარების გეგმის საწინააღმდეგო დაპირებები გაისმა, რომლებიც მეამბოხეთა ლოჯისტიკისა და სამხედრო დახმარებას გულისხმობს. რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, „ახლა აუცილებელია სირიელებს შორის ძმათამკვლელი ფართომასშტაბიანი ომი არ გაჩაღდეს“.

სირიის ოფიციალურ ხელისუფლებას არაერთხელ განუცხადებია, რომ აჯანყებულები სხვადასხვა წყაროდან, თუნდაც მეზობელი ლიბანიდან იღებენ შეიარაღებას.

არც ნატო და არც ამერიკა ყურად არ იღებს როგორც სირიელ მეამბოხეთა თხოვნას მათი იარაღით მომარაგების შესახებ, აგრეთვე ზოგიერთი არაბული სახელმწიფოს ინიციატივას მსგავსი დახმარების შესახებ. ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი იმედოვნებს, რომ გაეროს და არაბული სახელმწიფოების ლიგის სპეცწარმომადგენელ კოფი ანანის წინადადების საფუძველზე სირიის კრიზისის დიპლომატიური გზით მოგვარების საშუალება მოიძებნება. როგორც ცნობილია, ანანმა გაეროს უშიშროების საბჭოს შესთავაზა, გეგმის განხორციელება 10 აპრილამდე დაიწყოს. შეგახსენებთ, რომ „საგზაო რუკა“ მოცავს ექვს პუნქტს, კერძოდ: ყველა მხარემ უნდა შეწყვიტოს შეიარაღებული ძალადობა გაეროს სპეცკონტროლის მეშვეობით, დაზარალებულებს აღმოუჩინონ ჰუმანიტარული დახმარება და დაიწყოს პოლიტიკური დიალოგი ქვეყნის შიგნით.

სირიის ხელისუფლება უარს აცხადებს, სამთავრობო ჯარები გამოიყვანოს ქალაქებიდან მანამდე, ვიდრე ცხოვრება ნორმალურ კალაპოტს არ დაუბრუნდება; თავის მხრივ, მეამბოხეები არ აპირებენ, პირველებმა დაყარონ იარაღი.

ოპოზიცია მთელ მსოფლიოს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებაც, თუ რა მხეცურად იქცევა სამთავრობო არმია.

**vz.ru**

# raketsawinaaRmdego TavdacviTi sistemis sapirwone

როცა ობამამ მედვედევს თავდაცვითი სისტემის საკითხთან დაკავშირებით „მანევრებისთვის შესაბამისი სივრცე“ სთხოვა, იგი თავის მასშტაბურ მიზანზე — მთელი მსოფლიოს ბირთვული არსენალისგან განიარაღების შესახებ ფიქრობდა, წერს გაზეთ **The Wall Street Journal**-ში დაბეჭდილ სტატიაში რესპუბლიკელი სენატორი ჯონ კაილი. მოგვიანებით ობამამ განმარტა: მას სურს ბირთვული არსენალის შემცირება, საამისოდ კი აუცილებელია თანამშრომლობა და ნდობა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის დარგში.



„როგორც ჩანს, პრეზიდენტი მზად არის, ჩვენი თავდაცვითი სისტემაც კი რისკის ქვეშ დააყენოს, ოღონდაც რუსები ბირთვული იარაღის შემცირების შემდეგი რაუნდისთვის დაიყოლიოს“, — ასეთია კაილის კომენტარი ამ საკითხზე. სენატორის აზრით, ამ მიზნის მისაღწევად, ობამა შესაძლოა, იძულებული გახდეს „უგულებელყოს ან თავი აარიდოს“ იმ ვალდებულებებს, რომლებიც კონგრესის წინაშე სტრატეგიულ-შეტევითი შეიარაღების შესახებ რატიფიკაციის გამო იტვირთა. ობამამ პირობა დადო, რომ შეასრულებს ოთხეტაპიან გეგმას, რომელიც ამერიკული რაკეტტსაწინააღმდეგო სისტემის ევროპაში განთავსებას და ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის სამარშო მონაკვეთზე (**GMD**) სახმელეთო სისტემის მოდერნიზებას ეხება. „პრეზიდენტის ხელახლა არჩევის შანსი შემცირდება, თუკი წინასაარჩევნო პერიოდში დაუფარავად დაიწყება განხილვა იმისა, თუ რა დათმო ქვეყანამ დასახელებულ სისტემებში“, — ვარაუდობს სენატორი კაილი. იმავდროულად, იგი სიფრთხილეს იჩენს და აცხადებს — საეჭვოა, რაკეტსაწინააღმდეგო სფეროში დათმობებმა რუსეთს უბიძგოს და შეამციროს ბირთვული არსენალი.

ამერიკელებს მართებთ, გააკრიტიკონ ობამას მისწრაფება, ბირთვული იარაღის ოდენობა სტრატეგიულ-შეტევითი შეიარაღების ლიმიტით გათვალიწინებულზე მეტად შეამციროს. ბირთვული იარაღის მინიმიზაციამ შესაძლოა არასტაბილურობის პროვოცირება გამოიწვიოს: მაგალითად, ჩინეთი და სხვა სახელმწიფოები შეეცდებიან, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს „დაეწიონ“.

თავის დროზე ამერიკამ ბირთვული იარაღი ზნეობრივი ვალის მოსახდელად გამოიყენა — გადაერჩინა თავისი ჯარისკაცების სიცოცხლე. დღესდღეობით კი, ბირთვული შეკავების ძლიერი ძალებისა და თავდაცვითი სისტემის ეფექტიანობის მხარდაჭერა — ეს ევალება ყველას, ვისაც მინდობილი აქვს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, — ასკვნის სენატორი.

**The Wall Street Journal**

# ruseTis arasistemuri opozicia amerikisgan fulsmiiRebs




რუსეთში პროამერიკულ და „არასისტემურ ოპოზიციას“ „ფულის წვიმა“ ელოდება. ობამას ადმინისტრაცია, „რუსეთის დემოკრატიზაციისთვის“ კიდევ 50 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ კონგრესის თანხმობას ელის. სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ფილიპ გორდონი აღნიშნავს, რომ 2009 წლიდან მოყოლებული, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება 200 მილიონ დოლარზე მეტით დააფინანსა. დამატებითი 50 მილიონი დოლარი საამისოდ შექმნილი სპეციალური ფონდის მეშვეობით გადაეცემა.

„სუფთა ფულის“ გარდა, რომლის გამოყოფის შესახებაც კონგრესს ანგარიში წარედგინება, ამერიკა „სხვა დოლარებსაც“ გზავნის. მოსკოველი მკვლევარების დასკვნით, იმ ამერიკული ორგანიზაციების სია, რომლებიც რუსეთის ოპოზიციურ ჯგუფებს აფინანსებენ, საკმაოდ ვრცელია.

საერთაშორისო განვითარების სააგენტო (**USAID**), რომელიც 1961 წელს ჯონ კენედის პრეზიდენტობისას ჩამოყალიბდა, მსოფლიოს ბევრ ქვეყანას, მათ შორის — რუსეთსაც ეხმარება. მასთან თანამშრომლობს მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფი და ეგორ გაიდარის ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტი. ამ ამერიკული ორგანიზაციის საკვანძო თანამდებობებზე მუშაობენ „პენსიონერები“ — სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლები.

**Âå÷åðœå í î âî ñòè,**
**სერბეთი**

# Seusrulebeli misia



ლავროვი სომხეთს მიემგზავრება, შემდეგ აზერბაიჯანში ჩავა იმისთვის, რომ ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის 20 წლისთავზე კიდევ ერთხელ დაადასტუროს — ისინი კვლავ რუსეთის გავლენის ორბიტაზე რჩებიან და რუსეთი მათ დათმობას არ აპირებს. თუმცა სამხრეთ კავკასიაში რეგიონული ვიზიტი არ მოიცავს საქართველოს, რაც იმის დემონსტრირებაც არის, რომ ურყევი რეალიები იცვლება.

სერგეი ლავროვის მისიაზე ოფიციალურად არაფერია ცნობილი. გავიხსენოთ წინა მოგზაურობა, როცა მან ორივე მხარეს შესთავაზა რუსეთის წინადადებები ყარაბაღის პრობლემის მოსაგვარებლად. მაშინდელი მისია შეუსრულებელი დარჩა — სომხეთმა და აზერბაიჯანმა უარყვეს მედვედევის გეგმა.

ამჯერად რა სურს ლავროვს? აზერბაიჯანმა უკვე განაცხადა, რომ მას იმედი აქვს, მოსკოვი დაიყოლიებს სომხეთს, „იყოს კონსტრუქციული“.

„სომხეთზე რუსეთის გავლენას ანალოგი არ გააჩნია მსოფლიოში — მოსკოვს შეუძლია, სასურველი მიმართულებით წარმართოს ამ სახელმწიფოს განვითარება“, — ასეთია ოფიციალური პოზიცია აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციისა, რომელსაც პუტინის ინიციატივები ყარაბაღის პრობლემის მოსგვარებლად ეიმედება და ამ საკითხში სერიოზულ წინსვლასაც ელის.

რა წინსვლაზეა ლაპარაკი? გააჩნია კი ბაქოს ინფორმაცია, რომ მოსკოვი მზად არის, დაიყოლიოს სომხეთი, ოღონდაც აზერბაიჯანმა არ გაიყვანოს ტრანსკასპიის გაზსადენი და არ შევიდეს ანტიირანულ კოალიციაში?

რა შეიძლება შესთავაზოს სომხეთმა, რომ მოსკოვმა ვერ შეძლოს მისი დაყოლიება? რესურსები და არგუმენტები ალბათ არსებობს. გავიხსენოთ რუსეთის ბაზა სომხეთში და აგრეთვე დისკუსია იმის შესახებ, რამდენად მიზანშეწონილია, სომხეთი კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის წევრი იყოს.

სომხეთში უკვე ალაპარაკდნენ თავიანთი ქვეყნის დეკოლონიზაციის შესახებ და იმაზეც, რომ რუსეთ-სომხეთის ურთიერთობა თანაბარუფლებიან რელსებზეა გადასაყვანი.

**Lragir, სომხეთი**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ჯემალ დავლიანიძე

### დაღდასმული შევარდნაძე და „დემოკრატი" ხრუშჩოვი

მკითხველს ვთხოვ — არც ალენ დალესის გეგმა დაივიწყოს და ხრუშჩოვზეც იფიქროს... მთელი დასავლეთი ამ უკანასკნელს დემოკრატიის, ცისკრის ვარსკვლავად მიიჩნევს. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ მან იწყო ნგრევა და დასუსტება ე.წ. სტალინური ტირანიისა?. თუ იმიტომ, რომ სტალინის მიერ გაძლიერებული საბჭოთა კავშირის საყრდენების მორყევა დაიწყო? ხრუშჩოვის დროინდელმა, აკვიატებულმა და სასაცილო იდეებმა სსრკ-ს პრესტიჟი კინაღამ მთლად ძირს დასცა. კაცმა რომ თქვას, მე ამას კი არ ვდარდობ, არამედ ხრუშჩოვის მიერ საქართველოსადმი გამოჩენილ ზიზღსა და ღვარძლს უფრო ვაქცევ ყურადღებას. ჩვენ, გაცილებით უარეს დღეში ვიქნებოდით, მაშინდელი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ვასილ მჟავანაძის ადგილას რომ წყეული შევარდნაძე ყოფილიყო. ოდნავ დააგვიანეს, მაგრამ ამ საშინელ ურჩხულს მაინც არ აგვაცდინეს. როცა შევარდნაძის მიერ საქართველოში



დატრიალებულ ყველა უბედურებას გადახედავ, მხოლოდ მაშინღა მიხვდები კაცი, რისთვის, ვისთვის და ვის მიერ იქნა იგი მოვლენილი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირშიც! როცა ხედავ, როგორ ინახავენ მას, როგორ არ აკარებენ ცივ ნიავს, მაშინ კი უნდა იკითხო: რატომ? რისთვის? მას ხომ საბრალდებო სკამი ეკუთვნის? ეს ყმაწვილი მიხეილ სააკაშვილი რომ გამოდის და ყოველდღე გამუდმებით ლანძღავს, იქნებ დაეპატიმრებინა და გაესამართლებინა? არა! ეს შეუძლებელია! დღეს, დედამიწის ზურგზე არ გახლავთ ძალა, რომ შეძლოს შევარდნაძის დაპატიმრება! იგი გახლავთ სიკვდილამდე ხელშეუხებელი! ვინ არის მისი მფარველი? იგი ხომ არავის უყვარს საქართველოში? ყოველ შემთხვევაში, ქართველთა უმრავლესობა მას აგინებს და ლანძღავს... დანაშაულიც ბევრი აქვს ჩადენილი...

არა და არა! ასე ზერელედ. ამ სიბნელით მოცულ პოლიტიკურ გვამზე საუბარით არაფერი გამოვა. შევარდნაძე ასრულებდა იმ დავალებას, რომელიც ევროპა-ამერიკის დაკვეთა გახლდათ! ეს „დემოკრატიით" სავსე სამყარო მფარველობს ამგვარ ოდიოზურ ფიგურას... მათ უყვართ! ჩვენ გვეზიზღება! მისი საქმიანობა აუცილებლად უკავშირდება არა მხოლოდ საქართველოს განადგურებას, არამედ მსოფლიო დიდ ძვრებშიც ურევია მისი ხელი! ამიტომაც, როცა გვსურს ვილაპარაკოთ ევროპა-ამერიკის მწარე გაკვეთილებზე საქართველოში, აუცილებლად უნდა გამოვააშკარაოთ შევარდნაძის საქმიანობა. ამის მიხედვით, დღის სინათლეზე აშკარად ვნახოთ, რა მოიმოქმედა! რისთვის მოიმოქმედა! რა დაუფასეს და... შევარდნაძის ცხოვრება, მოქმედება ნამდვილად გვიჩვენებს მისი საქმიანობის დამკვეთთა და მფარველთა ჭეშმარიტ ზრახვებს.

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14–15

მანამ კი ხრუშჩოვის შესახებ ერთი ამბავიც გავიხსენოთ... თურმე როგორ აპირებდა ნიკიტა ხრუშჩოვი ქართველთა გადასახლებას საკუთარი მამულიდან! იგი ხომ ვითომ სტალინს ლანძღავდა, სტალინმა ხომ გადაასახლა მესხები, ჩეჩნები, ინგუშები... ეს დემოკრატი ნიკიტა კი მხოლოდ პირით დემოკრატი ყოფილა, დანარჩენით კი სტალინობას ეტრფოდა.

დღის წესრიგში კვლავ საქართველოა. აქ საუბარი აფხაზეთის და სამაჩაბლოს წართმევა-წაგლეჯვაზე კი არა, არამედ ჩვენი ხალხის პირწმინდად გასახლებაზეა. აქვე უნდა ვიკითხოთ — ქართველების გადასახლება შედიოდა თუ არა რუსი ხალხის ინტერესებში? და, როცა ნიკიტა ამას აპირებდა, რას აკეთებდა მაშინ ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლიო?

1991 წელს გაზეთმა „თბილისმა" გამოაქვეყნა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის დევი სტურუას წერილი სათაურით „გაგასახლებთ". განა საინტერესო არ არის, რას სწერს ხრუშჩოვსა და ქართველთა გასახლების შესახებ ყოფილი ცეკას მდივანი? ჰოდა ვნახოთ:

„ხშირად მეკითხებიან, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს მტკიცება, რომ თითქოს ხრუშჩოვს ქართველების აყრა და შუა აზიაში გასახლება უნდოდა? ამ საკითხზე ვადასტურებ შემდეგს: 1962 წლის ზაფხულის ერთ დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის, ვასილ მჟავანაძის კაბინეტში დავყოვნდი. საღამოს რვა საათი იქნებოდა, რომ აწკარუნდა ტელეფონის აპარატი „ვჩ". მჟავანაძემ ყურმილი აიღო. რამდენიმე წამის შემდეგ ის გაფითრდა. მანიშნა — მომიახლოვდიო და ყურმილი ისე შეატრიალა, რომ მეც გამეგო, რასაც ელაპარაკებოდნენ. იმწამსვე ვიცანი ხრუშჩოვის ხმა (ის იმ დროს ბიჭვინთაში ისვენებდა):

— თურქებთან შეერთება მოინდომეთ?! — ღრიალებდა ხრუშჩოვი.

მე ჩავჩურჩულე მჟავანაძეს, ეთქვა ხრუშჩოვისათვის, რომ ქართველებს ისტორიულად არ შეეძლოთ ჰქონოდათ



რაიმე განსაკუთრებული სიმპათიები თურქების მიმართ, ვინაიდან თურქებმა ძალით დაისაკუთრეს საქართველოს თითქმის ერთი მესამედი, რომ ისინი ჟლეტდნენ ქართველებს და ა.შ. მჟავანაძემ ეს ყველაფერი უთხრა ხრუშჩოვს, მაგრამ ამაოდ...

— ვაგონი პოდადიმ, ვისელიმ ვას კ ჩერტოვოი მატერი! — დაიღრიალა ხრუშჩოვმა და ყურმილი დააგდო.

საქმე შემდეგში იყო. თურმე, ხრუშჩოვს, რომელიც ბიჭვინთაში ისვენებდა, აჩვენეს მის სახელზე დაწერილი ვიღაც კორეელი იუნის წერილი. ეს იუნი, თითქოს მკურნალობდა წყალტუბოში. ჰოდა, ეს „მითიური" იუნი ატყობინებდა ხრუშჩოვს, რომ ქართველებთან საუბრისას მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მათ აქვთ სურვილი შეუერთდნენ თურქებს და სხვა ამგვარი აბდაუბდა. იუნს „მითიური" ვუწოდე იმის გამო, რომ ასეთი ავადმყოფი თუ დამსვენებელი წყალტუბოში არ აღმოჩნდა, იმისდა მიუხედავად, რომ გენერალ-პოლკოვნიკ ინაურის უწყებამ საგულდაგულოდ „გადაცხრილა" საქართველოს ეს სამკურნალო კურორტი. ეს წერილი საკმაოდ უხეში და მარტივი პროვოკაცია იყო, მაგრამ რატომ ჰქონდა ამის გამო ასეთი მძაფრი რეაქცია ხრუშჩოვს? და, საერთოდ, ასეთ რამეებს თანაშემწეები და რეფერენტები, როგორც წესი, თავიანთ უფროსებს არც უჩვენებენ. ამ შემთხვევაში კი, უეჭველია, ვიღაცამ ბოროტი განზრახვით დაუდო წინ ხრუშჩოვს ეს მონაჭორი. ჩემი აზრით, ეს გააკეთა ხრუშჩოვის თანაშემწემ ლებედევმა, უემოციო და საკმაოდ ღვარძლიანმა კაცმა, რომელსაც საქართველოში არაფერი მოსწონდა.

მჟავანაძემ ყურმილი დადო და მომიბრუნდა:

— რა ვქნათ ახლა ჩვენ?

გეტყვით გულახდილად: არც მჟავანაძემ და არც მე არ დავიჯერეთ ხრუშჩოვის მუქარის რეალობა.

და მაინც, ამ გამოხდომის აქტიური პროტესტის გარეშე დატოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. მოკლე მოსაუბრების შემდეგ გადავწყვიტეთ ბიჭვინთაში გაფრენა. მჟავანაძე დაუკავშირდა სამოქალაქო ავიაციის სამსახურის უფროსს და დაავალა მოემზადებინა სპეციალური სამთავრობო „იაკ-40".

ვბჭობთ იმის თაობაზე, როგორ ამოვუგდოთ თავიდან ხრუშჩოვს ეს სისულელე, როგორ დავუმტკიცოთ მას, რომ ქართველებს თურქეთთან შეერთების არანაირი სურვილი არ გააჩნიათ. შევთანხმდით, მიგვეცა ხრუშჩოვისათვის ზეპირი ისტორიული ცნობა საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა შესახებ, მტკიცედ გვეთქვა ხრუშჩოვისათვის, რომ იუნის წერილი სრული გაუგებრობა და პროვოკაციაა!

ამ დროს ისევ აწკრიალდა „ვჩ" — კვლავ ხრუშჩოვია. მჟავანაძემ ამჯერადაც მანიშნა და ერთობლივი მოსმენის „ტექნიკა" განმეორდა. ხრუშჩოვს ვეღარ იცნობდით. მან ბოდიში მოუხადა მჟავანაძეს, თქვა, რომ ოდნავ (?!) გაცხარდა, რომ იუნის წერილი „ვიედენნოგო იაიცა ნე სტოიტ"" და სხვა ამგვარი რამ. შემდეგ ხრუშჩოვმა მიიწვია მჟავანაძე ბიჭვინთაში. სხვათა შორის, ამ იუნის წერილი მაინც გადმოუგზავნეს მჟავანაძეს და იგი ინახება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტარქივში.

მეორე დღეს დილაადრიან ბიჭვინთაში გავფრინდით მჟავანაძე, ინაური, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს საერთო განყოფილების გამგე ალექსანდრე მანელიშვილი, მჟავანაძის პირადი დაცვის უფროსი დავით ჩიბურდანიძე და ამ სტრიქონების ავტორი.

ხრუშჩოვი მშვენიერ გუნებაზე გახლდათ. ენამზეობდა, ოხუნჯობდა, იუნის ნაჯღაბნზე სიტყვაც არ დაუძრავს, მით უმეტეს, ქართველების გასახლებაზე. ჩვენც, რა თქმა უნდა, ამ „თემას" არანაირად არ შევხებივართ. სადილის წინ ხრუშჩოვი და მჟავანაძე ცურაობდნენ ბიჭვინთის განთქმულ აუზში. ეს აუზი გარდა სხვა ღირსშესანიშნაობებისა, გამოირჩეოდა იმით, რომ კარგ ამინდში, ღილაკზე ხელის დაჭერით ზღვის მხარეს იხსნებოდა გამჭვირვალე კედელი და იქმნებოდა სრული ილუზია, რომ ცურავ ზღვაში (უნდა გამოვუტყდე მკითხველს და მოვინანიო, რომ მეც ორჯერ-სამჯერ მომიხდა ამ აუზში ცურაობა). ასე, რომ ხრუშჩოვი და მჟავანაძე კორპის საშველი რგოლებით დაცურავენ ბიჭვინთის განთქმულ აუზში და რაღაცაზე მშვიდად საუბრობენ. ყოველ შემთხვევაში არა იუნის „შემოქმედებაზე". აუზთან წნულ მსუბუქ სკამებზე სხედან ხრუშჩოვის პირადი მცველი ლიტოვჩენკო, თანაშემწე ლებედევი, ინაური, მანელიშვილი, ჩიბურდანიძე და ამ სტრიქონების ავტორი. ჩვენი საუბარიც მშვიდად მიედინება, მაგრამ გარკვეული სიფრთხილით.

დღის სამი საათი სრულდებოდა, როცა მოირბინა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მეცხრე სამმართველოს (პოლიტბიუროს მაშინდელი დაცვის სამმართველო) უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ზახაროვმა და ხრუშჩოვს უთხრა:

— ნიკიტა სერგის ძევ! მორის ტორეზი მეუღლითურთ თავისი რეზიდენციიდან გამოვიდნენ და აქეთ მოემართებიან.

ეს რეზიდენცია კი აუზიდან 500-600 მეტრითაა დაშორებული. მჟავანაძე სწრაფად ამოვიდა აუზიდან და გასახდელში მიიმალა. ხრუშჩოვი კი, ვითომც არაფერი მომხდარიყო, დაცურავს თავისი კორპის რგოლით, თითქოსდა ზახაროვის სიტყვები არც გაეგონოს.

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოჩნდნენ მორის ტორეზი და მისი მეუღლე. ფრანგი კომუნისტების ხელმძღვანელი გამოწყობილია ღია ფერის კოსტიუმში, მის მეუღლესაც ელეგანტური საზაფხულო კაბა აცვია.

შეწუხებული ზახაროვი ეუბნება ხრუშჩოვს:

— ნიკიტა სერგის ძევ, ტორეზი და მისი მეუღლე უკვე აქ არიან.

როგორც იქნა, ხრუშჩოვმა ინება წყლიდან ამოსვლა. მას ეცვა სატინის შავი ტრუსები, მუხლებამდე სწვდებოდა. ასეთებს ჩვენში „ფოხანებს" ეძახიან. სრულიად სველი, ისე რომ კორპი არ მოუხსნია, ხრუშჩოვი დაიძრა მორის ტორეზის და მისი მეუღლის მიმართულებით. სველმა ტრუსმა გამოკვეთეს ხრუშჩოვის ქვედატანი. ერთი სიტყვით, სურათი სრულიად არაორდინალური იყო. რომ იტყვიან, სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო. რა გაეწყობოდა! უხერხული გრძნობითა და სირცხვილის დამდაღავი შეგრძნებით გავყევით სველ ხრუშჩოვს.

როცა კოხტად მორთულმა მორის ტორეზმა და მისმა მეუღლემ სველი, შავი სატინის ტრუსის ამარა მყოფი ხრუშჩოვი დაინახეს, თანაც კორპის რგოლით შემოსალტული, შეცბნენ. ალბათ თვალებს არ დაუჯერეს, მაგრამ, როცა ამ კოლორიტულმა „ზმანებამ" მათ თავისი სველი ხელი გაუწოდა, მიხვდნენ, რომ ეს ზმანება კი არა, სავსებით რეალური ხრუშჩოვი იყო... ჩემზე ამ სურათმა უმძიმესი შთაბეჭდილება დატოვა. ასევე მჟავანაძეზე და ინაურზეც. რაც შეეხება ხრუშჩოვის გუნდს, მათ ეს ეპიზოდი საკმაოდ მშვიდად მიიღეს — ჩანდა უარესიც ჰქონდათ ნანახი...

საინტერესოა, რომ ეს „ვაგონი პოდადიმ" ერთხელაც გამეორდა. როგორღაც თბილისში ჩამოვიდა განთქმული ამერიკელი მუსიკოსის ბენი გუდმენის ჯაზ-ორკესტრი. პირველ განყოფილებაში სტუმრებმა შეასრულეს ცნობილი „პოლიუშკო პოლე" და არანაკლებად ცნობილი „კატიუშა". პირველი სიმღე-



რა ორკესტრმა ოსტატურად შეასრულა და ერთსულოვანი ტაშიც დაიმსახურა. „კატიუშა“ კი შეასრულა ნაკლებად ნიჭიერმა მომღერალმა ქალმა. ის, თითქოს განგებ ამახინჯებდა სიტყვებს, თავი უხამსად ეჭირა და მას უსტვინეს.

ვიღაც ნაძირალამ მისწერა ხრუშჩოვს, თბილისში უსტვინეს ამერიკელ მსახიობს მხოლოდ იმისათვის, რომ მან რუსული სიმღერა შეასრულაო. ხრუშჩოვმა ისევ დაურეკა მჟავანაძეს. აყვირდა და კვლავ წამოსცდა ეს „ვაგონი პოდადიმ“, მაგრამ საქმე ის იყო, რომ თვით ხრუშჩოვის ვაგონი უკვე გამწესებული იყო ისტორიის ჩიხში სამუდამო დგომისათვის“...

დევი სტურუას ეს მოგონება მეტად საინტერესოა და კაცს დაგაფიქრებს არა ნიკიტას გამოხდომებზე, არამედ მიზეზებზე, რის გამოც მაშინდელი მეფე-იმპერატორი, თუნდაც ცეკას მდივანი, ასე მძვინვარებდა და მთელი ჩვენი მოსახლეობის გადასახლებას აპირებდა. ამგვარი აზრები ვითომ სპეციალური მუშაობის, სპეციალური კარნახის გარეშე შეიძლება წარმოიშვას ადამიანის თავში? მით უმეტეს, - აქ ფიგურირებს ვიღაც „კორეელი იუნი“ და „ვიღაც ნაძირალა“, ვიღაც „ლებედევი“ და ვიღაც „ამერიკელი მსახიობი ქალი“.

აქვე ვთქვათ, რომ „ვიღაც ნაძირალა“ თბილისიდან ასე ადვილად ვერ მისწერდა წერილს ნიკიტა ხრუშჩოვს... უნდა ვიფიქროთ, რომ ესეც თანაშემწე ლებედევის ნამუშევარია. ვინ იყო სინამდვილეში, უფრო სწორად, ვისი კაცი იყო ეს ლებედევი, მართლაც ლებედევი გახლდათ თუ ვინმე იმათაგანი, ვინც სიამოვნებით ეფარება რუსული წარმოშობის გვარებს, თვითონ კი სინამდვილეში სხვები არიან და რუსეთში სხვათა საქმეს ემსახურებიან, მოდი და გაარკვიე. არადა, 1962 წელიწადია. 1956 წლის მარტის სისხლიანი დღეები სულ რამდენიმე წლის წინაა ჩავლილი. საქართველო სტალინის შეურაცხყოფის და სანაპიროზე ხალხის დახვრეტის გამო ყალყზეა შემდგარი. სულ ერთიბეწო ნაპერწკალია საჭირო, რომ მთელი რესპუბლიკა აჯანყდეს. რაო, თვითონ რუსეთს აძლევდა ხელს ეს ამბავი? თანაც, იმავ წლებში, საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ხრუშჩოვს მოკვლასაც უპირებდნენ. წარმოიდგინეთ, როგორ იკერებოდა ეს საშინელი საქმე: ხრუშჩოვმა სტალინი მავზოლეუმიდან გამოიტანა, მთელ საბჭოთა კავშირში მისი ძეგლები და ბიუსტები ძირფესვიანად მოთხარა, ჩაატარა კომპარტიის ყრილობა, სტალინი პიროვნების კულტად გამოაცხადა. უკიდეგანოდ ლანძღა და აგინა!

კითხვაა კვლავ! ვის წისქვილზეასხამდა წყალს ასეთი მოქმედება ხრუშჩოვისა? ვინ იდგა კულისებს მიღმა? ვინ იფშვნეტდა ხელს და ვინ აქებდა ნიკიტა ხრუშჩოვს? ვინ ამბობს დღემდე, რომ ნიკიტა ხრუშ-ჩოვმა დემოკრატიას დაუდო სათავე სსრკ-ში? კი, მაგრამ... ხრუშჩოვი რომ უფრო შორს წავიდა? ქართველობა დახვრიტა, ტანკები გამოიყენა, 1962 წელს მთელი საქართველოს გასახლება სურდა და... ქართველებმა კიდეც გადაწყვიტეს მისი განადგურება!

ახლა წარმოვიდგინოთ, ყოველივე ეს რომ მართლაც მომხდარიყო, ქართველებს რა დღეში ჩაგვყრიდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის უშიშროება, მილიცია და არმია? სად ვიქნებოდით ქართველები და საერთოდ — ვიქნებოდით კი? ვითომ ამერიკელებს ვერ მიბაძავდნენ და ორს თუ არა, ერთ მომცრო ატომურ ბომბს არ ესროდნენ საქართველოს? რაო, ვერ შერჩებოდათ თუ რა? ამერიკელებს თუ შერჩათ ეს ამბავი ციდან, საბჭოთა კავშირს ვინ რას უზამდა? მით უმეტეს გაკვეთილი



წინ ედოთ. გაკვეთილი, რომელიც დემოკრატიულმა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩაუტარა იაპონელ ხალხს.

ახლა, ვინმემ არ მითხრას, ხრუშჩოვს მოკვლას არავინ არ უპირებდა საქართველოშიო... აგერ ბატონო ფაქტები და მერე როგორი... საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ამხანაგ ვასილ მჟავანაძეს განცხადებას წერს ერთ-ერთი ქართველი მოქალაქე ყოფილი პატიმარი:

„არც თქვენ და არც ვისმე სხვას არ შევაწუხებდი ამგვარი წვრილმანებით, მაგრამ მიმდინარე წლის ივლისში მოხდა ერთი ძლიერ საყურადღებო რამე, რის შესახებაც მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, აუცილებლად მოგახსენოთ.

ყოფილმა პატიმარმა, ვინმე ალიკო მელაძემ თბილისის ერთ-ერთი ბიბლიოთეკის მუშაკმა (ამჟამად) მაცნობა მისი და მისი ამხანაგების განზრახვა, მოახდინონ ტერორისტული აქტი საბჭოთა ხელმძღვანელის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მიმართ, როცა იგი (ალბათ) ჩამოვა საქართველოში მომავალი წლის თებერვალში და მთხოვა აღმომეჩინა დახმარება.

მე ვუპასუხე, რომ დავეხმარებოდი ან არ დავეხმარებოდი მაშინ, როდესაც გავცემ ჩემს თავს პოზიტიურ პასუხს: საერთოდ საჭიროა თუ არა ასეთი რამ. ასეთი პასუხი საჭირო იყო იმისათვის, რომ არც თანხმობა მიმეცა და არც უარი მეთქვა. რა თქმა უნდა, მე დაუყოვნებლივ ვაცნობე ამის შესახებ სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელ პირებს ამხ. ქავთარაძეს, შადურს, სანადირაძეს.

ჩემი აზრით, ზედმეტია მსჯელობა იმ მიზეზების შესახებ, რომელთა გამოც გადავდგი ეს ნაბიჯი — ეს მიმიყვანდა პათეტიკურ ფრაზებამდე. ვიტყვი მოკლედ, მე მოვიხადე ვალი, როგორც მოქალაქემ.

გვერდს ვუქცევ ამ ამბავის დაწვრილებით აღწერას. მგონია, რომ ზემოხსენებული მუშაკები მოგახსენებენ გაცილებით სრულად და ამომწურავად, ვიდრე მე შემიძლია ეს.

უმორჩილესად გთხოვთ და დაჟინებით მოვითხოვ, რომ საქმის მსვლელობაში არსად არ იყვეს ნახსენები ჩემი გვარი ან ვინაობა. ჩემის აზრით, ჩემი ასეთი სურვილი იმდენად ჩემი პიროვნების უშიშროებას არ ემსახურება, რამდენადაც ელემენტარული კეთილგონიერებითაა განპირობებული“.

აი, ასე და ამრიგად, ამ განცხადებამ, თითქოსდა ალკვეთა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვზე მომზადებული ტერორისტული აქტი. როგორც ვიცით, ალიკო მელაძე დააპატიმრეს. არ ვიცი, სხვა თანამზრახველებს რა სასჯელი მიუყენეს. და საერთოდ, რა იყო ყოველივე ეს. ვისი მომზადებული გახლდათ. — იქნებ სულაც კარგად მოფიქრებული და დაგეგმილი პროვოკაცია იყო? ასეა თუ ისე, ეს ამბავი საქართველოსთვის კარგს არაფერს მოიტანდა...

და, არც მოუტანია, რადგან ვასილ მჟავანაძის შემდგომ ხელისუფლებაში მოჰყავთ ედუარდ შევარდნაძე, რომლის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ, რომლის საქმიანობამ დღევანდელ დღემდე მიიყვანა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყანა, არამედ ბევრი რამ შეცვალა ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში.

## შევარდნაძე... მოგზავნილი ურჩხული

როგორც ვიცით, მჟავანაძეს და ნიკიტა ხრუშჩოვის მეუღლეები ახლობლები იყვნენ. მჟავანაძე გენერალი ბრძანდებოდა და მყარად იჯდა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სავარძელში. პირველი რყევა მისმა სკამმა განიცადა 1956 წლის 9 მარტს, როცა საბჭოურმა ჯარმა თბილისში სტალინის ძეგლთან ხალხს ტყვია დაუშინა. ისიც ცნობილია, რომ ვასილ მჟავანაძეს ხალხის დარბევის ბრძანების გაცემა არ შეეძლო, თუმც მისი რეიტინგი ძლიერად შეილახა. ამ დროს ნელ-ნელა, კომკავშირიდან, ზემო ეშელონებისკენ ჯიქურად მოიწევს ედუარდ შევარდნაძე, გურიაში, სოფელ მამათში დაბადებული და აღზრდილი ახალგაზრდა. მჟავანაძე მას ეხმარება, ოღონდ უცნობია, ვინ ჰკარნახობს შევარდნაძე დააწინაურეო. უფრო მოსკოვიდან კარნახობდნენ, რადგან იქ ყველაზე კარგად იცოდნენ მისი წარმოშობა, ეროვნულობა და პერსპექტივაც... კოჭებში ეტყობოდა, ჯერ კიდევ ბავშვობაში!

აუცილებლად შევჩერდები ედუარდ შევარდნაძის საქმიანობაზე, რადგან საქართველოს დღევანდელ დღემდე მიყვანაში მას მიუძღვის მთავარი ბრალი. უფრო მეტიც — საქართველო მისი დაღუპულია და ქართველი ხალხი მან მიიყვანა ამჟამინდელ უბედურებამდე. იგი არასოდეს არ აკეთებდა ქართულ საქმეს, მუდამ სხვათა შეკვეთებს ასრულებდა. მისი დღევანდელი მდგომარეობა, მისი მფარველების გულუხვობა აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ იგი მრავალმხრივ გამყიდველურ საქმიანობას ეწეოდა და ახლაც, დღესაც ეწევა. ეს გახლავთ მონსტრი, უდიდესი ფესვების მქონე, შხამიანი ურჩხული, რომლის გონება ჯოჯოხეთისკენაა მიმართული. თუმც, შევარდნაძის სარკეში ჩავიხედოთ, საიდანაც იმდენი უბედურება გვიცქერს, სულიც კი შეგეხუთება!

უმოკლესად რომ ვთქვათ — შევარდნაძე მოგზავნილი კაცია იმათ მიერ, ვინც მას დღევანდელი გარანტიები მისცა. მას იცავენ, როგორც მუზეუმებში შენახულ არქივებს. მან იმდენი უკეთურობა ჩაიდინა საქართველოს მიმართ, იმგვარი ზრახვანი განახორციელა ევროპა-ამერიკული დამკვეთთათვის, რომ სააკაშვილსაც კი არ ძალუძს რაიმე მოუწყოს. მაინც რა? რა და, სააკაშვილი სიამოვნებით დააპატიმრებდა და გაასამართლებდა ეძიკა შევარდნაძეს თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი თავისთვის პიარი გაეკეთებინა. არადა, შევარდნაძის გამსამართლებელი ნამდვილად ეროვნული კაცი იქნებოდა, თუმც... ეს სიბოროტე — შევარდნაძე რომ ეწოდება, სადღეისოდ კრწანისშია მახრჩობელად მოკეცილა და მოგონებებით ტკბება...

ნელ-ნელა მიიწევს წინ ედუარდ შევარდნაძე. მას ხელს უწყობს თავისი წარმოშობა, ოჯახი, წინაპრები, სკოლა, სოფელი... თვითონაც ფუსფუსებს, საქმიანობს ლენინურ კომკავშირში, მონაწილეობს ღონისძიებებში, რომელთა მეოხებითაც მასების მიზანსწრაფული, ქმედითი, საენთუზიაზმო აღზრდა მიმდინარეობს. უმღერიან ბელადებს, ქვის, თუჯის, რკინის ფოლადის ძეგლებს, თეთრზე შავს გაჰყვირიან, უკან მიდიან და წინ მივდივართო, - გაიძახიან. ტვინებს უყინავენ მოქალაქეებს, აგინებენ ღმერთს, მზად არიან მაცხოვრის ხელმეორედ წამებისათვის, საალდგომოდ ეკლესიებთან სცემენ ახალგაზრდებს, მეგრად ებრძვიან ყოველგვარ ეროვნულს...მახსენდება 1980 წლის სექტემბერი, გურიის მშვენიერი სოფელი ბუკისციხე. ჩვენი მეგობარი ვოვა სიხარულიძის სოფელი. მე, ჩემი მეუღლე ნანო და აწ გარდაცვლილი ჩემი მეგობარი, ცნობილი პოეტი ბაადურ ბალარჯიშვილი ვზივართ სუფრასთან. მასპინძლობს გურული ბერიკაცი. თაფლის არაყი მოგვართვა. შევარდნაძის ხსენებაზე თავი გვერდზე გასწია, გადააფურთხა და გვითხრა: კიდევ თუ ახსენებთ მაგის სახელსა და გვარს, სუფრას მივატოვებო... დავთანხმდით და ერთი მეტად საგულისხმო, თუმც ამაზრზენი ამბავი მოგვიყვა: იმ სოფელში, სადაც წარმოშობით ებრაელი სოკოლოვსკები ცხოვრობდნენ, ერთი ბალღი ყოფილა, რომელიც ჩაის საკრეფად დაჰყავდათ სხვა მოსწავლეებთან ერთად... ეს ეშმაკის ფეხის მკვნეტელი თურმე ჩაის ფოთლის მაგიერ ბალახს ჰგლეჯდა, კალათაში ჰყრიდა, ზემოდან კი ჩაის ფოთლის თხელ ფენას აყრიდა და ისე აბარებდა საკუთარ ნაშრომს საწყობში. შეამჩნიეს, რომ ვიღაც თაღლითობდა, ამის გამო ყველა ბავშვის კალათის შემოწმება დაიწყეს. მასწავლებელი ხელს ღრმად ჰყოფდა შიგნით და ამოურევდა, ბალახი ხომ არ არის ჩაყრილიო და ერთხელაც, ერთ პატარა გოგონას პედაგოგი გაუფრთხილებია — ამა და ამ მოსწავლის კალათაში ხელი არ ჩაჰყოთ, შიგნით გველი ზისო. ვინ ჩასვამდა გველს კალათაში საიმისოდ, რომ მასწავლებელი დაეგესლა?...

ეს კითხვა მოხუცმა მასპინძელმა დაგვისვა.

ბაადურმა შეჰყვირა:

— ასეთი ადამიანი საქართველოში გახლავთ ერთადერთი. ეს არის ის კაცი, ვინც შავ დღეში ჩააგდო საქართველო! ვინც გაჰყიდა! ვინც ჰხოცა! ვინც გააპარტახა!



საქართველოში ედუარდ შევარდნაძეს, უმრავლესობა ქართველად არ თვლის. არ მსურს დაწვრილებით გავარჩიო მისი გვარის წარმოშობა და მისი ეროვნულობა! ამაზე მრავალი რამაა დაწერილი, მაგრამ ერთი კი არის: ხე ხომ იცნობა ნაყოფით? ასევე: კაცი იცნობა საქმიანობით! შევარდნაძეს არასოდეს ქართული საქმე არ უკეთებია და იგი იმსახურებს მოვიხსენიო დემონური წარმოშობის უეროვნო ადამიანად. მისი მსგავსი ადამიანები მრავლადაა ამ ქვეყანაზე. ისინი ქამელეონებივით იცვლიან ფერსა და ზნეს. ცხოვრობენ სხვათა მამულში, დაატარებენ ადგილობრივი მაცხოვრებლების გვარებს და სინამდვილეში ბნელეთს ემსახურებიან! პირობითად, ამგვარ ადამიანებს გვარგადაკეთებული ლეგიონი შეიძლება ვუწოდოთ! რადგან დემონებზეა საუბარი, მცირეოდენი განმარტებაცაა საჭირო, - რას წარმოადგენენ დემონები:

„სიამაყე, მედიდურობა, პატივმოყვარეობა, ბრაზი, უხეშობა და უმეცრება დემონური ბუნების მატარებელთა თვისებებია, რომლებიც სხეულის ჩამოყალიბებისთანავე დედის მუცელში იძენენ და ზრდასთან ერთად ავლენენ... დემონებისაგან შორსაა სიწმინდე, ღირსეული ქცევა და სიმართლე. ისინი წმინდა წერილთა მითითებას არ მიჰყვებიან... დემონები ფიქრობენ, რომ ეს სამყარო არარეალურია, უსაფუძვლოა და ღმერთი არ განაგებს მას. ისინი ამბობენ, რომ თითქოსდა მხოლოდ სქესობრივი სურვილებისგან წარმოიშობიან და ვნებაა მათი წარმოშობის მიზეზი... დემონთა მოქმედებებს სამყარო დაღუპვისკენ მიჰყავს. დემონები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად დატკბნენ მატერიალური სამყაროთი და გრძნობათა დასაკმაყოფილებლად გამუდმებით რაღაცას იგონებენ. ამგვარი მატერიალური გამონაგონები ადამიანთა ცივილიზაციის წინსვლად ითვლება. სინამდვილეში კი ამის შედეგად უფრო და უფრო მეტად მოძალადენი და დაუნდობელი ხდებიან, როგორც ცხოველების, ასევე ადამიანთა მიმართ. მათ წარმოდგენა არა აქვთ, როგორ მოეპყრონ ერთმანეთს. ასეთი ხალხი სამყაროს მტრებად უნდა ჩაითვალონ, რადგან ისეთ რაიმეს გამოიგონებენ ან შექმნიან, რაც ყველაფერს გაანადგურებს. უკვე გამოგონებულია ატომური იარაღი, რითაც შეიძლება ყველაფერი განადგურდეს. ასეთი იარაღის შექმნის ერთადერთი მიზანი სამყაროს ამოწყვეტაა... მიუხედავად იმისა, რომ დემონები შემზარავნი არიან, ხელოვნური გზებით საზოგადოება მათ მოჩვენებითი დიდებით მოსავს. დემონები აღიარებენ, რომ გრძნობათა განცხრომა ცხოვრების უმაღლესი მიზანია. იგი მოხიბლულია იმით, რაც უკვე გააჩნია: მიწა, ოჯახი, სახლი, საბანკო ანგარიში და განუწყვეტლივ მათი გაუმჯობესების გეგმებს სახავს. ვინც დემონს გზაზე გადაეღობება, მისი მტერია. არსებობს უამრავი დემონი, რომელ-თა შორის თითოეული სხვისი მტერია. ეს მტრობა სულ უფრო და უფრო ღრმავდება ადამიანებს, შემდგომ — ოჯახებს, საზოგადოებებს და ბოლოს ეროვნებებს შორის. ამიტომ არის მთელ სამყაროში გაუთავებელი ბრძოლა, ომი და შუღლი. ყოველი დემონი თვლის, რომ სხვების ხარჯზე ცხოვრების უფლება აქვს. როგორც წესი, დემონი საკუთარ თავს უზენაეს ღმერთად მიიჩნევს და სხვებს უქადაგებს: ღმერთს სხვაგან რაღ ეძებთ, თქვენ თვითონ ხართ ღმერთები. რაც გსურთ, ის აკეთეთ! ღმერთის ნუ გჯერათ! განაგდეთ ღმერთი! ღმერთი მკვდარია! დემონები ზოგჯერ ასრულებენ რელიგიურ რიტუალებს, შეცდომაში შეჰყავთ ხალხი და რელიგიურ რეფორმატორებადაც ხდებიან...“ (ბჰაგავად-გიტა, გვ. 565-584).

ედუარდ შევარდნაძე მოგზავნილი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რუსეთშიც. მას, როგორც ბეჭედდასმულს, ეხმარებოდნენ მისი თანამოსისხლე დემონები. ეს უკანასკნელნი კი მრავლად არიან გაბნეული მთელს მსოფლიოში. მათ გააჩნიათ საკუთარი, საიდუმლო კართოტეკა, სადაც დემონური სისხლის თითოეული პერსონაა აღრიცხული.

შევარდნაძე რომ რუსეთში შეგზავნილი სპეცმუშაკი გახლდათ, ამის შესახებ ახლავე უნდა ვთქვა... აბა, ვნახოთ, რას იგონებს, როგორ და რისთვის იგონებს ნუგზარ ფოფხაძე (საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი) გაზეთ „საქართველოში“ (№10, 1997 წ.) შევარდნაძის ეროვნულობას და, რაც უფრო მეტად საოცარია — დისიდენტობას. თურმე, თვით ზვიად გამსახურდია, საქართველოსთან ახლოს მდებარე ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე ედუარდ შევარდნაძეს, მოსკოვის თვალის ახვევით გადაუსახლებია. ასევე, მოსკოვში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობისას, ედუარდ შევარდნაძის ფარული ინიციატივით ერთად უნდა დამდგარიყვნენ საქართველოს კომპარტია და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. თურმე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ჩაიფიქრეს „რუსთაველის საზოგადოების“ ჩამოყალიბება და მას კომპარტია უნდა ჩასდგომოდა სათავეში, რათა ცენტრი, ანუ მოსკოვი არ დაეჭვებულიყო რაღაც ნაციონალისტურ (ანუ ეროვნულ) გადახრაში.

ხომ საინტერესოა ჩემო მკითხველო, ისტორია „რუსთაველის საზოგადოების“ შექმნისა? ხომ საინტერესოა მისი შემქმნელი კომპარტიის და შევარდნაძის დიდი ეროვნულობა?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# როგორ მოქმედებს თვალების ფერი ადამიანის ხასიათზე

ადამიანის ხასიათი ხშირად მისი თვალების ფერში იხატება.

უძველესი ბერძნების ლეგენდები იტყობინებიან ცისკრის ქალღმერთი ირისის შესახებ, რომელიც გამოფენდა ხოლმე თავის ფერად მოსასხამს, და ეს მოსასხამი დილის ულამაზეს ფერებს ხატავდა. აქედან მომდინარეობს თვალის ფერის სხვადასხვა შეფერილობა შავიდან დაწყებული სრულიად ღია და მბრწყინავი ირისისფერი.

დააკვირდით თქვენს ირგვლივ ადამიანებს და ჩახედეთ მათ თვალებში. ირგვლივ ბევრი ადამიანია ცისფერი, ნაცრისფერი, თაფლისფერი, შავი, მომწვანო, მოყვითალო ფერის თვალებით. იშვიათად შეგვხვედრია ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ორივე თვალი სხვადასხვა ფერის აქვთ. ასეთ ადამიანზე ამბობენ, მას უდიდესი შინაგანი ძალა აქვსო. ხშირად ხდება, როცა თვალების ფერი იცვლება, როგორც წესი, მუქდება, განსაკუთრებით ახალშობილებში.

როგორც ცნობილია, თვალების ფერს პიგმენტი მელანინი განსაზღვრავს. ცისფერი თვალების ფერს პიგმენტების ნაკლებობა იწვევს. ალბინოსების თვალების მოწითალო შეფერილობა კი მელანინის საერთო დეფიციტს გულისხმობს.



მეცნიერები და ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ თვალების ფერს შეუძლია განსაზღვროს ადამიანის ხასიათი.

ევროპელები მაინც და მაინც არ ენდობიან შავთვალებიან ადამიანებს, მაგრამ აღმოსავლეთში „ავ თვალად“ ცისფერი თვალები ითვლება.

ერთი კი ცხადია, თვალების ფერი არ განსაზღვრავს ადამიანის არც ინტელექტუალურ და არც ფიზიკურ შესაძლებლობებს.

არსებობს თეორია, რომ თვალის ნორმალურ შეფერილობად ითვლება თაფლისფერი და ცისფერი ტონები, დანარჩენი ფერი პათოლოგიად მიიჩნევა.

რაც შეეხება ხასიათს, ეს არ ითვლება მეცნიერულ მტკიცებულებად, მაგრამ ფსიქოტიპების დაყოფა მაინც შესაძლებელია.

მე-19 ს-ში ფიზიოგნომისტები თვალების ფერს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათი შეხედულებით, შავთვალებიანი ადამიანი უფრო ჭკვიანი და მცოდნე იყო, თუმცა ისინი ნაკლებად ერთგული იყვნენ სიყვარულში.

თაფლისფერთვალებიანი ადამიანები ხალისიანი, გონებამახვილი, ნიჭიერები არიან, ოღონდ არამყარი ხასიათი აქვთ. მათ ყველა პატივს სცემს და გარშემომყოფები გრძნობენ — ის მათ სჭირდებათ.

შრომისმოყვარე, გულმოდგინე, მეოცნებე ღია თაფლისფერთვალებიანი ადამიანები არიან.

მწვანეთვალებიანი მართალი, პირდაპირი, პრინციპული, კატეგორიული და მკაცრი ადამიანია, ის არ გპატიობს და არასდროს შეურიგდება თვით ყველაზე ახლობლებსაც კი, თუ მათ აწყენინებს. მწვანეთვალებიანი ადამიანები იშვიათად არიან ბედნიერები. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მწვანე თვალები ძალიან იშვიათად გვხვდება და ეს მისი მფლობელის ჯანმრთელობაზე სულაც არ მიუთითებს.

ლეგენდები დადის კლეოპატრას არაჩვეულებრივი მბრწყინავი მწვანე თვალების შეფერილობის შესახებ. არსებობს მოსაზრებაც, რომ ვენერიული დაავადებები „აბრწყინებს“ თვალებს არაჩვეულებრივად და ეს ხომ არ იყო კლეოპატრას თვალების ბრწყინვალების შედეგი? ეს ვერსია ჯერ დამტკიცებული არ არის, მაგრამ ნაცრისფერ-მომწვანო თვალების მქონე ადამიანების ხასიათი მაინც განსხვავებულია. ისინი ძლიერი შინაგანი ენერგიით გამოირჩევიან, მკაცრები და უტყვები არიან.

ადამიანები, რომლებსაც ნათელი, თითქმის თეთრი თვალები აქვთ, მშვიდი, ფლეგმატური, წყნარი ადამიანები ბრძანდებიან და როგორც წესი, ჯანმრთელები არიან. თუმცა მათ ხშირად ეუფლებათ დეპრესია.

ბნელი, შავი თვალები სიმამაცეზე, მიზნმიმართულებაზე, პირდაპირობაზე, გულღრძოობაზე, მტაცებლურ ბუნებაზე მიუთითებს, ცისფერთვალა ადამიანები ეგოისტები და გამოუსწორებელი რომანტიკოსები არიან. მათი ძირითადი თვისება მაინც ჭირვეულობაა.

დაკვირვების შედეგად ცნობილი გახდა, რომ თვალების ფერი და ადამიანის შინაგანი ენერგია ემთხვევა ერთმანეთს, რომელიც მას დაბადებიდან მიეცა. მთავარი კი მაინც ერთია — დარწმუნებული იყავით საკუთარ თავში, თქვენს შესაძლებლობებში, კარგად დაფიქრდით და მიიღეთ სწორი გადაწყვეტილება.

მონიკა ბელუჩი, რომელიც იტალიური კინოს ბრწყინვალებად ითვლება მშვენივრად უთავსებს ერთმანეთს იყოს სუპერპოპულარული კინოვარსკვლავი, პროფესიონალი მოდელი, ერთგული ცოლი და ყურადღებიანი დედა. „მეორე სოფი ლორენი“ — ასე უწოდებენ დღეს მას. მონიკა 1964 წლის 30 სექტემბერს დაიბადა ქალაქ ჩიტადი კასტელოში, რომელიც პროვინცია უმბრიას ეკუთვნის. მშობლებს, როგორც წესი, არ ირჩევენ, მაგრამ მონიკას ამ მხრივ გაუმართლა, მომავალი ვარსკვლავის მამა — რომანო ბელუჩი მსხვილი ტვირთგადამზიდი კომპანიის უფროსი იყო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი პერუჯის პრესტიჟულ უნივერსიტეტში ჩაირიცხა იურიდიულ ფაკულტეტზე, ამ მომენტიდან გოგონას ცხოვრებაში ახალი ფურცელი იშლება, რომელზეც ეწერა ერთადერთი სიტყვა „წარმატება“.



# „მეორე სოფი ლორენი“

მონიკა ბელუჩის სამოდელო საქმიანობა სტუდენტობის წლებიდან დაიწყო, თუმცა ასეთი ტიპის კარიერას იტალიური კანონმდებლობა ეწინააღმდეგება, მაგრამ მან გატეხა ნავსი. შედეგი გამაოგნებელი იყო. მონიკამ მიატოვა სასწავლებელი და მილანში გაემგზავრა. მიზეზი იყო სამოდელო სააგენტოში გაგზავნილი ფოტოები, რომლის შედეგადაც 1988 წელს მას ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. მაგრამ მონიკას არ ასვენებდა ოცნება შეექმნა საკუთარი კინოკარიერა. პირველად იგი გადაიღეს ფილმში „ცხოვრება ვაჟიშვილებთან“, 1990 წელს. კოპოლამ ახალგაზრდა მსახიობი მალე მიიწვია ფილმში „დრაკულა“. მონიკამ ჰოლივუდში გაიცნო ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან: უინონა რაიდერი, გარი ოლდმანი, კიანუ რივზი, ენტონი ჰოპკინსი.

2004 წელს ბელუჩი დედა გახდა. საკეისრო კვეთით მან გოგონა გააჩინა და დევა დაარქვა.

ახლახან მონიკა ბელუჩიმ ფოტოსესია გამართა ცნობილ ჟურნალში „პირელი“, სადაც თითქმის შიშველი მონიკას ფოტოებია წარმოდგენილი. მაგრამ მისი მთავარი ოცნება კვლავ აუხდენელი რჩება — სურს ითამაშოს რობერტ დე ნიროსთან.

# ჰეიზელ ჯონსს ორი საშვილოსნო აქვს



ჰეიზელ ჯონსს მოუწევს ორჯერ დაკარგოს ქალწულობა, იმიტომ, რომ მას ორი სასქესო ორგანო აქვს ერთდროულად.

27 წლის ქალიშვილის თქმით, 18 წლამდე ის ვერც კი გრძნობდა, რომ განსხვავებული ადამიანი იყო.

„თავს მშვენივრად ვგრძნობ, ამაში განსაკუთრებული არაფერია“, — უცხადებს ჰეიზელ ჯონსი გაოგნებულ მედიკოსებს.

# მიაკვლიეს ჩვენი პლანეტის ყველაზე საშიშ ცხოველს

პალეონტოლოგებმა დაუჯერებელი ინფორმაცია გაავრცელეს, რომ აღმოაჩინეს ყველაზე საშინელი მტაცებელი მთელ პლანეტაზე. ეს არის პლიოზავრი, რომელიც 150 მილიონი წლის წინათ ბინადრობდა. ის ტირანოზავრზე ბევრად დიდია და ყველაფერს ჭამს - მცენარეებსაც და ძუძუმწოვრებსაც. იგი იმ ტიპის მტაცებელია, როგორიც თეთრი ზვიგენი.



ცხოველი ავტობუსზე დიდია, მისი სიგრძე 15 მეტრია. იწონის 40 ტონაზე მეტს. მეცნიერება მონსტრს „პრედატორ-X“ შეარქვეს.

# ადამიანს ზუსტად ისეთი ტვინი აქვს, როგორიც ... ქათამს



მეცნიერებმა დაამსხვრიეს მითი იმის შესახებ, თითქოს ძუძუმწოვრებს განსაკუთრებულად განვითარებული ტვინი ჰქონდეთ. ამერიკელი მკვლევარები დიდ ხანს აკვირდებოდნენ ქათმის ტვინის იმ ნაწილს, რომელიც სმენით ინფორმაციაზე არის პასუხისმგებელი. ტვინის ამ ნაწილს ძუძუმწოვრების ნეოკორტექსთან აქვს პირდაპირი თანხვედრა. ნეოკორტექსი, როგორც მეცნიერებაში ცნობილია, გრძნობიერ და ინტელექტუალურ განვითარებაზე მეტყველებს ადამიანებში. იგი კი 300 მლნ წლის წინათ პირველად ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში ჩამოყალიბდა.

# სექსი ზოდიაქოს მიხედვით — ეროგენული ზონები



*თქვენ ქალბატონი ხართ, გამოიჩინეთ გამბედაობა და მიდიხართ პაემანზე სიმპათიურ მამაკაცთან, ან მამაკაცი ბრძანდებით და გსურთ მოინადიროთ მშვენიერი ქალბატონის გული. ამისათვის არ არის საკმარისი შამპანური და ფერადი სანთლები დაახვედროთ. კიდევ არის საჭირო რაღაც.*

*ახალ პარტნიორთან სიახლოვე პროცესია, რომელიც არ გამორიცხავს მოულოდნელობებს. მოეწონება თქვენი ალერსი? მოიპოვებთ მისი გულის გასაღებს? რა თქმა უნდა, ინტუიციას უნდა დაეყრდნოთ, მაგრამ საჭიროა ასტროლოგებსაც დაუჯეროთ. ისინი ხომ საუკუნეების განმავლობაში ტყუილად არ კარგავდნენ დროს დაკვირვებოდნენ, ვის რა მოსწონს.*

მაგალითად, **ვერძებისთვის** სექსი თავში იწყება. არა, ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ მას რაღაც განსაკუთრებული უნდა უთხრათ, ლექცია ჩაუტაროთ ას-



ტროფიზიკაში, ან რაღაც მსგავსი. უბრალოდ, შეხედეთ ვერძს ალერსიანად, მოეფერეთ თავზე. აკოცეთ ყურებზე, მოუალერსეთ თმებზე, შეგიძლიათ ყელისკენაც მიმართოთ თქვენი ყურადღება.

**კუროს** აკოცეთ ყელზე და გააკეთეთ ეს რაც შეიძლება ხშირად. ოდნავ ალერსიანი შეხებაც კი სხეულზე აღაგზნებს კუროს (შეიძლება ამიტომაც უყვართ პატარა ყელსახვევები და საყელო-



ები). გაუკეთეთ დამამშვიდებელი მასაჟი ზურგის ზედა მხარეს.

**ტყუპებისთვის** ყველაზე მგრძნობიარე ხელებია. თუკი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევთ მის თითებს,



ის სერიოზულად შეგიყვარებთ და თქვენი იქნება კარგა ხანი. ქალბატონი-ტყუპები დნებიან, როცა მათ თითებზე კოცნიან.

**კიბოებისთვის** ყველაზე მგრძნობიარე ადგილი მკერდია. მამაკაცები,



რომლებიც ამ ნიშნის ქვეშ დაიბადნენ, გრძნობენ უდიდეს სიამოვნებას, როცა მათ მკერდზე ეფერებიან.

**ლომებს** მოეფერეთ ზურგზე, ეს მათ მალე მიიყვანს სექსუალურ აღგზნე-



ბამდე. ლომის ზურგი მსუბუქად ფხაჭნეთ და თუ სწრაფად არ შეეცდებით იგი ბეჭებზე დასცეთ, იცოდეთ, გაგიჭირდებათ მასთან სიამოვნების გაზიარება.

ყველაზე ეროგენული ადგილი **ქალწულებისთვის** მუცელია. ამიტომ ნუ შეეცდებით სექსუალურ თამაშებს ქალ-



წულებთან, თუკი მისი მუცელი ცარიელია. ყველა საინტერესო საქმე ბოლოს სამზარეულოში მთავრდება. მაგრამ ქალწულის გამოკვებასაც არ გირჩევთ: „სექსში მაძღარი არ უნდა იყო“.



თავიდან ითვლებოდა, რომ **სასწორების** ეროგენული ზონები ზურგზე იყო, როგორც ლომებისა, მაგრამ შემდეგ სიამოვნებამ ქვევით ჩამოინაცვლა. დღეს მიიჩნევა, რომ სასწორების მთავარი ეროგენული ზონა საკვერცხეებია, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი და უკანასკნელი წერტილი სასწორებისთვის. აკოცეთ მას იქ, სადაც თქვენ მოგეხერხებათ და სადაც მას სიამოვნებს.

**მორიელებს** ეროგენული ზონები ყველგან აქვთ. ამიტომ, როცა მორიელს



შემთხვევით შეეხეთ ფეხზე და მან სიამოვნება განიცადა, ნუ შეშფოთდებით, ასეთი რამ ხშირად ხდება, მაგრამ თუ თქვენ ზუსტად გსურთ თქვენი ალერსი მიზნისკენ მიმართოთ, მიუალერსეთ მას პიკანტურ ადგილებზე.

**მშვილდოსანს** მიეფერეთ თეძოებზე, მსუბუქი მასაჟი გაუკეთეთ და ცოტათი ატკინეთ, ეს არა მხოლოდ კარგი



უვერტიურაა, არამედ ანტრაქტიც კი არ იქნება პირველ და მეორე მოქმედებას შორის.

**თხის რქებს** მგრძნობიარე მუხლები აქვთ. თუკი თქვენ დიდხანს იხეტიალეთ ქუჩაში, დასვენებისას აუცი-



ლებლად მიუალერსეთ თხის რქებს მუხლებზე, ფეხის თითებზე, ფრჩხილებზე, მერე ისევ ზევით, ამ დროს თქვენი თითები ჯადოქრობებს მოახდენს.

წვივები **მერწყულის** სუსტი წერტილებია. თუკი ისინი ნებას დაგრთავენ და ნაზად მოეფერებით, შეეხებით მას



წვივებზე, კმაყოფილი მერწყული სწრაფად გამოიჩენს ინიციატივას.

თუ თქვენ გსურთ ასიამოვნოთ **თევზებს** ნაზად მოეპყარით მათ. თევზების მთავარი ეროგენული ზონა ტერფებია.



მიუალერსეთ ფეხის თითებზე და შედეგიც არ დააყოვნებს — მათ ფეხქვეშ მიწა გამოეცლებათ სიამოვნებისგან.

## ყველაზე ლამაზი ფიგურა 66 წლის ქალს აქვს

ჰელენ მირენი იმ ჩამონათვალის სიაში მოექცა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ფიგურის მოსაპოვებელი ტიტულისთვის შეადგინეს. ორი ათასი ლამაზმანიდან მსახიობი ჰელენ მირენი პირველია.

მაგრამ საოცრება ის არის, რომ ჰელენი 66 წლისაა. მას გამოკითხულთა 17 პროცენტმა დაუჭირა მხარი. პრინციპში ჰელენ მირენი კონკურსის ყველაზე ხანდაზმული მონაწილე იყო. მეორე ადგილი 48 წლის მოდელ ელ მაკფერსონს ერგო. მან ხმების 10 პროცენტი მოაგროვა. მესამე პოზიციაზე ბრიტანელი მოდელი და მსახიობი კელი ბრუკი გავიდა.



მოამზადა ანა ვადაჭკორიამ

## მოგზაურობა სამშობლოში

**ჩვენს ერთგულ მკითხველს უთუოდ ემახსოვრება, რომ წინა მოგზაურობისას სკრის ხეობა მოვიარეთ. ხეობის ცენტრში მდგარი კოშკების ღვთისმშობლიდან ჩრდილო-დასავლეთით კარგ ამინდში საკმაოდ მკაფიოდ ჩანს ურბნისის დიდებული საყდარი და ამდენად ბუნებრივიც კი იყო, რომ მეზობელი ეპარქიის ეკლესიების შემოვლა აქედან დავიწყეთ.**

ჩვენი ჯგუფის ურბნისში მაშინდელი ჩასვლისას იქ დედათა მონასტერი იყო, რომელსაც წმინდა სტეფანეს (ყოფილი სიონი) ტაძრის სამხრეთ ნავში, სადიაკვნე ოთახში წმ. ნინოს სახელობის სამლოცველო ჰქონდა მოწყობილი. მონასტრის დიდი დედა, **სქიმონაზონი ნინო** გახლდათ. ჩვენი მოსალოდნელი


ურბნისის კომპლექსის საერთო ხედი, V-VI და X საუკუნის წარწერები







# did wyaroTa mcvelebi

## რუის-ურბნისი

სტუმრობის შესახებ სამი დღით ადრე ეცნობებინა მიტროპოლიტ იობს და დედა ნინომ გასაოცარი სითბოთი მიგვიღო, საკუთარ სენაკშიც კი შეგვიყვანა, ჯერ ქვეყანა დალოცა და მერე ჩვენ. არასდროს დამავიწყდება მისი ტკბილი ხმა, ხელის ღვთაებრივი სითბო და დედობრივი გამოხედვა. დღეს დედა ნინო ფიზიკურად ჩვენ შორის აღარ არის, იგი მონასტრის ეზოში განისვენებს და როცა მივდივარ, თითქოს, მისი სული მელაპარაკება – დარდსა და ტკივილს მიმსუბუქებს ძველებურად. ნამდვილად დიდი დედა იყო...

... ეთნარქმა უფლოსმა, ლეონტი მროველის თხზულების თანახმად, უფლისციხესთან ერთად, სწორედ ურბნისში დააარსა მეორე უძველესი ქალაქი, რომელიც ახლა ფერფლად და ნანგრევებად თვლემს მიწის ქვეშ. ჯერ კიდევ 30 წლის წინათ არქეოლოგთა მიერ მიკვლეული ქვაცხელების უძველესი, 50 საუკუნის წინანდელი სამოსახლოც თვალსაჩინოდ იყო მოქცეული ჩარდახქვეშ, მაგრამ დროთა განმავლობაში ისევ მიწის ქვეშ დაიმალა. მიწის ზევით მცირე ფრაგმენტად მხოლოდ გალავნისა და III საუკუნის აბანოების ნაშთები დარჩა.

ამ ადგილებში ერთი თვე დაჰყო წმინდა ნინომ და მერე, აკი, ურბნელ ვაჭრებს გაჰყვა მცხეთაში. სულ მალე ქართლმა დაივიწყა და დაანგრია წარმართული ხატ.კერპები და ქრისტეს სჯულზე მოექცა. ურბნისში V საუკუნის ბოლოს აიგო სამნავიანი დიდი ბაზილიკა. ამას ადასტურებს ჩრდილოეთ ფასადის რელიეფური 3-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი. ქტიტორულ წარწერაში ნათქვამია: **„უფალო იესუ ქრისტე კონსტანტი, მამაი მიქაელ შეიწყალენ ამის სიონისა მაშენებელნი“.** ვინ არის კონკრეტულად ეს კონსტატი დაუდგენელია, მაგრამ დიდი საერთო პირი და მოღვაწე რომაა, უეჭველია. ქტიტორი უბრალო, რიგით ფეოდალი ვერ იქნებოდა.

ისტორიული თვალსაზრისით საინტერესოა X საუკუნის ის 4 ასომთავრული წარწერაც, რომელიც ტაძრის განახლებას შეეხება:

1) სამხრეთ ფასადის კარის თავზე, ორ ფილაზე განაწილებული 6-სტრიქონიანი რელიეფური წარწერა გვამცნობს: **„უფალო ღმერთო, შეიწყალე თევდორე ებისკოპოსი, ძეი ლუკაისი, მაშენებელი ამის სიონისაი. ოდეს ღმერთმან ღირსმყო ამის სიონისა ებისკოპოსად, იყო ესე სიონი დაძუელებულ უფროის ზომასა. ოთხნი კუთხენი და კონქი განპებულ იყუნეს, სუეტნი ქარტოცისანი დამპალ იყუნეს, და მომადლა ღმერთმან ამის ყოვლისაი აღშენებაი, ყოველთა გაკეთებაი. ძალითა სიონისა, მეოხებისათვის ღმრთისა ყოველი გათავებითა მიქმნია“;**

2) აღმოსავლეთ ფასადის 4-სტრიქონიანი რელიეფური წარწერა გვატყობინებს: **„სამებაო წმინდაო, შეიწყალე მონაი შენი ქავთარ, შუშან და ნაშობნი მათნი, შემწენი ამის სიონისანი. ქრისტემან შეიწყალენ. ამენ“;**

3) აღმოსავლეთ ფასადის ორ ფილაზე ამოკვეთილი 4-სტრიქონიანი წარწერა ამბობს: **„დიდებაი შენდა ქრისტე რამეთუ მომმადლე თევდორე ებისკოპოსსა და ამის სიონისა აღშენებაი თანაშეწევნითა მიქაელ ძისა კონსტანტისითა. ქრისტემან შეიწყალენ ესე მე აბაიათარ დავწერე“;**

4) აღმოსავლეთ ფასადის ამოკვეთილი ასომთავრულ-მხედრული 3-სტრიქონიანი მოკლე წარწერა: **„აბაიათარ დეკანოზი უფალი შეიწყალე“.**

კიდევ ერთ ქტიტორ-აღმდგენლის მხედრულ წარწერას, ოღონდ XVII საუკუნისას. ვნახავთ ტაძრის კარის ტიმპანზე, რომელშიც შაჰნავაზის მეუღლე **მარიამ დედოფალი ამბობს, რომ 1668 წელს, „აღვაშენეთ ძირითურთ აღმოფხვრილი ტაძარი“**-ო. ამ პერიოდში ტაძარი შიგნიდანაც და გერადანაც აგურითაა აღდგენილი და კონტრფორსებით გამაგრებული.

**ურბნისის ტაძარი, საქართველოში არსებული კლასიკური ხანის სამნავიან ბაზილიკათა შორის ყველაზე დიდია** (სიგრძე-32,1 მ, სიგანე-22,4 მ. სიმაღლე შიგნით – 15მ) და ამ მონაცემებით წინ უსწრებს ბოლნისის სიონს (27,8X24,5X11 მ) და კაწრეთის „სამებას“ (27X14X10 მ). აქ უკვე V საუკუნიდან უნდა მჯდარიყვნენ ეპისკოპოსები, რომელთა შორის ერთ-ერთი VI საუკუნის დვინის კრების მონაწილე ყოფილა. ასევე გასახსენებელია V საუკუნის მიწურულს მოღვაწე **ნეოფიტე ურბნელი** – გაქრისტიანებამდე მაზდეანი სპარსი მხედართმთავარი, სახელად ომარი, რომელმაც სჯულის შეცვლის შემდეგ ისეთ სულიერ სიმაღლეს მიაღწია, რომ ქართლის კათოლიკოსმა სამოელ IV-მ საეპისკოპოსო კათედრა ჩააბარა. ქართლში ამ დროისათვის ჯერ კიდევ შემორჩენილი მაზდეანები, რომლებიც სპარსეთის მხარდაჭერით სარგებლობდნენ, ლოცვის დროს შეუვარდნენ სენაკში ეპისკოპოსს და ჩაქოლეს. მისი უკანასკნელი სიტყვები ეს ყოფილა: **„უფალო იესო ქრისტე, შეივედრე სული ჩემი“.** ქართული მართლმადიდებელი ეკლესიიისთვის გაწეული ამაგისა და უფლისათვის თავშეწირვის გამო ნეოფიტე ურბნელი წმინდანად იქნა შერაცხული და ეკლესია მის ხსენებას 10 ნოემბერს დღესასწაულობს.

ამჟამად ურბნისის საყდარი წმ.სტეფანეს სახელობისაა და მამათა მონასტერს ეკუთვნის. იგი, რუისის საყდართან ერთად, საკათედრო ტაძარია, ხოლო თავად ურბნისი – ეპარქიის მწყემსმთავრის ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტის იობის სარეზიდენციო ცენტრი. საიდანღა არ მოდის მრევლი აქ ყოველკვირეულ წირვაზე თუ სხვა საეკლესიო დღესასწაულზე. ასეა ხოლმე კვეთებულის ლოცვებზეც. საერთოდ, ეს ეპარქია და მისი მწყემსმთავარი ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ მას რომელიმე მომდევნო წერილში დავუთმობთ ადგილს, ახლა კი რუისში უნდა გადავინაცვლოთ.

ურბნისი და რუისი ჩვენთვის განუყრელი სახელებია. „ნიკოფსიიდან დარუბანდამდის და ოვსეთიდან არეგაწამდის“ გადაჭიმულ საქართველოშიც კი სხვა ისეთ ადგილს ვერ მოძებნით, სადაც თითქმის გვერდიგვერდ მდგარიყო ადრეშუასაუკუნეების ორი ასეთი ეკლესია. ეს ჩვენზე უკეთ დავით აღმაშენებელმა და კათოლიკოს-პატრიარქმა იოანემ იცოდნენ და დიდი რეფორმატორული საეკლესიო კრებაც ამიტომ ჩაატარეს აქ 1104 წელს.

რუისში ტაძარი ჯერ კიდევ V საუკუნეში აუგია ვახტანგ გორგასალს, მაგრამ იმდროინდელი ნაგებობის ადგილზე VIII-IX საუკუნეებში ახალი საყდარი აუშენებიათ, რომლის გუმბათის ყელი, წრომის ტაძრის მსგავსად, ოთხ დამოუკიდებელ სვეტს ეყრდნობა. X საუკუნეში ეკლესია საგრძნობლად შეუკეთებიათ, ხოლო XI საუკუნეში განსაკუთრებით გაულამაზებიათ. იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი მდიდრული სტილი თვალნათლივ გამოსჭვივის მკლავებთან პროპორციაში საკმაოდ მაღალი გუმბათის ყელიდან და ჩუქურთმებიდან, ასევე ჩრდილოეთის კარიბჭე-ეკვდერიდან, რომელსაც აღმოსავლეთი ნაწილი მორღვეული აქვს. სწორედ ამ კარიბჭე-ეკვდერის ვარსკვლავისებრი კამარის ქუსლთან არის წარწერა, რომელიც XI საუკუნის ქტიტორთა ვინაობას გვიმხელს: **„ქრისტე, შეიწყალე სული გიორგი ეპისკოპოსისა“.** იქვე მიწერილია **„მარიამ დედოფლისა“,** რომელიც გიორგი I-ის მეუღლე და ბაგრატ IV-ის დედაა, იმდროინდელი საქართველოს მთავარი საკვანძო პოლიტიკური ფიგურა იყო.





რუისის კომპლექსი: კარიბჭე და ღვთისმშობლის ტაძარი ერთ-ერთი რელიეფით

XII საუკუნეში რუისის საეპისკოპოსო კათედრას დიდ დახმარებას უწევდა თამარის დედა ბურდუხან დედოფალიც. ამას ხსენებული კარიბჭის გარეთ დარჩენილი კედლის ზურმუხტისფერ ქვაზე ამოკაწრული წარწერა ცხადყოფს: **„ზრუნვა და საურავი ხელეყო დედოფალსა ბურდუხანს“.**

მას შემდეგ, რაც ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარიბჭეები ეკვდერებად გადაუკეთებიათ, ორივე ფასდზე ძველი თაღოვანი კარები ამოუქოლავთ და მათი მონაცვლე შესასვლელები ამავე კედლების დასავლეთ მონაკვეთებში გაუჭრიათ. ხსენებულ პერიოდშია მიშენებული დასავლეთ მკლავზე სამი მხრიდან თაღებით გახსნილი ახალი კარიბჭეც. ეს სამუშაოები XV საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული, როცა ლანგ-თემურის მიერ განადგურებული ტაძრების აღდგენას მიჰყო ხელი ალექსანდრე პირველმა. რუისის „ღვთისმშობელი“ რომ თითქმის ხელახლა აგებულია ალექსანდრეს მეფობაში, ამას დასავლეთის დიდი, არქიტრავული კარის თავზე არსებული წარწერა გვეუბნება: **„ქუეყანაზე ადიდენ ღმერთმან მეფეთა-მეფობა დიდისა ალექსანდრესი, რომლისა მიერ კვალად აღეშენა საყდარი ესე. ადიდენ ღმერთმან და სული მათი კურთხეული იყოს“.** სამხრეთ ფასადზე შემორჩენილია რესტავრატორის სახელიც: **„გალატოზთა ზედა მომგესა შალვას შეუნდვენ ღმერთმან ამინ“.** როგორც გიორგი ჩუბინაშვილი აღნიშნავს, რუისის ტაძრის აღდგენის დროს წინასწარი ნახაზები არ ჰქონიათ და კალატოზები სამუშაოს სპონტანურად ასრულებდნენ ხუროთმოძღვრის საერთო ზედამხედველობით. ამიტომაც ტაძრის პერანგში ყველა ქვა, (მითუმეტეს ფერადი) თავის ადგილზე აღარ ზის, ხოლო აქა-იქ მათი წყობის თარაზულობაც დაღრვეულია. კალატოზებში, როგორც ჩანს, სომეხიც ერია, რომელსაც სამხრეთ ფასადში მინიატურული ხაჩკარი ჩაუსვამს ერთგან.

ლანგ-თემურის ბარბაროსობას მთლიანად შეუწირავს ტაძრის ძველი მხატვრობა, რომლის ნაცვლად XVI-XVII საუკუნეების ფრესკათა ნაშთებიღა გვცემათ თვალში. **ამ ხანებში რუისის ტაძარი ჯერ მროველ ეპისკოპოს დიონისე ლარაძეს შეუკეთებია, შემდეგ კი როსტომ მეფის მეუღლე მარიამს.** ამავე ეპისკოპოსისაა სამრეკლო და გალავანი.

ამჟამად, როგორც ზევით ითქვა, რუისის ღვთისმშოლის დიდი ტაძარი მოქმედია. იგი შიგნიდან მოსახატად გაუმზადებიათ (ძველი ფრესკების აბრისები ხელუხლებლადაა დატოვებული) და გაულამაზებიათ.

ასეთია რუისი და ურბნისი ახალი ათასწლეულის გარიჟრაჟზე. მათი ბერმონაზვნები და მწყემსმთავარი კვლავაც ბურჯად უდგანან ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას და ძალიან ერთგულად, მკაცრად, დიდი სიყვარულით იცავენ ერის სულიერ წყაროს გაბინძურებისგან.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**







[illegible]

# თავსატეხი

შვეულად: აბატი, აგაზა, პატიო, ასკილი, ოფელია, გრემი, დარჩია, თილიკო, ლიგურია, მხიაბი, ნეფილი, სკერი, წავიდა, ზორაგი, ჯაბაბა, სუნდალი, ტოზუსბი.

თარაზულად: ალიონი, დანია, ლოტუსი, არჩიდა, ბიანკა, განილი, ზური კო, ოსტატი, პატარა, რეგატა, ტოხარა, უნდილი, ფიქრია, ჩაკონა, ციცარი, ჰიმენა, კვარტალი.

# სამიდან ერთი

შვეულად: 1. მაზეთი, მოფელი, მუქარა. 2. ბოძება, მელადე, ტუნელი. 3. კოდორი ხეობაში, ტარისი. 4. სელბა, პაჯა, შეკოდა. 5. ნარმა, ზონდი, ტელეფი. 6. ზუფსა, კოლეტი, მასხა. 11. ტრანსინი, რაიკანი, შტივალი. 12. ლეუ იდონი, ბასკეთი, ჭანჭური. 13. მეოაზი, გუმაგი, გაზუსა. 14. ხალაში, ნოტუ რი, მანანა. 15. ბეჭონი, ჩეროკი, მუზეუმი. 16. ბეზუნი, ბოტასი, ძაზილი.

თარაზულად: 3. პარიადობი, ტოპარნაბი, კაკანათი. 7. მელუზა, ჯილე ლი, მუნუბა. 8. ლელუფები, რაპორტი, სპიკეტი. 9. გილელი, შატილი, ბიფუ დი. 10. კრიპტები, სპირალი, შარფები. 13. კამზი, ლეპილი, პოლუსი. 17. გრა ნელა, ტრეჩიკა, ყვარილა. 18. ზონარი, ჯამბური, ხაზილი. 19. ბარზები, ბა ილინა, ბილიკიკი. 20. ნისანი, ლილიანი, სენეკა. 21. ხარფუზი, ვაკიკი, ტორ ნადო.

# შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 22 | ■ | 31 | ■ | 2 | ■ | 29 | 10 | 3 | 4 | 6 |
| 30 | 3 | 33 | 3 | 23 | 13 | 1 | 6 | ■ | 4 | ■ | 1 |
| ■ | 22 | ■ | 4 | ■ | 25 | ■ | 13 | 8 | 13 | 25 | 6 |
| 18 | 19 | 14 | 3 | 21 | 6 | ■ | 1 | ■ | 17 | ■ | 22 |
| ■ | 1 | ■ | 16 | ■ | 22 | 2 | 6 | 32 | 3 | 1 | 6 |
| 26 | 3 | 12 | 6 | 1 | 6 | ■ | ■ | 3 | ■ | 13 | ■ |
| ■ | 7 | ■ | ■ | 13 | ■ | 7 | 3 | 24 | 5 | 1 | 6 |
| 27 | 9 | 27 | 6 | 3 | ■ | 9 | ■ | 14 | ■ | 8 | ■ |
| 9 | ■ | 3 | ■ | 26 | 3 | 4 | 17 | 6 | 8 | 6 | ■ |
| 8 | 13 | 27 | 2 | 6 | ■ | 12 | ■ | ■ | 13 | ■ | 20 |
| 9 | ■ | 14 | ■ | ■ | 15 | 3 | 11 | 3 | 1 | 18 | 3 |
| 4 | 3 | 6 | 8 | 3 | ■ | ■ | 14 | ■ | 2 | ■ | 30 |
| 3 | ■ | ■ | 5 | ■ | 28 | 3 | 6 | 18 | 13 | 1 | 6 |
| 21 | 9 | 4 | 6 | 20 | 5 | ■ | 25 | ■ | 18 | ■ | 4 |
| 6 | ■ | ■ | 2 | ■ | 1 | 3 | 6 | 8 | 6 | 25 | 6 |

ა-3, ბ, გ, დ, ე-5, ვ, ზ, თ, ი-6, კ, ლ, მ, ნ, ო-9, პ, ჟ, რ, ს-22, ტ, უ-13, ფ, ქ, ღ, ყ-15, შ-27, ჩ, ც, ძ, წ-19, ჭ, ხ, ჯ, ჰ.

# კროსვორდი

ვერტიკალურად: 1. სასმისი, რომლიდანაც იესო ქრისტე საიდუმლო სერობისას სასმელს სვამდა. 2. ასოების გადასმა ისე, რომ ერთი სიტყვიდან სხვა სიტყვა მივიღოთ. 3. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში ფერადი რგოლების, რომლებიც წარმოიქმნება [illegible] ღრუბლებზე დაცემული ჩრდილის გარშემო. 4. [illegible] 5. [illegible] 6. გულის ცემის აჩქარება. 9. [illegible] ცხოველი. 12. მასხარა, [illegible] შექსპირის როლებში „[illegible]". 15. [illegible] 16. [illegible] 17. [illegible] 18. [illegible] 21. წყალბადის მძიმე იზოტოპი, ე.წ. „მძიმე წყალი". 23. [illegible] 24. [illegible] 25. უზარმაზარი ქვებისგან აღმართული უძველესი ნაგებობები. 27. [illegible] 29. [illegible]

ჰორიზონტალურად: 4. ფერადი ქაღალდის პატარა წრეები, რომლებიც გასართობად თავზე აყრიან ერთმანეთს მასკარადებზე. 7. [illegible] 8. [illegible] 10. კლასიკური [illegible] 11. [illegible] 12. [illegible] 13. [illegible] 14. [illegible] 19. [illegible] 20. რ. ჩხეიძის [illegible] „[illegible]". 22. [illegible] 24. [illegible] 26. [illegible] 27. [illegible] 28. [illegible] 30. [illegible] 31. [illegible] 32. [illegible]

## იაპონური [illegible]







# `saer To gazeTis~ iur idiu l i konsu l tacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— რამდენიმე წლის წინ მომიკლეს მეუღლე. მკვლელი გასამართლდა. მას ადრეც ჰქონდა ორი მკვლელობა ჩადენილი. სასამართლომ მიუსაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. ერთმა ადვოკატმა მითხრა, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შესძლებელია მისი გათავისუფლება. შეიძლება თუ არა ეს მოხდეს?**

— ეს შესაძლებელია.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა ასეთ გამონაკლისს უშვებს. კონკრეტულად:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან, ფაქტობრივად, მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის, მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.

* * *

**— ვინ ახორციელებს ამნისტიას და რა შეიძლება განხორციელდეს ამნისტიის აქტით?**

— ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

* * *

**— რა ჩაითვლება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებად და ვინ უნდა დაადგინოს ეს?**

— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მიხედვით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებად მიიჩნევა სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.

ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხს ადგენს სასამართლო — სამედიცინო ექსპერტი.

* * *

**— შეიძლება თუ არა პირობით მსჯავრდებული ვადაზე ადრე გათავისუფლდეს პირობითი მსჯავრისაგან?**

— შეიძლება.

თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ ყოფაქცევით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, სასამართლოს შეუძლია იმ ორგანოს წარდგინებით, რომელიც ახორციელებს კონტროლსა და დახმარებას პირობით მსჯავრდებულის მიმართ, გააუქმოს პირობითი მსჯავრი და მსჯავრდებულს მოიხსნას ნასამართლობა.

პირობითი მსჯავრისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლება შეიძლება, ასევე, ამნისტიისა და შეწყალების აქტებით.



* * *

**— გასამართლებული ვარ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. საპროცესო შეთანხმების მიხედვით, ჯარიმის სახით გადავიხადე გარკვეული თანხა. ვითვლები თუ არა ნასამართლევად.**

— ჯარიმა სასჯელის ერთ-ერთი სახეა და, აქედან გამომდინარე, დაგეკისრათ რა ჯარიმის გადახდა, ითვლებით ნასამართლევად.

დამატებით გეტყვით შემდეგს:

ჯარიმა თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ნაწილის „ბ“ ქ-პუნქტის შესაბამისად, ნასამართლობა გაქარწყლდება თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელის მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ.

ხსენებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, თქვენ ნასამართლობის არმქონედ ჩაითვლებით ჯარიმის გადახდის დღიდან ერთი წლის შემდეგ.

* * *

**— რა არის დანაშაულის რეციდივი?**

— დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირისმიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე, ნასამართლობა, რომელიც გახსნილი ან გაქარწყლებულია კანონით დადგენილი წესით.

დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი.

* * *

**— ვის ენიშნება უვადო თავისუფლების აღკვეთა?**

— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს. ბუნებრივია, დანაშაულებრივი ქმედების სანქცია სასჯელის სახით უნდა ითვალისწინებდეს უვადო თავისუფლების აღკვეთას.

ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.

* * *

**— რა შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა?**

— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

* * *

**— რას ნიშნავს დანაშაულის მცდელობა და ისჯება თუ არა?**

— დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

დანაშაულის მცდელობა გახლავთ დაუმთავრებელი დანაშაული. ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით.

დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი.

**„საერთო გაზეთის“ გასულ ნომერში დაიბეჭდა პატარა წერილი — „ვინ დაეხმარება სახელმწიფოსგან მიტოვებულ ლუკას, მათეს და იოანეს?“ ამ ოჯახის უკიდურესმა სიღარიბემ, ცხადია, შემზარა, მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, დიდი იმედი არ მქონდა, საქართველოში ვინმე თუ იქნებოდა მსურველი ამ ბავშვებს დახმარებოდა, მით უმეტეს, რომ დღეს სიღარიბე აქლემივითაა ჩაჩოქილი ყველა მეორე ქართული ოჯახის კართან. მაგრამ მოხდა საოცრება. ის, რასაც ვერ წარმოიდგენდა ქართული ზნეობისა და ტრადიციების მოსპობის მსურველი ეს ხელისუფლება, ჩვენს თვალწინ აღსრულდა.**

# vin daexma r eba saxe l mwi f osgan mi t ovebu l l ukas, maTes da i oanes?



**ოთხშაბათის მერე რედაქციაში ზარები არ წყდება. ადამიანებს სურთ დაეხმარონ პატარებს. უგზავნიან საჭმელს, ტანსაცმელს... ეს არის ის, რაზეც იდგა და დგას საქართველო — სოლიდარობა, თანადგომის გრძნობა და ადამიანური მოვალეობა, რისი ჩაკვლა და განადგურება უნდათ იმ ტესტების ავტორებს, ჩვენს კოსმოპოლიტ ხელისუფლებას, რომელმაც ჩაშვება-დაბეზღება და „ყველანი ციხეში“ ჩვეულებრივ მოვლენად გამოაცხადა.**

**რედაქცია გულწრფელად უხდის მადლობას ყველას, ვინაც გულთან მიიტანა მათი გასაჭირი და მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუჩინა ამ ოჯახს.**

**მადლობა ქალბატონ ნუნუ მიქაძეს, ბატონ ბადრი ლომიძეს და კიდევ სხვებს, რომლებმაც სახელის და გვარის გამჟღავნება არ ისურვეს...**

**წერილში მითითებული არ ყოფილა ნატო მეკოკიშვილთან დასაკავშირებელი არანაირი კოორდინატი, რადგან მათ არ აქვთ ტელეფონი, არც სხვა რაიმე საკომუნიკაციო საშუალება.**

## ვისაც გსურთ დაეხმაროთ 3 და 4 წლის საქართველოს უღარიბეს პატარა მოქალაქეებს, დარეკეთ 568 33 19 38



## ცნობილი გახდა რითი გარდაიცვალა სინამდვილეში პუშკინი



ბოლო დროს პრესაში სენსაციური ცნობები გავრცელდა იმის შესახებ, რომ დიდი რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი და ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა ერთი და იგივე ადამიანები იყვნენ.

ვერსიის ავტორი ამტკიცებს, რომ პუშკინი დუელში არ მომკვდარა. მან გაითამაშა სიკვდილის სცენა და სინამდვილეში საფრანგეთში გაიქცა. ამ ვერსიას ბევრი არგუმენტი აქვს. ის საოცარი დუელი, რომლის მიზეზი გახლდათ პუშკინის ცოლი ნატალია გონჩაროვა და პუშკინის დასაფლავება ღამით, რაც ასევე უცნაურ ელფერს ატარებს.

პუშკინი საგვარეულო სასაფლაოზე არ დაუსაფლავებიათ. იგი ტყის პირას დაკრძალეს. საინტერესოა ისიც, რომ თავისი სიკვდილის სცენა თვითონვე აღწერა პოემაში „ევგენი ონეგინი“.



ამ პერიოდში პარიზში ჩნდება ალექსანდრე დიუმა, რომელიც მანამდე ცნობილი არ იყო და უცებ ხდება პოპულარული მთელ მსოფლიოში. პუშკინი და დიუმა ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს – ორივე მუქკანიანი და ხუჭუჭთმიანი იყო.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს იწვევს კამათს და იძლევა ამის საფუძველს, რომ შეიძლება დადგეს დრო, როცა სკოლაში პუშკინის ლექსების გარდა მის რომანებსაც შეასწავლიან მომავალ თაობებს, რომელიც პუშკინმა დიუმას სახელით დაწერაო, – იუწყებიან ამ ვერსიის ავტორები.

## მეცნიერება რძის საოცარი თვისებები აღმოაჩინეს



ვიცით, რომ რძე გემრიელია, სასარგებლო, აძლევს ჩვენს ორგანიზმს საჭირო ნივთიერებებს. მაგრამ კვლევამ აჩვენა, რომ რძე კიბოს არჩენს.

მეცნიერებმა გამოიკვლიეს 562 ადამიანი, რომლებიც ნაწლავების კიბოთი იყვნენ დაავადებულნი და სხვა ჯანმრთელი ადამიანები, ზუსტად ამ ასაკის და ცხოვრების პირობების მქონე. აღმოჩნდა, რომ ჯანმრთელი ადამიანები ბავშვობაში ბევრ რძეს სვამდნენ.

ამიტომ, თუკი თქვენს ბავშვებს არ უყვართ რძე, ეცადეთ, როგორმე დღეში ნახევარი ჭიქა რძე მაინც მიაღებინოთ. რძე რომ მეტად გემრიელი იყოს, დაუმატეთ მას გახეხილი ხილის წვენი, ახალი ხილი, ნაყენები ან მურაბა.

## როდის დგება ნამდვილი ოჯახური ბედნიერება

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს თუ როდის დგება ნამდვილი იდილია და სიმშვიდე ოჯახურ ცხოვრებაში. მათი აზრით, იდეალური ურთიერთდამოკიდებულება მამაკაცსა და ქალს შორის დგება ზუსტად 2 წელიწადს, 11 თვესა და მერვე დღეს. ამ გამოთვლით, ბედნიერება ქორწინების მესამე წელთან არის მიახლოებული. ამ დროს მეუღლეები ერთმანეთის უაყოფით თვისებებს იგნორირებას უკეთებენ და დგება საყოფაცხოვრებო პრობლემების იდეალური გადაწყვეტის დრო.



მეცნიერთა მტკიცებით, 2 წლისა და 4 თვის შემდეგ რამდენადმე ჰარმონიული ხდება სექსუალური ცხოვრებაც. ამ პერიოდში ქალი და მამაკაცი ერთმანეთთან მაქსიმალურად ადაპტირებულები არიან და მზად არიან დატკბნენ ერთმანეთის თვისობრივი გამოვლინებებით სქესობრივ ცხოვრებაში.

## რატომ სცემა 11 წლის ყმაწვილმა თანამეცხედრე?



პოლიცია მეზობლებმა გამოიძახეს, რადგან ოჯახური სკანდალის ატანა უკვე შეუძლებელი იყო. როგორც აღმოჩნდა, 11 წლის ბიჭუნა სასტიკად სცემდა 35 წლის ქალს, რომელიც მასთან „რომანტიკულ კავშირში“ იმყოფებოდა. პოლიციელებმა ბიჭუნა კი არა, დაზარალებული და გალახული ქალბატონი დააპატიმრეს მცირეწლოვანთან გარყვნილი ურთიერთობის გამო. ქალბატონი ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

## ასტროლოგიური პროგნოზი



**ვერძი** – ამ პერიოდში თქვენ მთლიანად დასვენებასა და გართობაზე გადაერთვებით, რაც გარკვეულწილად შეცდომა იქნება, მით უმეტეს, რომ თქვენი ინერტულობა და უპასუხისმგებლობა საქმიანი ურთიერთობებისა და გეგმების დამუხრუჭებას გამოიწვევს. ეს კი ცხადია, გარკვეულ პრობლემებს შეგიქმნით.



**კურო** – შესაძლოა, თქვენი აქტიური ხასიათის საწინააღმდეგოდ, თავი მოწყენილად და დეპრესიულადაც კი იგრძნოთ. ეს თქვენს საქმიან ცხოვრებას უკუპროცესით წარმართავს და გამორიცხული არ არის, მომავალი პოტენციური პროექტებიც ჩააგდოთ. ამიტომ ტემპს მოუმატე.



**ტყუპები** – ერთდროულად მრავალ ფრონტზე მოგიწევთ ბრძოლა. ბევრი მოუგვარებელი პრობლემა თქვენს ჩარევას მოითხოვს და როგორ გაართმევთ ამ ყოველივეს.



**კირჩხიბი** – შესაძლოა, რაღაცეები მოულოდნელად შეცვალოთ, რაც მეტესწილად პოზიტიურ შედეგს მოგცემთ, თუმცა ამ ცვლილებების გამო გართობასა და სიამოვნებაზე იტყვით უარს.



**ლომი** – ამ პერიოდში შეგექმნებათ არა ერთი შესაძლებლობა, მოაგვაროთ ყოფითი პრობლემები. ამისთვის ემოცია უკანა პლანზე უნდა გადასწიოთ.



**ქალწული** – მიმდინარე პერიოდში ფინანსური საკითხების მოგვარებით იქნებით დაკავებული. არ არის გამორიცხული, ახლობლებმა მატერიალური დახმარება გთხოვონ.



**სასწორი** – ამ პერიოდში მოვლენები ისე სწრაფად და ამასთან, მოულოდნელად განვითარდება, რომ შესაძლოა, ამ ყოველივეს ფეხი არ აუწყოთ და შეცდომებიც დაუშვათ. ასე რომ, მზად იყავით ნებისმიერი ექსტრემალური მოქმედებისთვის.



**მორიელი** – მოსალოდნელია ადმინისტრაციულ ან სახელმწიფო პირებთან ერთად გარკვეული პროექტების განხილვა და მათთან ერთად ამ პროექტების განხორციელებაზე ზრუნვაც მოგიწიოთ.



**მშვილდოსანი** – მოუხმეთ ორგანიზატორულ შესაძლებლობებს, რადგან თქვენს გარშემო მიმდინარე მოვლენები ქაოტურ სახეს მიიღებს, ეს გაიძულებთ, რაღაც-რაღაცეები გადააფასოთ.



**თხის რქა** – მოგიწევთ ლიდერის როლის შეთავსება და ინიციატივის საკუთარ თავზე აღება. ამას დაემატება თქვენი მხრიდან იმიჯის შეცვლაც. ეს ყოველივე საწინააღმდეგო სქესის ადამიანებს თქვენდამი დადებითად განაწყობს.



**მერწყული** – ენერგიულობა და შემოქმედებითი აღმაფრენა დაგეხმარებათ, წარმატებით დაასრულოთ ადრე წამოწყებული საქმეები და ახალი პროექტების დაგეგმვაზე იზრუნოთ.



**თევზები** – მოგიწევთ ადრე დაწყებული საქმეების დასრულება, თუმცა არ გირჩევთ, მკვეთრ მოქმედებებსა და კატეგორიულ ტონს, ეს კონფლიქტური სიტუაციების ალბათობას ერთი-ორად გაზრდის.

### ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:

**სკანვორდი**

1.ნოკდაუნი. 2. ჟენშენი. 3. ჟერვეზა. 4. ნაიდორფი. 5. ექიმი. 6. ბარნაული. 7. ლაგვანი. 8. დომბა. 9. ჩაპლინი. 10. კალედონია. 11. არხი. 12. კდემამოსილი. 13. ამფსონი. 14. ნასყიდობა. 15. რა. 16. ასტანა. 17. ვანი. 18. აგნესა. 19. მული. 20. ნემსი. 21. ნაკადული. 22. ანაპურნა. 23. ქრიზანთემა. 24. ქააბა. 25. ხულიო. 26. ხიხონი. 27. სალახანა. 28. მჭლე. 29. ბაიკა. 30. კესანე. 31. სალოპი. 32. პიჯაკი. 33. ავანდასტა. 34. ვასკოდაგამა. 35. დანადგარი. 36. კურსანტი. 37. დასტა. 38. კამა. 39. დავა. 40. სიენენი. 41. ბულიტი. 42. ვაკუუმი. 43. კამანჩები. 44. დაკოდვა. 45. კავკასია. 46. გვალვა. 47. თავაძე. 48. დილემა. 49. რეჟანსი. 50. ნაი. 51. კვადრიგა. 52. კრივი. 53. ბჟენი. 54. ვენა. 55. იმპერია. 56. თამამი. 57. წუნა. 58. დენიცი. 59. ლართხი. 60. მარაო. 61. მენდელსონი. 62. ლუსაკა. 63. იასი. 64. ცოკოლი. 65. ნალო. 66. იტი. 67. შატლი. 68. შოკოლადი.

**სკანვორდი**

1.პენსიონერი. 2. ინფანტა. 3. იერუსალიმი. 4. ფრანკები. 5. ნაირიტი. 6. კოდაკი. 7. ტრინიტროტოლი. 8. ოკრიბა. 9. კოსტიოლი. 10. ლაკონიზმი. 11. სპარსეთი. 12. ბელინსკი. 13. ელო. 14. ბაიტი. 15. ბრუტო. 16. კლიმა. 17. შოპენი. 18. ქარავანი. 19. ქვიტირი. 20. ფანცქალი. 21. დედოფალი. 22. ჰარისონ. 23. ბოჰემა. 24. წყალტუბო. 25. აბასთუმანი. 26. ტევადობა. 27. ვოლვო. 28. ტრისტარი. 29. კუსტბა. 30. კიოტო. 31. ბოლნისი. 32. ბილი. 33. პრესკონფერენცია. 34. ბარანდოვი. 35. თამრო. 36. თოთიბაძე. 37. ბუთი. 38. ხეოფსი. 39. ხრამი. 40. ალანა. 41. როსინი. 42. დინარი. 43. დიროლი. 44. სინი. 45. ორდინარი. 46. კოსოვო. 47. ტორი. 48. ემუ. 49. მორევი. 50. ლეში. 51. ფინალი. 52. ფიტი. 53. აფთი. 54. ბლუმინგი. 55. პესტოვა. 56. ასპიტი. 57. ხსნილი. 58. სხვიტორი. 59. ლექსუსი. 60. აცე. 61. სატრფო. 62. პანდიტი. 63. დიმა. 64. ტელმანი. 65. ეტლი. 66. ნოტაცია. 67. ფილიპე.

**კროსვორდი**

შვეულად: 1. გრაალი. 2. ანაგრამა. 3. გლორია. 4. კონტროლერი. 5. ფორსინგი. 6. ტაქიკარდია. 9. თრია. 12. წიფურია. 15. რაციონალიზმი. 16. იდიია. 17. კეიჯი. 18. ჟაკო. 21. დეიტერიუმი. 23. იოგები. 24. ტრიპლანი. 25. მეგალითი. 27. სვინგი. 29. გზა.

თარაზულად: 4. კონფეტი. 7. რონალდო. 8. არიქათ. 10. მარგარიტა. 11. ჯირკვი. 12. წიწაკა. 13. ფლიუგერი. 14. ფურაჟი. 19. რეციდივი. 20. აზდაკი. 22. აფონია. 24. ტროპიზმი. 26. ვრანგელი. 27. სლენგი. 28. ტიმბერლეიკი. 30. ზომა. 31. მათე., 32. ტკივილი.